

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

აკაკი ჩიქობავა

განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი  
საქართველოში და მასთან დაკავშირებული  
ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
თედო დუნდუა

თბილისი  
2019

## შინაარსი

შესავალი.....	2
თავი I. ისტორიული კატეგორია „ფეოდალიზმი“ .....	17
თავი II. სენიორალური სისტემა და ვასალიტეტი ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში .....	28
§ 1. ვასალიტეტის საკითხი მიკრო ისტორიის მაგალითზე „აფხაზთა სამეფოში“ .....	30
§ 2. „ფეოდალური ილუზია“? .....	41
თავი III. „სოციალური ენის კრაზი“ .....	45
§ 1. დამოკიდებულის სოციალური აღმნიშვნელი ტერმინი .....	46
§ 2. ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინები .....	52
§ 3. კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური სოციალური ტერმინების წარმომავლობა .....	55
თავი IV. გაციხოვნება .....	69
თავი V. „ხევის“ სოციალური სტრუქტურა „აფხაზთა“ სამეფოში .....	85
თავი VI. ქართული ფეოდალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხები .....	100
§.1. ფეოდალური რენტა და გლეხთა ექსპლოატაციის ხარისხი .....	100
§ 2. გუთნის ორგანიზების პოლიტეკონომიური ასპექტები .....	126
§ 3. წისქვილის პოლიტეკონომია .....	138
§ 4. მიწის ყიდვა-გაყიდვის პოლიტეკონომია ფეოდალურ საქართველოში	142
დასკვნა .....	173
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა .....	179

## შესავალი

ქართული ფეოდალიზმის კვლევას ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს და მეტნაკლებად კარგადაა შეფასებული ფეოდალიზმის გენეზისის საკითხები. მიუხედავად ამისა, საკვლევო თემისადმი ერთიანი მიდგომა არ არსებობს და მეცნიერები სხვადასხვა თეორიული ინსტრუმენტებით თუ მეთოდოლოგიით აყალიბებენ საკუთარ აზრს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი თეორიული საკითხის კვლევისას სულაც არ არის სავალდებულო ქართული ისტორიოგრაფია ერთ აზრამდე მისულიყო და, ამავდროულად, სასიკეთოც არის, რომ საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხებისადმი ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ქართული ფეოდალიზმის შესწავლა XVIII საუკუნეში დაიწყო. პირველი, ვინც ამ საკითხს შეეხო, ვახუშტი ბაგრატიონია. მის აღწერაში ხშირად ვხვდებით სოციალური ბუნების ახსნის მცდელობებს.<sup>1</sup> XIX საუკუნეში ფეოდალურ ურთიერთობებს მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ნ. ურბნელი<sup>2</sup> და სხვა ავტორებიც იკვლევდნენ, თუმცა მათ ქართული ფეოდალიზმის სისტემატიზაცია ვერ მოახდინეს.

პირველი ნარკვევი ქართული ფეოდალური ურთიერთობების შესახებ ალექსანდრე ხახანაშვილს ეკუთვნის. მის ნაშრომში – „ბატონ-ყმობა საქართველოში. რუსეთთან შეერთებამდის“ – განხილულია ქართული ბატონყმობის თავისებურებები, მოცემულია იმდროინდელი საქართველოს სოციალური სურათი, ასევე, სხვადასხვა ტიპის ურთიერთობები. აღ. ხახანაშვილი ქართულ ბატონყმობას ევროპული საშუალო საუკუნეებისა და რუსეთში არსებული ფორმაციის მსგავს მოვლენად მიიჩნევდა: „ბატონ-ყმობას საქართველოში ჰქონდა ბევრი საერთო სახე ამ გვარასვე წყობილებასთან ევროპასა და რუსეთში. ფეოდალობასავით იგი არ არის

<sup>1</sup> ვრცლად იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973.

<sup>2</sup> იხ. დ. მეგრელაძე. გლეხობის საკითხი (ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა). კრ. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967, გვ. 8-19. „მეცნიერება“.

საკუთრება გერმანელ და რომაელ ერებისა, არამედ იგია მსოფლიო ამბავი...”.<sup>1</sup> როგოც ვხედავთ, ალ. ხახანაშვილს ქართული ბატონყმობა და, ზოგადად, ფეოდალიზმი უნივერსალურ მოვლენად წარმოუდგენია და კაცობრიობის განვითარების საერთო ფორმაციად მიაჩნდა. მისი აზრით, ბატონყმობას სამმა ელემენტმა დაუდო სათავე: ნასყიდმა, ბოძებულმა და ნებით ყმობაში შესულმა გლეხმა,<sup>2</sup> შესაბამისად, მის ეკონომიკურ საფუძველს გაუსვა ხაზი, რითაც აშკარად განსაზღვრა ფეოდალიზმის კლასობრივი მხარე. კონკრეტული მაგალითების შემდეგ ალ. ხახანაშვილი ბატონყმობის განვითარების ორ ფაზას გვთავაზობს – „მომზადება ბატონ-ყმობისა ეკონომიკურის მიზეზით და იმის განმტკიცება კანონ-მდებლობით, მთავრობის აქტით“.<sup>3</sup> გამოთქმული მოსაზრება სწორედ შეფასებაა საკვლევი ფორმაციისა და მის ბაზისად ეკონომიკური ფაქტორებია დასახელებული, რასაც მართლაც შემდგომი გამართვა და აღჭურვა სჭირდებოდა საკანონმდებლო/იურიდიული ფაქტორებით.

ქართველი ისტორიკოსებიდან ფეოდალიზმის საკითხებს მრავალპროფილურად აკად. ივანე ჯავახიშვილი შეეხო. თავის ადრეულ შრომებში მან ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდად VII-X საუკუნეები მონიშნა.<sup>4</sup> თუმცა მოგვიანო ნაშრომებში მან დააკონკრეტა პერიოდიზაციის საკითხები და XI-XII საუკუნეები მიიჩნია ფეოდალიზმის, ხოლო XIII-XIV საუკუნეები ბატონყმობის გამარჯვების ეპოქად.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილმა პირველმა შენიშნა ქართული და ფრანგული ფეოდალიზმის მსგავსებები და პირველი შედარებები მეცნიერულ დონეზეც მას ეკუთვნის.

ს. კაკაბაძის ნაშრომში, «Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков», განხილულია ქართული ფეოდალური სტრუქტურა და მისი თავისებურებები, გლეხთა ექსპლოატაცია გვიანი შუასაუკუნეების მაგალითებზე.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი. პატრონ-ყმობა საქართველოში. რუსეთთან შეერთებამდის. ტფ. 1890. „სტამბალიტოგრაფია კ. ი. მესხიევის ს. ა. პოლეტაევისა“, გვ. 5.

<sup>2</sup> ალ. ხახანაშვილი. პატრონ-ყმობა საქართველოში. რუსეთთან შეერთებამდის, გვ. 45.

<sup>3</sup> ალ. ხახანაშვილი. პატრონ-ყმობა საქართველოში. რუსეთთან შეერთებამდის, გვ. 53.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია. ტფ. 1905; საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტფ. 1907.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. ტფ. 1913; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. თბ. 1928.

<sup>6</sup> С. Какабадзе. Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков, Тиф. 1912.

1912 და 1913 წლებში გამოვიდა სიმონ ავალიანის ნაშრომები: «Крестьянский вопрос в Закавказье. Крепостное право и история крестьянской реформы в Тифлисской и Кутаисской губ. Т. I.» და «Крестьянский вопрос в Закавказье. Крестьянская реформа в Мингрелии, Сванетии и Сухумском Отделе. Т. II.» ასევე, მისი ბროშურა ფეოდალიზმის შესახებ,<sup>1</sup> სადაც ავტორი ცდილობს ქართული ფეოდალიზმის შესახებ არსებული მონაცემები სისტემაში მოიყვანოს. 1913 გამოცემული წიგნი კი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქ ავტორმა პირველად განიხილა საგლეხო რეფორმა მეცნიერულ ჭრილში.

ასევე აღსანიშნავია ქრისტეფორე რაჭველიშვილის ნაშრომი „ქართული ფეოდალიზმის ისტორია“, სადაც განხილულია ქართული ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზები, შესწავლილია სოციალური ტერმინები და ურთიერთობების ფორმები, რომელიც ქართულ რეალობაში არსებობდა.<sup>2</sup> ქ. რაჭველიშვილიც იზიარებს მოსაზრებას, რომ ფეოდალიზმი არ არის მხოლოდ ევროპული მოვლენა და იგი უნივერსალურ მოვლენად წარმოუდგენია.

ფეოდალური ურთიერთობების კვლევის საკითხში გარკვეულწილად ახალ ეტაპს წარმოადგენს სიმონ ჯანაშიას შრომები, განსაკუთრებით კი „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“.<sup>3</sup> ავტორი ავითარებს აზრს, რომ I-VI საუკუნეები ეს არის პერიოდი, როდესაც ე.წ. მონათმფლობელური და ფეოდალური ურთიერთობა ერთმანეთს მძაფრად უპირისპირდება. გარდამტეხ პერიოდად IV საუკუნეს მიიჩნევს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ქისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ცხადდება. დასავლეთში კი გამოყოფს ელიტის შიდა დაპირისპირებას ეგრისსა და აბაზგიაში. VI საუკუნე ს. ჯანაშიას შრომებში მონიშნულია ე.წ. „ფეოდალური რევოლუციის“ ხანად, ანუ ფეოდალიზმის გამარჯვების ეპოქად.

ზ. ანჩაბაძე VI საუკუნის აბაზგიაში ხედავს ე.წ. „ფეოდალური რევოლუციის“

---

<sup>1</sup> С. Л. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье. Крепостное право и история крестьянской реформы в Тифлисской и Кутаисской губ. Т. I. Одесса. 1912. Типография «техник»; Крестьянский вопрос в Закавказье. Крестьянская реформа в Мингрелии, Сванетии и Сухумском Отделе. Т. II. Одесса. 1913. Типография «техник».

<sup>2</sup> ქ. რაჭველიშვილი. საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია. თფ. 1926. „სახელგამი“, გვ. 7.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში. ტფ. 1935; შრომები. ტ. 2. თბ. 1952.

ნიშნებს. მისი თქმით, ლაზიკამ ეს პროცესი IV საუკუნეში მოილია, ხოლო ქართლში IV-VI საუკუნეებში მიმდინარეობდა.<sup>1</sup>

ფეოდალიზმის გენეზისის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც ფეოდალური ურთიერთობების დამყარების პროცესი გაიაზრა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, მან ახალ ეტაპზე აიყვანა ქართული ფეოდალიზმის კვლევის საკითხები.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, ასევე, გ. მელიქიშვილის ნაშრომი საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების შესახებ, სადაც ავტორმა პირველად დასვა საქართველოს სამეფო-სამთავროებში ფეოდალიზმის დამოუკიდებელი მიდგომით კვლევის საკითხი. მისი აზრით, ქართველ მკვლევართა შრომებში ნივილირებულია ამგვარი მიდგომა და ისინი ერთიან სივრცეში და ერთიანი მიდგომით იკვლევენ ფეოდალიზმის გენეზისს, რაც, გ. მელიქიშვილის აზრით, დაუშვებელია, ვინაიდან არ იძლევა შესაბამისს სურათს. ქართული სამეფო-სამთავროები VIII-IX საუკუნეებში განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან და მათი ჩამოყალიბების წინაპირობებიც განსხვავებულია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ფეოდალური ურთიერთობების კვლევისას.<sup>3</sup>

ქართული ფეოდალური ურთიერთობების კვლევაში მნიშვნელოვანი ნაშრომია მ. ლორთქიფანიძის „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“,<sup>4</sup> სადაც ავტორი საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების პეროდად X-XI საუკუნეებს მონიშნავს. ასევე, აღსანიშნავია ა. ბოგვერაძის ნაშრომი „ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში“.<sup>5</sup> მართალია, ავტორი ძირითადად ქართლის სამეფოს პოლიტიკურ პერიპეტებს განიხილავს, მაგრამ საერთო სურათისთვის ხელშესახებ დასკვნესაც აკეთებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. მუსხელიშვილმა კვლავ აქტიურად შემოიტანა

<sup>1</sup> З. В. Анчабадзе Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв). Сух. 1959, гл. 21.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ. 1975.

<sup>3</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ. 1973.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963.

<sup>5</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ. 1979.

ისტორიული გეოგრაფიის კვლევის მეთოდები ისტორიის პერიოდიზაციისა და, ზოგადად, ფეოდალური ურთიერთობების შესწავლის საქმეში. ის ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის კვალდაკვალ განიხილავს გეოგრაფიული ტერმინების სემანტიკური ცვალებადობისა და ახალი აღმნიშვნელებით აღჭურვის პრობლემას და მას სწორედ რომ ფეოდალიზაციის პროცესის ჭრილში შეისწავლის.<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი ფეოდალიზაციის პროცესის გამარჯვებას ე.წ. არჩილის რეფორმას უკავშირებს და ფეოდალიზმის გამარჯვების ზედა ზღვრად VIII საუკუნეს გვთავაზობს. მისი თქმით, ესაა პერიოდი, როდესაც დასრულდა საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისის ხანგრძლივი პროცესი.

დ. მუსხელიშვილი ერთ-ერთ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო ისტორიის პერიოდიზაციას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: 1. IV-VI სს. – ფეოდალური ურთიერთობების განმტკიცებისა და ადეფეოდალური მონარქიის პერიოდი, 2. VI ს.- VIII ს-ის პირველი ნახევარი – ადრეფეოდალური პერიოდის დასრულების ხანა (ერისმთავრობის ხანა), 3. VIII ს-ის მეორე ნახევარი - X ს. – განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების პირველი პერიოდი (ფეოდალური დაქსაქსულობა), 4. XI ს. – განვითარებული ფეოდალიზმის მეორე პერიოდის დასაწყისი.<sup>2</sup>

მნიშვნელოვანია გ. ჯამბურიას შრომები ქართული ფეოდალიზმისა და ქართული სენიორალური სისტემის შესახებ. მას საფუძვლიანად აქვს განხილული იმუნიტეტისა და სენიორალური სისტემისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი, რის საფუძველზეც ასკვნის, რომ ფეოდალურმა ურთიერთობებმა საქართველოში IX-X საუკუნეებში უკვე გაბატონებული პოზიცია დაიკავა.<sup>3</sup>

შ. მესხია საკუთარ ნაშრომში „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“ ეხება ფეოდალური ურთიერთობების განვითარების ეტაპებსა და პერიოდიზაციის საკითხს. მისი აზრით, სწორედ ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების შედეგია ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბება და არა პირიქით: „X-XI საუკუნეთა მიჯნა

<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. წ. I. თბ. 1978; საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. წ. II. 1980; ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-X საუკუნეებში). „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ. 1980. №2.

<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილი. ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-X საუკუნეებში). „მაცნე“ ისტორიის ... სერია. №2. 1980, გვ. 163.

<sup>3</sup> გ. ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007.

საქართველოს ისტორიაში პირველ რიგში იყო განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი, ხოლო შემდეგ და ამასთან ერთად, პოლიტიკურად ერთიანი საქართველოს ისტორიის დასაწყისი“.<sup>1</sup>

საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს გ. აკოფაშვილის „ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში“. მართალია, ავტორი ერთიანი მონარქიის ჩამოყალიბებასა და ამ პერიოდში მიმდინარე პროცესებს ეხება, მაგრამ, ზოგადად, მიმოიხილავს IX-X საუკუნეებში არსებულ ვითარებას და საინტერესო დასკვნებსაც იძლევა. შესავალ ნაწილში მოკლედ ეხება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხს და მისთვის მისაღებ ჩარჩოებს გვთავაზობს. ადრეულ ფეოდალიზმს ავტორი IV-VI - IX-X საუკუნეებით განსაზღვრავს, XI საუკუნიდან კი მისთვის ახალი ეტაპი, განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდია.<sup>2</sup>

აღსანიშნავია გ. მამულიას ნაშრომი „პატრონყმობა“, სადაც ავტორი განიხილავს ფეოდალური ურთიერთობების გენეზისისა და მისი განვითარების ეტაპებს. შესწავლილია სოციალური ტერმინოლოგიის ცვალებადობა ამა თუ იმ ეპოქაში, რომელიც პირდაპირ კავშირშია სოციალურ და პოლიტიკურ ტეხილებთან.<sup>3</sup>

ქართული ფეოდალური ინსტიტუტებისა და ურთიერთობების კვლევას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ილ. ანთელავამ, სადაც განხილულია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის ინსტიტუტები, რომლებიც სწორედ ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავების შედეგად იქმნება.<sup>4</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისტორიკოსი გიული ძიძიგური, რომლის მცირერიცხოვანი შრომები ფასდაუდებელია ქართული ფეოდალური ურთიერთობების შესწავლისთვის. გ. ძიძიგურმა პირველმა სცადა თეორიული მსჯელობით აეხსნა ფეოდალიზმის ფუნდამენტის, რენტის ჩასახვა-განვითარების გზები, სწორად გვიჩვენა მისი ეკონომიკური ბუნება და ურთიერთმიმართება

<sup>1</sup> შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ. 1962, გვ. 26.

<sup>2</sup> გ. აკოფაშვილი. ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში. თბ. 1984, გვ. 3-14. 15-37.

<sup>3</sup> გ. მამულია. პატრონყმობა. თბ. 1987.

<sup>4</sup> ილ. ანთელავა. XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ. 1980. „განათლება“; საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ. 1983. „მეცნიერება“.



კლასებს შორის, ექსპლოატორების ხარისხი და მისი თანმდევი მოვლენები.<sup>1</sup>

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის მხრივ საინტერესოა თ. დუნდუას ნაშრომები, სადაც პერიოდიზაციის საინტერესო მაგალითებს ვხვდებით. ავტორი ციკლური დიალექტიკის თეორიის საფუძველზე განიხილავს საზოგადოების განვითარების ეტაპებს. ავტორი არ იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორცაა ადრინდელი ფეოდალიზმი და განვითარებული ფეოდალიზმი. მათ ნაცვლად მეტროპოლისურ და რეგიონალურ ფეოდალიზმს ხმარობს. მისი პერიოდიზაციის საქემა ასე გამოიყურება: ლაზიკაში ახ. წ. I ს-ის II ნახევარი ფეოდალიზმის დასაწყისია. VI ს-მდე დასავლეთ საქართველო კრიზისშია. იბერიაში IV ს-ის II ნახევარია ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდი. VI-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოში რეგიონალური (განვითარებული) ფეოდალიზმია, თუმცა VIII-X საუკუნეები „აბსოლუტიზმის“ ნიშნის ქვეშ ვითარდება, რაც რეგიონალური ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი არ არის. ავტორის თქმით, ეს ე.წ. სახელმწიფო ფეოდალიზმია რეგიონალური ფეოდალიზმის პირობებში. ქართლის ტერიტორიაზე X საუკუნე ზედა ზღვარია რეგიონალური ფეოდალიზმისთვის. თ. დუნდუა X საუკუნეს განვითარებული, იგივე რეგიონალური ფეოდალიზმის პირველ ფაზად მიიჩნევს.<sup>2</sup>

ამ ბოლო დროს ფრანგულიდან ითარგმნა გიორგი შარაშიძის ნაშრომი „შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში“. ნაშრომში განხილულია ქართული ფეოდალიზმის თავისებურებები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ევროპული ნიშნები, რომლებიც საერთო აქვს ქართულ პატრონყმობასა და ევროპულ ფეოდალიზმს. შესავალი ნაწილი ეთმობა თეორიულ კვლევას, სადაც ავტორი სვამს შეკითხვას, რამდენად შესაძლებელია ქართულ რეალობაში ვისაუბროთ

---

<sup>1</sup> გ. ძიძიგური. ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. ტ. III. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980; გ. ძიძიგური. საკუთრების და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში (XVIII საუკუნე). თბ. 1988; გ. ძიძიგური. ბეგარის მნიშვნელობისთვის „ფავნელის დაწრილში“. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. 1983.

<sup>2</sup> თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმინმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. - 1453). თბ. 1997, გვ. 330; თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. საუნცივერსიტეტო სახელმძღვანელო. I. თბ. 2009, გვ. 149-189.

ფეოდალიზმზე. კვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა გიორგი V-ის „ძეგლის დადებას“, როგორც ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავების სამართლებრივ საფუძველს. გ. შარაშიძე VIII საუკუნეს მონიშნავს, როგორც გარდამტეხ ეტაპს ფეოდალური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასასვლელად, XI-XIII საუკუნეები კი უპირობოდ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქად მიაჩნია.<sup>1</sup>

ქართული ფეოდალიზმის ირგვლივ უამრავი დისკუსია იმართებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ერთ-ერთი ასეთი დისკუსიის შემცველი კრებული გამოიცა 1980 წელს სახელწოდებით „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია“. მასში წარმოდგენილია, მ. დუმბაძის, გ. ყორანაშვილის, ა. ბოგვერაძის, თ. პაპუაშვილის, გ. ჯამბურას, ლ. ტუხაშვილის, გ. აკოფაშვილის, დ. გოგოლაძის და ჯ. სტეფნაძის მოხსენებები. კრებულს ერთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გამართული დისკუსიის ჩანაწერი, სადაც კამათი მიმდინარეობს ქართული ფეოდალიზმის რაობაზე და მის გენეზისზე.<sup>2</sup>

გ. ყორანაშვილი ძირითადად განიხილავს ცნება ფეოდალიზმს და მის ისტორიოგრაფიულ წანამძღვრებს, თუ როგორ აღიქმებოდა ეს მოვლენა წლების განმავლობაში, მოკიდებული მარქსიდან და ენგელსიდან საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ასევე, იგი განიხილავს წარმოების წესის მიმართებას ფეოდალიზმთან და აღნიშნავს, რომ თუ დასავლურევროპული ისტორიოგრაფია არ გამოირცხავს ფეოდალიზმის არსებობას იაპონიაში და აღმოსავლეთთან მიმართებაში, მისი აზრით, ასეთივე გამოწვევის უნდა დავუშვათ საქართველოს მიმართ. თუმცა, იქვე ამბობს, რომ ფეოდალიზმი არ ყოფილა უნივერსალური მოვლენა და გლობალური ფორმაცია.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ფეოდალიზმის არაგლობალური ფორმაციისა, რომელიც კაცობრიობის განვითარების სავალდებულო სოციალურ-

---

<sup>1</sup> გ. შარაშიძე. შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში (გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“). მოდერნოლოგიის ისტორია და თეორია. ტ. 2. მთარგმნელი მაია მამაცაშვილი. თბ. 2011, გვ. 5-29.

<sup>2</sup> საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III. თბ. 1980.

<sup>3</sup> გ. ყორანაშვილი. ფეოდალიზმის ცნების საკითხისთვის. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III. თბ. 1980, გვ. 44-56.

პოლიტიკურ წყობას არ წარმოადგენს, ის მაინც უნივერსალურ მოვლენად მიმაჩნია, რადგან ყველგან, სადაც დასტურდება ფეოდალიზმი, მათ შორის ბევრი საერთოა და, ძირითადად, ერთნაირი აღმნიშვნელებით ვითარდებოდა.

გ. ძიძიგური ზოგადად მიმოიხილავს ფეოდალური რენტის განვითარების ეტაპებს, თუმცა არ ამბობს როგორ წარმოუდგენია პერიოდიზაციის საკითხი, ის სხვა მკვლევართა დებულებებს ეყრდნობა.<sup>1</sup>

ა. ბოგვერაძე განიხილავს მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმებს და ადრე გამოთქმულ თავისსავე დასკვნას იმეორებს. მისი აზრით, IV-VIII საუკუნეები ადრეული ფეოდალიზმის ხანაა.<sup>2</sup>

თ. პაპუაშვილი სენიორიის ჩამოყალიბების ფონზე განიხილავს ფეოდალიზმის გენეზისსა და მისი გამარჯვების საკითხს. საინტერესოაა განხილული, თუ რა პროცესები განვლო სენიორალურმა სისტემამ IV-IX საუკუნეებში. საბოლოო დასკვნაში კი ამ სისტემის სრულფასოვნად ჩამოყალიბების დასასრულად IX საუკუნეს მონიშნავს, IX საუკუნის დასასრული კი მისთვის ფეოდალიზმის გამარჯვების ხანაა.<sup>3</sup>

ლ. ტუხაშვილი აზრით, იბერიის სამეფოში ფეოდალიზმი ჩაისახა ნაწილობრივ აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან, ე.ი. ბიზანტიის გზით შეთვისებული იერარქიული სისტემის სახით, თუმცა ადგილობრივი სპეციფიკით შეპირობებული გაეროვნებული სოციალური ინსტიტუტით. მისი თქმით, „ფეოდალიზმის დასავლურ-ევროპული და ქართულ-ეროვნული ფორმების ბევრი დამთხვევა სანახევროდ მაინც შედეგი იყო ქართლის პრობიზანტიური იდეოლოგიურ-პოლიტიკური ორიენტაციისა“. ასევე, „ადრეფეოდალური ურთიერთობანი მოიცავდა ცალკეული სამეფო-სამთავროების წარმოშობა-აყვავებისა და მათი გაერთიანებისკენ სწრაფვას, მოწიფული

<sup>1</sup> გ. ძიძიგური. ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III. თბ. 1980, გვ. 56-68.

<sup>2</sup> ა. ბოგვერაძე. მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმათა განვითარება ადრეფეოდალურ ხანაში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III. თბ. 1980, გვ. 68-78.

<sup>3</sup> თ. პაპუაშვილი. ფეოდალური სენიორიის წარმოქმნა-განვითარების ისტორიიდან საქართველოში (IV-IX სს). საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III. თბ. 1980, გვ. 78-95; სამეცნიერო სესია მიძღვნილი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიისათვის. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის. 35. თბ. 1963, გვ. 233-235.

ფეოდალიზმის თანდათანობითი სრულყოფა კი უნდა დამთხვეოდა ქრონოლოგიურად ეროვნულ-ეთნიკურ, კულტურული და კონფესიური გაგებით ცნება „ქართველის“ ფორმირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით“. ფეოდალიზმის გამარჯვების ხანად ლ. ტუხაშვილს XII-XIII საუკუნეები მიაჩნია.<sup>1</sup>

აღნიშნულ მოსაზრებაზე კომენტარის სახით უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ლ. ტუხაშვილი კარგად იცნობს ქართული ფეოდალური ორგანიზმის სტრუქტურას, მას ბიზანტიაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ წესს უკავშირებს, რაშიც პატივცემული მკვლევარი ცდება. ბიზანტია არასდროს წარმოადგენდა ფეოდალურ სახელმწიფოს და მისთვის უცხო იყო ფეოდალური წარმოების წესი. ამიტომ ქართული პატრონყმობის ჩამოყალიბება ბიზანტიური ცხოვრების წესის გავლით საკამათოა. რაც შეეხება ცნება ქართველის გაჩენას, რასაც ავტორი ფეოდალიზმის გამარჯვებას უკავშირებს, შემდეგნაირად წარმომიდგენია: ქართველი ერის იდეა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებამდე უფრო ადრე ჩამოყალიბდა. ამიტომ ერის შექმნა არაპროპორციულია ფეოდალური ურთიერთობების წესის გამარჯვებასთან. სისტემა ასეთ პირობებში მეტი დეცენტრალიზაციისკენ მიისწრაფვის, ყალიბდება პატარ-პატარა „ქვეყნები“, რაც ხელს უწყობს ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ჯამბურიას ნაშრომები ქართული ფეოდალური ურთიერთობების შესახებ, სადაც ავტორს საფუძვლიანად აქვს განხილული პატრონყმობის თავისებურებები, იმუნიტეტის საკითხი, სენიორალურ-ვასალური ურთიერთობების ისტორია.<sup>2</sup> მის ნაშრომებში კარგადაა შესაწავლილი ყველა ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვებას უკავშირდება. პერიოდიზაციის მხრივ კი გ. ჯამბურია ნაწილობრივ იზიარებს, რომ VIII საუკუნე ეს არის გარდამავალი პერიოდი ახალი ურთიერთობების დამყარებისთვის. პირობითად, VIII-IX საუკუნეები ეს არის განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისის ეპოქა, X საუკუნე კი უკვე იურიდიულად გამტკიცებული გამარჯვებული ფეოდალიზმის ხანაა.

<sup>1</sup> ლ. ტუხაშვილი. „ყოველი საქართველოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი და პერიოდიზაციის პრობლემა. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. III. თბ. 1980, გვ. 105-119.

<sup>2</sup> გ. ჯამბურია. კრებული ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007.

ასევე, საინტერესოა, სხვადასხვა ავტორების, გ. ძიძიგურის<sup>1</sup>, ივ. სურგულაძის,<sup>2</sup> ე. ხოშტარიას, ბროსეს,<sup>3</sup> შ. ბადრიძის,<sup>4</sup> დ. კაციტაძის,<sup>5</sup> მ. დუმბაძის<sup>6</sup>, ვ. ნოზაძის,<sup>7</sup> და სხვათა ცალკეული შრომები.<sup>8</sup>

აღსანიშნავია გრიგოლ ნათაძის შრომა „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია“. მართალია, ნაშრომი არ ეხება ქართული პატრონცმობის შესწავლას, თუმცა ფეოდალიზმის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით ქართულ რეალობაში ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოკვლევაა. შესაძლოა გარკვეული დებულებები დღეს საკამათო იყოს, მიუხედავად ამისა, ევროპული შუასაუკუნეობრივი სისტემის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ქართულ რეალობაში სწორედ ამ ნაშრომის დამსახურებაა.<sup>9</sup>

ასევე, მნიშვნელოვანია პაატა გუგუშვილის მიერ გამოცემული ქრესტომათია, სადაც მოცემულია სხვადასხვა უცხოელი ავტორის ნარკვევები ფეოდალიზმის შესახებ. დახასიათებულია ფეოდალური ურთიერთობების ბუნება, მისი განვითარება, სამამულო ორგანიზება, საკუთრების ფორმები, საბეგრო სისტემა, საქალაქო ცხოვრება სახელოსნო წარმოებით, დამხმარე საწარმოო ურთიერთობები, ფეოდალიზმის ეკონომიკური ბუნება და მისი ფორმაციული საკითხი. აღნიშნული ქრესტომათიაც არ ეხება ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებს, თუმცა როგორც სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფეოდალური ეკონომიკის შესწავლისას.<sup>10</sup>

---

<sup>1</sup> გ. ძიძიგური. ზოგიერთი საკითხი საქართველოში ფეოდალური რენტის ისტორიიდან. საისტორიო კრებული. თბ. 1977. ტ. 7, გვ. 113-133.

<sup>2</sup> ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბ. 1949. ტ. 35, გვ. 233-269.

<sup>3</sup> ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობების საკითხები. თბ. 1984; კვლავ „საყდრისშვილების“ ინსტიტუტის თავისებურებებისთვის საქართველოს მთაში და მთის საზოგადოების ბუნების საკითხი. „მაცნე“ ისტორიის ... სერია. №4. 1994.

<sup>4</sup> შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 113. თბ. 1965.

<sup>5</sup> დ. კაციტაძე. აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით. „მაცნე“ ისტორიის ... სერია. №4. 1989.

<sup>6</sup> მ. დუმბაძე. ქართული ფეოდალიზმის ისტორიის შესწავლა 60 წლის მანძილზე. ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი მიღწევები. თბ. 1978.

<sup>7</sup> ვ. ნოზაძე. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე. 1958.

<sup>8</sup> საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის კრებული. I. II. III. V. VI. VII. თბ. 1970. 1972. 1980. 1990. 1999.

<sup>9</sup> გრ. ნათაძე. დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია. ნაწ. I. ფეოდალიზმის წარმოშობა. ნაკვეთი II. ტფ. 1926. „ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა“.

<sup>10</sup> პ. გუგუშვილი. სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება. ფეოდალური ფორმაცია. ქრესტომათია. ტომი პირველი. წიგნი მეორე. ტფ. 1931. „სახელმწიფო გამომცემლობა“.

ასევე მნიშვნელოვანია დ. ნინიძის შრომები, სადაც გაზნეულად განხილულია ფეოდალური ურთიერთობების სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული სოციალური და ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები.<sup>1</sup> ცალკე გამოყოფის ღირსია სალექციო კურსი სტუდენტებისათვის, სადაც მოცემულია ფეოდალური ურთიერთობების კვლევის სტრუქტურა და კულტურული ნიშნების კვლევის მეთოდოლოგია. წინამდებარე ნაშრომი მეტნაკლებად ეხმიანება დ. ნინიძის გეგმას, რადგან საკვლევი საკითხის ინტერესი სწორედ ამ კურსის გავლისას გამიჩნდა.<sup>2</sup>

### **კვლევის აქტუალობა, თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია:**

ქართული ფეოდალიზმის კვლევის საკითხი დღემდე აქტუალურია სხვადასხვა მიზეზების გამო. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდი სწორედ ფეოდალური ურთიერთობების ფორმაციაში წარმოჩინდა. ქვეყნის გაერთიანება და შემდგომ განვითარებული პროცესები პირდაპირ კავშირშია ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელ ეკონომიკურ თუ კულტურულ ნიშნებთან, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური სისტემის თავისებურებებს. მიუხედავად ქართული ისტორიოგრაფიის საბჭოთა წარსულისა, ფეოდალური ეკონომიკის საკითხებთან მიმართებით კვლევა ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში ხორციელდებოდა, სადაც ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსების შრომების გამოყენება მხოლოდ სავალდებულო და თვალის ასახვევ მეთოდს წარმოადგენდა. მხოლოდ გამონაკლისები ახერხებდნენ საფუძვლიანი თეორიული ცოდნის შედეგად გაეანალიზებინათ საწარმოო ურთიერთობებში გაჩენილი სისტემური ნიშნები, რომლებიც ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე აისახებოდა. კონკრეტული ფორმაციის კვლევა მომდევნო ეტაპის გაანალიზებისთვის აუცილებელი წინაპირობაა, რადგან წინარე პერიოდში ჩამოყალიბებული ეკონომიკური თუ სოციალური ჩაგვრის ინსტრუმენტები ახალ ეპოქაში განსხვავებულად წარმოჩინდებიან. თუმცა მათი წარმოქმნა-განვითარება ისტორიული პროცესია და, შესაბამისად, წინარე საწარმოო წესებში უნდა ვეძიოთ.

<sup>1</sup> იხ. დ. ნინიძე. პროვინციის „მეფეები“ XIV-XV სს. საქართველოში. თბ. 1995. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“; საუფლისწულო XIII ს-ის საქართველოში. საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. ტ.1. თბ. 1999.

<sup>2</sup> დ. ნინიძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, მითითებები სალექციო კურსისთვის. თბ. 2005.

ყოველი ფორმა ადრეულ ეპოქაში ჩასახული ურთიერთობების გაგრძელებაა, რომლის განვითარება შესაბამისი ეპოქის ტექნოლოგიური განვითარების შედეგია და ეკონომიკური და გარეეკონომიკური იძულების ნიშნებით წარმოგვიდგება. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ფეოდალიზმზე უამრავი ნაშრომი არსებობს და იმედია, მომავალშიც შეიქმნება, საკვლევი თემისადმი სხვადასხვა ტიპის მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე მეტნაკლებად განისაზღვრება მისი ეკონომიკური თუ კულტურული ფუნქცია ქვეყნის განვითარების პროცესებში. შესაბამისად, ქართული ფეოდალური ურთიერთობების კვლევა მუდმივად აქტუალურად ჩაითვლება.

სადისერტაციო ნაშრომი თეორიული თვალსაზრისით ემყარება ისტორიული მატერიალიზმის და ფორმაციულ თეორიულ ჩარჩოს, რადგან ფეოდალიზმი დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა გეოგრაფიულ-ეკონომიკური არეალის ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს. მისი შესწავლა სწორედ რომ მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის შუქზე აუცილებლად მიგვაჩნია, ვინაიდან ადამიანთა მატერიალური ყოფის გამორკვევის მნიშვნელოვან სამეცნიერო აპარატს წარმოადგენს. იგი უკვე აღარ არის ფილოსოფიური კატეგორია, ფილოსოფიური მეცნიერება, არამედ მატერიალისტური სამყაროს შემეცნების ერთ-ერთ უმთავრეს იარაღს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის საერთო თეორიული ჩარჩო პერიოდიზაციის ფორმაციულ და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებით განისაზღვრა, კვლევისას გამოყენებულია სხვადასხვა თეორიული თუ მეთოდოლოგიური მიდგომა. ნაშრომში განხილულია ფეოდალიზმის ეკონომიკური და კულტურული მახასიათებლები, შესაბამისად, კონკრეტული თავი თუ ქვეთავი შესაბამისი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტით აიხსნება.

ნაშრომის პირველი ნაწილი ფეოდალური ურთიერთობების კულტურულ, გეოგრაფიულ და პირად ურთიერთობებს ეხება. დოკუმენტური წყაროების ანალიზისას და კულტურული ნიშნების განსასაზღვრად გამოყენებულია სტრუქტურალისტური და ფუნქციონალისტური მეთოდი. ეპოქის სოციალური ტერმინოლოგიის კვლევისას მნიშვნელოვანი იყო ლინგვისტური და ისტორიული

მეთოდოლოგიის შერწყმა, რადგან უკეთ განგვესაზღვრა საკვლევო ტერმინების/სიტყვების სემანტიკური დატვირთვა და გამოგვერკვია, თუ როგორ იქნა აპრობირებული მათი აღმნიშვნელები პოლიტიკური სისტემის შიგნით.

აღნიშნულმა კვლევითმა მიდგომამ დაგვანახა საკვლევო პერიოდის ენობრივ/ტერმინოლოგიური მონაცემების იდენტურობა ევროპულ ფეოდალიზმთან, სისტემების უნივერსალურობა, რომელიც ნებისმიერ გეოგრაფიულ სივრცეში თითქმის ყველგან ერთნაირად მუშაობს და სისტემის განმტკიცებას ემსახურება. ქართულ ნარატიულ წყაროებში დაფიქსირებული ტერმინების კვლევამ და მათი განვითარებისთვის თვალყურის დევნებამ ხელშესახები გახადა ფეოდალური ურთიერთობების დიალექტიკა.

ვასალიტეტის კონკრეტული მაგალითების კვლევისას გამოყენებულ იქნა ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდი, რომლის შემქმნელად ქართულ რეალობაში აკად. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევა. ვინაიდან ციხე-სიმაგრეთა სოციალური ნიშნით აღჭურვა ვასალიტეტის გაღრმავების ერთ-ერთი მიმანიშნებელია, სენიორთა რეზიდენციების გამოვლენა და მათი გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის კვლევა პირდაპირპროპორციულია ბატონობის ფორმებთან, რადგან სამხედრო და სხვა ტიპის ძალაუფლების განხორციელება სწორედ ციხე-სიმაგრიდან ხორციელდება. შესაბამისად, ციხე იწყებს სოციალურ და პოლიტიკურ ბატონობას მის გარშემო განლაგებულ ტერიტორიებზე, სოფლებზე, გზებზე. ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ტოპონიმის, ჰიდრონიმის, პატრონიმების, ძველი სამხედრო თუ სავაჭრო გზების, ციხის გარშემო არსებული გადმოცემებისა და სხვა კულტურული ნიშნების კვლევას, მეტნაკლებად ნათელი სურათის აღდგენას უწყობს ხელს კონკრეტული ციხის გარშემო, რომელიც ვასალური ურთიერთობების ძირითადი ატრიბუტია. შესაბამისად, ციხე-სიმაგრეთა სისტემის განვითარება და მათი სხვადასხვა ნიშნით აღჭურვა და დაცლა კარგად წაროგვიდგენს ფეოდალური ურთიერთობების განვითარების ეტაპებს.

ნაშრომის მეორე ნაწილი ქართული ფეოდალური ეკონომიკური მახასიათებლების კვლევას ეთმობა. ვინაიდან ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ნებისმიერი ფორმაციის ბაზისი ეკონომიკაა, ამ ნაწილის კვლევა მარქსისეულ



პოლიტ-ეკონომიკურ მეთოდოლოგიას ემყარება. მასში უპირატესი ფორმაციის შიგნით მიმდინარე საწარმოო ურთიერთობებია, რომლებიც განსაზღვრავენ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ხარისხს, მწარმოებელთა დაყმევებისა და მათი საბეგრო ურთიერთობებში ჩაბმის ისტორიულ პროცესს.

პოლიტეკონომიური მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა სისტემის ეკონომიკური მოდელის უნივერსალურობა, მისი განვითარების ეტაპების თანხვედრა. საბეგრო ურთიერთობის განვითარებამ საერთოდ გააქრო თავისუფალი მწარმოებელი და წარმოქმნა ახალი სოციალური ფენა, კლასი ექპლუატირებული გლეხობის, რასაც ხელს უწყობდა ბეგარა/რენტის განვითარების ეტაპები. ქართულ დოკუმენტებზე დაკვირვებით განსაზღვრულ იქნა ექსპლოატაციის ხარისხი, ფეოდალური ბეგარის მრავალფეროვნება და საგლეხო სამუშაო დღის ეკონომიკური ფუნქცია მმართველის კლასის მიერ დოვლათის მიტაცების ისტორიულ პროცესში. ქართული სამართლის ძეგლების კვლევისას ეკონომიკური ასპექტების წინა პლანზე წამოწევამ, საკუთრების ფორმების გაჩენა-განვითარების თვალის დევნებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა გლეხთა ეფემერული საკუთრების უფლება არა მარტო ძირითად საწარმოო საშუალებებზე – მიწაზე, არამედ ხშირ შემთხვევაში დამხმარე საწარმოო საშუალებებზე. თავისუფალი მწარმოებლის პირობებში წარმოქმნილი სასოფლო-სამეურნეო იარაღის დიალექტიკა პირდაპირ კავშირშია დაყმევებასა და უშუალო მწარმოებლის საბეგრო ურთიერთობებში ჩაბმასთან, რასაც პოლიტიკური სისტემა სამართლებრივი აქტებით ამყარებდა. ისტორიული პროცესის შედეგად განვითარებული არასამართლიანი გადანაწილება უმაღლესი საკანონმდებლო აქტებით იქნა გამყარებული და სისტემის „კანონიერ“ უფლებებში მოექცა.

## თავი I

### ისტორიული კატეგორია „ფეოდალიზმი“

სანამ უშუალოდ ფეოდალიზმის დახასიათებაზე გადავალთ, უნდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე ნაშრომი ემსახურება ფეოდალიზმის, როგორც უნივერსალური, მაგრამ არა სავალდებულო საზოგადოებრივი წყობის შესწავლას, ყველა იმ საერთო მახასიათებლების გამოვლენას, რომელიც შეიძლება მოვიძიოთ დასავლეთ ევროპულსა და ქართულ ფეოდალიზმს შორის. ნაშრომში განხილული იქნება კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც, ჩემი აზრით, მეტნაკლებად ასახავს ფეოდალიზმის როგორც იურიდიულ, ასევე სოციალურ ბუნებას.

თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გრძელდება კამათი ფეოდალიზმის ირგვლივ. კამათობენ როგორც ცნება „ფეოდალიზმის“, ასევე მისი სახელწოდების შესახებ. ფეოდალიზმი იყო უნივერსალური მოვლენა თუ მხოლოდ დასავლეთ ევროპული სამყაროს კუთვნილება?<sup>1</sup> მარკ ბლოკის აზრით, ფეოდალური პერიოდის ევროპა სინამდვილეში არ წარმოადგენდა ერთიან ფეოდალურ სივრცეს, რადგან იქ ე.წ. თეთრი ლაქები ჯერ კიდევ არსებობდა სკანდინავიისა და ირლანდიის სახით. სივრცისა და დროის მიუხედავად, ბლოკი არ გამორიცხავს, ფეოდალიზმის არსებობას სხვა სახელმწიფოებში, თუმცა ცენტრად მხოლოდ საფრანგეთს მონიშნავს.<sup>2</sup> ამერიკელი მედიევისტები, შტრაერი და კულბორნი, ფეოდალიზმს დროისა და სივრცის მიღმა განიხილავენ, წარმოაჩენენ რა უნივერსალურ ფორმაციად, დასაშვებად მიაჩნიათ მისი არსებობა სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში,

---

<sup>1</sup> R. J. Barendse. The Feudal Mutation: Military and Economic Transformations of the Ethnosphere in the Tenth to Thirteenth centuries. *Journal of World History*. Vol. 14. No. 4. (Dec. 2003). University of Hawai Press, გვ. 503-529; Stefen Morilo. A “Feudal Mutation”? Conceptual Tools and Historical Patterns in World History. *Journal of World History*. Vol. 14. No. 4. (Dec. 2003). University of Hawai Press, გვ. 531-550; Л. Ю. Кухенбух. «феодализм» о стратегиях одного неудобного понятия. *Журн.: «Журнальный зал»*. М. 2006. N-68. <http://magazines.russ.ru/nlo/2006/81/ku4.html>.

<sup>2</sup> М. Блок. Феодальное общество (La Societe Feodale). Перевод с французского М. Ю. Кожевниковой, Е. М. Лысенко. Том II. Книга II. М . 2003, гв. 433, 429.

თუ, რა თქმა უნდა, სახეზეა ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი.<sup>1</sup>

ფეოდალიზმის გენეზისის ფორმირების შესახებ კვლავ მიმდინარეობს დისკუსიები, უარყონ თუ აღიარონ ფეოდალიზმის დღემდე არსებული კონცეპტი. ისტორიკოსები ცდილობენ რა ყოველივე ეს სისტემაში მოაქციონ, მაინც ერთადერთ შედეგამდე მიდიან: მიუხედავად ფეოდალიზმის არაერთგვაროვანი შეფასებისა, მისი უარყოფა შეუძლებელია, რაც ხატოვნად შეაფასა ინგლისელმა ისტორიკოსმა პიტერ კოსსმა: „ფეოდალიზმი გავიდა ფანჯრიდან, რათა შემდეგ კარიდან შემოსულიყო,“ რითაც ცნება „ფეოდალიზმის“ ჩაკეტილ რკალს გაუსვა ხაზი.<sup>2</sup>

იყო თუ არა ფეოდალიზმი უნივერსალური მოვლენა და შეგვიძლია თუ არა მისი მისადაგება იმ სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისთვის, რომელსაც საქართველოში პატრონყმობა ეწოდება? ამაზე კარგა ხანია პასუხი გასცა ივანე ჯავახიშვილმა და ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურ წეს-წყობილებას, ე.წ. ფეოდალიზმს“. <sup>3</sup> ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას ქართული პატრონყმობისა და ფრანგული ფეოდალიზმის მსგავსების შესახებ, თუმცა მისი განვითარების ქრონოლოგიური ჩარჩო სხვაგვარად წარმოგვიდგენია.

„ფეოდალიზმი“ ადრეულ ეტაპზე განიხილებოდა, როგორც იურიდიული კატეგორია და მიწის მფლობელობის ერთ-ერთ ფორმად იყო მიჩნეული. „ფეოდალიზმი“, როგორც ისტორიული კატეგორია, გრაფმა ბუნელვილმა შემოიტანა 1727 წელს, თუმცა ფართო ასახვა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ჰპოვა. შემდეგი ეტაპი „ფეოდალიზმის“ ისტორიულ ეპოქად აღნიშვნა ფრანგ განმანათლებელს, მონტესკიეს, უკავშირდება, რომელმაც გრაფ ბუნელვილის შრომებზე დაყრდნობით უკვე დასრულებული სახით შესთავაზა საზოგადოებას ისტორიის ამგვარი პერიოდიზაცია.<sup>4</sup>

ჯ. პოკოკის განმარტებით, XVII საუკუნის ინგლისში სიძველეთმცოდნენი და

---

<sup>1</sup> “Feudalism in History”. Ed. R. Coulborn. New Jersey. 1956, გვ. 50; F. Cheyette. “Some Reflections on Violence, Reconciliation, and the “Feudal Revolution” in Warren C. Brown and Piotr Gorceki, Conflict in Medieval Europe: Changing Perspectives on Society and Culture. Uk and Burlington VT, 2003; T. N. Bisson. “Feudal Revolution”. Past and Present. 142 Feb. 1994, გვ. 6-42; S. Reynolds. Fiefs and Vassals. The Medieval Evidence Reinterpreted. Oxford. 1994.

<sup>2</sup> Л. Ю. Лухенбух. «феодализм» о стратегиях одного неудобного понятия. журн.: «журналны зал», М. 2006. №68.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. თბ. 1928, გვ. 93.

<sup>4</sup> М. Блок. Феодальное общество. М. 2003, გვ. 5-7.

მეცნიერები სრულებითაც არ იყენებდნენ ტერმინს „ფეოდალური სისტემა“. ჰენრი სპელმანისთვის ინგლისური პოლიტიკური წყობა იმდენად ერთგვაროვანი იყო, რომ მის აღსანიშნად მხოლოდ და მხოლოდ „ფეოდალური წესი“ უნდა გამოეყენებინათ. კრეიგი და სპელმანი იყვნენ პირველი ინგლისელი ისტორიკოსები, რომელთაც ინგლისური წყობის ევროპულთან მეცნიერული შედარება სცადეს, ეყრდნობოდნენ რა XII-XVI საუკუნის სამართლის ძეგლებს.<sup>1</sup> ფრედერიკ ვილიამ მეტლენდის მოსაზრებით, იმ ტიპის განვითარება, რასაც შეიძლება „ფეოდალური სისტემა“ ვუწოდოთ, ინგლისში არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, სიტყვა „ფეოდალურს“ ვერ გაექცა და ხშირად იყენებდა მას, თუმცა მკაცრად განასხვავებდა ინგლისურ და ფრანგულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობას.<sup>2</sup> XVIII საუკუნეში და ცოტა უფრო ადრეც „ფეოდალიზმს“ მიაწერდნენ განსხვავებულ განმარტებებს. ზოგი მმართველობითი სისტემის აღსანიშნადაც იყენებდა. XVIII საუკუნეში შეიქმნა ტერმინი „ფეოდალური სისტემა“. XIX საუკუნის შუა ხანებში „ფეოდალიზმი“, მიუხედავად მისი სამეცნიერო დეტერმინებისა, როგორც აღნიშნავენ, „სალანძღავ“ სიტყვად მიიჩნეოდა. XIX საუკუნის შუა ხანებიდან კი წარსული კვლევის აღსანიშნად უკვე სისტემატურად იყენებდნენ ტერმინს „ფეოდალიზმი“.<sup>3</sup> ბოლო პერიოდის ევროპულ სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში უფრო ხიან ტერმინის „ფეოდალური“ ხსენებას და უნდობლობას უცხადებენ. თუმცა ყველასთვის გასაგებია, რა ტიპის პოლიტიკურ წყობას მიემართებ ის. მხოლოდ ამის შემდეგ საუბრობენ სისტემის შიგნით დანაწევრებასა და განსხვავებებზე. ამიტომაც ელიზაბეტ ბროუნმა ხატოვნად აღნიშნა: „ფეოდალიზმი“ ეს არის კონსტრუქტის ტირანია.

როგორც აღინიშნა, ისტორიულ მეცნიერებაში დღემდე აქტუალურია ტერმინ „ფეოდალიზმის“ გადააზრების საჭიროება. ჟორჯ დიუბი ფეოდალიზმის გამარჯვებას ტერმინით „ფეოდალური რევოლუცია“ განსაზღვრავს. ამ დებულებას ერთ-ერთი პირველი მისი მოსწავლე დომინიკ ბარტელემი დაუპირისპირდა და „რევოლუციის“

---

<sup>1</sup> ob. J. A. Pocock. *The Ancient Constitution and Feudal Law. English Historical Thought in the Seventeenth Century.* Cambridge. 1957.

<sup>2</sup> ob. Elizabeth A. R. Brown. *The Tyranny of a Construct: Feudalism and historians of Medieval Europe.* The American Historical Review. Vol 79, №4. Oct. 1974. “Oxford University Press”, გვ. 1065-1066.

<sup>3</sup> Elizabeth A. R. Brown. *The Tyranny of a Construct: Feudalism and historians of Medieval Europe.* The American Historical Review. Vol 79, №4. Oct. 1974, გვ. 1065.

ნაცვლად „ფეოდალური მუტაციის“ დამკვიდრება სცადა. ბარტელემის აზრით, „რევოლუცია“ არ შეესაბამებოდა ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების კონცეპტუალურ მხარეს.<sup>1</sup> თავის ერთ-ერთ საკვანძო ნაშრომში, „სენიორალური წესრიგი, XI-XII საუკუნეები“, დ. ბარტელემის განხილული აქვს ფრანგული ფეოდალიზმის სენიორალური ურთიერთობები, საქალაქო ცხოვრება და გლეხობის სოციალური სტატუსი. ის მიზანმიმართულად იყენებს ტერმინს „სენიორალური წესრიგი“, რასაც „ფეოდალურ ანარქიას“ უპირისპირებს. ამით ხაზს უსვამს ფორმაციის შიგნით არსებულ დანაწევრების პოლიტიკურ ხასიათს. მისი აზრით, ტერმინი „ფეოდალური“ მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც აზნაურების და რაინდების კავშირზე ვსაუბრობთ, ხოლო სისტემის ბაზისზე, უთანასწორობაზე, რომლისგანაც მომდინარეობდა შიდა ბრძოლები – „სენიორალური“.<sup>2</sup> თეზა, ერთი შეხედვით, მომხიბვლელი ჩანს, რადგან შუასაუკუნეობრივი სისტემა სენიორების იერარქიული კიბისგან შედგება და, შესაბამისად, მოცემული პოლიტიკური სისტემის თითქოს სწორი განსაზღვრებაა. „ფეოდალური წესრიგი“ ხომ ის განმსაზღვრელი ფაქტორია, რისი გაფორმების შედეგად იზრდება კლასობრივი ექსპლოატაცია. თუმცა წესრიგმა კი არ განსაზღვრა სისტემის განვითარება, არამედ ამ ეკონომიკურ ბაზისზე აღმოცენებულმა ურთიერთობებმა.

„ფეოდალური რევოლუციის“ გარშემო განვითარებულ დისკუსიას გაკვირით ეხება ინგლისელი ისტორიკოსი კრის ვიკჰემი. მისი განმარტებით, ამ დებატებში ის ფრაგმენტულად იყო ჩართული, რადგან მას ყოველთვის აღიზიანებდა თემისადმი ფრანკოცენტრული მიდგომა, ასევე, ტენდენცია, რომ საკითხის გადაწყვეტას ერთი კონკრეტული რეგიონის მაგალითზე ცდილობდნენ.<sup>3</sup>

მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად მოვნიშნოთ და

---

<sup>1</sup> Dominique Barthélemy, *L'ordre seigneurial. XI<sup>e</sup>-XII<sup>e</sup> siècle*, Editions du Seuil, Paris, 1990 (აქ და სხვა ადგილებში ფრანგულიდან და გერმანულიდან შესაბამისი ნაშრომების თარგმანში დამეხმარა ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლუკა ნახუცრიშვილი). ასევე, „ფეოდალურ მუტაციაზე“ იხ.. R. J. Barendse. *The Feudal Mutation: Military and Economic Transformations of the Ethnosphere in the Tenth to Thirteenth centuries*. *Journal of World History*. Vol. 14. No. 4. (Dec. 2003). University of Hawai Press, გვ. 503-529; Stefen Morilo. *A “Feudal Mutation”? Conceptual Tools and Historical Patterns in World History*. *Journal of World History*. Vol. 14. No. 4. (Dec. 2003). University of Hawai Press, გვ. 531.

<sup>2</sup> Dominique Barthélemy, *L'ordre seigneurial. XI<sup>e</sup>-XII<sup>e</sup> siècle*, Editions du Seuil. Paris. 1990, გვ. 7.

<sup>3</sup> Chris Wickham. *The “Feudal Revolution” and the origins of Italian cuty communes*. *The Prothero Lecture*. Read July 2013. *Trasactions of the Royal Historical Society*. Wolume 24. December. 2014, გვ. 32.

დავაფიქსიროთ ის ცვლილება, რომელიც ადგილობრივი (ანუ ფრანგული) ბატონობის პრაქტიკებში გამოჩვენდა და რომლებიც არაფორმალურად არსებობდა. ხოლო 1000 წლიდან, ან თუნდაც 1050 წლიდან, უკვე ფორმალური გახდა და მან კანონიერი, სამართლებრივი სახე მიიღო.<sup>1</sup> ვიკჰემის ამ დაკვირვებას კარგად ესადაგება ჯუანშერის თხზულებაში მოცემული პასაჟი, რომელშიც სწორედ არაფორმალური ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის ფაქტი უნდა იყოს მოცემული: „მაშინ ერჩდა სპარსთა მეფე კეისარსა და განთავისუფლდეს ქართველნი. და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა. და იყო კაცი მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა და ამან იწყო ეკლესიაჲ გუარისა პატიოსნისაჲ. და აქამომდე გუარი ველსა ზედა იყო, და ქმნა ეკლესიაჲ წელთამდე ოდენ. და მეფობდა კეთილად და უმფოთველად, არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთვოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან / და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკუდრობისანი, არამედ იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა“<sup>2</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მრავალჯერ მოხმობილი ციტატა, ზუსტად ასახავს იმ მნიშვნელოვანი ცვლილების დაფიქსირების აუცილებლობას, რომელზედაც კრის ვიკჰემი საუბრობს, შესაბამისად, ამდაგვარ მოვლენას უწოდებენ რევოლუციურს, როდესაც უმაღლესი სენიორის ძალაუფლება შეზღუდულად ხორციელდება. ვეთახმები კ. ვიკჰემის მოსაზრებას, რომ ფრანკოცენტრული მიდგომით ფეოდალური ურთიერთობების ახსნა მნიშვნელოვანი ხარვეზია ევროპული ისტორიოგრაფიისთვის, რადგან დაახლოებით, ან ზუსტად იდენტური სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რაც საფრანგეთში X-XII საუკუნეებში მიმდინარეობდა, უფრო ადრე, VI საუკუნიდან მოყოლებული შეინიშნება ქართულ ეთნოკულტურულ და სომხურ პოლიტიკურ სივრცეში. შესაბამისად, საფრანგეთის ფეოდალიზმის აკვანად მონათვლა რევიზიას ექვემდებარება. ის ფაქტი, რომ ფრანგული ფეოდალიზმი სხვა ქვეყნებისათვის საზომად გამოიყენება (მათ შორის, მეც ხშირად ვიყენებ ამგვარ მსგავსებას), მხოლოდ და მხოლოდ ფრანგულ ისტორიოგრაფიაში შუასაუკუნეობრივი წყობის ფეოდალიზმად სახელდების გამო ხდება, რადგან

<sup>1</sup> Chris Wickham. The “Feudal Revolution” and the origins of Italian city communes, გვ. 33.

<sup>2</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 228.

ე.წ. ფეოდალიზმის მეცნიერული შესწავლა სწორედ საფრანგეთში დაიწყო და მიაღწია უმაღლეს მწვერვალს. სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში მსაგვსი ცვლილებების ადრეულად არსებობის უკუგდება და ნიველირება კი არ ეგების, რადგან „ფეოდალიზმი“ სამეცნიერო ტერმინია და მისდამი, როგორც ტირანული კონსტიტუციისადმი, დამორჩილება ხელს შეუშლის ობიექტურ სამეცნიერო კვლევას.

ფრანგი ისტორიკოსის და ფეოდალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსის მარკ ბლოკის თქმით, ტერმინოლოგიის აღრევა იწყება მას შემდეგ, რაც ვასალიტეტმა ისტორიული განვითარების ეტაპი განვლო და ფეოდალური ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ საყრდენად იქცა.<sup>1</sup> ამიტომ საკვლევ ველზე ხშირად შემოდის ე.წ. „აღმოსავლური ფეოდალიზმის“ ცნება, როდესაც მეცნიერები აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალური ურთიერთობების ნიშნებს ხედავენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სოციალურ-პოლიტიკური ფორმაცია აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მხოლოდ ირანში დასტურდება.<sup>2</sup> ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ „ფეოდალურ აღმოსავლეთში მიწის უზენაეს მესაკუთრედ სახელმწიფო გამოდიოდა, მაგრამ ის გარემოება, რომ აქ „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვეოდა, სრულიადაც არ ცვლიდა რენტის ფეოდალურ ბუნებას“.<sup>3</sup>

ზოგიერთი მეცნიერი „აღმოსავლური ფეოდალიზმის“ არსებობის ფაქტებს უარყოფს და ის პროცესები, რაც აღმოსავლეთში ვითარდებოდა, სულაც არ მიაჩნია ფეოდალურ ურთიერთობებად. მართალია, სახელმწიფოს ცენტრალიზაცია და „აბსოლუტუზმი“ სულაც არ არის დამახასიათებელი ფეოდალური ტიპის ქვეყნებისთვის, მაგრამ ამგვარი გამონაკლისი საკუთრივ ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში „აფხაზთა“ სამეფოს მაგალითზე გვაქვს, რომელიც თ. დუნდუას აზრით, რეგიონალური (განვითარებული) ფეოდალიზმის პირობებში ვლინდება და მეტნაკლებად იდენტურია აღმოსავლური ტიპის „სახელმწიფო სოციალიზმის“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> М. Блок. Феодальное общество. М. 2003, გვ. 430.

<sup>2</sup> ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბ. 1958; თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. I. თბ. 2009, გვ. 149-189.

<sup>3</sup> ვ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III, ნაწ. 2. თბ. 1959, გვ. 411.

<sup>4</sup> თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს.- 1453), გვ. 330; თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები, გვ. 149-189.

ფეოდალური ურთიერთობების მიმართ სიტყვა სოციალიზმს კ. მარქსი და ფ. ენგელსიც იყენებენ, თუმცა მისი განსაზღვრება ბევრად სცილდება იმ არსს, რასაც ზემოთ ხსენებული მეცნიერი მოიაზრებს.<sup>1</sup>

ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსები ფეოდალიზმს საზოგადოების განვითარების აუცილებელ და უნივერსალურ ფორმაციად გვისახავდნენ, რაც თავისთავად მცდარ მოსაზრებას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, ფეოდალიზმის უნივერსალურობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მისი არსებობა დასაშვებია განსხვავებულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ არეალში, თუმცა სავალდებულო არაა.<sup>2</sup>

ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები დ. სმიტი და ე. რიკარდო ფეოდალიზმს სრულიად ხელოვნურ მოვლენად თვლიან და მას ბურჟუაზიული წარმოების წესთან მიმართებით განიხილავდნენ. მათი წარმოსახვით არსებობდა ორი ტიპის ისტორიული კატეგორია: ხელოვნური და ბუნებრივი. ხელოვნური - ფეოდალიზმი, ბუნებრივი - ბურჟუაზიული/კაპიტალისტური.

კ. მარქსი პოლიტეკონომიის კრიტიკისას ზემოთ მოცემულ მოსაზრებასაც განიხილავს. მისი აზრით, ფეოდალიზმი უნდა განვიხილოთ მისი საწარმოო საშუალების ჭრილში, როგორც ანტაგონიზმზე დაფუძნებული ურთიერთობა.<sup>3</sup> ამით კიდევ ერთხელ შემოჰყავს „ფეოდალიზმი“, როგორც ისტორიული კატეგორია. მისი აზრით, აქამდე იყო ისტორია, რადგან იყო ფეოდალური ინსტიტუტები, რომლებიც თვისობრივად განსხვავდებოდა ბურჟუაზიული საწარმოო წესისგან. ამიტომ მისი ხელოვნურ მოვლენად შერაცხვა შეუძლებელია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საბჭოთა მეცნიერების ზ. უდალცოვას და ე. გინტოვას ნაშრომზე დაყრდნობით გამოყოფენ ევროპული ფეოდალიზმის სამ ზონას:

1. ფეოდალიზმის გენეზისის გაწონასწორებული სინთეზი.
2. სინთეზი მონათმფლობელურ საწყისის უპირატესობით.
3. სინთეზი თემურ-გვაროვნული საწყისების უპირატესობით.<sup>4</sup>

<sup>1</sup> К. Маркс, Ф. Энгельс. Феодальный социализм. Манифест Коммунистической Партии Избранные сочинения. т. 3 М. 1985, гв. 160-162.

<sup>2</sup> П. Андерсон. Переходы от античности к Феодализму. М. 2007.

<sup>3</sup> ib. К. Маркс. Метафизика политической экономии. К. Маркс, Ф. Энгельс. Избранные сочинения. т. 3 М 1987, гв. 69.

<sup>4</sup> З. В. Удальцова, Е. Гинтова. к вопросу о типологии феодализма в западной и юго-восточной европе. Юго-восточная европа в эпоху феодализма. 1973.



გულჩინა აკოფაშვილის აზრით, სწორედ ეს ნიშნები ქმნიან ფეოდალურ საქართველოში სენიორიის ისეთ სახეობას, რომელიც ე.წ. კლასიკური ფეოდალიზმისთვის არის დამახასიათებელი და რომლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ევროპაში ფრანკთა სამეფო წარმოადგენდა.<sup>1</sup>

ფეოდალურ საფრანგეთში გლეხები ორ ძირითად კატეგორიად იყოფიან. სერვებად და ვილანებად, ანუ 1. პირად თავისუფალ, მაგრამ ფეოდალისგან მიწით დამოკიდებულ გლეხებად (ვილანი) და 2. პირად დაყმევებულ და მიწით დამოკიდებულ გლეხებად (სერვებად). გ. აკოფაშვილი ფავნელის დაწერილისა და ნიკორწმინდის დაწერილის მიხედვით ასეთივე სურათს ხედავს საქართველოში.<sup>2</sup>

დ. მუსხელიშვილის შრომებში ფეოდალიზმის განვითარებული სტადიისთვის მახასიათებელი ნიშნები შემდეგნაირადაა სტრუქტურირებული: 1. მიწაზე ფეოდალთა მონოპოლიური საკუთრება. 2. ალოდალური მიწათმფლობელობის თითქმის სრული გაქრობა და დამოკიდებული უშუალო მწარმოებლის წარმოქმნა. 3. ბენეფიციუმის ფეოდალად გადაქცევა. 4. მსხვილი მიწათმფლობელობის სენიორალური სისტემა. იმუნიტეტი. 5. ფეოდალური დაქსაქსულობა. 6. ფეოდალთა კლასის იერარქიული სტრუქტურა. 7. სუბინფეოდაცია. 8. ციხე-სიმაგრეთა ხშირი ქსელი. 9. შრომითი ბეგარის შემცირება. ნატურალური რენტის ზრდა. 10. ფეოდალური ქალაქების წარმოქმნა.

თავისთავად ცხადია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები, როგორც ერთიანი პროცესის არაერთგვაროვანი გამოვლინება, ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებენ. მეორე მხრივ, ფეოდალიზაციის პროცესი, როგორც ვიცით, საკმაოდ ხანგრძლივია და, ბუნებრივია, თუ სხვადასხვა ქვეყნებში ყველა ეს ზემოაღნიშნული სოციალური ასპექტები კანონზომიერად არ ვითარდება.<sup>3</sup> დაახლოებით ამგვარი პროცესებით მიმდინარეობს „ფეოდალური რევოლუცია“ ევროპაში და ზემოთ აღნიშნული თეორიული განსაზღვრებაც

<sup>1</sup> გ. აკოფაშვილი. ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და ტიპოლოგიის საკითხები. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. VI. თბ. 1990, გვ. 10.

<sup>2</sup> გ. აკოფაშვილი. ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და ტიპოლოგიის საკითხები, გვ. 6-9.

<sup>3</sup> დ. მუსხელიშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-X საუკუნეებში). „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. 1980, გვ. 146.

იდენტურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, როდესაც ვიყენებთ ტერმინ „რევოლუციას“, არ იგულისხმება სწრაფ/დაჩქარებული, არამედ დროში გაწელილ პროცესი, რომლის დასასრული უფრო თვალში საცემია, ვიდრე მისი მიმდინარეობა.<sup>1</sup>

რას გულისხმობს ფეოდალიზმი-პატრონჟიმო? როგორი ურთიერთობების სტრუქტურას წარმოადგენს იგი?

ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელია:

1. გლეხის მიწაზე მიმაგრება.
2. ფეოდალის მიერ გლეხის მიწიანად, ზოგჯერ უმიწოდ გაყიდვის უფლება.
3. სენიორის მიერ სასამართლო უფლების შეუზღუდავად (სენიორიის იმუნიტეტის ფარგლებში) გამოყენება.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დოკუმენტებში რამდენჯერმე გვხვდება გლეხის მიწიანად და უმიწოდ გაყიდვის ფაქტი (მაგ. ნიკორწმინდელის დაწერილი) უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალურ ეპოქაში გლეხი და მიწა არ იყო სასაქონლო გაცვლის ობიექტი. ის ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ ჯგუფთან, ერთგვარ კოორპორაციასთან, ეს იქნებოდა სენიორის საფარველ ქვეშ, თუ თემის საკუთრება,<sup>3</sup> რადგან ფეოდალის, ისევე როგორც ყველა სუვერენის ძლიერება დამყარებული იყო არა მისი რენტის ოდენობაზე, არამედ მასზე დამოკიდებული ყმების რიცხვზე. სწორედ ადამიანური რესურსი წარმოადგენდა ფეოდალური ეპოქის ძირითად სიმდიდრეს.<sup>4</sup>

ქართულ ფეოდალურ წყობას არ ჰქონდა ისეთი მყარი წინაპირობა, როგორც, მაგალითად, რომაული სამართალია, რაც მისი ჩამოყალიბების თეორიული საფუძველი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, სოციალური ფენების დაყოფის ჰარმონიული სისტემა orator, bellator, laborator (მლოცველი, მეომარი, მშრომელი) შეინიშნება ქართული ფეოდალური წყობის ერთგვარ პანეგირიკში, „ვეფხისტყაოსანში“: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყევ მუშაკობდეს,

<sup>1</sup> Ж. Дюби. «Феодалная революция». Трехчастная модель или представления средневекового общества о самом себе. Перевод с французского Ю. А. Гинзбург. М. 2000, გვ. 138-155.

<sup>2</sup> გ. ჯამბურია. ბატონჟიმო საქართველოში. კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 95.

<sup>3</sup> А. Гуревич. Избранные труды. Т. 2. М-СПб. 1999, გვ. 176.

<sup>4</sup> ვ. მარქსი, კაპიტალი. ტ. I. თბ. 1954, გვ. 901.

მეომარი გულოვნობდეს“.<sup>1</sup> მართალია, რუსთაველის ამ ციტატაში მესამე წევრი – მლოცველი არ ჩანს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ინტერპრეტაციას მივმართოთ და ქართული ნარატიული წყაროების კონკრეტული ეპიზოდებს მოვუხმოთ. რაც შეეხება მესამე წევრს – მლოცველს, ჩემი აზრით, გამოგვადგება პასაჟები გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან, სადაც მეფისა და სასულიერო პირის დიალოგი იმართება. მეფის წვეული სასულიერო იერარქი არ ემორჩილება მის მოწოდებას, სანამ მას გრიგოლ ხანძთელი არ სთხოვს მეფის წინაშე წარდგომას. ასევე, საინტერესოა იოანე-თორნიკეს ცხოვრების ერთი ეპიზოდი, როდესაც აშოტ კურაპალატის თხოვნით ის ბარდა სკლი-აროსის წინააღმდეგ ბრძოლაში იღებს მონაწილეობას. აღნიშნულ ნარატივში მკაცრადაა გამიჯნული საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომელიც თითქოს არ უნდა ერეოდეს ერთმანეთის საქმეებში და საზოგადოებაში კუთვნილი ადგილი უჭირავთ.<sup>2</sup> Oratore, bellatores, laboratores IX საუკუნეში ინგლისის „მეფის“ ალფრედის მიერ იქნა შემოღებული ერთ-ერთი ტრაქტატის თარგმნისას, თუმცა მან განვითარება XI საუკუნის საფრანგეთში ჰპოვა. ეპისკოპოს ადალბერონს ჰარმონიული საზოგადოება შემდეგნაირად წარუდგინა: „სამება ღვთის სახლია... ამიტომაც ერთნი ლოცულობენ, მეორენი იბრძვიან (ომობენ), მესამენი კი შრომობენ...“.<sup>3</sup>

თუ ჩემ დაკვირვებას გავიზიარებთ, მაშინ მთლიანობაში მივიღებთ საზოგადოების იმ სამ წევრს, რომელიც თითქოს ევროპისთვის არის დამახასიათებელი. ეს სამი წევრი კი თვისობრივად სისტემის საყრდენია და წმინდა ევროპულ კონცეპტს, უფრო სწორად, შესწორებას თუ შევიტანთ, უნივერსალურ ფეოდალურ საზოგადოებას წარმოადგენს.

ფეოდალიზმის არსი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით სოციალური განვითარებით აიხსნება, არამედ გარეშე სამხედრო-პოლიტიკური გარემოებებითაც, რაც განვითარების შემდეგ ეტაპზე ხშირად ხელს უწყობდა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ერთიანი მონარქიის და მკაცრად ლეგიტიმიზებული ადგილობრივი მმართველობის

<sup>1</sup> ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1979, გვ. 19.

<sup>2</sup> ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანი. ტ. II. თბ. 2007; ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანი. ტ. III. თბ. 2008.

<sup>3</sup> J. P. Migine. Patrologia Latina. გვ. 781-782.

აპარატის ჩამოყალიბებას.<sup>1</sup> ეს შეიძლება იყოს ახალი მიწების შემოერთება-ათვისება, ქვეყნის შიგნით არსებულის გადანაწილება ან ახალი „ქვეყნების“ წარმოქმნა.<sup>2</sup> ფეოდალიზმი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც მხოლოდ სენიორულ სისტემაზე დამყარებული მოვლენა, რადგან, მარკ ბლოკის თქმით, სენიორია ფეოდალიზმზე უფრო ადრინდელი მოვლენაა და მისგან წარმოქმნილ სუბიექტს არ წარმოადგენს. ფეოდალიზმი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიანი სისტემა ყველასთვის, დაწყებული მეფიდან, დამთავრებული მიწაზე მიმაგრებული გლეხით.<sup>3</sup>

როდესაც ვსაუბრობთ ფეოდალურ საზოგადოებაზე, ბოლომდე უნდა გავიაზროთ, რომ ის წარმოადგენს წყობას, რომელიც უფლებაზე და ყმობაზეა აგებული. ყველა ვიღაცაზეა დამოკიდებული. ამის კარგად გასააზრებლად უნდა ჩავუღრმავდეთ ისეთ კატეგორიას, როგორცაა თავისუფლება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური ეპოქის თავისუფლება განსხვავდება ანტიკური პერიოდის, ან თუნდაც თავისუფლების დღევანდელი განსაზღვრებისგან.<sup>4</sup>

ყოველივე ზემოთ განხილულზე დაყრდნობით ფეოდალიზმი მიმაჩნია ისეთ უნივერსალურ მოვლენად, რომლის განვითარების ეტაპები შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებულ ეკონომიკურ რეგიონებში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ისე, რომ მათი დროში თანხვედრა და კონტაქტი სულაც არ არის სავალდებულო.

---

<sup>1</sup> М. А. Барг. Проблемы социальной истории в освещении современной медиевистике. М. 1973, гв. 40, 44.

<sup>2</sup> А. Я. Гуревич. проблемы генезиса феодализма в Западной Европе. М. 1970, гв. 151; 161; ლ. ტუხაშვილი. „ყოველი საქართველოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი და პერიოდიზაციის პრობლემა. კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 111.

<sup>3</sup> М. А. Барг. Проблемы социальной истории в освещении современной медиевистике, гв. 45-46.

<sup>4</sup> А. Гуревич. Избранные труды. Т. 2. М-СПб. 1999, гв. 175.

## თავი II

### სენიორალური სისტემა და ვასალიტეტი ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში

არჩილის ე.წ. „რეფორმა“ კახეთში ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესში.<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ ამ რეფორმის შედეგად VIII საუკუნის შუა ხანებში საბოლოოდ დამყარდა „სენიორალური რეჟიმი“.<sup>2</sup> გ. ჯამბურიას აზრით, სამთავრო-სენიორალური სისტემა დასრულებულ სახეს ტაო-კლარჯეტში IX საუკუნეში იღებს.<sup>3</sup> ამ რეგიონში ფეოდალიზმისთვის, კონკრეტულად კი სენიორალური სისტემისთვის, დამახასიათებელია მთელი რიგი ნიშნები: თუ კახეთში ორ-სამ საფეხურიან ვასალიტეტთან გვაქვს საქმე, ტაო-კლარჯეთში, კურაპალატის, „მამფლების“ და ე.წ. „დიდი მთავრების“ მაგალითზე სამ-ოთხ საფეხურიანი ვასალიტეტის ფორმაა.<sup>4</sup>

მიუხედავად ზემოთქმულისა, ისმის კითხვა, კონკრეტულ რეგიონში გამოვლენილი ფეოდალიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები შეგვიძლია თუ არა განვაზოგადოთ მთელ საქართველოს ტერიტორიაზე? თუ ზოგადი აღმნიშვნელებით ვიხელმძღვანელებთ, ჩემი აზრით, ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოს გაერთიანებამდელი პერიოდისთვის ყველა ქართულ სამეფო-სამთავროში დასრულებული უნდა იყოს, ხოლო ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის ხანაში, ვიდრე XIII საუკუნემდე, ჩვენ შეგვიძლია, პირობითად განვითარებული ფეოდალიზმის მეორე პერიოდი გამოვყოთ.

ამ შემთხვევაში რამდენიმე კონკრეტულ წყაროზე გავამახვილებთ ყურადღებას.

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. თბ. 1974, გვ. 180.

<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-IX). „მაცნე“, ისტორიის . . . სერია №2. თბ. 1980, გვ. 155.

<sup>3</sup> გ. ჯამბურია. სამთავრო სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007, გვ. 23.

<sup>4</sup> ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV-X საუკუნეებში. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. წ. I. თბ. 1973, გვ. 190.

<sup>5</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალური ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ. 1973, გვ. 27.

ერთი, რომელიც ე.წ დაქუცმაცებულობის პერიოდს<sup>1</sup> მიესადაგება, მეორე კი ერთიანი სამეფოს არსებობის ხანას.

IX საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდად (უფრო სწორად მის ბოლო ფაზად) მოვნიშნეთ, „მატიანე ქართლისაში“ შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: **„შეიპყრა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“**<sup>2</sup> ამ წყაროს მიხედვით, გამოიყოფა ორი ძირითადი ნიშანი, რომელიც დასავლეთ ევროპის ფეოდალური საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი.

1. ეს არის **კომანდაციის** („იპატრონა დავით ბაგრატის ძე“) საკითხი,<sup>3</sup> რომელიც კლასიკური მაგალითია ახლადწარმოქმნილი ვასალური ურთიერთობის, რომლის საფუძველი არის შეთანხმება, სოციალური კონტრაქტი.<sup>4</sup>

2. **„ალაგო ციხე კლდეკართა“** – მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ბაღვაშები კლდეკარში მემამულე სენიორები,<sup>5</sup> ციხის აგება კონკრეტულ რეგიონზე ბატონობის ნიშნად აღიქმება,<sup>6</sup> რომელიც, ასევე, ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ფეოდალიზმის ჩამოყალიბებისა და მას ევროპულ მედიევსტიკაში **Incastelamento**, ანუ გაცხიხვნების პერიოდი ეწოდება.<sup>7</sup>

---

<sup>1</sup> ლ. ტუხაშვილი. „ყოველი საქართველოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი და პერიოდიზაციის პრობლემა, გვ. 105-119.

<sup>2</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 258.

<sup>3</sup> М. Блок. Феодалное общество (La Societe Feodale). Перевод с французского М. Ю. Кожевниковой, Е. М. Лысенко. (Том I. часть I. Книга вторая). М. 2003, гв. 144.

<sup>4</sup> გ. ჯამბურია. სამთავრო სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, გვ. 25.

<sup>5</sup> მ. ბახტაძე. ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ. „საისტორიო კრებული“ (წელიწდეული). ტ. II. თბ. 2012, გვ. 13-25.

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII. თბ. 1975, გვ. 155.

<sup>7</sup> Ю. Л. Бессмертный. «Феодалная революция» X-XI веков, гв. 59-60; Ж. Дюби. Средние века (история Франции) от Гуго Капета до Жанны д'Арк 987-1460, гв. 78-89.

## § 1. ვასალიტეტის საკითხი მიკრო ისტორიის მაგალითზე

### „აფხაზთა სამეფოში“

ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში ვასალიტეტის/პატრონყმული ურთიერთობების მრავალი მაგალითი მოგვეპოვება,<sup>1</sup> თუმცა მწირია ინფორმაცია „აფხაზთა“ სამეფოს სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურაზე, შესაბამისად, მეტწილად გვიანდელ წყაროებზე დაყრდნობა და დედუქციური მეთოდის გამოყენება გვიწევს. სენიორალ-ვასალური ურთიერთობების მხრივ საინტერესოა ბაღვაშების დამკვიდრება თრიალეთში, სადაც კომანდაციის გზით ლიპარიტი ახალ პატრონს ეყმობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ლიპარიტ ბაღვაში თრიალეთში „აფხაზთა“ მეფის გაძლიერებულ ხელისუფლებას გაექცა. მიუხედავად ამისა, მოგვიანო პერიოდში ნათლად ჩანს, რომ ბაღვაშები ინარჩუნებენ მამულს არგვეთში. ამ კონიუნქტურით ბაღვაშები ორ დამოუკიდებელ სამეფოში სხვადასხვა პატრონის ყმები არიან. თუ „აფხაზთა“ მეფის ხელისუფლება იმდენად ძლიერია, რომ ლიპარიტი გარბის, მაშინ როგორ ინარჩუნებს მამულებს? კონკრეტულ შემთხვევაში რა ტიპის ვასალური ურთიერთობა გვაქვს სახეზე?

ბაგრატ III 978 წელს აფხაზეთში აკურთხეს მეფედ. 988 წელს ის უპირისპირდება თავის მამობილს – დავით კურაპალატს, თუმცა, როგორც ჩანს, საქმე ბრძოლამდე არ მივიდა და დავითი და ბაგრატი მორიგდნენ. ბაგრატმა ლაშქრის შეკრება და აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლა რატი ბაღვაშის საწინააღმდეგო კამპანიად წარმოაჩინა: *„მას ჟამსა მოსრულ იყო ბაგრატ თრიალეთს; დადგა კარუმეთს. გაგზავნა მოციქული, / განახნა ლაშქარნი და იხილა, რომელ ძალითა არა ეგებოდა წინააღდგომად დავით კურაპალატისად. მაშინ დაუტევნა სპანი თჳსნი ადგილსა ზედა და თვთ მარტო მივიდა წინაშე მისსა; ითხოვა შენდობად და აუწყა, ვითარმედ: „სხჳსა არა რომლისათჳს / მოვედ, გარნა არა მორჩილებისათჳს რატისა“. ხოლო მან გაგზავნა და უბრძანა ესრეთ: „მითხრეს რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ*

<sup>1</sup> იხ. მ. დუმბაძე. ვასალიტეტი საქართველოში XI-XII საუკუნეებში ( შედარებითი შესწავლა). სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1982. გვ. 3-156.

*ვსცან / დასტური, რომელ უბრალო ხარ. არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა, დაიმორჩილე, ვითაცა სახედ გწადიან“.<sup>1</sup>*

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ქართლისთვის ბრძოლაში ლიპარიტი აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ გამოდის, რადგან მასაც აქვს გარკვეული პრეტენზია ამ ტერიტორიებზე და მათ მიმართ არავითარი ვასალური დამოკიდებულება არ გააჩნდა. მისი აზრით, ბაღვაშები „აფხაზთა“ მეფის ვასალები მხოლოდ მას შემდეგ ხდებიან, რაც ტახტზე ბაგრატ III ადის. დავითის მიერ ნათქვამი – „მითავისუფლებიხარ რატის ზედა, დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“ – უნდა გავიგოთ ისე, რომ ბაგრატს, კლდეკარის ერისთავებზე გარკვეული უფლება გააჩნია, თუმცა მას არ აკმაყოფილებს ამგავრი დამოკიდებულება და მეტს მოითხოვს.<sup>2</sup>

ჯ. სამუშია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ სამფლობელოებზე ბაგრატს უფლება გააჩნდა, როგორც ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელს და ბოდიშის მოხდა დავით კურაპალატის წინაშე მხოლოდ იმით იყო განპირობებული, რომ ბაგრატმა დავითს არ შეატყობინა ამ ლაშქრობის შესახებ.<sup>3</sup> ბაგრატ III უკან გაბრუნდა აფხაზეთში და მოულოდნელად ზამთარში დაესხა თავს რატის: „*ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა, მოვიდა ძალითა თვისითა ყოვლითა და მოადგა კლდეკართა. იხილა რად ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევედრა ბაგრატ, აფხაზთა მეფესა / და მისცა ციხე თვისი ბაგრატს და თვთ დაჯდა მამულსა თვისსა არგუეთს“.<sup>4</sup>* გამოდის, რომ რატი ბაღვაში ბაგრატ III-ს ემორჩილება, როგორც საკუთრივ „აფხაზთა“ მეფეს სამამულო პრინციპით და ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელს თრიალეთის ფლობის საფუძველზე. სახეზეა ერთი და იმავე სუბიექტის ორმაგი ყმობა.

ბაღვაშების მამული დანამდვილებით რომ კაცხია, ჩანს მოგვიანო პერიოდის ამბებთან დაკავშირებით: „*და შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოიმტკიცეს მეფე და დიდებულნი ამის სამეფოსანი ციხოვანთა ლიპარიტისთა მშჯდობით გაშუებისათვის ლიპარიტისა / და ივანესა. მოსცნეს კლდეკარნი. გამოილო თავისი ხუასტაგი და*

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 270.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VII. თბ. 1974, გვ. 12-16.

<sup>3</sup> ჯ. სამუშია. ბაგრატ III. თბ. 2012, გვ. 78.

<sup>4</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 270-271.



ჩაიცუნა ჩოჯანი ლიპარიტ და შეჰვედრა ძე თჳსი ივანე მეფესა. **დარჩა არგუეთის მამული ივანეს**“.<sup>1</sup> ასევე, როდესაც ბაგრატ IV-მ იოანე ბაღვაშს „**უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა და ჰმონებდა ერთგულებით**“.<sup>2</sup> სავარაუდოდ, ბაგრატ IV-მ იოანეს განუახლა კაცხის მამულის მფლობელობა, რადგან, როგორც წყაროდან ჩანს, მამული არგვეთი კი არ არის, არამედ სამფლობელო, რომელიც არგვეთშია. ბაღვაშთა მიერ კაცხის მამულის ფლობის ინფორმაცია დაცულია კაცხის სახარების მინაწერშიც, სადაც ვკითხულობთ: „**ესე ანდერძი მე ივანე პროედროსმან... დავწერე მას ჟამსა ოდეს... აფხაზთა მეგემან ... კონსტანტინოპოლით მომიყვანა და მოვედი კაცხს, მამულსა ჩუენსა**“.<sup>3</sup> კაცხს ბაღვაშები მამულობით და მკვიდრად ფლობდნენ, ამიტომ, მიუხედავად მათი პარტიკულარისტული დამოკიდებულებისა, მათთვის სენიორიის ჩამორთმევის უფლება არავის ჰქონდა. ფედალური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ფეოდალის მიერ საკუთარი სენიორიის შეუვალობით, ანუ იმუნიტეტით ფლობა. სწორედ ამიტომ, დავით აღმაშენებელმაც ვერ ჩამოართვა ბაღვაშებს მამულები, სანამ მათი გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი არ გარდაიცვლა: „**მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდვლვე ნაშობი იქედნეთაჲ; და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვაშთაჲ, სახლი განმამწარებელთაჲ, რამეთუ სუა / უკუანადსკნელი თხლე რისხვისაჲ, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათაჲ და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვდრი, რამეთუ აღიქსენა უსჯულოებაჲ მამათა / მათთაჲ წინაშე უფლისა, და მამული მათი აღილო მეფემან**“.<sup>4</sup>

როდიდან ფლობენ ბაღვაშები მამულებს კაცხში? ამ ფაქტის დადგენა მნიშვნელოვანია ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. კონკრეტული ფაქტის გასაღები, ჩემი აზრით, ცოტა უფრე ადრე უნდა ვეძიოთ, ვიდრე ლიპარიტის გადასვლაა თრიალეთში. ის „აფხაზთა“ მეფე გიორგის (861-868 წწ.) მიერ ჩიხაში ერისთავად საკუთარი ძმიშვილის დასმას უნდა უკავშირდებოდეს. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით: „**გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმაჲ თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას, ძე**

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 288.

<sup>2</sup> „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 288.

<sup>3</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფ. 1892, გვ. 203.

<sup>4</sup> ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 309.

*დემეტრესი. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნო/შეხვის ექსორიაქმნილობით*.<sup>1</sup> აქ ნახსენები გიორგი „აფხაზთა“ მეფის მმართველობის წლები 861-868 წლებით განისაზღვრება, სწორედ ამ შუალედში უნდა დაესვა მას ჩიხას საკუთარი ძმისშვილი – ბაგრატი ერისთავად. ქართულ ისტორიოგრაფიაში დემეტრესთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზ. ანჩაბაძის დაკვირვებით, ბაგრატი ქართლის ერისთავია და ქართლს ჩიხადან უნდა განაგებდეს.<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილის აზრით, გიორგიმ ქართლი ბოლომდე ვერ დაიპყრო და, ამიტომაც ერისთავი ჩიხაში დასვა.<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ჩიხას ერისთავი, იგივე არგვეთის ერისთავი უნდა იყოს,<sup>4</sup> ამ მოსაზრებას ემხრობა მიხეილ ბახტაძეც. ის აღნიშნავს, რომ IX საუკუნის 60-იან წლებში ქართლის საერისთავო ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, სამაგიეროდ სახეზე გვაქვს არგვეთის საერისთავო.<sup>5</sup> ზ. პაპასქირიც ეხება ამ საკითხს, თუმცა ის ჩიხაში მჯდომი ერისთავის ვინაობასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებას გვთავაზობს. ის ვახუშტი ბატონიშვილზე დაყრდნობით ჩიხას ერისთავად არა ბაგრატ დემეტრეს ძეს, არამედ ტინენ დემეტრეს ძეს ასახელებს.<sup>6</sup> ლ. ახალაძის აზრითაც, ბაგრატი ქართლის ერისთავია, რადგან „აფხაზთა“ სამეფოში ტრადიციად დამკვიდრდა, რომ მემკვიდრე უფლისწული ჯერ ქართლის ერისთავი უნდა გამხდარიყო.<sup>7</sup> ნაწილობრივ ვიზიარებთ ლ. ახალაძის დაკვირვებას, რომ მემკვიდრე-უფლისწულები ჯერ ქართლს ფლობდნენ, ხოლო ამის შემდეგ იკავებდნენ სამეფო ტახტს. გარკვეულწილად ვეთანხმები ლ. ახალაძის მოსაზრებას, თუმცა ეს

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 258.

<sup>2</sup> З. Анчабадзе. История и Культура древней Абхазии. М. 1964, გვ. 123

<sup>3</sup> დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე. საქართველოს ისტორიული გეორაფიის კრებული. I. თბ. 1960, გვ. 184.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ.. I. თბ. 1964, გვ. 21.

<sup>5</sup> მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 127.

<sup>6</sup> ზ. პაპასქირი. საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე. რეცენზია შალვა გლოველის საკანდიდატო დისერტაციაზე: „აფხაზთა სამეფო“. საისტორიო ძიებანი. VII. წელიწადეული. თბ. 2004; მისივე, ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში ერთი კონიუნქტურის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“. ტ. XI. თბ. 2006, გვ. 64-68; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 131. 797.

<sup>7</sup> ლ. ახალაძე. აფხაზთი „აფხაზთა სამეფოს“ შემადგებლობაში. VIII ს. მეორე ნახევარი - Xს. „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“. აფხაზეთი. თბ. 2008, გვ. 100.

ყველაფერი ბაგრატ დემეტრეს ძესთან დაკავშირებით ასე წარმომიდგენია: ჩიხას ერისთავი იგივე არგვეთის ერისთავია, სწორედ ამ პერიოდიდან უნდა იღებდეს სათავეს „აფხაზთა“ მეფეების ტენდენცია – ქართლი საკუთარ შვილებს, უფლისწულებს გადასცენ სამართავად, რაც სამეფო ხელისუფლების ერთგვარ პოლიტიკას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუპყრობელი ქართლის საზღვართან გიორგი „აფხაზთა“ მეფე საკუთარ ძმისშვილს, ტახტის მემკვიდრეს ტოვებს ერისთავად. ჩიხა ფორპოსტი უნდა ყოფილიყო ქართლის შემდგომი დაპყრობისთვის და ამაგვარი პოლიტიკის გასატარებლად აქცენტი სწორედ უფლისწულზე გაკეთდა, რადგან ის ძალღონეს არ დაიშურებდა სამემკვიდრეო სამეფოს საზღვრების გაფართოებისთვის.

შემდეგ ისტორია დემეტრესთვის საბედისწეროდ განვითარდა. 868 წელს გარდაიცვალა გიორგი „აფხაზთა“ მეფე, როგორც მატთანე მოგვითხრობს: მისი ქვრივი *„ერუა იგი ივანე მთავარსა, შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ. და მოჰყარა მეფემან იოვანე ძესა თვსსა ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ აშოტის ძისაჲ. და მოკუდა იოვანე, მეფე აფხაზთაჲ, და მეფობდა მის წილ ძე მისი ადარნასე. და შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“*<sup>1</sup>

ჩვენთვის საინტერესო ფაქტების დასადგენად და დასაზუსტებლად ზემოთ მოცემული ციტატა რამდენიმე ნაწილად უნდა დავყოთ: 1. როდესაც შავლიანებმა ტახტის უზურპაციას მოახდინეს. 2. ადარნასე შავლიანის მიერ გუარამ მამფალის ასულის შერთვა ცოლად და 3. ლიპარიტის გადასვლა თრიალეთში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგადად მიღებულია, რომ შავლიანთა დინასტიის უზურპატორული მმართველობა 868-881 წლებზე მოდის.<sup>2</sup> შალვა გლოველი „აფხაზთა“ მეფეების ქრონოლოგიის განსაზღვრისას შავლიანთა მმართველობის პერიოდად 868-885/886 წლებს გვთავაზობს: იოანე შავლიანი 868-885 წწ. და მისი ვაჟი ადარნესე 885/886 წწ. უკანასკნელი დათარიღება მეტ-ნაკლებად

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 258.

<sup>2</sup> ლ. ახალაძე. აფხაზთი „აფხაზთა სამეფოს“ შემადგებლობაში, გვ. 100.

სწორად მიმაჩნია, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებ. ლიპარიტის თრიალეთში გადასვლას ზოგადად ქართულ ისტორიოგრაფია 888-881 წლით ათარილებს. ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ეს ფაქტი 876-881 წლებს შორის უნდა მომხდარიყო.<sup>1</sup>

თუ შემოთავაზებულ დათარილებას მივიღებთ, გამოდის რომ ბაგრატ კონსტანტინოპოლში დევნილობაში იყო 868-886 წლებში. ადარნასეს გუარამ მამფალის ასული უნდა შეერთო ლიპარიტის თრიალეთში გადასვლამდე, სადაც მან ბაგრატ დავითის ძე იპატრონა. ეს უნდა მომხდარიყო 881 წლამდე, რადგან, როგორც ვიცით, ნასრ გუარამის ძემ დავითი სწორედ 881 წელს მოკლა. ჩემი აზრით, ლიპარიტი სწორედ შავლიანების მმართველობის პერიოდში უნდა წასულიყო თრიალეთში, სავარაუდოდ, ეს დაახლოებით 876-881 წლებს შორის მოხდა.

რა გვადლევს საფუძველს შავლიანების მმართველობის პერიოდად 868-886 წლები მივიჩნიოთ. რატომ უნდა გაქცეოდა ლიპარიტი შავლიანთა ხელისუფლებას?

ჩემი აზრით, როდესაც ბაგრატ დემეტრეს ძე ერისთავად იჯდა ჩიხას, სწორედ ამ დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო მისი და ლიპარიტის პატრონ-ყმული ურთიერთობა. მართალია, ბაგრატი უფლისწული და მომავალი მეფეა, მაგრამ აქ ჩვენ სამამულო პრინციპზე დამყარებული ვასალური ურთიერთობების კვალს ვხედავთ. ჩიხა თანამედროვე საჩხერის რაიონში შემავალი სოფელია. იქვე მახლობლადაა ბაღვაშების სამამულო ცენტრი კაცხი, რომელიც ჩიხის ერისთავის საგამგებლო არეალში ნამდვილად ჯდება. სწორედ ამიტომაც ბაგრატის განდევნას ვუკავშირებთ ლიპარიტის გადასვლას თრიალეთში, სადაც მან: *„შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ადაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“*.<sup>2</sup> აღსანიშნავია ერთი ფაქტი, ლიპარიტი იპყრობს ისეთ ტერიტორიას, რომელიც არ ეკუთვნის დავით ბაგრატის ძეს, უფრო მეტიც, ეს ტერიტორია გუარამ მამფალის სამფლობელოებში შედის.<sup>3</sup> ერთი მხრივ, სახეზეა ფეოდალური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ორი ძირითადი აღმნიშვნელი, კომანდაციისა და ციხის აგების ფაქტი, მეორე მხრივ, კი გარკვეულ მუტაციურ სოციალურ და პოლიტიკურ აქტთან გვაქვს საქმე. ნიკო ბერძენიშვილი პარალელს ავლებს ლიპარიტის ყმობასა და ლეონ

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. IX. თბ. 1979, გვ. 60.

<sup>2</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 258

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1965, გვ. 101.

აფხაზთა ერისთავის მიერ არჩილისადმი ყმობის გამოცხადების ფაქტებს შორის. მისი თქმით, ორივე შემთხვევაში ინიციატორები არიან ყმობის მოსურნეები.<sup>1</sup>

რამ უბიძგა ლიპარიტს თრიალეთში გადასულიყო და ისეთ ტერიტორიაზე აეგო ციხე, რომელიც მას არ ეკუთვნოდა და ყმობა შეეთავაზებინა დავით ბაგრატის ძისთვის. გასაღები ისევ ჩიხას ერისთავ ბაგრატისა და ლიპარიტის პატრონყმულ ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ. ვფიქრობ, ლიპარიტი შავლიანების უზურპატორულ ხელისუფლებას გაურბის, იპყრობს ტერიტორიას, რომელიც ადარნასე შავლიანის სიმამრს ეკუთვნის. პატრონად კი არა გუარამს, არამედ მის ბიძაშვილს დავითს გაიხდის. ეს ერთგვარი დემარშია ლიპარიტისა და დავით ბაგრატის ძის მხრიდან როგორც „აფხაზთა“ მეფის, ისე გუარამ მამფალის მიმართ.

აფხაზეთში დაბრუნებული ბაგრატი ცოლად ირთავს ადარნასე შავლიანის ცოლს, გუარამის ასულს. შეიძლება გაჩნდეს შეკითხვა, სწორედ ამ პერიოდში რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ ლიპარიტის გადასვლა თრიალეთში, მით უმეტეს ბაგრატის ტახტზე ასვლა ქართულ ისტორიოგრაფიაში 881 წლით თარიღდება, როდესაც დავითი ჯერ კიდევ ცოცხალია?

მივყვეთ „მატიანე ქართლისას“ და სუმბატის თხზულების შესაბამის მონაკვეთებს. ლიპარიტის თრიალეთში გადასვლის შემდეგ „მატიანეში“ თხრობა შემდეგნაირად გრძელდება: *„ხოლო ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა. და იბრძოდეს სომეხნი / და აფხაზნი ქართლსა ზედა. მას ჟამსა მონაზონ იქმნა გუარამ. და ვითარ მოკულა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა არეგმანელი, / კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი.*

*მას ჟამსა, ვითარცა მოიტყუა ნასრა, ძემან გუარამისმან, დავით, ძე ბაგრატისი, მამის ძმისწული მისი, და მოკლა იგი. / ხოლო ნასრას შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი და აშოტ, ძმაჲ დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი. და შეებნეს ნასრას და გააქციეს და მიუხუნეს ციხენი. და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა“<sup>2</sup>*

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VII, გვ. 12.

<sup>2</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 258.

როგორც ციტატიდან ჩანს, ქართლისთვის ბრძოლაში „აფხაზთა“ მეფეების მომხრეები არიან ნასრი და გურგენი, მათ წინააღმდეგ გამოდიან დავით ბაგრატიის ძე და ყმობაში ახლად მიღებული ლიპარიტი. ამ ამბების შემდეგ გარდაიცვალა გაბრიელ დონაური, რომელიც, როგორც ცნობილია 861-881 წლებში იჯდა ქორეპისკოპოსად. თხრობა ქრონოლოგიურად მიმდინარეობს, რადგან შემდეგ პასაჟში საუბარია ნასრის მიერ დავით ბაგრატიის ძის მკვლელობაზე. სუმბატ დავითის ძესთან ვკითხულობთ: „*ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ კურაპალატისაჲ, გარდაიცვალა ქრონიკონსა ჟ~ვ, / და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს; და მოკლა იგი კელითა მამის ძმისწულისა თვისისა, ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ~ა, სუფევასა შინა გუარამისსა. ხოლო გუარამ მამფალი, მამის ძმაჲ მისი, მამაჲ ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისაჲთა. და დაუტევა აჲმან დავით მოკლულმან ძე / მცირე ადარნასე, მოუწიფებელი ჰასაკითა, ხოლო ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კოსტანტინეპოლეს და იყო მუნ მრავალ წელ*“.<sup>1</sup>

„მატიანეში“ აღნიშნულია: „*მას ჟამსა, ვითარცა მოიტყუა ნასრა, ძემან გუარამისმან, დავით, ძე ბაგრატისი, მამის ძმისწული მისი, და მოკლა იგი. / ხოლო ნასრას შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი და აშოტ, ძმაჲ დავითისი, და მათ თანა სარ/კინოზნი. და შეებნეს ნასრას და გააქციეს და მიუხუნეს ციხენი. და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა*“.

როგორც ვხედავთ 881 წელს ნასრმა მოკლა დავით ბაგრატიონი, ამის მერე გარბის კონსტანტინეპოლში და იქ იმყოფება „მრავალ წელ“.

განდევნილი ბაგრატ დემეტრეს ძე „აფხაზთა“ მეფის ტახტს ბიზანტიის იმპერატორის ხელშეწყობით იბრუნებს: „*ხოლო ბაგრატ, ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი, შესრულ იყო საბერძნეთად, კოსტანტინეპოლედ, და მოსცა ბერძენთა მეფემან ლაშქარი და მოგზავნა ზღვთ და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი. და შიერთო ცოლი მისი ცოლად, ასული გუარამისი; და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნასრა, ცოლის ძმაჲ მისი, საბერძნეთით და მისცა ლაშქარი მისი. ხოლო ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს:*

<sup>1</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. როინ მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 366.

*ოდრკე, ჯუარისციხე და ლომსიანთა, გუარამისივე აღშენებული“<sup>1</sup>*

აფხაზეთიდან განდევნილი ბაგრატი 888/886 წლებში ბრუნდება და ტახტს იკავებს. კლავს ადარნასეს და მის ცოლს ცოლად შეირთავს. ამ ამბებიდან ახლო ხანებში ბიზანტიაში გადახვეწილ თავის ცოლის ძმას – ნასრსაც აბრუნებს და დაკარგული სამფლობელოების დაბრუნებაში ეხმარება. აფხაზეთში დაბრუნებულ ბაგრატს მალევე უნდა გამოეწვია თავისი ცოლის ძმა ნასრი და მისი დახმარებით კვლავ განეახლებინა ბრძოლა ქართლისათვის. აღნიშნული ფაქტი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ბაგრატის „აფხაზთა“ სამეფოს ტახტზე ასვლის თარიღი. სუმბატ დავითის ძესთან ვკითხულობთ: *„გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ კურაპალატისაჲ, ქრონიკონსა რე. და ამისსა შემდგომად გამოვიდა ნასრ სამეფოდთ და მოვიდა აფხაზეთს. და / იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ, დისიძე ნასრისა, და შესწია მან, დიდითა ლაშქრითა, მეფემან აფხაზთამან, და მუნით გარდამოვიდა ნასრ სამცხეს და შეკრიბა სხუადცა ლაშქარი ურიცხვ“<sup>2</sup>*

აშოტი 885 წელს გარდაიცვალა. როგორც თხზულებიდან ირკვევა. ნასრი აშოტის გარდაცვალებიდან ახლო ხანებში უნდა ჩასულიყო აფხაზეთში. თუ გავითვალისწინებთ, რომ „მატიანეს“ მიხედვით ბაგრატმა ნასრი აფხაზეთში მალევე ჩამოიყვანა, უნდა ვივარაუდოთ, რომ შალვა გლოველის მიერ მოცემული ბაგრატის ტახტზე ასვლის თარიღი 885/886 წწ. მეტად სარწმუნოა, რადგან ნასრის ჩამოსვლა აფხაზეთში უნდა მომხდარიყო 886-888 წლებს შორის. სუმბატ დავითის ძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ნასრი საბერძნეთში იმყოფებოდა „მრავალ წელ“. „მატიანეს“ ავტორის და სუმბატ დავითის ძის თხზულებები თითქმის თანადროულადაა დაწერილი, ამიტომ მათი სამწერლობლო ენა თითქმის იდენტურია. ამ ტექსტებზე და ავტორთა „ენაზე“ დაკვირვებისას თვალშისაცემია ჩვენთვის მეტად საინტერესო ფაქტი, ავტორები დროის, ანუ გარკვეული პერიოდის აღსანიშნად სხვადასხვა აღმიშვნელს იყენებენ, მაგალითად: „წელსა მესამესა“, „წელსა მეორესა“. „წელსა მეშვიდესა“, „წელი რაოდენნიმე“, „ჟამი რაოდენნიმე“. ავტორები, როდესაც აკონკრეტებენ დროის მცირე მონაკვეთს, ყოველთვის იყენებენ რიცხვებს.

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 259.

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ, გვ. 366.

„მატიანეში“ „რაოდენნიმე“ ზოგჯერ ხანგრძლივი პერიოდის აღსანიშნად იხმარება (რამდენიმე ადგილას ის რვა წლიან პერიოდსაც გულისხმობს), ასევეა სუმბატ დავითის მის „მრავალ წელ“, რადგან ავტორი ხანგრძლივობის პერიოდს კონკრეტული რიცხვებით განსაზღვრავს, მის მიერ მოცემული „მრავალ წელ“ უნდა აღემატებოდეს დროის იმ მცირე მონაკვეთებს, რასაც ხშირად აზუსტებს თავის თხზულებაში. აქედან ვასკვნით, რომ ნასრის „მრავალ წელ“ ყოფნა კონსტანტინოპოლში ცოტა დიდი ხნით უნდა განისაზღვროს ვიდრე ეს ორი, სამი ან ოთხი წელია.

ნასრის სამხედრო ოპერაციას უპასუხოდ არ ჩაუვლია *„მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი, უმუქელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი / ოვსი, და ერისთავი აფხაზთაჲ“*<sup>1</sup>

კონკრეტული პასაჟი იმითაა საინტერესო, რომ აქ კვლავ გრძელდება მტრობა ნასრსა და მის მიერ მოკლულ დავითის შთამომავლებს შორის, მაგრამ ამ კონკრეტულ ბრძოლაში არსად ჩანს ლიპარიტ ბაღვაში ან მისი შთამომავალი. შესაძლებელია მემატანეს უბრალოდ არ დასჭირდა ლიპარიტის ხსენება და ის თავისთავად დავითის შთამომავლების მხარეს მეზრძოლად იგულისხმებოდა. თუმცა, მიმაჩნია, რომ ამ ბრძოლაში ლიპარიტი საერთოდ არ უნდა იღებდეს მონაწილეობას, რადგან „აფხაზთა“ სამეფოს ტახტზე შავლიანები აღარ არიან, რომელთაც, ჩემი აზრით, უნდა გამოქცეოდა ბაღვაში. ტახტი კვლავ კანონიერი მემკვიდრის ხელშია, ლიპარიტი კი ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს ბაგრატის წინააღმდეგი.

განხილული ფაქტები საბოლოოდ შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ჩიხაში მჯდომ ბაგრატ დემეტრეს ძესა (ან ტინენს) და ლიპარიტს შორის 860-868 წლებს შორის უნდა ჩამოყალიბებულიყო პატრონყმული ურთიერთობა, ბაგრატის განდევნის და შავლიანთა აღზევების შემდეგ უნდა გადასულიყო ლიპარიტი თრიალეთში. სავარაუდოდ, შავლიანები მას ავიწროებენ, როგორც ბაგრატის (ან ტინენის) ყმასა და მხარდამჭერს. კლდეკარში ციხის აგება ერთგვარი დემარშია როგორც შავლიანების, ისე გუარამ მამფალის მიმართ, რომელიც ადარნასე შავლიანის სიმამრია. სწორედ ამიტომ, ლიპარიტი მხარში უდგას დავითს და მის ძეებს ნასრის

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 259.



წინააღმდეგ, სანამ ბაგრატი არ გამეფდება აფხაზეთში. მომდევნო წლებში სწორედ ბაგრატი უწყობს ხელს ნასრს დავითის შთამომავლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მემატიანე არ ახსენებს ლიპარიტს, რაც, ჩემი აზრით, ნიშანდობლივია, რადგან, სავარაუდოდ, ლიპარიტი თავისი პირველი პატრონის მიმართ კვლავ უნდა აღიარებდეს ყმობას. მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ბაღვაშების მიერ კაცხში მამულების შენაჩუნება ცენტრალიზებული მეფის ხელისუფლების პირობებში. სავარაუდოდ, ბაღვაშებს მამული ბაგრატმა დაუბრუნა მათი ერთგულების საფასურად. ჩემი მოსაზრებები თუ მისაღებია, IX საუკუნის აფხაზეთში საქმე გვაქვს უკვე ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებულ ფორმასთან და ამ პირობებში „აფხაზთა“ სამეფოში არც სენიორალური სტრუქტურის არსებობა უნდა იწვევდეს ეჭვს. ლიპარიტი დავით ბაგრატის ძეს ეყმო ბენეფიციუმის საფუძველზე, მაგრამ ამ შემთხვევაში პატრონმა კი არ უბოძა მიწა სამსახურის სანაცვლოდ, არამედ ყმამ თავითომ მიართვა უფალს სხვისგან აღებული ტერიტორია. თითქოს მუტაციურ ფეოდალურ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე.

## § 2. „ფეოდალური ილუზია“?

შემდეგი წყარო, რომელზედაც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, ეს არის XI საუკუნის ატენის სიონის ერთ-ერთი სამშენებლო წარწერა:

*„ქ. სახელითა ღვთისათა, მე გრიგოლ-მან მირიანის ყმა-მან თარხნის ძისა-მან, ატენის ციხის თავმან, ავაგენ ატენს სახლნი და ქულბაქი მას ჟამსა ოდეს, ადიდენ ღმერთმან, ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქის აშენებად: გაუმარჯვა ღმერთმან და ბედმან მეფეთ მეფობასა მათისამან. ვითა სწადდა მეფობასა მათსა ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი: შეგვიწყალნა მეფობამან მათმან სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი მკვდრად, ნებიერობით გვბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაც შენებად შეეძლო, მე ავაგე სახლი და ქულბაქი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა, საყოფელსა წმიდისა ღვთის-მშობელისსა, სალოცველად ჰგიანმცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთა მეფე[მ] ბაგრატ სევასტოსი და მე მათი გიორგი კურაპალატი, სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისა-თვს, დაედევ დღე თევდორობად ალაპად გარდაიხდიდეს მამასახლისი წინამძღვარი სიონისად ვინც იყოს ქრისტე შეიწყალე“.<sup>1</sup>*

წარწერაში მოხსენიებული ბაგრატი და გიორგი საქართველოს მეფეები არიან, შესაბამისად, ბაგრატ IV და გიორგი II. მირიან თარხნის მე კი ატენში მოღვაწე ერისთავთ-ერისთავი უნდა იყოს, გრიგოლი კი – მირიანის ყმა და მოხელე.<sup>2</sup>

წარწერის მიხედვით, რამდენიმე საკითხის გამოყოფა შეიძლება: 1. ეს არის ვასალიტეტის საკითხი და 2. მიწის, ანუ ფეოდის გადაცემა მემკვიდრეობით.

წყაროს მიხედვით, სახეზეა ვასალიტეტის სამსაფეხურიანი ფორმა. მეფე როგორც უმაღლესი სენიორი, მეფისადმი დაქვემდებარებული მოხელე ერისთავი და ერისთავის მოხელე ციხისთავი, რომელიც მისი ყმაა. მიუხედავად იმისა, ჰქონდა მირიანს ფეოდი<sup>3</sup> თუ ის მხოლოდ მოხელე დიდებულს წარმოადგენდა. ჩვენ

<sup>1</sup> ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო. აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XX-B. თბ. 1959, გვ. 72.

<sup>2</sup> ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, გვ. 73-77.

<sup>3</sup> გ. მიძიგური. ზოგიერთი საკითხი საქართველოს ფეოდალური რენტის გენეზისის შესახებ. საისტორიო კრებული. ტ. VII. თბ. 1977, გვ. 123-124.

სენიორალური სისტემა წარმოგვიდგენია არა მხოლოდ მიწაზე დამყარებულ სოციალურ ფორმად, არამედ როგორც სამოხელეო დამოკიდებულების იერარქიული ფორმაც (მისი იურიდიული იპოსტასი).<sup>1</sup>

მეორე საკითხი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, ეს არის მირიანისა და გრიგოლის პატრონ-ყმობის საკითხი. ატენის ციხისთავი მირიანს პატრონად და საკუთარ თავს მის ყმად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ მეფემ მათ **მკვდრად და ნებიერობით** გადასცა მიწები, გრიგოლი თავის პატრონად მაინც მირიანს ასახელებს. უცილობლად მეფე რჩება ყველას სენიორი, მაგრამ აქ ისმის შეკითხვა: როდესაც მეფემ გრიგოლს უბოძა ადგილები **მკვდრობით**, უნდა გამხდარიყო თუ არა ის მისი უშუალო სენიორი? დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი აუცილებელი ნიშანი არის ვასალისა და უშუალო სენიორის მჭიდრო ურთიერთობა,<sup>2</sup> საიდანაც გამომდინარეობს ე.წ. ფრანგული ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი ფორმულირება „ჩემი ვასალის ვასალი არ არის ჩემი ვასალი“. ჩვენ არ ვამტკიცებთ ამ ფორმულის არსებობის აუცილებლობას საქართველოში და, ზოგადად, ქართული ფეოდალიზმის პირობებში. უბრალოდ ვსვამთ კითხვას, ხომ არ შეიძლება ეს ყოველივე ასე იქნას გაგებული?

მართალია, ერისთავისადმი დაქვემდებარებული ყველა მოხელე როდი იყო მისი ვასალი, თუმცა ხანდახან თანხვედრა ხდებოდა. ამის ნათელი მაგალითია ზემოთ განხილული წერწრა. დაქვემდებარებული მოხელისა და ვასალის თანხვედრა დასაშვებად მიაჩნია ილ. ანთელავასაც: „... **სხვაგვარი იყო ვითარება ერისთავისა და მისი სახლის პატრიმონიალურ მამულში, სადაც ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების მოხელისა და კერძო ფეოდალის პრეროგატივები ერთნამეთს ემთხვეოდა**“.<sup>3</sup> ერისთავობის ხელის მატარებელი პირი მეფის მოხელე ხშირად მისი დაწინაურებული გვარისა და ოჯახის სამსახურის გამო ხდებოდა. შესაბამისად, დიდებულებს საკუთარი მამული და ვასალები გააჩნდათ. აქ კითხვა შემდეგნაირად ისმის: ითვლებოდნენ თუ არა ეს ვასალები მეფის ვასალებად? მართალია, მეფე ბრძანებას გასცემს თავისი მოხელის მიმართ და ერისთავიც დაქვემდებარებაში მყოფ

<sup>1</sup> М. Блок. Феодальное общество (La Societe Feodale). Том II. Книга II, гл. 428-430.

<sup>2</sup> М. Блок. Феодальное общество (La Societe Feodale). Том II. Книга II, гл. 432.

<sup>3</sup> ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს-ში. თბ. 1983, გვ. 185.

მოხელეებს გადასცემს მეფის ნება-სურვილს. ამ შემთხვევაში ციხისთავის, როგორც მოხელის უპირველესი სენიორი მეფე უნდა იყოს, თუმცა, როგორც ვხედავთ, პირველ ადგილზე მაინც გაზრდილობისა და პატრონყმობის სოციალური ასპექტია წამოწეული, რაც გვაფიქრებინებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ რომ „ჩემი ვასალის ვასალი არ არის ჩემი ვასალი“ ფორმულირებაა წარმოდგენილი. თუმცა წარწერის ინტერპრეტაციისას შეგვიძლია შემდგენაირად გამოვხატოთ ეს ფორმულა: „ჩემი ბატონის ბატონი არ არის ჩემი ბატონი“.

მესამე საკითხი არის მკვიდრი ტერიტორიის შეწირვა ეკლესიისთვის. გრიგოლმა, რომელმაც მკვდრად<sup>1</sup> მიიღო გარკვეული ტერიტორია, სურვილისამებრ განკარგავს. სავარაუდებელია სრული იმუნიტეტის არსებობაც, რაც ფავნელის დაწერილის მიხედვით, IX საუკუნეში მეფის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.<sup>2</sup>

მსგავსი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ფორმულირება შეინიშნება გიორგი V-ის მიერ 1339 წელს გაცემულ დოკუმენტში. მართალია, აღნიშნული სიგელი ჩემი კვლევის პერიოდს სცდება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფეოდალური სისტემის ჩამოყალიბება ეს ხანგრძლივი პროცესია. გიორგი ბრწყინვალის პერიოდის საქართველო ჯერ კიდევ არ გამოსულა ე.წ. ფეოდალური ჩიხიდან. ადრე შემუშავებული პატრონ-ყმული ურთიერთობების ფორმას მოგვიანო პერიოდშიც უნდა ეპოვა ასახვა.

სიგელში ვკითხულობთ: „გუიბოძებია მეჰაბჯრეთუხუცესო [ქუენი/ ფნავე]ლო შალვა, რ(ა)გუარ პ(ა)ტრონსა შ[ენ/სა] ებოძა შენი მამული შენთვის, ჰაგრ / [ევე ა]წ ჩუენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ უცილობლად ყოვლისა სულიერისაგან/. ვერავინ გეცილებოდეს ერთგულად მსახურებასა შინა მეფობისა ჩუენისასა/ ურდოს ლაშქარსა შინა და გარე ყოვლგა/[ნ]. და ვინც ამის ხართ აზნაურისშვილი, მსახური და გლეხი, ყველად მსახურებდით ერთგულად და თავდადებით...“.<sup>3</sup> დოკუმენტის ბოლოში ქორონიკონი კზ=1339 წ. და ხელრთვა.

<sup>1</sup> ზ. ხიდურელი. სამეფო დომენის საკითხისთვის XI-XV საუკუნეების საქართველოში. „საისტორიო კრებული“. VII. თბ. 1977, გვ. 272.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 3.

<sup>3</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. III. ქართული ისტორიული საბუთები. XIV-XV საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ. თბ. 2013, გვ. 39.

დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ გიორგი მეფე წყალობას საკუთარ მოხელეზე გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ გასცემს, თუმცა აქვე საინტერესოა შემდეგი ფორმულირება: „გუიბოძებია ...**რ(ა)გუარ პ(ა)ტრონსა შ[ენ|სა] ებოძა შენი მამული შენტუის...**“. რას უნდა ნიშნავდეს „პატრონსა შენსა“? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი V მისი წინამორბედი მეფის წყალობას განაახლებს აღნიშნული სიგელით. მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა. თუმცა არის ერთი ფაქტორი. ჩემი დაკვირვებით, განახლებული წყალობის გაცემისას ქართულ დოკუმენტებში უმრავლეს შემთხვევაში მოიხსენიება წინამორბედი მეფის ან მთავრის სახელი, რომლის წყალობის განახლებაც ხდება. მოცემულ დოკუმენტში ეს ასე არაა. აღნიშნული სიგელის შინაარსი, ჩემი აზრით, ასე უნდა გავიგოთ: შალვა ქუენიფნეველი თავისი პატრონის ნაწყალობევ მამულს ფლობდა. სავარაუდოდ, ეს პატრონი არ უნდა ყოფილიყო მეფე, კონკრეტულ შემთხვევაში კი მეფე მას, როგორც მებაჯრეთუხუცესს, ანუ მოხელეს გარკვეულ საკარგავს აძლევს უცილობლად მხოლოდ მსახურებისა და ერთგულების საფასურად. გამოდის, რომ სანამ მეფემ შალვას არ უბოძა გარკვეული წყალობა, მანამდე ის მისი უშუალო ყმა არ იყო.

ატენის სიონის ზემოთ მოყვანილი სამშენებლო წარწერა და გიორგი V-ის წყალობის სიგელი გვაძლევს ინტერპრეტაციის საშუალებას. ამიტომ ფრთხილ ვარაუდს გამოვთქვამ საქართველოში ვასალიტეტის იმგვარი სქემის არსებობის შესახებ, როგორც არსებობდა საფრანგეთში – **„ჩემი ვასალის ვასალი არ არის ჩემი ვასალი“**. ეს კი კიდევ ერთხელ აახლოებს ქართულ პატრონყმობას ევროპულ ფეოდალიზმთან.

კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, სავსებით სწორი იყო ივ. ჯავახიშვილის შეფასება ქართული და ფრანგული ფეოდალიზმის მსგავსების შესახებ. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოში მიმდინარეობდა ყველა იმ ნიშნის მიხედვით, როგორითაც დასავლეთ ევროპაში. ამიტომ ფეოდალიზმი არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების ევროპულ მოდელად. მართალია, სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში მას განმასხვავებელი ნიშნებიც ჰქონდა, მაგრამ ფეოდალიზმის გამოსავლენად, როგორსაც ევროპელი მედიევისტები წარმოგვიდგენენ, ყურადღება სწორედ რომ საერთო ნიშნების კვლევაზე უნდა შევაჩეროთ.

### თავი III

#### „სოციალური ენის კრაზი“

მესამე თავში განხილული გვაქვს რამდენიმე ტერმინი, რომლებმაც სოციალური ტეხილის პირობებში სემანტიკური დატვირთვა შეიცვალა ან ახალი მოიღო. მათ შევადარებთ ფეოდალური ეპოქის დასავლეთ ევროპულ შესაბამის ტერმინებთან. ფეოდალიზმის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი მარკ ბლოკი სწორად შენიშნავს, როდესაც წერს, რომ ფეოდალიზმის სხვა ქვეყნებში გამოსავლენად სწორედ რომ საერთო მახასიათებლები და ნიშნები უნდა ვიკვლიოთ.<sup>1</sup>

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ ტერმინების ცვალებადობაზე გარკვეული სოციალური ტეხილის პირობებში და ეს ყველაფერი რამდენად სინქრონულია იმ მოვლენის, რომელსაც ფეოდალიზმის გამარჯვება ეწოდება.

არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ საქართველოში ფეოდალურ წყობას „პატრონყმობით“ ანაცვლებენ, რაც, ჩემი აზრით, მეტნაკლებად ზუსტად ასახავს მის მნიშვნელობას.<sup>2</sup> მთელი ეს საზოგადოებრივი ცხოვრება პატრონისა და ყმის ურთიერთობაზეა დამყარებული. ფეოდალურ საზოგადოებაში არ არსებობს თავისუფალი ადამიანი. ყველა ვიღაცაზეა დამოკიდებული, ყველა ვიღაცის კაცია, რაც თვისობრივად სისტემის საყრდენს წარმოადგენს. ამასთან, ფეოდალური ეპოქის თავისუფლება არ უნდა გავიგოთ დღევანდელი მნიშვნელობით.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> М. Блок. Феодальное общество. М. 2003. . 436.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. თბ. 1928, გვ. 93.

<sup>3</sup> А. Гуревич. Избранные труды. Т. 2, გვ. 175.

## § 1. დამოკიდებულის სოციალური აღმნიშვნელი ტერმინი

მიღებული მოსაზრებაა, რომ ადრეფეოდალური ხანის დასასრულს ნებისმიერი სუბიექტი, სოციალური წარმომავლობის მიუხედავად, თავიანთი „უფალის“/პატრონის ყმები გახდნენ, რაც საინტერესო ფაქტია და პირდაპირ მიუთითებს ფეოდალური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლაზე. საზოგადოება ხდება პატრონ-ყმურ ურთიერთობაში ჩართული.

ამჯერად ჩემი კვლევის საგანია ტერმინი „ყმა“ მისი ფართო სოციალური გაგებით. საინტერესოა, როდის უნდა მიეღო მას ამგვარი აღმნიშვნელი, რაც განვითარებული ფეოდალიზმის დამყარების პირდაპირ სამხილად გამოგვადგება.

თავდაპირველად „ყმა“ ყრმა ბავშვის, ახალგაზრდას აღმნიშვნელად გამოიყენებოდა,<sup>1</sup> მოგვიანებით კი სოციალურ სტატუსს იძენს. მაგალითად, სახარების ტექსტში შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. ბავშვი; 2. ახალგაზრდა; 3. ვაჟი; 4. სოციალური მოსამსახურე. „შუმანიკის წამებაში“ ორივე სტატუსით იხმარება. „ვეფხისტყაოსანში“ უმთავრესად ვასალის, სხვაზე დამოკიდებულის აღმნიშვნელია. ბაგრატ კურაპალატის სამართალში კი „ყმა“ ორჯერ იხმარება და ორივეჯერ ფეოდალს, აზნაურს აღნიშნავს ვასალის სახით.<sup>2</sup> ბაგრატ კურაპალატის პერიოდისთვის (IX საუკუნეში) „ყმას“ მხოლოდ და მხოლოდ სოციალური სტატუსი აქვს და სანქცირებულ ფორმას ატარებს, რაც აშკარად ამ პერიოდისთვის პატრონყმობის გამარჯვებულ მდგომარეობაზე მიუთითებს.

„ყმა“ სიტყვა ყრმისგან რომ მომდინარეობს, ამაზე უკვე არავინ დავობს. არსებობს უამრავი წერილობითი წყარო, სადაც ყრმა და ყმა სოციალური მნიშვნელობით იხმარება. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოთხრობილ ამბებში ვკითხულობთ, რომ გიორგი ჩორჩანელმა „მყის უბრძანა ერთსა ვინმესა მონათაგანსა“ და „წარვიდა მყის ყრმაჲ იგი“. ეს ყრმა როდესაც მიმართავს უცხოებს, ამბობს შემდეგს: „მთავრისა ვარ მე დიდისა“. ა. ბოგვერაძე შენიშნავს, რომ ეს „მონა“, ანუ „ყრმა“ დიდი

<sup>1</sup> გ. მამულია. პატრონყმობა. თბ. 1987, გვ. 29-63.

<sup>2</sup> გ. ჯამბურია. ბატონყმობის საკითხისათვის. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007, გვ. 69.

მთავრის საკუთრება თუ არა, მასზე დამოკიდებული მაინც უნდა იყოსო.<sup>1</sup> მეცნიერი ამგვარ დასკვნას იმ პერიოდში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრების მხედვით უნდა აკეთებდეს, რომ მონა შეიძლება ვინმეს საკუთრებას წარმოადგენდეს. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ შეიძლება ეს მონა დიდ მთავარზე დამოკიდებულ იყოს რაღაც ვალდებულებით. უკანასკნელი დებულება უფრო მართებულად მიმაჩნია. ზოგადი სურათი მაინც ისეთია, რომ VIII-IX საუკუნეები ეს არის ეპოქა, როდესაც ხდება განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლა. ამ პერიოდისთვის კლასიკური გაგებით მონათმფლობელური გადმონაშთის არსებობაც კი წარმოდგენილად მიმაჩნია. ა. ბოგვერაძის დაკვირვებით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი ერთ კონკრეტულ ადგილას განასხვავებს „მონისა“ და „ყრმის“ უფლებებს. როგორც ის შენიშნავს, გიორგი ჩორჩანელი მონას მყის უბრძანებს. ყრმისადმი დავალების მიცემის ფორმა კი განსხვავდება პირველისგან. დიდი მთავარი ყრმას ამავედროულად მიმართავს და უწოდებს ძმას.<sup>2</sup> ჩემი ვარაუდით, ეს ყრმა, რომელსაც ჩორჩანელი ძმასაც უწოდებს, მონისგან მხოლოდ სოციალური წარმომავლობით უნდა განსხვავდებოდეს და დიდი მთავრის წინაშე, სავარაუდოდ, განსხვავებული მოვალეობები ეკისრა. ფეოდალურ ურთიერთობებში საკუთრივ ვასალის ძმად მოხსენიება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამგვარი ფაქტები მრავლადაა ომაჟის რიტუალის განხორციელებისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამავედროულად სენიორი, რომელიც რომელიმე ყმას ეპატრონება, უპირატესად მას შვილად მოიხსენიებს. ამ მხრივ საინტერესოა ჯუანშერის თხზულების ერთი პასაჟი, სადაც მეფე არჩილისა და ლეონ აფხაზთა ერისთავის ურთიერთდამოკიდებულებაზეა საუბარი: *„ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და ჰრქუა: „კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად ილუაწე სტუმრობად ჩუენი და დამიცვენ ადგილთა შენთა მშჯდობით. გარნა აწ უწყიეს შენებად ადგილთა ჩუენთა კლისურიტგან აღმართ, წარვალ და დავეშენები ციხეგოჯს და ქუთათისს. აწ ითხოვე თავისა შენისათჳს, რად გნებავს ჩემგან ნაცვალად კეთილისმსახურებისა შენისა“.* ხოლო ლეონ ჰრქუა: *„მომცა მე კეისარმან ქუეყანად ესე მკვდრობით კეთილად სიმჴნითა თქუენითა, ხოლო*

<sup>1</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ. 1979, გვ. 212.

<sup>2</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 213.



ამერიიტიგან არს ესე მამულებით სამკვდრებელ ჩემდა კლისუ/რიტიგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთისა, სადა წარსწულების წუერი კავკასიისაჲ ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი დღეს ღირს-ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში ქართველი მემატიანის აზროვნება ზუსტად ემთხვევა შუასაუკუნეების ევროპელი ისტორიკოსებისა და იურისტების წარმოდგენას ვასალურ ურთიერთობაზე. ჯუანშერიც ვასალს განიხილავს, როგორც შვილს და ძმას.

ჯუანშერის თხზულების ტექსტზე დაკვირვების შედეგად მივიღეთ შემდეგნაირი სურათი: ყრმა ძირითადად იხსენიება ჩვილის ან ახალგაზრდას აღმნიშვნელად, მხოლოდ ერთ ადგილას აღნიშნავს ის ვასალს: „და პირველსავე შეკრებასა უხეთქნა კრმალი ფარსმან ფარუხს ზედა და განუპო თავი ვიდრე ბეჭთამდე. მაშინ დაჭმუნდა ვახტანგ და ყრმანი მისნი, რამეთუ არავინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან ფარუხისი“.<sup>2</sup> ფორმულირება ყმა კი არ არის ნახსენები. მართალია, ზოგიერთი მეცნიერი ჯუანშერს და ლეონტი მროველს ერთმანეთთან აიგივებს,<sup>3</sup> ან ჯუანშერის თხზულებას შედარებით გვიანი პერიოდით ათარიღებს, ვიდრე იქ მოცემული რეალიებია. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ჯუანშერი და ლეონტი დამოკიდებული ადამიანის აღმნიშვნელად ერთნაირ ტერმინებს იყენებენ და ორივეს დამოკიდებულება ერთნაირად ესმით.<sup>4</sup> თუმცა, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ეს ყველაფერი ამ ტექსტებზე დაკვირვებით მე სხვანაირად მესმის. დ. მუსხელიშვილის აზრით, ჯუანშერის თხზულების ბოლოს ჩართულია ანონიმი

<sup>1</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 242.

<sup>2</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 165.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. II. თბ. 1923; პ. ინგოროყვა. ლეონტი მროველი – ქართველი ისტორიკოსი VIII საუკუნისა. ენიმკის მოამბე. თბ. 1941. №X; გ. მამულია. ლეონტი მროველის და ჯუანშერის წყაროები. „მაცნე“ ისტორიის ... სერია. 1964. №4; კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დათარიღების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისათვის მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 1976; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VI. თბ. 1979; მ. ჩხარტიშვილი. წყაროების მითითების წესი, ლეონტი მროველის თხზულებაში. „მაცნე“ ისტორიის... სერია. 1982. №2; გ. არახამია. ქართლის ცხოვრების პირველი მატეიანის მოცულობის საკითხისათვის. „მაცნე“, ისტორიის... სერია. 1987. №2; მ. ლორთქიფანიძე. რა არის ქართლის ცხოვრება. თბ. 1989.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. IX.

ავტორის თხზულება. ანონიმის თხზულება შექმნილია X საუკუნის მეორე ნახევარში, არა უადრეს ამ საუკუნის ნახევრისა, თუმცა მასში დაცულია VIII საუკუნის დროინდელი წყაროც და, ამდენად, საკმაოდ სანდოა იმდროინდელი ვითარების აღსადგენად.<sup>1</sup> მეც მიმაჩნია, რომ აღნიშნული ტექსტი VIII-IX საუკუნეში უნდა შექმნილიყო, რადგან სწორედ ამ პერიოდისთვისაა დამახასიათებელი „ყრმისა“ და „მონის“ ადამიანის სინონიმებად გამოყენება და დამოკიდებული ადამიანის მნიშვნელობით აღნიშვნა. რაც შეეხება ლეონტი მროველის თხზულებას, იქ ყრმა მხოლოდ ჩვილის ან მოზარდის მნიშვნელობით იხმარება, მონა კი ვასალის მნიშვნელობით მხოლოდ ერთხელაა ნახსენები: *„მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონად თვისი ქუჯის თანა და ჰრქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოსისი, მცხეთოსის ძისა და ძმისწული სამარა მამასახლისისაჲ, და არს ჩემ თანა ხუასტავი დიდძალი“*<sup>2</sup> დანარჩენ ადგილას კი ლეონტი მონას მხოლოდ საკრალური მნიშვნელობით ახსენებს. აღნიშნული თხზულებები ერთი ეპოქის, ან, უფრო მეტიც, ერთი და იმავე ავტორის მიერ რომ იყოს შედგენილი, ამგვარი ტერმინების განსაზღვრებისას დიდი სხვაობა არ უნდა ყოფილიყო.

სამართლიანად შენიშნავს ა. ბოგვერაძე, რომ სწორედ VIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო „მონის“ და „ყრმის“ ტერმინების დაახლოება სოციალური ასპექტით, შემდგომ კი „მონა“ უნდა გამქრალიყო.<sup>3</sup>

VIII-IX საუკუნეებში სწორედ გარდამავალ პერიოდში განვითარებული ფეოდალიზმისკენ ხდება ტერმინების ახალი აღმნიშვნელებით არტიკულირება, ხან კი ძველი სრულიად ქრება და ახლადწარმოქმნილ სემანტიკურ დატვირთვას უთმობს ადგილს. ტერმინ „ყრმა“ სოციალური დატვირთვა სწორედ ამ პერიოდში უნდა მიეღო, განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში კი ის მთელი საზოგადოებრივი ფენების აღსანიშნად გამოიყენებოდა დაქვემდებარებულის მნიშვნელობით.

<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II. თბ. 1980, გვ. 62.

<sup>2</sup> ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მიხეილ ქავთარიამ, ელენე ცაგარეიშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 41.

<sup>3</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 213.

ბაგრატ კურაპალატის სამართალში კი „ყმა“ ორჯერ იხმარება და ორივეჯერ ფეოდალს – აზნაურს აღნიშნავს ვასალის სახით.<sup>1</sup> ბაგრატ კურაპალატის პერიოდისთვის „ყმას“ მხოლოდ და მხოლოდ სოციალური სტატუსი აქვს და სანქცირებულ ფორმას ატარებს.

**„148. თუ უსამართლოდ პატრონმან ყმა გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს.**

**149. თუ უსამართლოდ პატრონსა ყმა წაუვიდეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს“.**<sup>2</sup>

ყმა აქ არა სოციალური ქვედა ფენის წარმომადგენელს, არამედ წარჩინებულს აღნიშნავს. ბაგრატის სამართლის შედგენისთვის ყმა უკვე ის სტატუსი აქვს მიღებული, რაც განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის ვასალს.

ბაგრატ კურაპალატის სამართალია ჩართულია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში. აღნიშნული ძეგლის შედგენის ქრონოლოგია ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვა და სხვა მეცნიერის მიერ IX-XVI საუკუნეებით შორის განისაზღვრება.<sup>3</sup> აღნიშნული მოსაზრებებიდან ბაგრატ კურაპალატის სამართალზე ყველაზე დამაჯერებელი ახელ კიკვიძის დაკვირვება ჩანს. მისი აზრით, ეს ძეგლი IX საუკუნის მოღვაწეს ბაგრატ აშოტის ძე კურაპალატს ეკუთვნის.<sup>4</sup> ვიზიარებ მეცნიერის ამგვარ დასკვნას, რადგან ყმის ამგვარი დეფინიცია მხოლოდ იმ საზოგადოებაში მოხდებოდა, სადაც ფეოდალური ურთიერთობები შორს იყო წასული, ტაო-კლარჯეთი კი ამ მხრივ ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში ნამდვილად დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა სენიორალური ურთიერთობების სამ და ოთხ საფეხურიანი სისტემით.

ამგვარი მოვლენა არც ევროპული ფეოდალიზმისთვის იყო უცხო. აღსანიშნავია, როდესაც აარონ გურევიჩი ევროპულ ფეოდალიზმზე საუბრობს, მიუთითებს

<sup>1</sup> გ. ჯამბურია. ბატონყმობის საკითხისათვის, გვ. 69.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. I. თბ. 1963, გვ. 468.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ჟურნ.: „ერი“. 1909. №1; ს. კაკაბაძე. რჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი; ქართული სამართლის ისტორია. ტფ. 1928., გვ. 88-93; ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისთვის. თბ. 1952, გვ. 87; ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953.. 57; ა. კიკვიძე. ვის ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელით ცნობილი სამართალი? მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის. XVI-XVII. თბ. 1972, გვ. 228-243.

<sup>4</sup> ა. კიკვიძე. ვის ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელით ცნობილი სამართალი? გვ. 228-243.

ადამიანთა აღმნიშვნელი სიტყვების „mann“ – „homo“-ს სემანტიკის ცვლილებაზე. ეს სიტყვები ადრეულ შუასაუკუნეებში არათავისუფალი ადამიანის აღმნიშვნელად იხმარება. ფეოდალიზმის განვითარებულ ეტაპზე გადასვლისას კი თავისუფალ ადამიანს აღნიშნავს ვასალიტეტის ჩარჩოებში, ანუ „მანნ“ შეიძლება ფეოდალიც კი იყოს. ძველი ინგლისური ტერმინი “cniht” და გერმანული “Knecht”, მონა – ყმა იცვლის მნიშვნელობას და საჭურჭლემტვირთველისა და რაინდის მნიშვნელობით იხმარება.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> А. Я. Гуревич. Проблемы генезиса феодализма в Западной Европе, გვ. 201.

## § 2. ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინები

საინტერესოა ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინების ცვალებადობა, რაც, ჩემი აზრით, ასევე, ფეოდალიზმის დამყარების პროცესს უნდა უკავშირდებოდეს. VI საუკუნემდე ხელმწიფის მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „მეუფე“, შემდეგ მას ცვლის „მეფე“. მეუფე კი რელიგიურ დატვირთვას იძენს და ღმერთის სინონიმად გამოიყენება. ადრეულ ეტაპზე სენიორს ქართულ რეალობაში „უფალი“ შეესაბამება. მისი შემდგომი განვითარება უნდა იყოს ტერმინი „მამფალი“, რომელიც ორი სიტყვისგან – მამა და უფალი შედგება და სწორედ ვასალური ურთიერთობების დამყარებაზე უნდა მიუთითებდეს. ნიკო ბერძენიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ „მამფალი“ უფრო გვიანდელია ვიდრე „უფალი“. „მამფალის“ გაჩენა სამეტყველო ენაში გამოწვეული უნდა ყოფილიყო სათანადო სოციალური ცვლილებით.<sup>1</sup> IX საუკუნიდან ტერმინი პატრონი იწყებს დამკვიდრებას,<sup>2</sup> რაც აფხაზთა მეფეების შიდა ქართლში დამკვიდრებას უნდა უკავშირდებოდეს. თავის მხრივ, „პატრონი“ რომაელების ბატონობის პერიოდის ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ.<sup>3</sup> ვასალის ახალი აღმნიშვნელი ცდილობს გაბატონებას, როგორც სამეტყველო, ასევე სამწერლო ენაში. სიტყვა პატრონი გვხვდება ე.წ. ფავნელის დაწერილში<sup>4</sup>. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ პატრონი მხოლოდ ერთხელ გვხვდება. ასევე „მატიანე ქართლისაში“ ლიპარიტ ბაღვაშისა და დავით ბაგრატიონის კომანდაციის პასაჟში: „*შეიპყრა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე*“.<sup>5</sup> XI საუკუნიდან კი საბოლოოდ უნდა შეევიწროვებინა „უფალი“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> იხ. ალ. სარჯველაძე. მფარველობა-ბატონობისა და დაქვემდებარებულის აღმნიშვნელი ადრეფეოდალური ხანის სოციალური ტერმინები. მაცნე. ისტორიის არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია. თბილისი. 1. 1988. გვ. 87-104.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VII. თბ. 1974, გვ. 66; ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 181.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ტფ. 1929, გვ. 105.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 3-4. უფრო სწორად პატრონი მოიხსენიება ფავნელის დაწერილის თანდართულ შიომღვიმის ბეგარის დოკუმენტში.

<sup>5</sup> იხ. შ. ბადრიძე. სენიორალური ხელისუფლების ზოგიერთი პოლიტიკური ნიშნისათვის ადრეფეოდალურ ქართლში. საართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. I. 1970, გვ. 139-157.

<sup>6</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 258.

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „პატრონიუსი“ ჩვეულებრივ „ყმათა“ პატრონს, მხოლოდ უასაკოთა მიმართ მზრუნველს აღნიშნავდა. სენიორს კი ევროპაში, როგორც ვიცით, დომინუს, ანუ „უფალი“ ეწოდებოდა. ხომ არ შეიძლება ეს ტერმინი ევროპიდან ყოფილიყოს შემოსული ქართულ კულტურულ სივრცეში?<sup>1</sup> თუმცა აღსანიშნავია მეცნიერის ერთი შენიშვნა, რომ სიტყვა „პატრონის“ დამკვიდრება საქართველოში ვერ გააშუქებს პატრონყმობის წარმოშობის ისტორიას, რადგან, როდესაც აღნიშნული სიტყვა მკვიდრდება, საზოგადოებრივი ცხოვრების ეს წესი საქართველოში დიდიხნის დამკვიდრებული იყო.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ ფეოდალური ეპოქის დამყარება საფრანგეთშიც განახლებული ლექსიკით იწყება. გარდა ზემოთ აღნიშნული პარალელებისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია სწორედ ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინების ცვალებადობა XI საუკუნის მეორე ათწლეულის საფრანგეთში.<sup>3</sup> ეს მსგავსება მკაფიოა და ჩვენთვის ის ფეოდალიზმის ენობრივი მახასიათებელია. *dominus* X საუკუნემდე საფრანგეთში ღმერთისა და მეფის მნიშვნელობით გამოიყენება, შემდეგ კი გრაფის/სენიორის მნიშვნელობას იძენს, მათ შორის, ციხე-სიმაგრის პატრონისაც, რადგან რეალურად ისინი გახდნენ „ქვეყნის“ მბრძანებლები.<sup>4</sup>

სახელმწიფოს, როგორც ერთგვარი სხეულის წარმოდგენა, ჯერ კიდევ პლატონის მოსაზრებებიდან მოდის. ასევე, სხეულის, როგორც მეტაფორის გამოყენება ადრეული პერიოდიდან შეინიშნება. ქრისტიანულმა კულტურამ ეს სიმბოლური ღირებულება სულ სხვა განზომილებაში გადაიტანა. სხეულის, როგორც ძალაუფლების მეტაფორამ, ევროპაში კაროლინგების ეპოქაში შეაღწია საერო ცხოვრებაში.<sup>5</sup> მმართველი კლასის მიერ „თავისა“ და „ხელის“ მეტაფორული გამოყენება ძალაუფლების აღმნიშვნელ ტერმინებად კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს კლასობრივი ბრძოლის ასპექტებზე.

სხეულის ნაწილების ძალაუფლების მეტაფორად გამოყენება არც ქართული ეთნოკულტურული სივცრისთვის იყო უცხო. როგორც ევროპაში, ჩვენშიც აქტიურად გამოიყენებოდა „თავი“ და „ხელი“ ქვეყნის მართვისა და ძალაუფლების აღსანიშნავად. ჩემი აზრით, ფეოდალიზაციის პროცესთან უნდა იყოს

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, გვ. 105.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, გვ. 107.

<sup>3</sup> Ж. Дюби. Трехчастная модель, или Представления средневекового общества о себе самом. Пер. с фр. Ю.А. Гинзбург. М. 2000, გვ. 138.

<sup>4</sup> Ж. Дюби. Трехчастная модель, или Представления средневекового общества о себе самом, გვ. 142.

<sup>5</sup> Ж. Легофф, Н. Трюон и история тела в средние века. М. 2008. 154-168.

დაკავშირებული ისეთი ტერმინის გაჩენა, როგორცაა ერისთავი. მართალია, ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში საერისთავოების წარმოქმნა ფარნავაზის ეპოქას უკავშირდება, მაგრამ მეფის მოხელეების ამგავრი თანამდებობრივი სახელით მოხსენიება გვიანდელ ავტორებს ეკუთვნით. ჩვენ არ ვიცით ზუსტად, რა ერქვათ იმ დროის „ქუყნების“ მმართველებს.

საფრანგეთისა და, ზოგადად, ევროპის X-XI საუკუნეების დოკუმენტებსა და იურიდიულ ტექსტებში, როგორც ჟორჟ დიუბი შენიშნავს, აშკარაა მმართველი კლასის იდეოლოგიის წნეხი, რომელშიც ძირითადად გამოიყენება ორი ტიპის ენა – ელიტარულ-მწერლობრივი და ხალხური. დაახლოებით ასეთივე სახის დაპირისპირება შენიშნა ნიკო მარმა ადიშის ოთხთავის ტექსტში. ნიკო მარის დაკვირვებით, სახარების ტექსტში, აშკარად შეინიშნება კლასობრივი დაპირისპირების ნიშნები. მისი თქმით, ტექსტი ერთ წინადადებაში შეიცავს ე.წ. მაღალი სტილის სიტყვებსა და ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელ პლასტებს.<sup>1</sup> ადიშის ოთხთავი IX საუკუნეში კლარჯეთშია გადაწერილი, სადაც ყველაზე კარგად იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები. ნიკო მარის ეს მიგნება, მართლაც რომ, ფეოდალური ურთიერთობების დამყარების ამსახველი სამხილი უნდა იყოს და ამ შემთხვევაშიც საერთო მახასიათებელს პოულობს ფრანგულ ფეოდალიზმთან.

ასევე, საინტერესოა ტერმინის „წვრილი ერი“ განსაზღვრება. „ერი“ ზოგადად მთელი მოსახლეობის აღსანიშნად იხმარებოდა. თუმცა მოგვიანებით გაიმიჯნება. თუ ადრე მოლაშქრეს ნიშნავდა (ანუ როცა მთელი მოსახლეობა იღებდა ლაშქრობაში მონაწილეობას), მოგვიანებით სოციალური დატვირთვა მიენიჭა.<sup>2</sup> როდესაც XI საუკუნის ავტორი ხმარობს ტერმინს „წვრილი ერი“, ესეც სოციალური დაყოფის მანიშნებელია. ს. ჯანაშიას აზრით, იგი მმართველი ელიტის მიერ შერქმეული ტერმინი უნდა იყოს, რაც კარგად ასახავს კლასობრივ დაპირისპირებას.<sup>3</sup>

ამგვარ ოპონირებას და სიტყვების სემანტიკურ ცვალებადობას ე.წ. სოციალური ენის თავისებური კრაზი ეწოდება, რომელიც ევროპაში ფეოდალური ეპოქის დასაწყისად მოინიშნა. როგორც ვნახეთ, ეს მოვლენა არც საქართველოსთვის უნდა ყოფილიყო უცხო.

<sup>1</sup> Н. Я. Марр. Избранные работы. т. третий. Л. 1934, гл. 351-358.

<sup>2</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 202-204.

<sup>3</sup> ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I თბ. 1952, გვ. 272.

### §. 3. კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური სოციალური ტერმინების წარმომავლობა

ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებას თავისი თანმდევი კულტურული ნიშნები ახასიათებს, ასე ვთქვათ, ზედნაშენი მახასიათებლები, რომლებიც ფორმაციის სოციალურ ურთიერთობებს განსაზღვრავს. სოციალური ტეხილები, რომლებმაც ხელი შეუწყო ფეოდალიზმის გამარჯვებას, აღინიშნა ახალი ტერმინების გაჩენით, ან სულაც ძველი სიტყვების ტრანსფორმაციით, მათი სემანტიკის ცვლილებით და ახლით დატვირთვით. შეიცვალა სამყაროს აღქმის მოდელები, რაზეც ქრისტიანულმა კულტურამ დიდი გავლენა იქონია. შესაბამისად, შეიცვალა სიტყვები, რომლებიც ადრეულ ეპოქებში სხვადასხვა დატვირთვის მატარებელი იყო. ძირითადად გაჩნდა ახალი ტერმინები, რომლებიც დამოკიდებულისა და მეპატრონის ურთიერთობებს აღნიშნავდნენ. შესაბამისად, ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების დინამიკამ განსაზღვრა მათი კლასობრივი ადგილი ენაში. გაჩნდა დროის აღქმის ახალი მოდელები: ფეოდალური დროის აღქმა, საეკლესიო/ლიტურგიკული დრო და ა.შ.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ დროის აღქმა იმ მოდელის მიხედვით ხდება, რომელ ფორმაციასაც აღწერენ მედიევისტები, ანუ სენიორალური პარადიგმით, მიმაჩნია, რომ ფეოდალური დრო ეს არის დრო უშუალო მწარმოებლისა, რომლის შრომის მიტაცება ხდება მეპატრონის მიერ, ანუ დროის მიღმა დატოვებული კლასის, რომლის საწინააღმდეგოდ მუშაობს სენიორალური და ლიტურგიკული დროც. მოსაზრება საკამათოა, თუმცა სწორედ იმ დროის პოლიტეკონომიური აღქმა, თუ რა დროს ხარჯავს მშრომელი მეპატრონის სასარგებლოდ, უნდა მივიჩნიოთ შუასაუკუნეების დროდ. მისი ქვემოდან შესწავლა კი განსაზღვრავს ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების განმაპირობებელი ნიშნების გამოვლენას.

ენის კლასობრიობაზე საუბარი ნიკო მარმა დაიწყო. ვინაიდან ენის კლასობრიობის მარისეულ კონცეფციას ნაწილობრივ ვიზიარებ, უპრიანი იქნება, წარმოვადგინო ის საკვანძო მომენტები მარის კვლევიდან, რომელიც ჩემი შესწავლის ობიექტია. ასევე,

<sup>1</sup> რ. ლაბაძე. დროის კონცეფციები თანამედროვე მედიევისტულ კონტექსტში. ქართველოლოგიური კათედრების (არქეოლოგია, ეთნოლოგია, საქართველოს ისტორია) ახალგაზრდა მეცნიერთა III სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ. 2005, გვ. 61-71.



მოკლედ მიმოვიხილავ იმ დისკუსიას, რომელიც საბჭოთა ენათმეცნიერებაში მიმდინარეობდა მარისეული თეორიების უარსაყოფად.

ნ. მარის განმარტებით, იაფეტოლოგია მხოლოდ კლასობრივი ენების მომხრეა და მათ განვითარებას ტომობრივი საწყისებიდან ხედავს. რადგან ენა, მისი აზრით, კულტურული განვითარების აუცილებელი საჭეა, ენა კი შეუცვლელი იარაღია კლასობრივ ბრძოლაში. არ არსებობს ენა, რომელიც არ ყოფილიყო კლასობრივი და არ არსებობს აზროვნება, რომელიც არ ყოფილიყო, ასევე, კლასობრივი.<sup>1</sup> ნ. მარი ენის ჩასახვასაც კლასობრივ ასპექტში განიხილავდა, რადგან, მისი აზრით, ენა მისნების ხელში ჩაისახა და მას იყენებდნენ, როგორც მანიპულატორ იარაღს.<sup>2</sup> მისივე დაკვირვებით, სხვადასხვა ერის ერთი კლასის ენები უფრო ამყდავენ ტიპოლოგიურ მსგავსებას, ვიდრე ერთ ხალხში სხვადასხვა კლასის ენობრივი მახასიათებლები. ამის დასტურად კი ქართული და სომხური ენები მოჰყავს, ძველი ლიტერატურული ქართული და სომხური ერთმანეთს უფრო მიემსაგავსება, ვიდრე სახალხო ენა და ლიტერატურული ქართული ან სომხური.<sup>3</sup>

ორივე შემთხვევაში ქართულ ეთნოკულტურულ სივრცესა და სომხეთშიც მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური წყობა იყო. მისი განვითარება კი იდენტურად მიდიოდა. შესაბამისად, მსგავსებები პოლიტიკურ მოწყობაშიც იქნებოდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ყოველი საქართველო“ სომხურ ტერიტორიებსაც მოიაზრებდა საკუთარ საზღვრებში. ამიტომაც ვეთანხმები აღნიშნულ დაკვირვებას და ქვემოთ ტერმინების ახსნისას მას კლასობრივ ასპექტში გავშლი.

ნ. მარის ამ დაკვირვებას კრიტიკულად უდგება არნ. ჩიქობავა. როგორც ის აღნიშნავს, კლასობრივი მსგავსებების მაგალითები მარს არ მოჰყავს, თუმცა ამგვარ მსგავსებაზე ის ორჯერ წერს, ჯერ 1928 წელს, შემდეგ კი 1930 წელს.<sup>4</sup>

საბჭოთა ენათმეცნიერებაში ენის კლასობრიობაზე დისკუსიები მას შემდეგ გაცხარდა, რაც 1950 წლის 20 ივნისს გაზეთ „პრავდაში“ ი. ბ. სტალინის ნაშრომი ენაზე – „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გამოიცა.<sup>5</sup> აღნიშნულ წერილში კითხვა-

<sup>1</sup> Н. Я. Марр. Язык и мышление. Избранные работы. Т. 3. Ленинград. 1934, გვ. 90-91.

<sup>2</sup> იხ. არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ. 1952, გვ. 48.

<sup>3</sup> Н. Я. Марр. Почему так трудно стать лингвистом-теоретиком. Избранные работы. Т. 2. 1936, გვ. 415.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 49-50.

<sup>5</sup> И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания. Сочинения. Т. 16. Москва. 1997, გვ. 104-124.

პასუხის ფორმითაა განხილული ენის საკითხი. კერძოდ, ენა არის ბაზისი თუ ზედნაშენი. სტალინი ცალსახა პასუხს სცემს ამ კითხვაზე, ენა არ შეიძლება იყოს ბაზისი ან ზედნაშენი და შემდეგ განმარტავს რიგ საკითხებს.<sup>1</sup> კერძოდ, ყველა ბაზისს თავისი ზედნაშენი ახასიათებს, როგორც ფეოდალიზმს ახასიათებს შესაბამისი ზედნაშენი, ასევე, კაპიტალისტური წარმოების წესსაც შესაბამისი ზედნაშენი აქვს.<sup>2</sup> რთულია არ დაეთანხმო სტალინს, რომ ენა არც ბაზისია და არც ზედნაშენი, თუმცა ჩემი კვლევის ობიექტია ფეოდალური ურთიერთობები და ამ პროცესში წარმოქმნილი ან ტრანსფორმირებული ტერმინები. ჩემი დაკვირვებით კი, ნებისმიერ გეოგრაფიულ-ეკონომიკურ არეალში ეს მონაცემები იდენტურია, ამიტომაც კონკრეტული ენობრივი მონაცემები სწორედ რომ ფეოდალური ბაზისის ზედნაშენად შეგვიძლია განვიხილოთ.

სტალინისავე თქმით, რუსეთში რევოლუციის შედეგად ახალი ბაზისი შეიქმნა, რომელსაც ახალი ზედნაშენების გაჩენა მოჰყვა. თუმცა რუსულ ენას არ განუცდია რამე განსაკუთრებული ცვლილება, ახალი ბაზისის შესაბამისად გაჩნდა ახალი სიტყვები და ძველებმა იცვალა მნიშვნელობა, ზოგი კი საერთოდაც გაქრა. თუმცა ეს პროცესი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მას ენაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, მითუმეტეს, კლასობრივი ენის ჩამოყალიბების მხრივ. სტალინი იქვე ავითარებს მსჯელობას უკრაინულ, ტაჯიკურ და ქართულ ენათა მიმართ.<sup>3</sup> მისივე თქმით, რა აზრი აქვს ისეთი სიტყვების ცვალეზადობას, როგორიცაა „მიწა“, „მთა“, „წყალი“, „ტყე“, „თევზი“ და ა.შ. სიტყვების შეცვლაზე თუ მიდგა საქმე, მას გარკვეული პერიოდი სჭირდება და ეს ცვლილებები უცებ არ ხდება.<sup>4</sup> აქ ერთი დაშვებაა გასაკეთებელი. ჩემი დაკვირვებით, სიტყვები, რომლებიც მნიშვნელობას იცვლის აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული მმართველი კლასის ინტერესებთან და მათი გაბატონების ერთ-ერთი წინაპირობაა. მართალია, ენა (სიტყვები) ერთ დღეში არ იცვლება და ეს ხანგრძლივი პროცესია. რადგან ჩემი ინტერესი ფეოდალური პერიოდისკენ არის მიპყრობილი, უნდა ითქვას, რომ ფეოდალიზმის დამყარებაც ისტორიული პროცესია თავისი ხანგრძლივობით. ამიტომაც ფრანგი ისტორიკოსები, რომლებიც იყენებენ ტერმინ „ფეოდალურ რევოლუციას“, მას განიხილავენ დროში გაწევილ მოვლენად, რომე-

<sup>1</sup> И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, гл. 104-107.

<sup>2</sup> И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, гл. 104.

<sup>3</sup> И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, гл. 104-106.

<sup>4</sup> И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, гл. 107.

ლიც თანდათანობით ცვლის საწარმოო წესებს და შემოაქვს ახალი კულტურული აღმნიშვნელები, გნებავთ ზედნაშენები.

ამასთან დაკავშირებით სტალინი შენიშნავს: «Язык же, наоборот, связан с производственной деятельностью человека непосредственно, и не только с производственной деятельностью, но и со всякой иной деятельностью человека во всех сферах его работы – от производства до базиса, от базиса до надстройки. **Поэтому язык отражает изменения в производстве сразу и непосредственно, не дожидаясь изменений в базисе.** Поэтому сфера действия языка, охватывающего все области деятельности человека, гораздо шире и разностороннее, чем сфера действия надстройки. Более того, она почти безгранична. **Этим прежде всего и объясняется, что язык, собственно его словарный состав, находятся в состоянии почти непрерывного изменения.** Непрерывный рост промышленности и сельского хозяйства, торговли и транспорта, техники и науки требует от языка пополнения его словаря новыми словами и выражениями, необходимыми для их работы. И язык, непосредственно отражая эти нужды, пополняет свой словарь новыми словами, совершенствует свой грамматический строй».<sup>1</sup> აქ საგანგებოდ მოვიყვანე სრული ციტატა, რადგან სტალინი საუბრობს იმაზე, რომ ენა დაუყონებლივ ითვისებს სიახლეებს. ბაზისის ცვლილების სისწრაფის მიუხედავად, ამ ლექსიკურ ცვლილებას განვითარებული პროცესები განაპირობებენ, რადგან ჩნდება ახალი მიმართულებები და მეცნიერებები, რომელთაც შესაბამისი ლექსიკა სჭირდება. თუმცა ჩვენ მიერ განსახილველ მასალებში ძირითადად იქნება მხოლოდ ის ლექსიკური მონაცემები, რომლებიც თავისუფალი მწარმოებლის, დამოკიდებულის და ექსპლოატატორის აღმნიშვნელად იხმარებოდა შუა საუკუნეებში. ამიტომაც ტერმინოლოგიური ცვლილებები ყოველთვის კლასობივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ, მით უმეტეს, თუ ენის კლასობრიობაზე ან მის უარყოფაზე ვსაუბრობთ. მართალია, გადამატებული იქნებოდა ზოგიერთი მათგანის მარქსიტული თეორიისთვის მორგების ცდები, თუმცა, როდესაც ეკონომიკურ ბაზისზე ვსაუბრობთ და საკითხებს კლასობრიობის კონტექსტში განვიხილავთ, მარქსიზმი აუცილებელი იარაღია მეთოდოლოგიური კვლევისა და მსჯელობებისთვის. ბრმად

---

<sup>1</sup> И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, гл. 108. ხაზგასმა ჩემია – ა. წ.

მორგება კი, რა თქმა უნდა, არ ეგების, რადგან საბჭოთა ენათმეცნიერებასა და ისტორიოგრაფიაში გამართულმა კამათებმა ნიკო მარის თეორიის წინააღმდეგ ეს ნათლად დაგვანახა.

არნ. ჩიქობავას მიხედვით, ენა რომ კლასობრივად მივიჩნიოთ, ის ინდივიდუალურ მოვლენად უნდა გამოვაცხადოთ. ამიტომ ის არგუმენტი, რომ მას, კლასობრივი ბრძოლისას იყენებენ, ვერ გამოდგება, რადგან ენა ორივე კლასისთვის შეიძლება იყოს ბრძოლის იარაღი და, ასევე, ცალკეული ინდივიდისთვისაც.<sup>1</sup> მისივე თქმით, ენის კლასობრიობის დამცველებს არ გააჩნდათ კრიტერიუმები, რის საფუძველზეც გამოაცხადებდნენ, რომ ენა კლასობრივია.<sup>2</sup> ამ პროცესებში შეიძლება გაჩნდეს კლასობრივი დიალექტები და ჟარგონი, მაგრამ მათი წარმოშობა ენად არ უნდა გამოცხადდესო, – ხაზს უსვამდა სტალინი.<sup>3</sup> არნ. ჩიქობავას არასწორ ფორმულირებად მიაჩნდა სხვადასხვა კლასის მეტყველების ენად წარმოჩენა, ენის – სიტყვის პირდაპირი გაგებით. 1952 წელს გამოცემული მისი „ენათმეცნიერების შესავლის“ გარკვეული ნაწილი სწორედ კლასობრივი ენის არარსებობას ამტკიცებს. კლასობრივ ენათა არსებობა ფაქტებით არ დასტურდება. მისი განმარტებით, ენა კლასებზე ადრე წარმოიშვა და კლასების გაქრობის შემდგომაც იარსებებს.<sup>4</sup> აღნიშნული წიგნი ხელმეორედ 2008 წელს გამოიცა გუჩა კვარაცხელიას რედაქტორობით, საიდანაც ამოღებულია ის თავები და აბზაცები, რომლებშიც არ. ჩიქობავა მარქსისტულ ლიტერატურას უთითებდა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს სისტემის ზეწოლის შედეგად განხორციელდა და წიგნის მთლიანობას არ დაარღვევდა. წიგნიდან ამოღებულია ის ნაწილი, რომელიც ენის ბაზისისა და ზედნაშენობის საკითხს შეეხებოდა, ასევე, შესაბამისად, კლასობრივი ენის არსებობა-არარსებობის თეორიაც. 2018 წელს გამოიცა თინათინ ბოლქვაძის წიგნი „საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა“, სადაც ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ თავებისა და აბზაცების ამოღება არღვევს წიგნის ქსოვლს, ვინაიდან ის ნათლად ასახავდა იმ დისკუსიას, რომელიც საბჭოთა ენათმეცნიერებაში მიმდინარეობდა ნიკო მარის მემკვიდრეობის შესახებ.<sup>5</sup> მით უმეტეს, რომ ეს მოსაზრებები მზადდებოდა იაფეტური თეორიის წინააღმდეგ და ეს მზა-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 39.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 40.

<sup>3</sup> И. В. Сталин. Марксизм и вопросы языкознания, гв. 110.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 43, 45.

<sup>5</sup> თ. ბოლქვაძე. საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა. თბ. 2018, გვ. 195, 197.

დება კარგადაა ნაჩვენები ზემოხსენებულ წიგნში.<sup>1</sup> სრულიად ვიზიარებ თ. ბოლქვაძის მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ ეს ნაწილები კონკრეტული თეორიის წინააღმდეგ შექმნილი ნააზრევის ერთობლიობა იყო და, შესაბამისად, ისეთი საკითხების ამოღება, როგორცაა ენის კლასობრიობა და მისი ზედნაშენობის უარყოფა, სრულიად აზიანებს მის შინაარსს. ენის კლასობრივი განზომილება ამ ნაშრომებიდან სრულებითაც არ არის ჩემთვის დადასტურებული, მეტიც, არც უარყოფილი.

1932 წელს გამოცემულ საუნივერსიტეტო კურსში „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა. ნაწილი პირველი“, რომლის ავტორები არიან გ. ახვლედიანი და არნ. ჩიქობავა, შევხვდებით ასეთ ქვეთავს: „ენა იდეოლოგიური მონაცემია“, რომელშიც ვკითხულობთ: ენა იდეოლოგიურ მონაცემს წარმოადგენს. კლასობრივია ყოველი იდეოლოგია; კლასობრივია ენაც, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი სახეობა. ენობრივი მონაცემი იშვიათად თუ არის მხოლოდ ობიექტური მონაცემი. მას თან ახლავს ემოციური იერი, რომელშიაც უკუფენას პოულობს სიტყვის სოციალური აქცენტი. იგივე ემოციური იერი თავისებურად წყვეტს ლექსიკის საკითხს და ქმნის სტილის თავისებურებას. ამაში აისახება ყველაზე მკვეთრად სოციალურ და, კერძოდ, კლასობრივ თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ენაში. სტილისა და სემასიოლოგიის გარდა, მან სიტყვაწარმოებაშიც შეიძლება ჰპოვოს გამოხატულება. თუმცა აქ გაცილებით ნაკლები შესაძლებლობაა; მორფოლოგია (ბრუნვა-უღვლილება) და ფონეტიკა კი მაქსიმალურად ნეიტრალური სინამდვილეა ენაში, როგორც იდეოლოგიურს მონაცემში (ამას თავისი მიზნები აქვს: მათი განხილვა აქ უადგილო იქნებოდა). ენის, როგორც იდეოლოგიური მონაცემის საკითხი ენათმეცნიერებაში ნაკლებად არის დამუშავებული. ამიტომაც ჩვენ გამოვყავით ის მომენტები, რომლებიც უფრო მკვიდრად დადგენილად შეიძლება იქნეს მიჩნეული. იგივე უნდა ითქვას ენის კლასობრივი ბუნების შესახებ, ოღონდ ამას ერთი რამ უნდა დაემატოს; მართლია, ინდოევროპეისტიკამაც გვერდი ვერ აუარა ამ საკითხის დასმას, მაგრამ ენათმეცნიერული აზროვნების გულისყური მას აკად. ნ. მარმა უკანასკნელი წლების ნაშრომში მიაპყრო; პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ენათმეცნიერებაში მის დამსახურებას შეადგენს”.<sup>2</sup>

<sup>1</sup> თ. ბოლქვაძე. საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა, გვ. 134-174.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა. ნაწილი პირველი. ტფ. 1932, გვ. 13-14.

კლასობრივი ენის საკითხი ფეოდალურ ურთიერთობებზე (არა მარტო ქართულში) დაკვირვების პროცესში ჩემთვის ძალზე საინტერესო საკითხად მოჩანს, არა მარტო შუასაუკუნეობრივ წყობილებათა, არამედ თანამედროვეობის ენობრივი პროცესებიდან გამომდინარე. საინტერესოა თუ როგორ იმკვიდრებს ახალი ქართული სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის. ესა არის თანამედროვე ე.წ. საზოგადოებრივი ინსტიტუტების „ენა“, უწინარესად კი, მას შეგვიძლია არასამთავრობო სექტორის (ენჯეო) „ენა“ ვუწოდოთ, რომელიც, ალბათ, ხშირად კლასობრივ ასპექტსაც ატარებს.

როგორც უკვე ბევრჯერ აღინიშნა, სოციალურ-პოლიტიკური წყობა ახალ ნიშნებს აყალიბებს და ხშირად ამ ნიშნების გამიფრვა-კვლევა სისტემის ამოცნობის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ხდება. ამიტომაც ჩემთვის მნიშვნელოვანია ფეოდალური წესრიგის დროს გაჩენილი ინსტიტუტებისა თუ სოციალური ტერმინების განხილვა. სტალინის გავლენით საბჭოთა ენათმეცნიერებაში ენის ამგვარ გამოვლინებას კლასობრივი ჟარგონი და დიალექტი ეწოდა, თუმცა ჩემთვის ამგვარი სიტყვების შესწავლისას სწორედ კლასობრივ ასპექტში დაკვირვებაა მნიშვნელოვანი. ჩემი კვლევის ობიექტებია კლასობრივი ბატონობის, ბატონისა და დამოკიდებულის და სხვა სოციალური მნიშვნელობის სიტყვების შესწავლა.

ერთგან უკვე აღვნიშნე „სოციალური ენის კრახის“ შესახებ, თუმცა ის ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების სამხილად მოვიყვანე. ახლა კი შევადაროთ რამდენიმე ენის მონაცემები ერთი და იგივე სოციალურ-პოლიტიკური მახასიათებლების სისტემის შიგნით. საფრანგეთში ფეოდალური ურთიერთობების დამყარება ახალი ლექსიკით აღინიშნა, ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა ბატონობასთან დაკავშირებული სიტყვები:

**Dominus** XI საუკუნემდე საფრანგეთში მხოლოდ ღმერთის აღმნიშვნელად იხმარებოდა, XI საუკუნიდან კი მან ახალი აღმნიშვნელი შეიძინა, რომელიც სოციალური ასპექტის მატარებელი იყო. ამიერიდან ის ნებისმიერი სენიორის, ბატონის, ციხის მეპატრონის აღმნიშვნელი გახდა. მართალია, სიტყვა **Dominus** რომაულ სამყაროშიც ბატონს ნიშნავდა, თუმცა აქ შუა საუკუნეების ენობრივი მახასიათებლებია განხილული.

საფრანგეთში კი მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც იურიდიული დოკუმენტებითაა დადასტურებული, მათ შორის, საეკლესიო ჩანაწერებითაც. დაახლოებით ასეთივე პროცესი გვაქვს საქართველოში. უფალი თავდაპირველად საკრალური მნიშვნელობის იყო და მხოლოდ ღმერთის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა. IX-X საუკუნეებიდან კი ბატონის, პატრონის/სენიორის აღმნიშვნელად იხმარება. მსგავს ცვლილებასთან გვაქვს საქმე სომხურ ენაშიც – **Տէր** (ტერ), ჯერ ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. თითქმის ქართული რეალობის პარალელურად სომხურშიც ბატონის, სენიორის მნიშვნელობა შეიძინა.<sup>1</sup> **Господин – владыка, повелитель, хозяин** (მფლობელი, მმართველი, ბატონი), სიტყვა **Господ-ისგანაა** ნაწარმოები<sup>2</sup>. ძველ რუსეთში, კერძოდ, კი ე.წ. ფსკოვის რესპუბლიკაში არსებობდა „გოსპოდების“ საბჭო, ასე რომ, **«на суд пред господою»** ერთნაირად აღნიშნავდა როგორც საღმრთო სამსჯავროზე წარდგომას, ისე ფსკოვის ბატონთა საბჭოს წინაშე წარდგომას.<sup>3</sup> მართალია, ფსკოვის რესპუბლიკას ფეოდალური არ ეთქმის, თუმცა ენობრივი მონაცემის საილუსტრაციოდ გამოდგება.

ქართულ და სომხურ ტერმინებს უფრო მეტი მსგავსება ახასიათებთ კულტურების სიახლოვის გამო. როგორ „მამფალი“, „მამაუფალი“ უფალ ფუძეს შეიცავს, ასევეა, სომხური სიტყვა ტანუტერი – მამასახლისი, რომლის ფუძესაც წარმოადგენს ტერ (უფალი). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მმართველობასთან დაკავშირებული სომხური ტერმინების უმრავლესობა – „ხაპეტ“, „ნახარარ“, „იშხან“ და ა.შ. – ირანული წარმოშობისაა, ტერ ფუძიან სიტყვებს კი ადგილობრივ, ანუ სომხურ წიაღში შექმნილად მიიჩნევენ,<sup>4</sup> რაც სომხეთში ფეოდალიზაციის პროცესზე მიმანიშნებელი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის კულტურული საფუძველი ქრისტიანობა იყო და ბატონის მორჩილება ღმერთის მორჩილებათა იყო გაიგივებული. სისტემა ერთნაირად მოქმედებდა ყველგან, გეოგრაფიული არეალის მიუხედავად, რადგან ის თავისუფალი

<sup>1</sup> გრ. აჭარიანი. სომხური ენის ფუძისეული ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ერევანი. 1979, გვ. 401-402 (სომხურ ენაზე); ლეონ მელიქსეთ-ბეგი. სომხურ-ქართული ლექსიკონი. ლექსიკონი გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მერაბ რობაქიძემ. თბ. 1996, გვ. 304; Толковый словарь армянского языка. Составил СТ. Малхасянц. Ер. 1944, გვ. 409 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> Словарь церковно-славянского и русского языка. Т. 1. Составленный Вторым отделением Императорской академией наук. СПб. 1847, გვ. 204-205.

<sup>3</sup> В. Тулупов. Совет Господ. Русь Новгородская. Москва. 2009, გვ. 288.

<sup>4</sup> გ. მაისურაძე. ადრეული შუა საუკუნეების საქართველოსა და სომხეთის საზოგადოებათა სოციალური ბუნების საკითხისათვის. ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში. თბ. 2002, გვ. 10.

მწარმოებლის გაქრობისა და ახლად გაჩენილ კლასზე ბატონობისკენ იყო მიდრეკილი.

ბატონობის ახალ ფორმებთან ერთად იქმნებოდა ახალი ტერმინები, შესაბამისად, შეიქმნა ან ტრანსფორმირდა დამორჩილებული კლასის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც, ჩემი დაკვირვებით, ნეგატიური შინაარსის მატარებელია და ეს დამთხვევა არ უნდა იყოს. დამორჩილებული/ექსპლოატირებული კლასის ენაში გაფორმება სწორედ მათი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური დაკნინების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ფეოდალურ საქართველოში უშუალო მწარმოებელ ძალას გლეხობა წარმოადგენდა. მათი მიწაზე მიმაგრება და თავისუფლების წაგვრა ფეოდალთა დოვლათში გამოიხატებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ტერმინი გლეხი პირველად ფავნელის დაწერილში გვხვდება, თუმცა მისი მეზეგრეობის სტატუსი უკვე კარგა ხნის დამყარებული უნდა იყოს. გლეხის ყველაზე ადრინდელი ხსენება ნათრამნ ტექსტებშია დაფიქსირებული – „რიფსიმიანთა წამების წიგნში“. დედანში გლეხის ადგილას „ამბოხია“ ნახსენები, რაც ქართული „ერი“ შესატყვისია, თუმცა აზნაურთან საპირისპიროდ ქართველ მთარგმნელს არა „ერი“, არამედ „გლეხი“ გამოუყენებია. აღნიშნულ თარგმანს ილ. აბულაძე VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს.<sup>1</sup> X საუკუნეში გადაწერილ სვანურ მრავალთავში გლეხი სომხურ „რამიკს“ შეესაბამება. სომხეთში კი ისინი სოციალურ წრეს წარმოადგენდნენ, როგორც ამას ა. ბოგვერაძე მიიჩნევს, რაც უჩინოს, უაზნოს ნიშნავს.<sup>2</sup> ილ. აბულაძეს ტერმინი გლეხი გლახაკიდან მომდინარედ მიაჩნია,<sup>3</sup> რაც, ჩემი დაკვირვებითაც, მართებულად უნდა ჩავთვალოთ. ა. ბოგვერაძის აზრით, გლახაკი უფრო ეკონომიკური კატეგორიაა (არაფრის მქონებელს, ღარიბს განეკუთვნება), ვიდრე სოციალური. თუმცა მიიჩნევს, რომ ადრე გლეხსაც ღარიბი-ღატაკის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ისიც მას გლახა/გლახაკიდან მომდინარედ მიიჩნევს.<sup>4</sup> ლეონტი მროველთან გლახაკი დავრდომილის და უქონელის მნიშვნელობით იხმარება რვაჯერ, ჯუანშერთან ექვსჯერ და აქაც დავრდომილისა და უქონელის აღმნიშვნელია. „არჩილის

<sup>1</sup> ილ. აბულაძე. ძველი ქართულის ლექსიკონიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ. I. 1959, გვ. 170.

<sup>2</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1961, გვ. 123.

<sup>3</sup> ილ. აბულაძე. ძველი ქართულის ლექსიკონიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, გვ. 175.

<sup>4</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 120, 123.



ცხოვრებაში“ სიტყვა გლახაკი საერთოდ არ იხსენიება. „მატიანე ქართლისაჲში“ ხუთ-ჯერ იხმარება და მხოლოდ ერთგანაა აზნაურის საპირწონედ დასახელებული: „ბაგრატ პირველ იყო კურაპალატი და შემდგომად ნოველისიმოსი და მერმე იქმნა სევასტოს. იყო კაცი სახითა უშუენიერესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სჯანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე შეცოდებულთათჳს, უხუ გლახაკთა ზედა. ხოლო ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარებაჲ არა ჰქონდა: ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს“<sup>1</sup>

თუ ამ მოსაზრებას გავყვებით, ახალმა სოციალურმა ენამ უშუალო მწარმოებელი აღნიშნა ისეთი ტერმინით, რომელიც ადრე ღარიბს/უქონელს ნიშნავდა, რითაც, ჩემი აზრით, ხაზი გაუსვა მის კლასობრიობას. ფენა, რომელიც ძირითადი დოვლათის შემქმნელი იყო იმ დროისთვის, დამაკნინებელი ტერმინით შეხვდა ახალ წყობას. ამგვარად, ენამ შემოინახა ექსპლოატირებული კლასის დაკნინების, მათი სრული დაყმევების სამხილები.

ტერმინ გლეხის შექმნის დაახლოებით იდენტური ფაქტი აქვს აღწერილი საფრანგეთში ჟ. დიუბის. მისი თქმით, როდესაც ახალი წყობილება იკიდებდა ფეხს, ის განახლებული ლექსიკით შემოვიდა. საეკლესიო ენამ თავისებურად განსაზღვრა მიწაზე მიმაგრებული ადამიანის სახელი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სიტყვა Laborator (მშრომელი), ის უგულვებელყოფილ იქნა და დამკვიდრდა Villanus და Rusticus. ვილანუსი თითქოს ლათინური სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ, დიუბის დაკვირვებით, მას მდაბიოს, უღირსის მნიშვნელობით ხმარობდნენ იმ დროის საფრანგეთში. ყველა ეს სიტყვა თითქოს მიმართული იყო კაროლინგური სისტემის შესანარჩუნებლად, რეაქცია იყო ახლის მიმართ. თუმცა, დიუბის თქმით, ორივე სისტემა დამორჩილებულის მონად აღნიშვნის მომხრე იყო.<sup>2</sup>

მსგავსება შეგვიძლია დავინახოთ რუსულ სიტყვაში Подлый<sup>3</sup> რომელიც მდაბი-

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲ“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 297.

<sup>2</sup> Жорж Дюби. Трехчастная модель, или Представления средневекового общества о себе самом. Пер. с фр. Ю. А. Гинзбург. Москва. 2000, გვ. 142, 147-151.

<sup>3</sup> Подлый- ის, როგორც მდაბიო-უღირსი ადამიანის აღსანიშნავად იყენებენ აკადემიურ გამოცემებშიც. მაგ. იხ. Абу-л-Хасан `Али ибн ал-Хусайн ибн `Али ал-Мас`уди. Золотые копи и россыпи самоцветов (История Аббасидской династии: 749-947 гг.). Сост., пер. с араб., прим., комм. и указатели Д. В. Микульского. Москва. 2002, გვ. 263.

ოს, უღირს ნიშნავს. მან ეს მნიშვნელობა XVIII საუკუნეში შეიძინა, მანამდე კი უბრალო ხალხს აღნიშნავდა. გამოიყენება ასევე გლეხისა და ხოლოპის ჰიპონიმად. სიტყვა სლავური ძირისაა და შესაბამის ენებში მოიძებნება ადეკვატური შესატყვისები.<sup>1</sup> ინგლისურად გლეხის შესატყვისი **Villain**-ს ასევე გააჩნია ნეგატიური მნიშვნელობა, ბოროტისა და ბოროტმოქმედის სახით. იტალიური **Villano** ლათინური ძირის მატარებელია და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ვილაში მუშაობს, ასევე აღნიშნავს გლეხსაც. მანაც შეიძინა ნეგატიური ფორმები, რაც აშკარად კლასობრივი გამოძახილია ქვედაფენებისადმი. იტალიურ ტექსტებში ის უხემ, უღირს ადამიანს აღნიშნავს.<sup>2</sup> ასევე, ესპანური სიტყვა **Campesino**/გლეხი ესპანურ მეტყველებაში აღნიშნავს უხემ/უღირს ადამიანს. საგულისხმოა, რომ ფრანგულში არსებული სიტყვა **Vile** ავაზაკი, მდაბიური, სწორედ ვილანუსიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

მდაბიო/მდაბიონი/მდაბური/მდაბიორი – ყველა ეს სიტყვა IX საუკუნემდე ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში თავისუფალი მწარმოებლის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა. ის აღნიშნავდა ადამიანს, რომელიც დაბაში ცხოვრობდა.<sup>3</sup> მას შემდეგ, რაც ფეოდალურმა ურთიერთობებმა მომძლავრება იწყო, როგორც ვიცით, დაბის ადგილი თანდათან დაიკავა სიტყვა სოფელმა. ადრე თუ სოფელი მსოფლიოს აღნიშნავდა, IX საუკუნიდან ის უკვე ძირითადად დღევანდელი მნიშვნელობით იხმარება. ა. ბოგვერამის აზრით, „მდაბიო“ დაბის/სოფლის მკვიდრს ეწოდებოდა ადრეფეოდალურ საქართველოში, მაგრამ მას ასევე ჰქონდა სოციალური მნიშვნელობაც. რუის-ურბნისის დადგენილებაში მდაბიო, როგორც სოციალური კატეგორია, აზნაურს უპირისპირდება.<sup>4</sup> გ. მელიქიშვილი „ეკსტათი მცხეთელის“ ტექსტზე დაკვირვებით ფიქრობდა, რომ „მდაბიო“, როგორც სოფლის, ისე ქალაქის წარმომადგენელსაც ნიშნავდა, ასევე, მისი გამოყენება მეთემეს მნიშვნელობითაც დასაშვებად მიაჩნია.<sup>5</sup> საწარმოო ურთიერთობების გადრმავებამ გამოიწვია ახალი ტერმინის – გლეხის – გაჩენა, რომელიც მწარმოებელი ძალის აღმნიშვნელად იხმარებოდა. რადგან უკვე თავისუფალი მწარმოებელი

<sup>1</sup> Словарь церковно-славянского и русского языка. Т. 3. составленный Вторым отделением Императорской академией наук. СПб. 1847, გვ. 259.

<sup>2</sup> იტალიურის განმარტებითი ლექსიკონი: [http://www.treccani.it/enciclopedia/villano\\_%28Enciclopedia-Dantesca%29/](http://www.treccani.it/enciclopedia/villano_%28Enciclopedia-Dantesca%29/) (ბოლო ნახვა – 2018 წლის 23 აგვისტო).

<sup>3</sup> ა. ბოგვერამე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 110.

<sup>4</sup> ა. ბოგვერამე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 112.

<sup>5</sup> Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959, გვ. 401-402.

აღარ არსებობდა, „მდაბიომ“ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ნეგატიური შინაარსი შეიძინა, ის ახალი მნიშვნელობით აღიჭურვა. მართალია, კლასობრივად ცალკე არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ გლეხზე უფრო დაბალ საფეხურზე იდგა. XII საუკუნიდან მოყოლებული<sup>1</sup> სიტყვა მდაბიომ თითქმის დღევანდელი მნიშვნელობა შეიძინა.

ხალხის აღმნიშვნელი სიტყვების ამდაგვარი ტრანსფორმაცია შეინიშნება ესპანურსა და ფრანგულ ენებში. ესპანური სიტყვა **Pueblo**, რომელიც ლათინური **Populus**-იდან მომდინარეობს, შუა საუკუნეებში ქალაქსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აღმნიშვნელთან ერთად იქნენ ნეგატიურ მნიშვნელობას, მდაბიოსა და უღირსი ადამიანის აღმნიშვნელად. ასევე, საინტერესოა ლათინური სიტყვა **Vulgus/Vulgatus** რაც ხალხის, ადამიანების გაერთიანებას აღმნიშვნელია. გვიან შუა საუკუნეებში კი, დაახლოებით 1530 წლის შემდეგ, მან შეიძინა ვულგარულის თანამედროვე მნიშვნელობა და მიემართებოდა ქვედა კლასებს, რაც ამჟამად ენაში გაჩენილი კლასობრივი ხასიათის გამოვლინებაა.<sup>2</sup>

ზოგადად, ხალხის აღმნიშვნელად ქართულში გამოიყენებოდა სიტყვა „ერი“, რომელიც ადამიანების გაერთიანებას ნიშნავდა, მიუხედავად იმისა, სად მოსახლეობდა ის, სოფელში, ხევსა თუ ქალაქში. ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებამ შეცვალა „ერისადმი“ ენობრივი დამოკიდებულებაც. მიჩნეულია, რომ ერი იყო ის ერთობა, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო ჩართული, სამხედრო სამსახურში კი, ძირითადად, აზნაურული წარმომავლობის საზოგადოება იყო წარმოდგენილი. „ერი“, ზოგადად, მთელი მოსახლეობის აღსანიშნავად იხმარებოდა, თუმცა მოგვიანებით გაიმიჯნება. თუ ადრე მოლაშქრეს ნიშნავდა (ანუ როცა მთელი მოსახლეობა იღებდა ლაშქრობაში მონაწილეობას), მოგვიანებით სოციალური დატვირთვა მიენიჭა.<sup>3</sup> ჩემი დაკვირვებით, ტერმინი „ერი“ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი კლასის პირებს მიემართება – აშოტის ყოველი ერი, ჩორჩანელის ერი, ბაგრატის ან სხვა მეფეთა თუ დიდე-

<sup>1</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 118.

<sup>2</sup> ეტიმოლოგიური ონლაინლექსიკონი: [https://www.etymonline.com/word/vulgar#etymonline\\_v\\_7897](https://www.etymonline.com/word/vulgar#etymonline_v_7897) (ბოლო ნახვა 23 აგვისტო 2018 წელი). ასევე, იხ. ტერმინის ზოგადი ცვილებები ლათინურთან მიმართებით. Igor Filippov. *Vulgate Versus Vetus Latina: The Choices of Caesarius of Arles*: [https://www.academia.edu/36458107/Vulgata\\_versus\\_Vetus\\_Latina\\_The\\_Choices\\_of\\_Caesarius\\_dArles.pdf](https://www.academia.edu/36458107/Vulgata_versus_Vetus_Latina_The_Choices_of_Caesarius_dArles.pdf) (ბოლო ნახვა – 2018 წლის 23 აგვისტო).

<sup>3</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 202-204.

ბულთა ყოველი ერი წარმოადგენს იმ მოლაშქრე ადამიანებს, იმ დიდებულებს, რომლებიც მათ თან ახლავთ ან მათ ნობილიტეტში განიხილება. ზ. კიკნაძე ერს სოციალურ-პოლიტიკურ ერთობად განიხილავს.<sup>1</sup> ამ ბოლო დროს გ. მაჭარაშვილს საინტერესო დაკვირვება აქვს „ერისა“ და „არა ერის“ ურთიერთმიმართებაზე. „ერსა“ და „არა ერს“ ის განიხილავს რელიგიურ კონტექსტში, ქრისტიანისა და არაქრისტიანის შეპირისპირებით.<sup>2</sup> ასევე, საინტერესო დაკვირვება აქვს ს. ქადაგიშვილს, იგი „ერს“ განიხილავს, როგორც გარკვეულ ერთობას.<sup>3</sup> აქედან გამომდინარე, ვიზიარებ ს. ჯანაშიას დაკვირვებას ტერმინ „წვრილი ერის“ გაჩენასთან დაკავშირებით. როდესაც XI საუკუნის ავტორი ხმარობს ტერმინს „წვრილი ერი“, ესეც სოციალური დაყოფის მანიშნებელია. ს. ჯანაშიას აზრით, „წვრილი ერი“ მმართველი ელიტის მიერ შერქმეული ტერმინი უნდა იყოს, რაც კარგად ასახავს კლასობრივ დაპირისპირებას.<sup>4</sup>

ასეთია ზოგადი დაკვირვება იმ ტერმინებზე, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობების წიაღში წარმოიშვა. დამოკიდებულის აღმნიშვნელი ყველა სიტყვა თითქმის ყველა კულტურულ სივრცეში ნეგატიურ მნიშვნელობას იძენს, რასაც კლასობრივი სარჩული უნდა ჰქონდეს. საწყის ეტაპზე, ანუ ადრეული ფეოდალიზმის ეპოქაში გაჩენილი სიტყვები აშკარად „ზემოდან“ შექმნილი ტერმინებია, რომლებმაც სამწერლობო ენაში გაიმყარა პოზიციები, რადგან წერა-კითხვა უპირობოდ მმართველი ფენის პრეროგატივა იყო, როგორც ეკლესიის, ისე საერო დიდებულებისა. გარკვეული ნეგატიური მნიშვნელობები, სავარაუდოდ, ჯერ მეტყველებაში გაჩნდა და შემდგომ დაიმკვიდრა ადგილი სალიტერატურო ენაში.

ზემოთ განხილულ სიტყვებზე დაკვირვების შედეგად თითქოს მართებულად მოჩანს ნ. მარის ჰიპოთეზა, რომ სხვადასხვა ერის მაღალი კლასების ენა უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე ერთი და იმავე ხალხის სხვადასხვა კლასის ენა. ჩვენ ვნახეთ, რომ სხვადასხვა კულტურაში, ზოგჯერ იდენტურ ეპოქებში, ზოგჯერაც სრულიად განსხვავებულ პერიოდში სენიორალური სისტემის ქვედა საფეხურზე მდგომი

<sup>1</sup> ზ. კიკნაძე. ნათესავიდან ერთმდე. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი. თბ. 2002, გვ. 17-18.

<sup>2</sup> გ. მაჭარაშვილი. „ერისა“ და „არა ერის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში. ჟურნ.: „ქართველოლოგია“. №6. თბ. 2014, გვ. 92-97.

<sup>3</sup> ს. ქადაგიშვილი. ეთნიკურობის პერცეფცია ქართულ ჰაგიოგრაფიაში (VIII-X სს.). ჟურნ.: „სპეკალი“. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/122> (ბოლო ნახვა – 2018 წლის 28 აგვისტო).

<sup>4</sup> ს. ჯანაშია. შრომები. ტ. I, გვ. 272.

ხალხის, უშუალო მწარმოებელი კლასის აღმნიშვნელი ტერმინები როგორ იძენს ნეგატიურ მნიშვნელობას ან უარყოფითი სიტყვების ფუძისგან წარმოდგება. ამით სისტემა ერთნაირად მუშაობს: ფენა, რომელსაც ისინი ექსპლუატაციას უწევენ, უნდა დაემცროს, რათა მათი ბატონობა სამართლებრივად განმტკიცდეს. ტერმინების გაჩენა-ტრანსფორმაციაზე დაკვირვებით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების პროცესში თუ როგორ საწარმოო ურთიერთობებთან გვეკონდა საქმე. დამოკიდებულის აღმნიშვნელ ტერმინზე დაკვირვებით შეგვიძლია მოვხაზოთ პერიოდი თავისუფალი მწარმოებლის გაქრობისა და მათ ნაცვლად თავისუფლებადაკარგული მწარმოებელი კლასის გაჩენისა.

სრულებით ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ენა არ შეიძლება იყოს არც ბაზისი და არც ზედნაშენი. მიუხედავად ამისა, ჩემი დაკვირვებით, „ენა“ შესაძლებელია იყოს კლასობრივი სოციალურ-პოლიტიკური ტეხილების დროს, გარდამავალ პერიოდებში. ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისას ენაში გაჩენილი სოციალური ტერმინები ისე მუშაობს, თითქოს პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება ერთი ჯგუფის მიერ მეორეზე ერთგვარი სამართლიანობის მატარებელი იყოს. მმართველი ფენა ახორციელებს ჯგუფების მონიშვნას და მათ სახელდებას, რადგან მათგან მიღებული სარგებელი, რომელიც ახალი ფორმაციის მიერ მოტანილი ეკონომიკური წესრიგია, რამენაირად იურიდიულ ჩარჩოებში მოექცეს. შესაბამისად, ენა მუშაობს კლასობრივი მახასიათებლებით, როდესაც სისტემა ან ახალ წესრიგს ერგება, ანდაც ძველის შენარჩუნებას ცდილობს.

## თავი IV

### გაციხონება

კოცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპს შესაბამისი ტექნოლოგიური პროგრესი ახლავს თან, ეს იქნება სამუშაო იარაღის გამოგონება-გაუმჯობესება თუ უკვე შექმნილი იარაღით ახალი ტიპის არქიტექტურული სირთულეების დაძლევა. თავდაცვითი ნაგებობებიც ამგვარი განვითარების დიალექტიკურ ნუსხაში უნდა მოვათავსოთ. თავდაპირველად ადამიანი ბუნებრივად გამაგრებულ ადგილებს აფარებდა თავს და მისთვის თხრილის შემოვლებით კმაყოფილდებოდა. განვითარებასთან ერთად იცვლება და ვითარდება თავდაცვითი ნაგებობების სირთულე თუ ტექნიკური მაჩვენებლები.

განვითარების საწყის ეტაპზე, ე.წ. პრიმიტიული კომუნიზმის პირებში, როდესაც ადამიანი კოლექტიურ შრომას ეწეოდა, დასახლება გორებად ხდებოდა. გამრავლებასთან ერთად იცვლება გორების ტიპები და ჩნდება განკიდული და განმხოლოებული გორა, სადაც ვხვდებით თავდაცვით და გამაგრების ერთ-ერთ პირველ ნიმუშებს. თავდაცვითი ნაგებობების ზუსტი წარმოშობისა და განვითარების თვალის გადევნება ცოტათი ძნელია. თუმცა გარკვეულ ხარვეზებს არქეოლოგიური განათხარი მასალა ავსებს, რის შედეგადაც მეტნაკლებად დიალექტიკური სურათის წარმოდგენა შეგვიძლია.

ციხე-სიმაგრე თავიდანვე ძალაუფლების სიმბოლოსთან ასოცირდება, თუმცა სოციალური განვითარების შესაბამისად მას სხვადასხვა დროს განსხვავებული ფუნქციები აკისრია. ის წარმოგვიდგება როგორც ე.წ „თავადობის“ ნიშანი, ქვეყნის დაპყრობის ნიშანი, ციხე, როგორც ადმინისტრაციული მოხელის ძალაუფლების ნიშანი, ციხე, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ნიშანი.<sup>1</sup> ციხეების შესწავლისას უნდა გავიაზროთ სხვა ქვეყნების გამოცდილებები, კერძოდ კი, ფრანგი მედიევისტების კვლევები ციხე-სიმაგრის ფუნქციების განვითარებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ყოველი ტერმინი, რომელიც შეესაბამება ციხე-კოშკს, ციხე-სიმაგრეს, ციხე-დარბაზს, ციხე-ქალაქს, ისევე როგორც ჩვენთან,

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 115.

ევროპაშიც სოციალური განვითარების თუ ტეხილის შესაბამისია.

მაგალითისთვის სლავურ ენებში წარმოითქმება როგორც **Замок** (რუს.), **Zamek** (პოლ.), რაც ჩაკეტვასთან, თავდაცვასთან ასოცირდება. ძველი ფრანგული სიტყვა *donjon*, რომლითაც აღინიშნება კოშკის განსაკუთრებული სახეობა (კოშკი, რომელიც თავდაცვით და საცხოვრებელ ფუნქციას ითავსებს და ფეოდალური საფორტიფიკაციო არქიტექტურის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, განსხვავებით უბრალოდ კოშკის აღნიშვნელი ლა ტოურ), ძველი ფრანკული (დუნგჰო, დუნჯონ) და პროტოგერმანული (დონგო) სიტყვებისაგან წარმოდგება. ორივე ეტიმოლოგია მიწისქვეშა სარდაფს, საფარს უკავშირდება. მასვე უკავშირდება ძველი საქსონური და ინგლისური დუნგ (სარდაფი), ძველი გერმანული ტუნგ (სარდაფი) და ინგლისური დუნგონ (ციხე, დილეგი). თავად დონჟონის არქიტექტურული ფორმის შესატყვისი ნაგებობა ბრიტანეთის კუნძულებზე შუა საუკუნეებში აღინიშნება ტერმინით კეპ (დაცვა, შენახვა). კიდევ ერთი ვარაუდის თანახმად, დონჟონი უნდა მომდინარეობდეს ლათინური სიტყვისგან დომინიო (ბატონის სახლი).<sup>1</sup>

თუკი ადრე შესაძლოა ციხეს „ერი“ განაგებდა, შესაბამისად, საერთო განკარგვაში იყო. გარკვეული ეტაპიდან ის „ქვეყნის მმართველების“ ხელში გადადის. ამიერიდან ციხეები, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური დაყმევების ინსტრუმენტია. ქვეყანა აღარ ჩაითვლება დაპყრობილად, თუ იქ არსებულ ციხეებს ვერ დაიპყრობ, რადგან მართვა-გამგებლობა სწორედ ამ ციხეებიდან ხორციელდება, ყოველი ციხე კი მის გარშემო არსებულ სოფლებზე აგებს პასუხს.

ყოველი ციხე პასუხისმგებელია მის გარშემო არსებულ ტერიტორიებზე, რომლებიც ციხის შემავალ ნაწილად იწოდება. ის ბატონობს „ქვეყანაზე“, რომელიც მის გარშემო წარმოიქმნება, ან ციხე შენდება კონკრეტული ტერიტორიის დასაპყრობად, რომლის მაგალითები მრავლად მოგვეპოვება: *„რაჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუად ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანად შავშეთისად, ქმნა დიდი ერთგულებად ზაგრატ*

---

<sup>1</sup> Ж. Дюби, Средние века (история Франции) от Гуго Капета до Жанны д'Арк 987-1460. перевод с французского Г. А. Абрамова, В. А. Павлова. М. 2000, гл. 79.

*აფხაზთა მეფისათჳს*“.<sup>1</sup>ციხეების მეშვეობით ხორციელდება სამართავი ტერიტორიის თუ საზღვრების კონტროლი: „წარმოვიდა ა/რჩილ და დაემკვდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე და განანაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა“.<sup>2</sup>

ციხე ასევე მნიშვნელოვანი ატრიბუტია სავაჭრო თუ სხვადასხვა ტიპის გზების დასაცავად. გზის მნიშვნელობიდან გამომდინარე მასზე ყოველთვის შენდება შესაბამისი სიძლიერის საფორთიფიკაციო ნაგებობა, რომელშიც განთავსებული გარნიზონი უზრუნველყოფდა მიმდებარე ტერიტორიების დაცვას და იქ გამავალი ქარავნების თუ სხვა სატრანზიტო საშუალებების უსაფრთხოებას. თუმცა ციხეს გააჩნია ერთგვარი მიზიდულობის ძალაც. ყოველთვის სავალდებულო არაა, ციხე აშენდეს ზუსტად იქ, სადაც გზები გადის. მას შესწევს უნარი გზები მისკენ მიიზიდოს. ამით მისი დანიშნულება ერთი-ორად იზრდება.

ფეოდალიზაციის გზაზე ციხეები წმინდა „საუფლო“ ინსტრუმენტით აღიჭურვება და ამიერიდან ციხე კონკრეტული სენიორის ძალაუფლების მაჩვენებელია, რაც უფრო გამაგრებულ და მიუვალ ციხეს ფლობს ფეოდალი, მით უფრო მეტია მის გარშემო დაყმევებული ტერიტორია და მწარმოებელი ძალა.

ფეოდალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი არის გაციხოვნება, როდესაც ქვეყანა ციხე-სიმაგრეთა ქსელით იფარება, ეს ხელს უწყობს ბოლომდე დამორჩილებელი თავისუფალი მწარმოებლის მიმაგრებას მიწაზე. ციხე, რომელიც ადრე თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა, უკვე სოციალური სტატუსითაც აღიჭურვა და ის სენიორის მთავარ იარაღად გადაიქცა მისადმი ვასალურ მდგომარეობაში მყოფთა სამართავად.

ქართულ წყაროებში ნახსენები არიან აზნაურნი ციხოვანნი და უციხონი, რაც მათ სოციალურ სტატუსზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, ციხოვანნი ყოველთვის მეტი ძალაუფლებით გამოირჩევიან, როგორც საქართველოში, ასევე, დასავლეთ ევროპაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი დიდებული ვერ ფლობს ციხეს, თუმცა უპატრონო ციხე ყოვლად წარმოუდგენელია.<sup>3</sup>

<sup>1</sup> „მატიანე ქართლისაჲ“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 279.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 118.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 125.



ევროპულ მედიევისტკაში სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში „ციხე-სიმაგრის“ როლზე ყურადღება გაამახვილა იტალიელმა ისტორიკოსმა პ. ტუბერმა.<sup>1</sup>

ადრე ითვლებოდა, რომ ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობა უმთავრესად თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა, აღმოჩნდა, რომ ამ ციხე-სიმაგრეთა ძირითადი ნაწილი X-XI საუკუნეებშია აგებული, როდესაც გარეშე მტრების, არაბების, ნორმანებისა და უნგრელების თავდასხმები ჩავლილი ეპიზოდია. თუმცა ციხეები ამ პერიოდის ევროპაში სოკოებივით მრავლდება, რასაც ტუბერმა “Incastelamento”, ანუ „გაციხოვნების“ პერიოდი უწოდა და ახალი ციხეების, ახალი სოციალური სტატუსით აღჭურვა განვითარებული ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელ მოვლენად წარმოაჩინა.<sup>2</sup> სოციალური განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისას და საწარმოო საშუალებების განვითარების შედეგად, ციხე-სიმაგრეები, რომლებიც პოლიტიკურ ცენტრებს წარმოადგენენ ქალაქებად ან ციხე ქალაქებად გარდაიქმნებიან და ახალ სიცოცხლეს იძენენ.

შუა საუკუნეების ციხის წარმოქმნის კიდევ ერთი გზა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე ევროპაში არის ძველი რომაული კასტელუმის გადაქცევა ფეოდალურ სიმაგრედ (საქართველოში ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს გონიოს ციხე). როგორც ცნობილია, რომაული კასტელუმი ძირეულად განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან: ეს უფრო სამხედრო ბანაკის ტიპის კომპლექსია, რომელსაც აქვს ქუჩებისა და კომუნიკაციის ქსელი, ცენტრალური მოედანი შტაბით, ფუნქციის მიხედვით დაყოფილი ნაწილები (საწყობები, ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბანაკები და სხვ.). განსხვავებულია მისი გამაგრების ხაზიც – ხშირად ეს არაა ქვის კედლები და კოშკები, არამედ თხრილები და მიწაყრილები, ხის ღობეები და საგუმბაგოები. ამიტომ რომაული კასტელუმის ტრანსფორმაცია ფეოდალურ ციხედ ხშირად ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი პროცესია. ყველაზე მსხვილი კასტელუმების ადგილას ზოგჯერ ქალაქები აღმოცენდება – ამ შემთხვევაში სამხედრო ბანაკის საკომუნიკაციო ქსელი

<sup>1</sup> об. P. Toubert. Les feodalites mediterraneennes: un probleme d'histoire compare. Structures feodales et feodalisme dans l'Occident mediterraneen. P.-Torino-Roma, 1980.

<sup>2</sup> Ю. Л. Бессмертный. «Феодалная революция» X-XI веков? Журн.: «Вопросы истории», М. 1984. N-1, გვ. 59-60; Ж. Дюби, Средние века (история Франции) от Гуго Капета до Жанны д'Арк 987-1460. перевод с французского Г. А. Абрамова, В. А. Павлова. М. 2000, გვ. 78-89.

საფუძველს უდებს ქალაქის ურბანულ ქსოვილს.

კიდევ ერთი პროტოტიპი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ფეოდალურ ციხეს (ასეთები უფრო მეტად ევროპის ქვეყნებში, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე გვხვდება), ესაა ძველი რომაული ვილის (Villa rustica) გადაქცევა ადგილობრივი სენიორის ან მმართველის ციხე-დარბაზად. აქაც ტრანსფორმაცია ძირეულია და პრაქტიკულად არანაირი ძველი არქიტექტურული ფორმები შენარჩუნებული არაა. რომაულ ვილებს თავდაცვითი ფუნქცია არ ჰქონდათ. იგი სამოქალაქო არქიტექტურის ნიმუში იყო. თუმცა მდიდრული საცხოვრისის გარდა, დიდი ლატიფუნდიების სამეურნეო ცენტრსაც წარმოადგენდა. ასეთივე ცენტრებია შუა საუკუნეების ციხე-დარბაზები, ოღონდ უკვე ფეოდალური მამულების. ხშირ შემთხვევაში სწორედ ძველი რომაული ლატიფუნდიები ტრანსფორმირდა ფეოდალურ მამულებად, ხოლო ვილების ადგილზე ციხეები აიგო.

დაახლოებით ასევე მიმდინარეობს ევროპაში ციხე-ქალაქების წარმოქმნის პროცესი – ანტიკური ხანის ქალაქებისა და დიდი დასახლებული პუნქტების ცენტრალური ნაწილები იზღუდება გალავნებით. რა თქმა უნდა, ასეთი ქალაქი ბევრად პატარაა, ვიდრე რომის იმპერიის არსებობის ხანაში, რადგან ქალაქად ითვლება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გალავანს შიგნით მოყვა. გარეუბნები სოფლებად იქცევა და მათი მოსახლეობა ომის დროს ქალაქის კედლებს აფარებს თავს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი ადრეფეოდალური და ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეების ისტორია, როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე. ყოველ მათგანს წარმოშობისა და განვითარების თავისებური ნარატივი გააჩნია. ის დამოკიდებულია როგორც დავდაცვით, ასევე, სოციალურ და სავაჭრო ფუნქციებზე. კახეთის მაგალითზე მნიშვნელოვანია ციხეების წარმოშობა ე.წ. ცხვრის გზებზე, რომლებიც სამოვრებისკენ მივავალ მარშრუტს აკონტროლებდა და შემდგომში ხელს უწყობდა ამ ციხის მიერ აღნიშნული სამოვრების თუ მის გარშემო მდებარე ტერიტორიების დაპყრობას.<sup>1</sup>

ციხეების შესწავლა ხორციელდება ხანგრძლივი არქეოლოგიური გათხრების

---

<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. I. თბ. 1977.

მეშვეობით და მის გარემოზე დაკვირვებით, რისი ნათელი მაგალითია პარმენ ზაქარაიას და ირაკლი მელითაურის კოლოსალური შრომა.<sup>1</sup>

ფეოდალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი არის გაციხვნება. ქვეყანა ციხე-სიმაგრეთა ქსელით იფარება, რაც ხელს უწყობს ბოლომდე დამორჩილებელი თავისუფალი მწარმოებლის მიმაგრებას მიწაზე. ციხე, რომელიც ადრე თავდაცვით ფუნქციას ატარებდა, უკვე სოციალური სტატუსითაც აღიჭურვა და ის სენიორის მთავარ იარაღად გადაიქცა მისადმი ვასალურ მდგომარეობაში მყოფთა სამართავად.

საქართველო მსგავსებას ავლენს ე. წ. „ფეოდალური რევოლუციის“ პერიოდის ევროპასთან. ამ მხრივ კახეთის ტერიტორია შესწავლილია და მოპოვებული მასალა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.<sup>2</sup>

რა ფუნქციის მატარებელია ციხე?

1. ციხე – პოლიტიკური ხელისუფლების ნიშანი;
2. ციხე – ადმინისტრაციული ხელისუფლების ნიშანი;
3. ციხე – „თავადობის“ ნიშანი;
4. ციხე – ქვეყნის დაპყრობის ნიშანი.<sup>3</sup>

5. ბერძენიშვილის აზრით, ვინც ფლობს ციხეს, ის ფლობს ქვეყანას. VIII საუკუნიდან კი ციხეს უკვე არა ხალხი-ერი, არამედ „მთავარი“,<sup>4</sup> იგივე სენიორი ფლობს. ახალი ციხეების წარმოქმნა და სოციალური სტატუსის შექმნა სწორედ რომ არჩილის „რეფორმას“ უნდა უკავშირდებოდეს კახეთში, სადაც ახალი ერისთავები, ახალი ტაძრეულები და ახალი „ქუეყნები“ ჩნდება.<sup>5</sup>

საინტერესოა, რა ხდება ამ თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში?

დ. მუსხელიშვილის აზრით, ციხე-გოჯის დამცავი რკალის ციხე-სიმაგრეები (აბედათში, კოტიანეთში, შხეფის, სენაკში, ეკის, ჭაქვინჯის, წარჩეს, „სათანჯო“, სკური და სხვა) სწორედ რომ „ფეოდალური სენიორიების“ წარმოქმნას უნდა უკავ-

<sup>1</sup> პ. ზაქარაია. თ. კაპანაძე. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ. 1991; К. Н. Мелитаури. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. Тб. 1972.

<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 86-117.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII. თბ. 1975, გვ. 155.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII, გვ. 127.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII, გვ. 167.

შირდებოდეს.<sup>1</sup> ეს ციხეები VI-VII საუკუნეებშია აგებული და ერთი შეხედვით გაურკვეველია, რა საერთო უნდა ჰქონდეს ჩვენ მიერ განსახილველ პერიოდთან (VIII-IX სს.). დ. მუსხელიშვილის მოსაზრებაც თითქოს აზრს კარგავს. თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ზემოთ აღნიშნული ციხეები VIII-IX საუკუნეებში ახალ სიცოცხლეს იძენს, სავარაუდოდ, ახალ სტატუსსაც. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ამ პერიოდში კონკრეტულ ციხეებზე ხდება საცხოვრებელი პალატებისა და ეკლესიების მიშენება,<sup>2</sup> რაც ციხეების „სენიორთა“ რეზიდენციებად გარდაქცევაზე უნდა მიუთითებდეს.

ვინ არიან ეს „სენიორები“ და რა ახალი „სენიორები“ იქმნება ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში?

ლეონ აფხაზთა მთავარი VIII საუკუნის ბოლოს თავს აღწევს ბიზანტიის გავლენას, აერთიანებს ეგრისს და აფხაზეთს და „აფხაზთა მეფის“ (786-798) ტიტულს იღებს, რაზედაც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს:

*„ხოლო დაჟდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრო ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთოდ:*

*დასუა აფხაზეთს და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე;*

*დასუა ცხომს და მისცა ეგრის-იქით ანაკოფია ალანითურთ;*

*დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლით ცხენისწყლამდე;*

*ვინაითგან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამხრეთისანი განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, ეწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თვისი;*

*დასუა რაჭა-ლეჩხუმსა;*

*შორაპანისვე, რიონს და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულად არგუეთისა;*

*დასუა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლით გურიამდე და რიონს დასავლით ცხენისწყლამდე.*

<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2003, გვ. 442.

<sup>2</sup> ჰ. ზაქარაია. თ. კაპანაძე. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება; К. Н. Мелитаური. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, გვ. 40.

*ამანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთათისი... – ამან ლეონ მოაწყო აფხაზეთი და განაგო ყოველივე“.<sup>1</sup>*

როგორც ვხედავთ, ლეონ მეფემ მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა „აფხაზთა სამეფოში“, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი საერისთავოები – „ქუეყნები“, რასაც ფეოდალური ფენის საკმაო გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. ყველა ამ ახალ წარმოქმნილ „ქუეყანას“ საკუთარი ცენტრი უნდა ჰქონოდა ციხე-სიმაგრის სახით, იგივე ერისთავის რეზიდენცია, რაც ხელს შეუწყობდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თავისუფალი მეთემის მიწაზე მიმაგრებასა და სრულ დაყმევებას. ყოველივე ეს კი განვითარებული ფეოდალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ლეონის ამგვარ რეფორმაში მიწების ხელახალი გადანაწილება უნდა ვიგულისხმოთ, რადგან აქაც ხდება მთისა და ბარის გაერთიანება (რამდენადაც ეს დასავლეთ საქართველოში შეიძლება წარმოვიდგინოთ). „აფხაზთა სამეფო“ ამ პერიოდში ცხოვრების ახალ სოციალურ-პოლიტიკურ საფეხურზე გადადის, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ განვითარებულ ფეოდალიზმზე გარდამავალ პერიოდად VIII საუკუნე მოვნიშნოთ.

კომენტარის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ლეონის მიერ შექმნილი საერისთავოები არ წარმომიდგენია იმთავითვე სენიორიებად, ასეთი დასკვნა მიაბიტური იქნებოდა. ზემოთ აღვნიშნე, რომ ეგრისის სამეფოს პერიოდის ციხეები მოგვიანო პერიოდში ერისთავთა ან სენორთა რეზიდენციას უნდა წარმოადგენდნენ. 2014 წლის აგვისტოში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ მოეწყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ისტორიულ-გეოგრაფიული საველე ექსპედიცია, რომელიც სწორედ ამ რეგიონის ციხეებისა და მისი მიმდგომი ქვეყნების შესწავლას დაეთმო.<sup>2</sup> დაზვერვითი სამუშაოების დროს კიდევ ერთხელ გამიმყარდა მოსაზრება, რომ ეს ციხეები „აფხაზთა“ სამეფოს ფეოდალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მაგალითისთვის მოვიყვან ამ ექსპედიციის დროს კონკრეტულ ძეგლზე დაკვირვების შედეგად გაჩენილ მოსაზრებას. სენაკის რაიონის

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 796.

<sup>2</sup> ექსპედიციის ანგარიში წაკითხულ იქნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სხდომაზე.

ლესიჭინეს თემის სოფელ კვაუთში მაღალ გორაკზე ტყეში დგას დარბაზული ტიპის ეკლესია, რომლის გუმბათი ჩამონგრეულია. ინტერიერში საღებავის კვალი ფრაგმენტულად არის შერჩენილი, ეკლესიას გარშემო საკმაოდ გამაგრებული გალავანი აკრავს. სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად კონკრეტული დარბაზული ტიპის ეკლესია IX-X საუკუნეების ძეგლად უნდა ჩაითვალოს. თუმცა არის ერთი გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეკლესიის ეზოში არ ჩანს არავითარი საყოფაცხოვრებო ნაგებობის კვალი, მე ის ციხის ნაწილად მიმაჩნია. აღნიშნული ეკლესია ძველად არსებული გზის მახლობლად დგას. ადგილობრივების გადმოცემით, ეს გზა, რომელიც უკვე გაუქმებულია და ტყითაა დაფარული, XX საუკუნის 50-იან წლებამდე გამოიყენებოდა და ამ გზით აქაური მოსახლეობა მარტვილში გამართულ ბაზრობაზე ჩადიოდა. აღნიშნული ეკლესიის ეზოში დგას უზარმაზარი მუხის ხე, რომელიც კარგად მოჩანს სოფელ ბეთლემში არსებული სათვალთვალო კოშკიდან. თავის მხრივ, იგი უკავშირდება ციხე-გოჯის ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილ უკანსაკნელ კოშკს. მართალია, რომ კვაუთის ეკლესიის გარშემო პ. ზაქარაიას არავითარი არქეოლოგიური სამუშაოები არ უწარმოებია, რადგან ეს ფაქტი მის შრომებში არ არის აღნიშნული. სავარაუდოდ, კვაუთს ისიც საკულტო ნაგებობად აღიქვამდა. ექსპედიციის დროს მიმდებარე გარემოზე ჩატარებულმა დაზვერვითმა სამუშაოებმა გაგვიჩინა ეჭვი, რომ აქ ოდესღაც ციხე-სიმაგრე უნდა მდგარიყო, რომელიც, სავარაუდოდ, ადრეულ პერიოდში იმ სისტემაში იქნებოდა ჩართული, რომლითაც ე.წ. ნოქალაქევის „ქვეყანა“ დასერილი. მოგვიანო პერიოდში კი, რომელიმე ფეოდალის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. ციხე გარემოზე აშკარად დომინირებს. ის მდებარეობს ძველ გზაზე, რაც ციხის ერთ-ერთი მთავარია მახასიათებელია: ის ან გზაზე შენდება, ანდა გზას თავისკენ მიიზიდავს. აღსანიშნავია, რომ იმ გორაკს, რომელზედაც კვაუთის ღვთისმშობლის ეკლესია დგას, უკანა მხრიდან 18 კილომეტრში აბედათის ციხე აკრავს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი სიმაგრე იყო ციხე-გოჯის თავდაცვით სისტემაში, აღნიშნული ციხე გვიან პერიოდამდე გამოიყენებოდა, როგორც ფეოდალის რეზიდენცია. სწორედ ამ ციხეზე აღინიშნება პერიოდულად განახლების კვალი, ეს იქნება მცირე ზომის ეკლესია თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობის ნაშთი. სპეციალისტების აზრით, ეს

ამგვარი მინაშენები ციხეზე VII-IX საუკუნეებში უნდა განხორციელებულიყო, რაც, ჩემი აზრით, ციხეების მიერ ახალი სოციალური ბატონობის სტატუსით აღჭურვის პერიოდს ემთხვევა. იმის შესახებ, რომ კვაუთის ზემოთ აღნიშნული ნაგებობა შესაძლოა ციხე ყოფილიყო, ბოლო ხანებში მოსაზრება გამოთქვეს არქეოლოგებმა დ. ლომიტაშვილს და ნ. მურდულიამ. კვაუთის ზედაპირული დაზვერვის, გამოკითხვისა და ისტორიულ-გეოგრაფიული მეთოდის გამოყენებით დავასკვნით, რომ აღნიშნული ძეგლი ციხე უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ჩემი მოსაზრება დაემთხვა დ. ლომიტაშვილისა და ნ. მურდულიას მანამდე გამოთქმულ აზრს.<sup>1</sup>

ციხე მდებარეობს მდ. აბაშის წყლის აუზში, დაბა მარტვილიდან სამხრეთ-დასავლეთით 7 კმ-ზე, სოფ. აბედათის მთიან ნაწილში, უნაგირა მთის სამხრეთ კალთებზე (GPS კოორდინატები: N42 25.400 E42 17.064. სიმაღლე: 372).<sup>2</sup> ნ. მურდულიას დაკვირვებით, კვაუთის შესასვლელი ჭიშკარი მსგავსებას ამჟღავნებს ბერძნული ქალაქის აკარასისა და გორტის ციხე-სიმაგრეებთან.<sup>3</sup>

უნდა ითქვას, რომ ლეონის სამეფოს სტრუქტურალიზაცია თვისობრივად განსხვავდება არჩილის მიერ VIII საუკუნის I ნახევარში კახეთში გატარებული „რეფორმისგან“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი დროში თანხვედრა საინტერესო ფაქტია, რადგან კახეთისა და „აფხაზთა“ სამეფოები თითქმის იდენტური პროცესების შედეგად ყალიბდება, რასაც მთიელთა რეცეპციო უწყობს ხელს. „აფხაზთა“ სამეფოს შემთხვევაში ეს ჩრდილოეთიდან მიღებული ტომებია, კახეთში კი – წანარების ტომი, რომელთა დომინანტობით ყალიბდება აღნიშნული სამეფო.

მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილმა ძმის ანდერძის თანახმად: *„მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძმისწულნი მისნი:*

*ერთი მისცა მამისა ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი:*

---

<sup>1</sup> კვაუთის ციხეზე აღნიშნული მოსაზრება, მოცემულია ჩემ წიგნში „ფეოდალიზმი და ქართული ეთნოკულტურა VIII-X საუკუნეებში“, რომელიც 2015 წელს გამოიცა, სამწუხაროდ, მასში არქეოლოგების ზემოთ აღნიშნული კვლევა არ არის ასახული.

<sup>2</sup> ნ. მურდულია. ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2012, გვ. 156.

<sup>3</sup> ნ. მურდულია. ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით), გვ. 158.

მეორე მისცა პიტიახშსა ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს;

მესამე მისცა ნერსე ნერსესიანსა, რომელი იგი იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა;

მეოთხე მისცა ადარნასე ადარნასიანსა და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელი არს ქართლი.

მეხუთე მისცა ვარაზმანს და მისცა კოტმანიტგან ქურდისხევამდე; იყო ესე ვარაზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა;

მეექვსე მისცა ჯუანშერ ჯუანშერიანსა, რომელი იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილითაგან რევისათა და მისცა ჯუარ და ხერკი და ყოველი მთიულეთი მანგლისის ხევი და ტფილისი. ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ხევთაგან და განუტევა მთავარნი ესე ცოლებითურთ თვი-თვისად ადგილად<sup>1</sup>, ხოლო არჩილი მოვიდა ... „კახეთად და ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა ივინი“<sup>1</sup>

ამჯერად ჩვენ არ შევცხებით ჯუანშერთან მოხსენებულ ერისთავთა იდენტიფიკაციის საკითხს, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ „რეფორმის“ (ჩვენი აზრით, რომლის ლოგიკურ გაგრძელებას ლეონის რეფორმა წარმოადგენს) არსი, სადაც კარგად აისახა იმ პერიოდის ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები.<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილის თქმით, არჩილის „რეფორმის“ მთავარი აქცენტი იმაში მდგომარეობს, რომ მოხელე ერისთავები ამიერიდან მემკვიდრე ერისთავებად, მფლობელებად იქცნენ.<sup>3</sup>

არჩილისა და ლეონის „რეფორმების“ შედეგად იქმნება ახალი „ქუეყნები“, ხდება მთისა და ბარის გაერთიანება ერთ პოლიტიკურ სუბიექტად (ამიერიდან მათ ერთი „მთავარი“ სენიორი განაგებს). ყოველ „ქვეყანას“ თავისი ცენტრი აქვს, რადგან

<sup>1</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 241.

<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 70; მ. ბახტაძე. არჩილი ერისმთავრის „რეფორმის“ შესახებ. თბ. 2004.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. IX. თბ. 1979, გვ. 158 (ამ მხრივ საინტერესოა ტაო-კლარჯეთის ეგრედწოდებული კოლონიზაციის პროცესი, რამაც ახალი „სახლების“ და სენიორების წარმოქმნას შეუწყო ხელი).



„ქვეყანა“ უცენტროდ ვერ წარმოჩინდება, როგორც ცენტრი „უქვეყნოდ“. ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ჩნდება ამდენი ციხე-სიმაგრე სწორედ რომ არჩილისა და ლეონის რეფორმების შედეგად მათ დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. ციხე-სიმაგრეთა პარალელურად ფეოდალიზაციას ხელს უწყობს ქალაქების წარმოშობისა და გაძლიერების პროცესი,<sup>1</sup> საქართველოში ეს ყველაფერი ჯიუტად VIII-IX საუკუნეებზე მოდის.<sup>2</sup> პერიოდზე, რომელიც ჩვენ განვითარებულ ფეოდალიზმზე გარდამავალ პერიოდად მიგვაჩნია. ამ პროცესების შედეგი უნდა იყოს ცოტა მოგვიანებით საქალაქო ტიპის კომუნების არსებობაც საქართველოში,<sup>3</sup> რაც ასევე იდენტურია ევროპული ქალაქების, რომელთაც დაყმევებული კლასისთვის თავისუფლების იმედი მოჰქონდა. სამწუხაროდ, საქართველოში ქალაქების ისტორია განსხვავებულად წარიმართა, რაც შემდგომში ფეოდალური ურთიერთობების განვითარებაზეც აისახა.

ჩემი აზრით, სოციალური კუთხით ძალზედ მნიშვნელოვანია მდინარეების ბზიფისა და კოდორის ხეობებში არსებულ ციხე-სიმაგრეთა არსებობა, რომელიც, მ. ლორთქიფანიძის აზრით, VIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული და ჩრდილოეთიდან ალანთა შესაჩერებლად გამოიყენებოდა.<sup>4</sup> შესაძლოა VIII საუკუნის საწყის ეტაპზე ასევე ყოფილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლეონ მეფემ აფხაზეთი რვა საერისთავოდ დაყო, მეტნაკლებად მოხდა მთისა და ბარის გაერთიანება ერთ საერისთავოში, ანუ „ქუეყანაში“. ცხუმის საერისთავო ამ პერიოდისთვის საკუთრივ ალანებსაც აერთიანებს თავის საზღვრებში. ამიტომ, სავარაუდოდ, ეს ციხეები პოლიტიკურ ბატონობასთან ერთად სოციალური დაყმევებისთვისაც გამოიყენება, რადგან მთის შერწყმა ბართან ბარის არისტოკრატის გაძლიერების მცდელობას ნიშნავს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Ж. Ле Гофф. Интелегуалы в средние века. СПб 2003; Ж. Ле Гофф. Цивилизация средневекового запада (общая редакция Ю Л Бессмертного), СПб. 2000.

<sup>2</sup> Ш. А. Месхия. Города и городской строй феодальной Грузии. Тб. 1959, გვ. 26-38; ლ. ჭილაშვილი. „ახალქალაქობის ხანა“. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბ. 1970, გვ. 71-82. ლ. ჭილაშვილი შენიშნავს, რომ IX საუკუნიდან მოყოლებული იქმნება ახალი ქალაქები, ამ დროისთვის სოფლის მეურნეობის დარგების გამოყოფა რეალურია, რის შედეგადაც არაერთი ქართული ფეოდალური ქალაქი ჩნდება (გვ. 85). იქვე სვამს შეკითხვას, ეს წმინდა ქართული მოვლენაა, თუ სხვაგანაც არსებობს ასეთი ფაქტები. X-XI საუკუნეების ევროპული ქალაქების წარმოქმნას ეხება ჟაკ ლე გოფი და ამ ფაქტს ის სწორედ ფეოდალიზაციის პროცესს უკავშირებს, ე.წ. „ფეოდალური რევოლუციის“ ეპოქას.

<sup>3</sup> მ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ. 1962.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-Xსს). თბ. 1963, გვ. 197.

<sup>5</sup> თ. დუნდუა. ნ. ფიფია. პრიმიტიული კომუნიზმი. პროტოფეოდალიზმი, ფეოდალიზმი (მასალები სალექციო კურსისთვის). ნაწ. VII. თბ. 2009, გვ. 17.

ლეონის რეფორმის შემდეგ „აფხაზთა“ სამეფოში ორი ციხე-ქალაქი იძენს მთავარ სტატუსს – ქუთაისი და ანაკოფია. ქუთაისის მნიშვნელობა VIII საუკუნის პირველ ნახევარშიც აქტუალურია აფხაზეთში გახიზნული არჩილისთვის. „წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათის“, – ეუბნება იგი ლეონს, – და „დავფლა საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებლად სამკვიდროსა ჩვენისა“. აქ უკვე აშკარაა ციხე-გოჯისა და ქუთაისის მეტოქეობა. ქუთაისი თანდათან იღებს ახალ პოლიტიკურ და სოციალურ სტატუსს, რაც დროებით ციხე-გოჯმა მიისაკუთრა, რადგან დედაქალაქის გადატანა შიდა ტერიტორიაზე თავდაცვის მეტი შანსებით იყო ნაკარნახევი.<sup>1</sup>

მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი „აფხაზთა“ სამეფოში არის ანაკოფია, „ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთაისი“.<sup>2</sup> მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი, რომ ანაკოფია არა საკუთრივ აფხაზთა საერისთავოში, არამედ ცხუმის (ქალაქი აფშილეთისა-ცხუმი) შემადგენლობაშია შეყვანილი, თუმცა „მატიანე ქართლისაჲ“ მას, როგორც „თავადი ციხე აფხაზეთისა“ მოიხსენიებს.<sup>3</sup> აქ კი საკუთრივ აფხაზეთია ნაგულისხმევი და არა მთელი დასავლეთ საქართველო. XVII საუკუნის I ნახევრამდე ოდიშის სამთავროს ეთნიკური საზღვარი ანაკოფიაზე გადიოდა. აღსანიშნავია, რომ ოდიშის ერისთავები და შემდეგ მთავრები აფხაზეთზეც ავრცელებდნენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას, რაც, სავარაუდოდ, ანაკოფიით, ანუ „თავადი ციხის“ მეშვეობით ხორციელდებოდა. როგორც ჩანს, ეს ციხე გვიან შუასაუკუნეებამდე ინარჩუნებს თავის სოციალ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

IX-X საუკუნეებში ციხე რომ აუცილებელი ატრუბუტია სენიორალურ ურთიერთობებში, ნათლად ჩანს ნარატიული და დოკუმენტური მასალიდანაც. ქართული ნარატიული წყაროები ამ მხრივ კარგადაა განხილული. ამიტომ IX-X საუკუნეების მიჯნის ერთ დოკუმენტს მოვიყვან, საიდანაც კარგად ვარკვევთ ციხის მნიშვნელობას საკუთარი მამულისა და მისი მიმდგომი ქვეყნის განკარგვისთვის. ესაა ბეგარის დადების დოკუმენტი შიომღვიმისთვის:

*„...ჩავე მე, მიქაილ მემღუმე და ჩავიტანენ ჩემნი ლავრანი ცხვერელნი[ი]. დაუწყე*

<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 82.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 796.

<sup>3</sup> მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 317.

*ჩემს მამულსა შიგან ციხესა გება, დავდგი ჳევისა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით; და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხვერელთა ჰქონდეს.*

*დავიდევ ერთი დღე ანულო ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალუწავი; თუ [ი] გრივი გამოვიდეს, ცხრა გრივი პატრონსა და მეათე ცხვერელთა. ... გარდავე ლიხთ-იმერით და მოვიღე თავისუფლებისა ბრძანება კოსტანტინესა და ბაგრატიისი, კახთა მეფეთა ფალღესი და კუ[ი]რიკესი“.<sup>1</sup>*

მოყვანილი დოკუმენტიდან გარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ციხის აგებას ფეოდალური მამულის ფლობისთვის.

რაც შეეხება ფეოდალურ ქალაქებს, მოკლედ ვიტყვი, რომ ფეოდალური ქალაქები, როგორც ცნობილია, განსხვავდება ანტიკური და, თუნდაც, გვიანი შუასაუკუნეების ქალაქების სოციალური სტრუქტურისგან. ასეთი ქალაქების წარმოშობა თანხვედრაშია ახალ წყობილებასთან, რომელიც გარე ეკონომიკური იძულების წესის დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული. ქართული ფეოდალური ქალაქი და იქ არსებული საწარმოო ურთიერთობები, როგორც თითქმის ყველა ფეოდალური ქალაქი, მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობის დარგებთან, თუ სოფელი ქალაქს სასოფლო პროდუქტით ამარაგებდა, ქალაქი პირიქით, სასოფლო სამეურნეო დარგებისთვის აუცილებელ პროდუქტს ქმნიდა, ხელოსნური ნაწარმი ძირითადად მიწის ხვნა-თესვისა და პროდუქტების შესანახი ინვენტარით შემოიფარგლებოდა.

სავაჭრო ურთიერთობები საშინაო ბაზრისთვის ძირითადად სასოფლო პროდუქტების გარშემო ტრიალებს. ამიტომაც ქართული ფეოდალური ქალაქი დიდი ხნის განმავლობაში ვერ განიცდის ისეთ ევოლუციას, როგორსაც აღმოსავლური ქალაქები და მით უმეტეს ევროპული სახელმწიფოები. ამ უკანასკნელებში გასხვავებული საქალაქო სტრუქტურა იყო, დაწყებული კორპორაციული სავაჭრო ამქრებითა და დამთავრებული ვაჭრობაში ზღვის ათვისებით, რასაც ფეოდალური ურთიერთობები გამორიცხავს. მართალია, ვაჭრობის კოორპორაციული ელემენტები XII საუკუნის საქართველოშიც გვხვდება, როდესაც მონასტერს საკუთარი ვაჭრების წრე ჰყავს. მაგალითად, შიომღვიმის სამმოს საქონელი და ვაჭრები თბილისში გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 4.

„კოორპორაცია“ მაინც ფეოდალური ორგანიზის შიგნით ხორცილდება, რადგან მონასტერი და ეკლესია ფეოდალურ ინსტიტუტს წარმოადგენდნენ.

არქეოლოგიური განათხარი მასალა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს, თუნდაც თბილისის, დმანისისა და რუსთავის შემთხვევაში, თუ როგორი დაწინაურებული იყო ხელოსნობა საქართველოს ქალაქებში. „რუსთაველის ეპოქის“ არქეოლოგიურ მასალაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოსნობა, ვაჭრობასთან ერთად, ქალაქის წამყვან სამეურნეო დარგს წარმოადგენდა. თუმცა აქაც გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქართული ქალაქების ხელოსნები არ წარმოადგენდნენ თავისუფალ მწარმოებელთა ფენას და მათი სამშობი მეფის, ეკლესიის ან რომელიმე კონკრეტული ფეოდალის საკუთრებას წარმოადგენდნენ. შესაბამისად, მათ მიერ შემქმნილი პროდუქტიც მათვე ეკუთვნოდათ. ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ევროპული ქალაქი ათავისუფლებს, ხატოვანი გამოთქმით – „ქალაქიდან თავისუფლების სიომ დაჰბერა“. ქართულ რეალობაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ სხვა რეალობაა. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის ეპოქა ქართული ნუმისმატიკის საკმაოდ მრავალნაირ ფულის ერთეულს მოიცავს, უნდა აღვნიშნოს, რომ ე.წ. ვერცხლის კრიზისის სპილენძის ნუმისმატიკური ძეგლები აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებისთვის გამოიყენება. შიდა გაცვლითი ოპერაციები კი ძირითადად ჯერ კიდევ პროდუქტი-ფული-პროდუქტი, ანუ ნატურალური გაცვლის სახით უნდა ყოფილიყო, რადგან საგადასახადო და საბეგრო ურთიერთობებში ფულადი რენტის წილი ძალიან მცირეა. გვაქვს გამონაკლისი, ერწო-თიანეთის საკათალიკოზო აღწრილობა, სადაც გამოსავალი, ფულადი რენტა, ვერცხლის დრამითაა განსაზღვრული. თუმცა უნდა აღვნიშნოს, რომ ამგვარი ფულადი გადასახადი, თუკი ნამდვილად ჩავთვლით, რომ ფულის სახით ხორციელდებოდა, ძალიან მცირე იყო. XIV-XV საუკუნეების ქალაქებში მომსახურე ხელოსნებისთვის ეკონომიკის დაცემასთან ერთად, რომელიც სახელოსნო ვაჭრობაზეც აისახებოდა, ხელოსნობით თავის გატანა რომ რთული იყო, ჩანს ერთი დოკუმენტიდან, სადაც მჭედელი, მიწას ითხოვს მისი ბატონისგან და ხელოსნობასთან ერთად ახალ საბეგრო ურთიერთობაში ებმება.<sup>1</sup>

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ქართული ფეოდალური ქალაქის

<sup>1</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. – XIII ს. დამდეგამდე). ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967, გვ. 67.

გენეზისი თავისი ახალქალაქობის პერიოდით თითქმის ევროპის იდენტურად ყალიბდება, თუმცა განვითარების გზები განსხვავებული აღმოჩნდა. ევროპაში, კერძოდ კი, ინგლისიდან მოყოლებული სართავი მანქანების გამოყენებამ მრეწველობაში, ზღვის ათვისებამ სავაჭრო ურთიერთობებში ქალაქის ახალი ტიპი ჩამოაყალიბა, რომელიც უკვე ფეოდალური აღარ იყო თავისი სოციალური ბუნებით, მიუხედავად იმისა, რომ მეფე და დიდებულები ძირითადად ქალაქში იყვნენ კონცენტრირებული. ფულადი ურთიერთობების შეღწევამ VIII-IX საუკუნეების იტალიურ პროვინციებში და სოფლებში განსხვავებული ბიძგი მისცა ქალაქის განვითარებას, რომლებიც საბოლოოდ თვითმმართველ ერთეულებად, ზოგჯერ კი ქალაქ-სახელმწიფოებად გარდაისახა. ყოველივე ამის მიუხედავად, ვერ დავეთანხმებით ზოგიერთ მოსაზრებას, რომ საქართველოში ევროპული ფეოდალიზმის მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა არ იყო. ამ აზრის მომხრეებს საქართველოში იმგვარი ქალაქების არარსებობა მოჰყავთ არგუმენტად, როგორც ევროპაში იყო. უფრო მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ქალაქი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა ფეოდალური ქალაქისთვის დამახასიათებელ თვისებებს, ხოლო ევროპული ქალაქი სულაც ახალი, კაპიტალისტური წარმოების წესის ადრეულ ეტაპზე შეაბიჯებდა. ჟაკ ლეგოფის თქმით, როდესაც ის შუასაუკუნეების დროის აღქმაზე საუბრობს, ფეოდალური დრო ეს იყო სენიორის, ბატონის დრო, ხოლო ქალაქების დაწინაურების შემდეგ ეს დრო ვაჭრებისა და ხელოსნების დროდ ტრანსფორმირდა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტრანსფორმაცია ქართულ სოციალურ ურთიერთობებში არ მომხდარა, შესაბამისად, ქალაქის რადიკალური ცვლილება ვერ მოხდებოდა.<sup>1</sup>

VIII-IX საუკუნეები ესაა ციხე-სიმაგრეთა პერიოდი ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში. მას, ასევე ემთხვევა ახალქალაქობის ეპოქა, რაც აუცილებელი ატრიბუტია საზოგადოების ახალ ეტაპზე გადასასვლელად. სწორედ ამ პირობებში ხდება თავისუფალი მწარმოებლის სრული დაყმევება, ფეოდალიზმის გამარჯვება.

---

<sup>1</sup> Ж. Ле Гофф. Интелегуалы в средние века; Ж. Ле Гофф. Цивилизация средневекого запада (общая редакция Ю Л Бессмертного).

## თავი V

### „ხევის“ სოციალური სტრუქტურა „აფხაზთა“ სამეფოში

VIII საუკუნის სოციალური ტეხილის დროს ხეების გაერთიანება ხდება, შემდგომში კი ამ ხეების საფუძველზე – მთისა და ბარის გაერთიანება ერთ „ქვეყნად“.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ტეხილი სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებშიც აისახა. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქვეყანას „სოფელი“ ეწოდებოდა, სოფელს კი, „დაბა“. VIII საუკუნიდან მოყოლებული „ქვეყანა“ იმ მნიშვნელობით იხმარება, რომელიც დღესაა მიღებული, ან რომელიმე ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის აღსანიშნად.<sup>2</sup> ა. ბოგვერაძე ამგვარი ტეხილს სასოფლო თემების, ანუ ოდესღაც თავისუფალი დაბების არსებობისას, IX საუკუნეში ხედავს. მისი აზრით, როდესაც ეს თავისუფალი დაბები ფეოდალთა მფლობელობაში მოექცა, სწორედ მაშინ უნდა დამკვიდრებულიყო ტერმინი „სოფელი“. თვითონ ტერმინს კი უფლებას უკავშირებს, რასაც, თავის მხრივ, ფეოდალიზმის განვითარების ეტაპს უკავშირებს.<sup>3</sup>

ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს სოციალური სტრუქტურა ფუნდამენტურად შესწავლილია. საინტერესოა, დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი, მეგრულ-ჭანური მოსახლეობის განსახლების არეალში ამგვარი სოციალური ერთეულების არსებობა და მათი გავლენა „ქუეყნების“ ჩამოყალიბებაზე იტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. ჩემს ინტერესს „აფხაზთა“ სამეფოს პერიოდი წარმოადგენს. თუმცა, ვინაიდან იმ ეპოქის დასავლურქართული სამეფოს სოციალურ სტრუქტურაზე ძალიან ცოტა ცნობა გვაქვს, გვიხდება მოგვიანო პერიოდის, უფრო სწორად, გვიანი ფეოდალური ეპოქის დოკუმენტებისა და წყაროების მოხმობა. მათ საფუძველზე განვიხილავ ხევის სოციალურ სტრუქტურას. მართალია, ქრონოლოგიური აცდენა დიდია, მაგრამ ამ ტიპის სოციალური ტერმინების სახელწოდება და მათი სემანტიკური დატვირთვა, ჩემი აზრით, თითქმის არ უნდა შეცვლილიყო.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 61-196; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 114.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. თბ. 1965, გვ. 6.

<sup>3</sup> ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, გვ. 157-158.

„აფხაზთა“ სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილთან ვხვდებით, სადაც საუბარია ლეონ აფხაზთა მეფის მიერ საერისთავოების ჩამოყალიბების შესახებ. კიდევ ერთხელ მოვიტანთ ციტატას: „ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრო ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთოდ:

*დასუა აფხაზეთს და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე;*

*დასუა ცხომს და მისცა ეგრის-იქით ანაკოფია ალანითურთ;*

*დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლით ცხენისწყლამდე;*

*ვინაითგან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამხრეთისანი განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, ეწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თვისი;*

*დასუა რაჭა-ლეჩხუმსა;*

*შორაპანისვე, რიონს და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულად არგუეთისა;*

***დასუა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლით გურიამდე და რიონს დასავლით ცხენისწყლამდე.***

*ამანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთათისი... – ამან ლეონ მოაწყო აფხაზეთი და განაგო ყოველივე“.<sup>1</sup>*

ზემოთ ჩამოთვლილი საერისთავოებიდან დანამდვილებით ვიცით, რომ ექვსი არსებობდა. არავითარი ცნობა არ გვაქვს გურიისა და ქუთათისის საერისთავოების შესახებ. მ. ბახტაძის აზრით, ცნობების უქონლობა სრულად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადმინისტრაციული ერთეულები არ არსებობდა. სავარაუდოდ, შემდეგში ისინი უნდა გაუქმებულიყო, მით უმეტეს, რომ ასეთი მაგალითები ქართულ რეალობაში მოგვეპოვება.<sup>2</sup>

ამჯერად გაკვრით შევვხებით ქუთათისის საერისთავოს, რომელსაც, სავარაუდოდ, „სამოქალაქო“, ანუ მის გარშემო არსებული საუფლო ტერიტორიაც

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 796.

<sup>2</sup> მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 129.

გააჩნდა. ნ. ბერძენიშვილს პროკოპის დროინდელი მოხერისი/მუხერისი და ქუთაისის სამოქალაქო ერთი და იგივე „ქვეყნად“ მიაჩნია.<sup>1</sup> მეც ვიზიარებ ამგვარ დაკვირვებას და რამდენიმე არგუმენტს შევმატებ.

პროკოპის მიხედვით, მოხირისი ეწოდება ლაზიკის ყველაზე მდიდარ მხარეს, სადაც მდინარე იპისი (ცხენისწყალი) ჩამოედინება (Proc.BG.VII.17).<sup>2</sup> Notitia Dignitatum-ში იხსენიება გეოგრაფიული პუნქტი Mochora, სადაც რომაული გარნიზონი იდგა. ს. ყაუხჩიშვილს პროკოპის მოხერისისა და Mochora-ს იდენტურობა დასაშვებად მიაჩნია.<sup>3</sup> ჩემი აზრით, სახელწოდება მოხერისი/მუხერისი ბერძნული სიტყვა ხორადან უნდა მოდიოდეს, რაც პოლისის გარშემო არსებულ სავარგულ ტერიტორიას ნიშნავს. აქედან შემდგომში ნაწარმოები უნდა იყოს მეგრული სიტყვა მუხური და ხორუა (ქართ. მხარე, დასახლება, სამოსახლო. ამაზე დაწვრილებით იხ. ქვმოთ). მოხერისი, სავარაუდოდ, ქუთაისის სამოქალაქოს ნაწილს უნდა მოიცავდეს. ეს კარგად ჩანს წყაროებიდანაც. თვითონ სიტყვა ქუთაისის სამოქალაქოც გულისხმობს იმას, რომ ქუთაისს ჰქონდა რაღაც მიმდგომი ტერიტორია. თუ ასეთი მდგომარეობა ადრევეა სავარაუდებელი, მაშინ სრულებითაც არ არის გასაკვირი, რატომ ემთხვევა ერთმანეთს მოხერისისა და ქუთაისის სამოქალაქოს საზღვრები.

შინაარსობრივი ტრანსფორმაცია ასე წარმომიდგენია:

χοира=ანტიკური პოლისის მიმდგომ ტერიტორიას, ანუ „სამოქალაქოს“

χοира = მოხირისი (მუხური)

მოხირისი (მუხური) = ქუთაისის სამოქალაქო.

ახლა რაც შეეხება საკუთრივ „ხევს“. დასავლეთ საქართველოს დღემდე შემორჩენილ სამართლის ძეგლებში, საეკლესიო საბუთებსა თუ სასისხლო სიგელებში, რომელიც ოდიშის სამთავროს შეეხება, მოურავი მხოლოდ ვამეყ III (1658-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 522-537.

<sup>2</sup> პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. II. თბ. 1965. გვ. 140; 208-209.

<sup>3</sup> Notitia dignitatum. Or. XXXVIII. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალექსანდრე გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. I. თბ. 1961. გვ. 175-176.



1661) დადიანის დროინდელ საბუთებში მოიხსენიება.<sup>1</sup> თუმცა არის გამონაკლისი – გიორგი I ლიპარტიანის შეწირულობის წიგნი, სადაც ვინმე მოურავი სეხნია ნეუსაძე იხსენიება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის იყო სათავადოს „სალიპარტიანოს ქუეყნის“ მოურავი და არა ოდიშის სამთავროს მოურავი.

1633 წელს იტალიელი მისიონერები დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი გორიდან სამეგრელოში წავიდნენ, ლევან II (1611-1657) დადიანმა ისინი კეთილად მიიღო და საცხოვრებელიც მიუჩინა. მისიონერებს წიფურიაში (დღევანდელი სოფელი თაგილონი (გალის რ-ნი) და სოფელ შამგონის ნაწილი (ზუგდიდის რ-ნი) ერთი ცარიელი ეკლესია მოსწონებიათ და იგი მთავრისათვის იმ მხარის „*Governadore*“-ს პირით უთხოვიათ. მ. თამარაშვილი „*Governadore*“-ს თარგმნის, როგორც მოურავს.<sup>2</sup>

ზემოთ აღნიშნული „*Governadore*“ არის თუ არა მოურავი, ჩვენ არ ვიცით, თუმცა ერთი რამ ნათელია: წიფურიას მხარეს თავისი გამგებელი ჰყავს. სავარაუდოდ, ეს მხარე უშუალოდ სამთავრო დომენში შედის, რადგან მისიონერები წიფურიას ეკლესიას რომელიმე მღვდელმთავარს ან თავადს კი არ თხოვენ, არამედ უშუალოდ მთავარს.

ოდიშის სამთავროში არსებობდა როგორც მთავრისა და თავადის, ასევე, საკათალიკოზო მოურავი, რომელსაც უშუალოდ მთავარი ნიშნავდა.<sup>3</sup>

ვაშე III (1658-1661) დადიანის ერთ-ერთ შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „*თქვენ კ(ათალიკო)ზს ბატონს ზაქარიას ასრე და ამ პირსა [ზედა], რომე სენაკის საყდარი გვთხოვეთ და მოგეცით მისის შეწირულის მამულითა და სასახლეებითა... აგრეთვე საკათალიკოზოს საქმეზედ დაგველაპარაკნეთ სხვა და სხვა მოურავი იდგა და ანუ არც ამ სენაკზედ და არც საკათალიკოზოს მამულზედ მოურავი არ დაგიყენოთ თქვენთ უნებლიეთ*“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 223; ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I. ტფ. 1921, გვ. 60.

<sup>2</sup> მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XVIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ. 1902, გვ. 173.

<sup>3</sup> ბ. კვარაცხელია. მმართველობა და სამართალი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში XVI-XIX საუკუნეებში. დისერტაცია წარმოდგენილი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2001, გვ. 91.

<sup>4</sup> ბ. კვარაცხელია. მმართველობა და სამართალი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში XVI-XIX საუკუნეებში, გვ. 59-60.

შეწირულობიდან ჩანს, რომ სენაკში მთავრის მოურავი იჯდა. ასევე, მთავრის მოურავი იჯდა საკათალიკოზო მამულში, სავარაუდოდ, საკათალიკოზო მოურავთან ერთად, რადგან საუბარია „სხვადასხვა მოურავზე“. საინტერესოა, რომ მთავარი პირობას დებს, რომ საკათალიკოზოსთვის შეწირულ სენაკზე და საკათალიკოზო მამულში კათალიკოზის დაუკითხავად მოურავს არ დანიშნავს.

საკათალიკოზო მამულში კათალიკოზის მოურავთან ერთად მთავრის მოურავი რომ იჯდა, მიუთითებს ვამეყ III დადიანის კიდევე ერთი შეწირულობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ: *„ასრე რომე, საკათალიკოზო მამულები სადაც იყო, ყველგან ვინ გინდა ვის სახელით ქონდა საბატონოს კაცებსა (ხაზი ჩვენია – ა. ჩ.) ბატონო კათალიკოზო, თქვენ მოინდომეთ და დაგვეაჯენით. და ჩვენ გისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გარდაგვიგდია საკათალიკოზოს მამულზედა და ალაგებზედ ყოველგან მოურავი ჩვენს საბატონოში (ე. ი. ოდიში – ა. ჩ.).“<sup>1</sup>*

*ასრე რომე, ჩვენმა შემდგომმა ბატონმა და დედოფალმა და კათალიკოზმან ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის მამულსა და ალაგებზე თუ არ იმავ ხატის ყმა, სხვა კაცი მოურავად არ დავსვათ და არცა ვის სახელით მივსცეთ.“<sup>2</sup>*

საბუთებიდან ვერ ვარკვევთ, კონკრეტულად რა მოვალეობა ჰქონდა მოურავს ოდიშის სამთავროში. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ოდიშის სამთავროშიც ანალოგიური ფუნქციები ეკისრებოდა.

ლევან II (1611-1657) დადიანის დროინდელი ოდიშის სამთავროს ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას გვამლევს ერთი ფიცის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: *„ესე აუარებელი ფიცი, წიგნი და პირი დაგიწერეთ და მოგახსენეთ ჩვენ შანგულია ქაიხოსრო და (უნდა იყოს – ჯოდერია ზარიათ)<sup>3</sup> თქვენ დადიანსა ბატონსა ლევანს ასრე და ამ პირსა ზედან, რომე საკ(ათალიკო)ზე და საცაიშლო მამულზედან, სახევისთაოზედან, და სათქვენოს საქმეზედან ვყარყაშობთით და აწე თქვენ გაგვარიგეთ“<sup>4</sup>* აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია

<sup>1</sup> აქ იგულისხმება ოდიში, ვამეყ III დადიანი ამ შეწირულობას ხელს აწერს, როგორც იმერეთის მეფე (1660-1661), ამიტომ „ჩვენს საბატონოში“, ჩვენი აზრით, ოდიში უნდა იგულისხმებოდეს.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 223.

<sup>3</sup> აბ. ტულუმი აღადგენს – ჯდერია ზარომ – იხ. აბ. ტულუმი. ცაიშის საეპისკოპოსო (ისტორია, ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური სია. დოკუმენტები). ზუგდიდი. 2001, გვ. 53.

<sup>4</sup> საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. I. ტფ. 1920, გვ. 33.

ტერმინმა „სახევისთაოზედან“. როგორც ჩანს, ლევან II დადიანის დროს ოდიშის სამთავროს ადმინისტრაციული მოწყობის ერთ-ერთ ერთეულს „სახევისთავო“ წარმოადგენდა. თუ რა შინაარსს შეიცავდა ეს ტერმინი ოდიშის სამთავროში, ჩვენთვის უცნობია. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ „სახევისთავო“ საკმაოდ ტერიტორიას მოიცავდა, რადგან მოხსენიებულია „საკათალიკოზო და საცაიშელო“ მამულთან ერთად. აქვე ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „სახევისთავო“ საეკლესიო მამულებისაგან შედგებოდა?

„სახევისთავოს“, სავარაუდოდ, „ხევისთავი“ განაგებდა. დ. მუსხელიშვილის აზრით, აღმ. საქართველოს „ხევისთავები“ არიან იმ ტერიტორიის მოხელეები, რომლებიც ადრეფეოდალურ ხანაში ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულებს – „ხევებს“ წარმოადგენდნენ.<sup>1</sup> თუმცა მისივე თქმით, „ხევისთავი“ არა წინაფეოდალური ხანის „ხევის“ გამგებელი, არამედ ჩვეულებრივი ფეოდალი იყო. ადრეული პერიოდის შემდეგაც „ხევები“ საკუთრების სხვა ფორმებთან ერთად (გვერდით) პირველყოფილ-თემური ტრადიციების მატარებელნი იყვნენ.<sup>2</sup>

ჩვენს ფიცის წიგნში ნახსენებია „ბატონი კათალიკოზის მოხელე“ და „იქაური მოხელე“. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „იქაური მოხელე“ სწორედ „სახევისთავოს“ გამგებელია.

„ძეგლის დადების“ მიხედვით, ადგილობრივ ხელისუფალთა იერარქიაში „ხევისთავი“ მეორეა ერისთავის შემდეგ, თუმცა სრული წარმოდგენა მისი „ხელის“ შესახებ ამ ძეგლით ვერ დგინდება.<sup>3</sup>

ძველ საქართველოში „ხევისთავი“ საბატონიშვილოში დანიშნული მოსამართლე იყო, რომელიც მეფის ან ბატონიშვილის მიერ ინიშნებოდა.<sup>4</sup>

„დასტურლამალის“ მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში „ხევისთავს“ საპოლიციო, სასამართლო „ხელი“ გააჩნია.<sup>5</sup> ტექსტში ვკითხულობთ: „ატენის მოურავისა სძეს: ხევისთავობა მოურავისა არის“ და „ატენის ხევზედ არაოდეს სხვა

<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 220.

<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 409.

<sup>3</sup> ირ. ვეშაპიძე. „ხევისთავი“, „გამგებელი“ და „ხევისბერი“ ქართული სამართლის ძეგლებში. თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 25. 1984, გვ. 97.

<sup>4</sup> ირ. ვეშაპიძე. „ხევისთავი“, „გამგებელი“ და „ხევისბერი“ ქართული სამართლის ძეგლებში, გვ. 98-101.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 277.

*ხევისთავი არ შესულა და მოურავს უსამართლებია“*: ატენის ხეობაში „ხევისთავობა“<sup>1</sup> ატენის მოურავს შეუთავსებია, ასევე, დიღმის მოურავის სარგო ყოფილა „ხევისთავობა“.<sup>2</sup>

1770 წლის სიგელიდანაც ირკვევა, რომ ცალკეულ შემთხვევაში „ხევისთავთა“ უფლებები საეკლესიო ყმებზეც ვრცელდებოდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, ოდიშის სამთავროს ადგილობრივი მმართველობის უმთავრესი მოხელე იყო მოურავი. გარდა მთავრის მოურავებისა, იყვნენ საკათალიკოზო და „სათავადო“ მოურავები.<sup>3</sup>

ბ. კვარაცხელიას აღნიშვნით, თუკი თავადი ან აზნაური თავის მოურავს თვითონ ნიშნავდა, საეკლესიო მოურავს თვითონ მთავარი ნიშნავდა, ოღონდ ის „იმავე ხატის ყმა“ უნდა ყოფილიყო. ამ დასკვნამდე ის ვამეყ III დადიანის მიერ კიდევ ერთი შეწირულობის წიგნის საფუძველზე მივიდა, სადაც ვკითხულობთ: *„გარდაგვიგდია საკათალიკოზოს მამულზედა და ალაგებზედ ყოველგან მოურავი ჩვენს საბატონოში (ე. ი. – ოდიშში). ასრე რომე, ვერამ ჩვენმა შემდგომმა ბატონმა და დედოფალმა და კათალიკოზმან ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის მამულსა და ალაგებზე, თუ არ იმავე ხატის ყმა, სხვა კაცი მოურავად არ დავსვათ და არც ვის სახელოდ მივსცეთ“*.<sup>4</sup>

საინტერესო ფაქტია, რომ იმერეთში „თემის უფროსად“ იმ საყდრის დეკანოზი ინიშნებოდა, რომლის მრევლსაც ეს თემი შეადგენდ. <sup>5</sup> ასევე, ხომ არ შეიძლება პარალელი გავავლოთ ორ სხვადასხვა ფორმულირებას შორის: 1) „ატენის ხევზედ არაოდეს სხვა ხევისთავი არ შესულა და მოურავს უსამართლებია“ და 2) „თუ არ იმავე ხატის ყმა, სხვა კაცი მოურავად არ დავსვათ და არც ვის სახელოდ მივსცეთ“.<sup>6</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ „სახევისთავო“ ფიცის წიგნში საკათალიკოზო და საცაიშელო (ანუ საეპისკოპოსო) მამულებთან ერთადაა მოხსენიებული, გამოვთქვამ ფრთხილ ვარაუდს იმის თაობაზე, რომ „სახევისთავო“ თავის თავში საეკლესიო

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 307.

<sup>2</sup> ირ. ვეშაპიძე. „ქვევისთავი“, „გამგებელი“ და „ქვეისბერი“ ქართული სამართლის ძეგლებში, გვ. 304.

<sup>3</sup> ბ. კვარაცხელია. მმართველობა და სამართალი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში XVI-XIX საუკუნეებში, გვ. 91.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 223.

<sup>5</sup> თ. ბერაძე. სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში (წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა 20.10.1975). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. №1. 1976, გვ. 225.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 223.

მამულებში შემავალ სოფლებსაც აერთიანებდა და მას კონკრეტული საზღვრები არ გააჩნდა. ჩემი აზრით, „ხევისთავის“ ფუნქცია მთავრის მიერ დანიშნულ რომელიმე მოურავს უნდა შეესრულებინა, თუმცა არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ „ხევისთავის“ „ხელი“ ოდიშის სამთავროში დამოუკიდებლადაც არსებობდა.

ო. სოსელიას დეისმა ჯაიანი ხორგას მოურავად მიაჩნია, რადგან დადიანის „სათხოვარი“, „გარდასახადი“ და „სხვა რამე სათემო საქმე“ ხორგაში დეისმას „საქმეა“.<sup>1</sup>

ჯაიანები ოდიშის ერთ-ერთი ძლიერი თავადები იყვნენ. როგორც ვიცით, მათ ხელში იყო ხორგაც, თუმცა ხორგაში საკათალიკოზო მამულიც იყო და კათალიკოზს ხორგაში მოსული ნავებისაგან ბაჟი ერგებოდა.<sup>2</sup>

დეისმა ჯაიანს, როგორც მოხელეს, ხორგის საკათალიკოზო მამულზეც რაღაც მოვალეობა ეკისრა: *„დღეის ამას იქით ჩვენგან ამ ხორგას, რომელიც თქვენი ყმა იყოს, ან აზნაურის შვილი, ან მსახურისა, ან გლეხი ქალად და უსამართლოდ ჩვენგან და ჩვენის შვილებისაგან და ჩვენის მორჩილი ყმისაგან, არა წაერთმეოდეს რა“*. ასევე ნაქურდალის საქმის გარჩევა მისი საქმე ყოფილა. „დასტურლამალის“ მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში ნაქურდალის საქმეს „ხევისთავი“ განაგებს.<sup>3</sup>

რაც შეეხება ტერმინ „ხევს“ და მის მიმართებას დასავლეთ საქართველოსადმი, დ. მუსხელიშვილს „ხევი“ ესმის, როგორც სოციალური ტერმინი.<sup>4</sup> იმერეთის სამეფოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის აღმნიშვნელ ტერმინად XVIII საუკუნემდე „ხევი“ იხმარებოდა. ის შემდეგ „თემით“ შეიცვალა.<sup>5</sup> ჩემი აზრით, კონკრეტული შემთხვევის „სახევისთავო“ უნდა იყოს თემთა კრებული, თემი კი საკუთრივ სხვადასხვა სოფლებისაგან შედგებოდა.

სამეგრელოში თემის არსებობის შესახებ პირდაპირ ცნობას გვაწვდიან რუსი ელჩები: «ноября в 20 де пошли из Джуари; тово же числа пришли в тое же волость в другую деревню» ან «Марта в 1 де из летчихи (ლეჯიქე) пошли того же числа пришли

<sup>1</sup> ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I. თბ. 1973, გვ. 293.

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 40.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 227.

<sup>4</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 114.

<sup>5</sup> თ. ბერაძე. სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში, გვ. 225.

другую деревню той же волости».<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, რუსი ელჩების თქმით, სოფელი ლეჯიქე სხვა სოფელთან ერთად შედის ერთ «волость»-ში, ანუ თემში, ასევე სოფელი ჯვარი.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში შემორჩენილი ტერმინი „ერთობითი თემი“,<sup>2</sup> ანუ თემთა კრებული, ჩემი აზრით, იგივეა, რაც „სვანეთის საისტორიო კრებულში“ დადასტურებული „სრულიად სვანეთის ხევი“, „ერთობლივი ხევი“.<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ერთობლივ ხევში შედიან სხვადასხვა ხევები“.

რას წარმოადგენს „ერთობლივი ხევი“?

ის წარმოადგენდა ხევთა კავშირს. გარკვეული ურთიერთვალდებულების საფუძველზე ამ კავშირში შემავალი პირი უნდა დაქვემდებარებოდა საერთო კანონებს, ხეობაში გაერთიანებული ხევები უნდა დახმარებოდნენ ერთმანეთს, საჭიროების შემთხვევაში მათი მოვალეობა იყო საერთო ლაშქრობა. სვანეთის „ერთობლივი ხევი“ სეტის ხევისა და მისი ეკლესიის გარშემო ერთიანდებოდა.<sup>4</sup> „ერთობლივი ხევი“ დაახლოებით ისეთივე ფენომენია, როგორცაა გერმანული „Gemeinde“ – კომუნა, ერთობა.<sup>5</sup>

სამეგრელოში, კერძოდ კი, მთიან სამეგრელოში თემი წარმოადგენს სხვადასხვა მონოგენური უბნების, ანუ სოფლების გაერთიანებებს, რომელსაც საერთო სათემო სალოცავი, საერთო სათემო მმართველობის სისტემა და საერთო სათემო შესაკრები ადგილი გააჩნია.<sup>6</sup> ის სტრუქტურულად დაახლოებით ისეთივე გაერთიანებაა, როგორც „ერთობლივი ხევი“.

ყულიშკარის თემის მაგალითზე, სამეგრელოში, თითოეული უბნის შიგნით ან

---

<sup>1</sup> Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии, Посольство Феодота Елчина и Павла Захарьева в мегрелию (1639-1640). для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Джемал Гамахария. Тб. 2005, გვ. 281.

<sup>2</sup> თ. ბერაძე. სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში, გვ. 226.

<sup>3</sup> ვ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვ. II. ტექსტები. თბ. 1941, გვ. 28.

<sup>4</sup> ნ. ოკინაშვილი. სოციალური ჯგუფები შუა საუკუნეების საქართველოში (გამოკვლევა ნაფიცი თანამომხმეების შესახებ სვანური მოსახსენებლის საფუძველზე). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2001, გვ. 64-68; 108-109.

<sup>5</sup> Н. Окинашвили. Был ли клятвенный союз в кавказском высокогорье? Ис-сле-дование клятвенных объединений по материалам сванских номинальных записей. человек и его близкие на западе и востоке Европы до начала нового времени, под общей редакцией Юрия Бессмертного. РАН. Отто Гепхард. экспе институт истории общества им. Макса Планка. М. 2000, გვ. 248.

<sup>6</sup> დ. ჭითანავა. ყულიშკარის თემი (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2002, გვ. 84.

სოფლის შიგნით იქმნება მეზობლური გაერთიანება „სამოხიო“.<sup>1</sup> მეგრული „სამოხიო“ მსგავსებას ამჟღავნებს გურიის მაგალითზე ცნობილ უბნის ან კუთხის სახელწოდება „სახევისკაცოსთან“ – ანუ „სახეისკაცოსთან“.<sup>2</sup>

დ. ჭითანავას აზრით, ტერმინ „სამოხიოში“ უნდა გამოიყოს პრეფიქსი „სა“ და ფუძე „მოხ“ ანუ „სამოხიო“ გარკვეული ტერიტორიის განმსაზღვრელია. იგი ვარაუდობს, რომ „სამოხიო“ შეიძლება აღდგეს „სამოხევოს“, „სახეოს“ მნიშვნელობით და უკავშირებს ხევს და ხეობას.<sup>3</sup> ამის თაობაზე ჩვენ განსხვავებული აზრი გავაჩნია, თუმცა მკვლევრის მოსაზრება, სამეგრელოს თემში არსებული „სამოხიო“ ხევს დაუკავშიროს, გვაფიქრებინებს, რომ ოდიშის სამთავროში „სახევისთავო“ სწორედ რომ თემთა გაერთიანებას წარმოადგენდა და უპირატესად თავისთავში სოციალურ ფუნქციას გულისხმობდა.

„თემი“ სოფლისაგან შედგება, ასევეა „ხევიც“: „ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვასა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალთა ყოველთა ხევთა (ხაზი ჩვენია – ა. ჩ.) და ადგილთა“.<sup>4</sup>

გვაქვს თუ არა დასავლეთ საქართველოში „ხევი“?

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და დავით მუსხელიშვილი დასავლეთ საქართველოში „ხევს“ ვერ ხედავენ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, არის, თუმცა იშვიათია, რადგან მას დასავლეთ საქართველოში დასახლება „სერებად“<sup>5</sup> წარმოუდგენია. მისივე თქმით, „ხევი“, „ხევ-ობა“ – „ხეობა“, უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო მთლიანობას ემყარებოდა და მისი შედეგი იყო მორწყვაზე დამყარებული მეურნეობის შედეგი“.<sup>6</sup>

„ხევნი დასავლეთ საქართველოს მიმართ – „მხარე“ – კუთხე“ (სიმონ ყაუხჩიშვილის ლექსიკონის მიხედვით).<sup>1</sup>

<sup>1</sup> დ. ჭითანავა. ყულიშკარის თემი (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 87.

<sup>2</sup> დ. ჭითანავა. ყულიშკარის თემი (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 89.

<sup>3</sup> დ. ჭითანავა. ყულიშკარის თემი (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გვ. 84.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 281.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 64.

<sup>6</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 111.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 64.

ნ. ბერძენიშვილი სვამს კითხვას: „ხევებს“ ადგილობრივად ხევები ერქვათ თუ ეს მწერლის ენაა? ბედიას საეპისკოპოსოს შექმნისას ბაგრატ III-მ „*შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ხევთა და ადგილთა*“. ავტორს ეს ქვეყანა ხევებად წარმოუდგენია.<sup>1</sup> ბედიას საეპისკოპოსო გვიან ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედის,<sup>2</sup> ანუ ოდიშში „ხევები“ არსებობს.

მეგრულში, მეგრულ-ჭანურში არსებობს ხევის აღმნიშვნელი სიტყვა რუბა-ორუბა (ჭან) და რობუ (მეგრ). იგივე მდინარე (овраг, ушелье, река),<sup>3</sup> თუმცა, ჩემი აზრით, ტერმინ „ხევს“ უნდა შეესაბამებოდეს „მუხური“. ცნობილია, რომ სამეგრელოში „მუხურებად“, ანუ მხარეებად იყო დასახლება.

ი. ყიფშიძის განმარტებით:

მუხური – край, угалокъ, островъ, страна,<sup>4</sup> რაც უნდა მოდიოდეს სიტყვა „ოხორი“ – სახლი, ან „ხორუა“ – სამოსახლოდან, აქედან „მა-ხორუ“, „მო-ოხურუ“, „მახორო“.<sup>5</sup>

სამეგრელოში მრავლადაა სოფლები სახელწოდებით „მუხური“. <sup>6</sup> შამუგიაშ მუხური – შამუგიას კუთხე, ზუგდიდის რ-ნი; შოშიამ მუხური – შოშიას კუთხე, სათიბი სოფელ დარჩელში, ზუგდიდის რაიონი; განარჯიას მუხური, იგივე გან-მუხური – რაც განარჯიას კუთხეს ნიშნავს; ხუტუმ-მუხური – ხუტუს მხარე და ა. შ.<sup>7</sup>

ჩემი აზრით, სიტყვა „მუხურ“ (მხარე, კუთხე) ან „ხურუდან“ უნდა მოდიოდეს ტოპონიმი „მოხერისი“.

ნ. ბერძენიშვილი სვამს კითხვას: „მუხურში“ ხომ არ იყო ბერძნული მოხერისის საფუძველი?<sup>8</sup> ის გამოყოფს მუხურ-ი-ში-ი-ხურ, ხორუა. იქვე ასკვნის: „ქუთათიში არაა საფიქრებელი რომ ყოფილიყო. ამ „ში“-ს ქართული ისეთივე ში-თი შემოინახავდა, როგორც შემოინახა კულაში, ჯიხაიში, ჩხენიში“.<sup>1</sup>

აქ, ჩემი აზრით, ამოსავალი უნდა იყოს მეგრული, მეგრულში კი ქუთაისს –

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 63-64.

<sup>2</sup> გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი). თბ. 2004.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ. 1938, გვ. 183.

<sup>4</sup> ი. ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ. თბ. 1994, გვ. 285.

<sup>5</sup> ი. ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი, გვ. 500.

<sup>6</sup> ალ. ლლონტი. ტოპონიმიკური ძიებანი. ტ. I. თბ. 1971, გვ. 73-95.

<sup>7</sup> პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი. თბ. 2005, გვ. 90.

<sup>8</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 552.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 552.



ქუთეში ჰქვია. ამ შემთხვევაში ქუთაისიც და მოხერისიც ლაზიკის მხარეა, სადაც, სავარაუდოდ, მეგრულ-ქანური ენა იყო გავრცელებული. ამიტომ სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია ყოფილიყო „მუხურში“, რაც მხარის, კუთხის აღმნიშვნელი იყო. ამ ყველაფრის საფუძველი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იყო ბერძნული χῶμα.

ჩემი ყურადღება მიიქცია დეისმა ჯაიანის ფიცის წიგნმა, რომელიც, ჩემი აზრით, საინტერესო ცნობას შეიცავს ოდიშის/სამეგრელოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით.

*„...არც ის დაგაკლოთ და რომელიც წესი ყოფილიყოს, ნავიცა ისიცა მოვაბაროთ თქვენს მოხელეს, ამ ხორგის ქვეყანას (ხაზი ჩვენია – ა. ჩ.). თქვენს ყმაში არა გასავალი, არა გამოსავალი, არა სათხოვარი მაგისტანა, თუ რამე მოხდეს, ცუდს სათხოვრის ჩამოისად არა გარდასახადი თქვენის მოხელეს უკითხავად, ან ჩვენის ნებით არა ვისაქმოთ რა, და გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღ-თი და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი, ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი არიან მისი შუამავალნი და მოწამენი თავს ცაიშელი მაქსიმე, გენათელი გრიგოლი, ჯოლია ხახუ, ზებედე. ამ ზ /ემოთ/ წერილთ მაღლმან ხელიცა გულისა მა (რთლითა) ჩავკრთავს, რომ ამისი გამთავე ვიყო...“* ამის მერე ტექსტს აკლია.<sup>1</sup>

დეისმა ჯაიანი, როგორც ვნახეთ, ხორგას „ქვეყანას“ უწოდებს, რაც ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ფაქტია.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ფოთის ჩრდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღუის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“.<sup>2</sup>

პროფესორმა თ. ბერაძემ ყურადღება გაამახვილა ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობაზე და შენიშნა, რომ „ხორგის წყალი“ – ამგვარი სახელწოდების მდინარე აქ არსებობს. სოფელი ხორგა კი მდებარეობს მდინარე ხობისწყლის ორსავე ნაპირზე, არა ზღვასთან, არამედ 15 კილომეტრის მოშორებით, ხოლო ვახუშტის „ხორგის წყალი“ მდინარე ხობი უნდა იყოს,<sup>1</sup> ხორგაში ნამდვილად რომ იყო აფხაზთა კათალიკოზის

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 40-41.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 778.

<sup>1</sup> თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. IV. თბ. 1971, გვ. 58.

სასახლე, ეს ნათლად ჩანს ზემოთ აღნიშნული დეისმა ჯაიანის ფიცის წიგნიდანაც.<sup>1</sup>

„ხორგის ქვეყანა“ რომ შემოსავლიანი მხარეა, ამაზე მიუთითებს ის ბაჟი, რომელიც აქ მოსულმა ნავებმა უნდა გადაიხადონ.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ ო. სოსელიას დეისმა ჯაიანი ხორგას მოურავი ჰგონია, რადგან მისი საქმეა „სათხოვარი“, „გარდასახადი“ და „სხვა რამე სათემო საქმე“.<sup>2</sup>

საერთოდ, ჯაიანებს ეკუთვნოდა ხორგას მნიშვნელოვანი ნაწილი<sup>3</sup> (ო. სოსელია ეყრდნობა ვინმე არტემონ და ივლიანე ჯაიანების ცნობას, ასევე, ბ. ჯაიანის ნაშრომს), რაც დეისმას ფიცის წიგნში აისახა.<sup>4</sup>

მერაბ ჯაიანი, რომელიც 1696-1750 წლებში მოღვაწეობდა, 1733 წელს გრიგოლ კათალიკოზს ხორგაში, საკუთალიოში აფშილავას ცოლ-შვილით სწირავს.<sup>5</sup> იგი, ო. სოსელიას აზრით, დეისმას მემკვიდრე უნდა იყოს.<sup>6</sup>

1696-1742 წლების პირობის წიგნში ვკითხულობთ:

*„ესე მტკიცე... წიგნი მოგართვი თქვენ კზს ბატონს გრიგოლს ჩვენ ჯაიანმა მერაბ, ასე რომ ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა და მერე ამ ხელი კაცი ვარ და იქ აღარ გვედგომებოდა და მოვედი, შემოგებხეწნეთ და წყალობა გვიყავით და ჩვენს სიცოცხლეში დაგვაყენეთ და ჯიქთუბანს სამი მოსახლე გლეხი გვიბოძეთ“.<sup>7</sup>*

აქაც მერაბ ჯაიანი ხორგას „ქვეყანად“ მოიხსენიებს. ჩვენ ზემოთ გამოვთქვით მოსაზრება, რომ შესაძლებელია დეისმა ჯაიანს, როგორც ხორგას მოურავს<sup>8</sup> „ხევისთავის“ სახელოც შეეერთებინა. დღეს ხორგა სამი სოფელია: გამოღმა პირველი ხორგა, შედის პირველი ხორგის სოფლის საკრებულოში; გამოღმა შუა ხორგა და

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 40-41.

<sup>2</sup> ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 293.

<sup>3</sup> ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 291.

<sup>4</sup> საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 40-41.

<sup>5</sup> გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), გვ. 144.

<sup>6</sup> ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 294.

<sup>7</sup> გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), გვ. 149.

<sup>8</sup> ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). ტ. I, გვ. 293.

გალმა შუა ხორგა, შედის შუა ხორგის თემის საკრებულოში<sup>1</sup> და მდინარე ხობის ორსავე ნაპირზეა განლაგებული.

სულხან-საბას განმარტებით, ხევი – ეს არის მდინარის ნაპირზე ჩამწკრივებული სოფლები, რომლებიც ამ მდინარით ირწყვება.

ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ხევი“ იგივე „ქვეყანაა“. მაგრამ ქვეყანა ყოველთვის ხევი არაა,<sup>2</sup> ყოველი ხევი ქვეყანაა, მაგრამ ყოველი ქვეყანა არაა ხევი.

„ხევი ტოპოგრაფიული ნიშნიდან ამოდის, ქვეყანა კი ასეთ ნიშანს მოკლებულია“. „ქვეყანა“ სალიპარტიანო არ შეიძლება იყოს ხევი, რადგან ის ტოპონიმიკური ნიშნიდან არ ამოდის და მთისა და ბარისაგან შედგება, რამდენადაც ეს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, სამეგრელოშია შესაძლებელი.

შესაძლებელია, „ხორგის ქვეყანა“ უფრო (ფართო) ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე დღევანდელი სოფელი ხორგა. ის, სავარაუდოდ, მისი მიმდგომი ტერიტორიებისაგან შედგებოდა და ცენტრი სოფელი ხორგა უნდა ყოფილიყო, ქვეყანა უცენტროდ წარმოუდგენელია, ისევე როგორც ცენტრი უქვეყნოდ არ შეიძლება არსებობდეს.<sup>3</sup>

ხორგაში საკათალიკოზო მამულთან ერთად ჯაიანებსაც ჰქონიათ მამულები.<sup>4</sup>

„ხორგის ქვეყანა“, რა თქმა უნდა, უნდა გავიგოთ როგორც „მიკრო ქვეყანა“, „ქვეყანა“ ისტორიული პროვინციის სამეგრელოს (ოდიში) შიგნით.

ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომში ერთ ადგილას აღნიშნავს: „ქვეყანა, ხევი, მხარე“.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება იყოს „ხორგის მხარე“. ჩემი აზრით, ტერმინი „მუხური“, რომელიც „ხევის“ აღმნიშვნელ ტერმინად დავსახეთ მეგრულ-ქანური მოსახლეობის არეალში, სავსებით შესაძლებელია ასევე გამოვიყენოთ „ქვეყნის“ აღსანიშნავადაც.

ოდიშის სამთავროში ლევან II (1611-1657) დადიანის დროს არსებობდა ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „სახევისთავო“, რომელიც თავის

<sup>1</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა). ტ. II. თბ. 2003, გვ. 117, 170.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 69.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 69; 110.

<sup>4</sup> საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 40-41.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 88.

თავში სოციალურ დატვირთვას ატარებდა. ის, ჩემი აზრით, აერთიანებდა სასოფლო თემებს, მათ შორის, საკათალიკოზო და საეპისკოპოსოში შემავალ თემებს და კონკრეტულ საზღვრებში არ იფარგლებოდა. „ხევისთავის“ ხელი, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მოურავს უნდა შეეთავსებინა.

„ხორგის ქვეყანა“, რომელიც, სავარაუდოდ, სოფელ ხორგის მიმდგომი ტერიტორიებისგან შედგებოდა და ერთმანეთში აერთიანებდა, როგორც საკათალიკოზო მამულებს, ასევე, ჯაიანთა მფლობელობაში მყოფ სოფლებსაც. „ქვეყნის“ ცენტრი კი სოფელი ხორგა უნდა ყოფილიყო;

„ხევისთავის“ სახელოს, სავარაუდოდ, ოდიშის სამთავროში ზოგიერთ შემთხვევაში მოურავი ფლობდა. იმის გათვალისწინებით, რომ დეისმა ჯაიანი ხორგის მოურავია და საკათალიკოზო მამულზეც მიუწვდება ხელი, მიმაჩნია, რომ „სახევისთავო“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ხორგის ქვეყნის“ შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოში „ხევი“ არ არსებობდა; დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, მეგრულ-ლაზთა განსახლების არეალში ტერმინ „ხევის“ უნდა შეესაბამებოდეს მეგრული სიტყვა „მუხური“, „მოხევეს“ – კი „მოხურუ“ – სადაც ძირი უნდა იყოს „ხორ“ (სვანურად „ქორ“ – სახლს ნიშნავს) ან „ხურ“, რაც სამოსახლოს და დასახლებას ნიშნავს.

ყოველივე ეს თუ შესაწყნარებელია ჯერ კიდევ ლაზიკა/ეგრისის სამეფოების არსებობის პერიოდში, დასახლება დასავლეთ საქართველოში მუხურების სახით უნდა არსებულიყო. დაახლოებით იგივე შეიძლება ვივარაუდოდ „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის პერიოდში. სამეგრელოს მთიანეთმა, ამგვარი ჰომოგენური სოციალური დავტვირთვის აღმნიშვნელი გაერთიანებები დღემდე შემოინახა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მიემართება იმ ტერიტორიას, რომელსაც, მემატანეს სიტყვებით, „ეგროსის წილ ქვეყანად“ ვიცნობთ. რა სიტუაცია იყო საკუთრივ აფხაზეთა საერისთავოს ტერიტორიაზე ჩვენთვის უცნობია.

## თავი VI

### ქართული ფეოდალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხები

#### §.1. ფეოდალური რენტა და გლეხთა ექსპლოატაციის ხარისხი

წარმოდგენილი თავი ეხება ფეოდალიზმის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, მასში გაჩენილი საწარმოო და კლასობრივი ურთიერთობების შესწავლას. ფეოდალური წარმოების წესი, როგორც მიჩნეულია, წარმოადგენდა რთულ ერთობლიობას.<sup>1</sup> ამიტომ მისი კვლევა მხოლოდ კულტურული ნიშნების მეშვეობით გაუმართლებელია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ფეოდალიზმი წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ სისტემას. ფეოდალიზმში ძირითადი საწარმოო საშუალება – მიწა – მებატონის ხელშია. სწორედ ეს განსაზღვრავდა საწარმოო ურთიერთობებს და მასზე იდგა მთლიანად ფეოდალური წესი, ფეოდალური წესრიგი. ეკონომიკური სტრუქტურა სწორედ მიწიდან მომდინარე ბეგარის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა. მიწიდან მიღებული შემოსავლი მითვისებულ შრომაში გამოიხატებოდა. აქვე უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ მიწა და მიწიდან მომდინარე გადასახადები და ვალდებულებები ქმნიდნენ სისტემის ქვაკუთხედს, მიწაზე გაწეული შრომა და მიღებული პროდუქტები არ წარმოადგენდნენ საქონლს, საქონელს მისი ეკონომიკური გაგებით.<sup>2</sup>

როგორც წესი, ქართულ და, ზოგადად, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფეოდალიზმი განიხილება, როგორც მონათმფლობელური წარმოების წესის შემდგომი ეტაპი. თუმცა ქართულ ეთნოკულტურულ რეალობაში ჩვენ არ გვაქვს წყაროები იმის შესახებ, რომ მონათმფლობელობა წამყვან საწარმოო ურთიერთობებს წარმოადგენდა. დასავლურ ისტორიოგრაფიაში ფეოდალიზმს ანტიკურობის შემდგომ პერიოდად მიიჩნევენ, რადგან მონათმფლობელური საზოგადოების არსებობა იმ სახით, რა სახითაც ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსები

1 П. Андерсон. Переходы от Античности к Феодализму. М. 2007. გვ. 143

2 П. Андерсон. Переходы от Античности к Феодализму. М. 2007. გვ. 143

გვთავაზობენ, სამართლიანად უარყოფილია. შესაბამისად, ფეოდალიზმამდელი პერიოდის ხსენებისას ზოგადი აღმნიშველებით ვისარგებლებ. განხილვისას მხოლოდ ციტირებისას და ქართული ისტორიოგრაფიის მოსაზრებების განხილვისას გამოვიყენებ ტერმინს „მონათმფლობელური“. თუმცა მიმაჩნია, რომ ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში არავითარი მონათმფლობელური საზოგადოება არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ძველ პერიოდში არ გამოვრიცხავ მონური შრომის არსებობას ქართულ რეალობაში, მაგრამ ის წამყვან ძალად არ მიმაჩნია, უნდა აღინიშნოს, რომ, რაც ფეოდალიზმს მონათმფლობელობისგან განასხვავებს, ეს არის გარეეკონომიკური იძულების წესი. ხშირად გარეეკონომიკურ იძულებას, როგორც ფეოდალიზმის განმასხვავებელ ნიშანს, მის მთავარ წესად განიხილავენ. ეს კი შეცდომაა, რადგან წარმოუდგენელია სისტემის განვითარების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური მახასიათებელი რომელიმე ფორმაციის საფუძველს წარმოადგენდეს, ისევე, როგორც შეუძლებელია კაპიტალისტური წარმოების წესი მივიჩნიოთ კაპიტალიზმის საფუძველად. ის ხომ კონკრეტული საწარმოო ურთიერთობების შედეგია. მთავარია ის, თუ რამ განსაზღვრა ეს საწარმოო ურთიერთობები, რომელიც სხვადასხვა ჯგუფებს ერთმანეთს უპირისპირებს, ერთის მიერ შექმნილ პროდუქტს და შრომას მეორე ითვისებს, ასეთად კი ფეოდალური ბეგარა უნდა მივიჩნიოთ. მონა თავისთავად ბატონის საკუთრებას წარმოადგენს, შესაბამისად, ის განხილულია, როგორც საწარმოო საშუალება, მისი სიცოცხლეც კი ბატონს ეკუთვნის. გლეხი, რომელიც ფეოდალიზმის მწარმოებელი ძალაა, წარმოადგენს ბატონის საკუთრებას, არა როგორც საწარმოო საშუალება, არამედ მიწაზე მიმაგრებული თავისუფლებადაკარგული სუბიექტი. მის შრომაზეა დამოკიდებული ეპოქის ძირითადი ეკონომიკური დოვლათის შექმნა. სწორედ ამ გაწეული შრომისა და შრომის შედეგად შექმნილი პროდუქტის მითვისება ქმნის სისტემის კლასობრივ სტრუქტურას. კლასი ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც ეკონომიკური კატეგორია. სწორედ ამ კლასებს შორის წარმოებულ საწარმოო ურთიერთობები განსაზღვრავენ კონკრეტული ფორმაციის შიგნით მიმდინარე პროცესებს.

როდესაც განვიხილავთ ფეოდალურ ეკონომიკას, გასაგები გახდება სისტემის

კლასობრივი ჩაგვრის ელემენტები. ფეოდალიზმი არ მიმაჩნია იურიდიულ კატეგორიად და არც მასში არსებული საკუთრების ფორმების ბაზისი არ არის იურიდიული. იურიდიული ფორმები მან სისტემის განვითარებასთან ერთად შეიძინა, ისიც მმართველი კლასის მიერ თავსმოხვეულ სამართლის წიგნებსა და ნორმებში.<sup>1</sup>

ფეოდალიზმს არა განვიხილავ, როგორც საყოველთაო თუმცა უნივერსალურ ფორმაციას, სადაც ის დასტურდება, მიმაჩნია, რომ ის წარმოადგენდა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ საფეხურს კონკრეტულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ არეალებში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ მისი კვლევა მარქსისეული პოლიტიკური ეკონომიის ჭრილში უნდა მოხდეს. მარქსისეული პოლიტიკონომია კი, როგორც მოგვეხსენება, ტრადიციული პოლიტიკური ეკონომიისგან იმით განსხვავდება, რომ ის შეისწავლის საწარმოო ურთიერთობებს და ამ ურთიერთობების ეკონომიკურ საფუძველს, რომელიც წარმოშობს კლასობრივ ანტაგონიზმს. ამგვარ ანტაგონიზმს კი მმართველი ელიტის მიერ დამორჩილებული ხალხის მიერ გაწეული შრომისა და პროდუქტის მითვისება ქმნის, ფეოდალურ ეპოქაში ის წარმოგვიდგება ფეოდალური ბეგარის სახით.

ფეოდალური ბეგარის კლასიფიკაცია და მისი განვითარება მარქსის მიხედვით შემდეგია: 1. შრომამიგებითი ბეგარა, 2. ნატურალური ბეგარა და 3. ფულადი ბეგარა. ბეგარის ეს სამივე ფორმა შესაძლებელია ერთდროულად შეგხვდეს, თუმცა ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის წამყვან როლს ასრულებს. ბეგარის ამგვარი კლასიფიკაცია ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ გაიგო, როგორც ბეგარის განვითარების ეტაპები და, შესაბამისად, ის ფეოდალიზმის განვითარების ეტაპებს შეუსაბამა. შრომამიგებითი ბეგარის არსებობა მიჩნეულ იქნა, როგორც ადრეული ფეოდალიზმის ეტაპი და ა.შ.<sup>2</sup> ერთი შეხედვით, საინტერესო მეთოდოლოგიური მიდგომაა, თუმცა გარკვეულ ჩასწორებებს მოითხოვს. ჩემი აზრით, ის ექპლოატაციის ხარისხისგან მოწყვეტილად არ უნდა გავიაზროთ. უკვე აღინიშნა, სამივე ფორმა შესაძლებელია

---

1 К. Маркс, Ф. Энгелс. Избранные письма. М. 1953. гв. 153-154.

2 მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 361-362; გ. მიძიგური. ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. ტ. III. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 62.

ერთდროულად ფუნქციონირებდეს, რადგან განვითარებული შუა საუკუნების დროსაც გვხვდება ფულადი ბეგარის ფაქტები. ეს კი სრულებითაც არ ნიშნავს ფეოდალიზმის ბოლო სტადიას, გარდამავალს კაპიტალისტური წარმოების წესისკენ. ის მხოლოდ სამხილია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების კონკრეტულ ქვეყანაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია მოსაზრება, რომ საგლეხო გადასახადი შემდეგნაირად იყოფოდა: ბეგარა მიწის მესაკუთრეს ეკუთვნოდა, გადასახადი კი – სახელმწიფოს.<sup>1</sup> აღნიშნული მოსაზრების საპირწონედ დ. გოგოლაძემ შემოგვთავაზე შემდეგი დებულება, რომ სახელმწიფო გლეხებში ფეოდალური რენტა და სახელმწიფო გადასახადი ემთხვეოდა ერთმანეთს. საბატონო გლეხები კი, ფეოდალური რენტის გარდა, სახელმწიფო გადასახადსაც იხდიდნენ.<sup>2</sup> აღნიშნულ მოსაზრებებს საინტერესოდ გამოეხმაურა ისტორიკოსი გიული ძიძიგური, რომლის ძირითად დაკვირვებებს ვიზიარებთ და ისინი ემთხვევა ჩემს მოსაზრებებს.<sup>3</sup>

ბეგარა და გადასახადი თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. გადასახადი არ წარმოადგენს ექსპლოატაციის ფორმას ბეგარისგან განსხვავებით. თუ კაპიტალისტური წარმოების წესისთვის მარქსმა საკვანძოდ ზედმეტი ღირებულების თეორია წარმოადგინა, ფეოდალური ბეგარა ფეოდალური ურთიერთობების საფუძვლად წარმოგვიდგება, სადაც შრომისა და პროდუქტის მითვისება მეზატონის მიერ ხდება.<sup>4</sup> შესაბამისად, ორივე ფორმას ექსპლოატაცია ახასიათებს.

ზემოთ აღინიშნა, რომ ფეოდალიზმი წარმომადგენია არა საყოველთაო თუმცა უნივერსალურ ფორმაციად. ვგულისხმობ აზიური წარმოების წესის არსებობას, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ფეოდალური ურთიერთობებისგან. აზიური წარმოების წესისთვის დამახასიათებელია მიწის საერთო საკუთრება სახელმწიფოს ხელში. ამ შემთხვევაში რენტაც და გადასახადიც იდენტურია, რადგან ერთადერთი ექსპლოატაციის წყარო სახელმწიფოა, ისინი ერთმანეთში კი არ თანაარსებობენ,

---

1 დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1976, გვ. 43, 111, 131, 154.

2 დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში. თბ. 1971, გვ. 146-148.

3 გ. ძიძიგური. საკუთრებისა და ექსპლოატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში.

4 კ. მარქსი. კაპიტალისტური მიწის რენტის გენეზისი. კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ტომი მესამე, ნაწილი მეორე. თბ. 1959, გვ. 399-418.



არამედ გადასახადმა შეითავსა ორივეს ფუნქცია. გ. ძიძიგური სწორად შენიშნავს, როდესაც რენტისა და გადასახადის საკითხს განიხილავს, მისი აზრით, ორივე შემთხვევაში მიწა ფისკალური ერთეულია. ამგვარი მიწიდან მომავალი ვალდებულება კი არ შეიძლება განვიხილოთ ფეოდალურ ბეგარად, რადგან მას კერძო საკუთრება და ექსპლოატაციის განსხვავებული ფორმა უდევს საფუძვლად.<sup>1</sup>

მოკლედ განვმარტავ, თუ როგორი განვითარება განიცადა ბეგარამ ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში. ბეგარა თავდაპირველად, სავარაუდოდ, ირანული ხარკის აღსანიშნავად გამოიყენებოდა.<sup>2</sup> ბეგარა სომხეთში გვხვდება VII საუკუნის დოკუმენტში. აღონცის მიხედვით, ტერმინი ბეგარა 641 წლის დვინის საეკლესიო კრების დადგენილებაში იხსენიება.<sup>3</sup> ის ფაქტი, რომ ბეგარა VII საუკუნისთვის სომხეთში დასტურდება ქართულ ისტორიოგრაფიაში იძლევა მოსაზრების გამოთქმის საფუძველს, რომ ის საქართველოში ადრეფეოდალურ პერიოდში უნდა არსებულებოდა.<sup>4</sup> სიტყვა ბეგარა სპარსული სიტყვის „ბიგარ“ გადმოქართულებული ვარიანტია, არაბულში კი მას სუხრა შეესაბამება.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ბეგარა და სუხრა ქართულ რეალობაში სინონიმებად გამოიყენებოდა. მ. ლორთქიფანიძის დაკვირვებით, ის მთელს საქართველოში თბილისის საამიროდან გავრცელდა.<sup>6</sup> მ. ბერძნიშვილის აზრით, სუხრა შემდგომში სამეფო შრომით ვალდებულების ნაირსახეობად გადაიქცა.<sup>7</sup>

საგლახო გამოსაღების კვლევისას მ. ბერძნიშვილი შენიშნავს, რომ ბეგარა XI საუკუნიდან მხოლოდ მიწაზე გაწერილ გადასახადს წარმოადგენს.<sup>8</sup> მ. ლორთქიფანიძე სამართლიანად არ ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას და, მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ XI-XIII საუკუნეებში ბეგარა ვიწრო მნიშვნელობით იხმარება, გვაქვს

---

1 გ. ძიძიგური. საკუთრებისა და ექსპლოატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 9.

2 ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები. ტ. I თბ. 1952, გვ. 102.

3 Н.Г. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. тексты розыск. К. XI. СПб. 1908, გვ. 284.

4 ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ.103; მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. - XIII ს. დამდეგამდე). იხ. დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1976, გვ. 45

5 მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს.-XIII ს. დამდეგამდე), გვ. 47.

6 მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს.-XIII ს. დამდეგამდე), გვ. 46.

7 მ. ბერძნიშვილი. გლეხთა გამოსაღები XI-XII სს. საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII. თბ. 1963, გვ. 134.

8 მ. ბერძნიშვილი. გლეხთა გამოსაღები XI-XII სს. საქართველოში, გვ. 131-139.

მონაცემები, რომ ის შრომით ვალდებულებასაც აღნიშნავდა.<sup>1</sup> XVI-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს გლეხთა ვალდებულება საბეგრო მნიშვნელობით გამოიხატება, რაც შრომამიგებით, ნატურალურ და ფულად გადასახადსაც გულისხმობს.<sup>2</sup>

XIX საუკუნის საგლეხო რეფორმის მასალები საინტერესო მონაცემებს იძლევა თუ რა ტიპის ვალდებულებები გააჩნდათ გლეხებს. იგი საუკუნეების განმავლობაში უცვლელი იყო, რადგან ასევე უცვლელი იყო ფეოდალური წარმოების წესი. მასალების მიხედვით, ორი სახის ყმების გადასახადი არსებობს: 1. პირველი კატეგორია არის ყმისა ბატონის მიმართ, მის მამულზე ცხოვრობს თუ სხვაგან, ანუ პირადი დამოკიდებულება, 2. ვალდებულება არის გაცემული მიწის სანაცვლოდ.

პირველი წლიური გადასახადი განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან განსხვავდება საკუთრივ გლეხთა კატეგორიები და გამოსაღებიც შესაბამისია. მეორე გადასახდელი კი არის ადგილ-მამულით სარგებლობისთვის, რომელიც კომლზეა შეწერილი:

1) „ღალა, წილი მიწის მოსავლისა, განუსაზღვრელი, ზოგან მეათედი და ზოგან მესამედიცა, ზოგან გადაკვეთით იღებდნენ, მაგალითად დღიურზედ კოდსა (2 პუდი ათი გირვანქა) როგორც უნდა იყოს მოსავალი.“

2) კულუხი, წილი ვენახების მოსავლისა, ზოგან მეშვიდედი, ზოგან მეხუთედიცა.

3) ბეგარა, ესე იგი მუშაობა წელიწადში ათი დღიდან ორმოცდაათ დღემდე კომლზე. მრავალგვარი ადგილობითი განსხვავება ამ სარგებლობის ზომისა ემყარება მეფე ვახტანგის კანონის სნ (250) მუხლზედ, რომელშიც სწერია: „ღალის აღებისთვის მიწა ოთხგვარი არის: ერთი ნაფუძარი, მეორე ნანეხვი, მესამე სარწყავი, მეოთხე ველური. ამათ ხვნაშივე შერიგება უნდა მისი პატრონის პირობით“.<sup>3</sup>

1 მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. - XIII ს. დამდეგამდე), გვ. 49.

2 ლ. მუსხელიშვილი. დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები XVI-XVII საუკუნეებში. ენიშკის მოამბე. V-VI. თბ. 1940, გვ. 273-274; ე. ორჯონიკიძე. ფულადი და ნატურალური გადასახადები და ფეოდალური რენტის ფორმები რეფორმამდელი ხანის საქართველოში. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა ხელოვნების ისტორიის სერია. №3. თბ, 1976, გვ. 23-36.

3 შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისთვის საქართველოში. დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა. „საისტორიო მოამბე“. 4. თბ. 1948, გვ. 210-211.

ფეოდალური ეკონომიკის შესწავლა პოლიტეკონომიური ასპექტით საშური საქმეა. მხოლოდ ამით დავადგენთ ექსპლოატაციის ხარისხს, რა თქმა უნდა, თუ წყაროები მოგვცემენ საშუალებას. ამ მხრივ ერთადერთი შრომა ქართულ ისტორიოგრაფიაში გიული მიძიგურს ეკუთვნის, რომელიც თეორიულ პარადიგმებში განიხილავს ქართული ფეოდალიზმის ეკონომიკის საფუძვლებს.<sup>1</sup> ქვემოთ წარმოვადგენ ჩემს დაკვირვებებს კონკრეტული ფაქტების მიხედვით, განვიხილავ ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებს და მათი ინტერპრეტაციის საფუძველზე შევეცდები წარმოვაჩინო კონკრეტული თეორიული თეზები, რომლებიც პოლიტეკონომიურ მეთოდოლოგიურ დაკვირვებას ემყარება. პრეტენზია არ მაქვს, რომ სრულად ამოვწურავ სადისკუსიო თემის გარშემო არსებულ საკითხებს, თუმცა გარკვეულ ასპექტებს ახლებურად წარმოვაჩენ.

ქართული ფეოდალიზმის და, ზოგადად, ფეოდალიზმის კვლევისას აუცილებელია განისაზღვროს ძირითადი ხაზი, რომ საკვლევი პერიოდი არ წარმოადგენს ბუნებრივი განვითარების შედეგს და ის მოცემულობა, რომელიც ფორმაციის შიგნით მიმდინარეობს, ისტორიული პროცესის შედეგია. ბატონისა და გლეხის არსებობა სრულებითაც არ წარმოადგენს რაიმე განსაზღვრულ ნორმას, არამედ ის ისტორიულ პროცესში ანტაგონისტურად დამოკიდებული ფენების საწარმოო ურთიერთობების შედეგია. ამიტომ ის ვალდებულებები, რომელიც გლეხობას გააჩნდა ბატონის წინაშე, არა სამართლიანობისა და საზოგადოების განვითარების აუცილებლობითაა ნაკარნახევი, არამედ ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციისა და გარკვეული სიკეთეების მითვისებით.

ხშირად გავიგებთ, რომ ქართული ფეოდალიზმი თავისი ექსპლოატაციის ხარისხითა და ფორმით განსხვავდება ევროპული შუასაუკუნეობრივი საწარმოო ურთიერთობებისგან, რის მაგალითად მოჰყავთ, ის ფაქტი, რომ საქართველოში თითქმის არ იყო გლეხთა გამოსვლები და კლასობრივი უთანხმოება. განა მთის გამოსვლები საქართველოში არ ატარებს კლასობრივ ხასიათს, განა მეფის, დიდი თუ მცირე ფეოდალების მიერ მთის დაპყრობა და დამორჩილება მხოლოდ ქვეყნის ერთიანობითაა ნაკარნახევი? მთის დამორჩილება უპირველესად გულისხმობს იქ

---

1 გ. მიძიგური. საკუთრებისა და ექსპლოატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1988.

ფეოდალური ურთიერთობების დამყარებას, სათემო ერთეულების ფეოდალურ ექსპლოატაციაში ჩაბმას, მათი დოვლათის მითვისებას არა უკვე სახელმწიფო გადასახადის, არამედ ფეოდალური ბეგარის სახით.<sup>1</sup> ამგვარი დისკუსიები საბჭოთა და ევროპელ მედიევისტებს შორის არაერთხელ გამართულა, <sup>2</sup> არამარქსისტი ისტორიკოსები ექსპლოატაციის ხარისხზე და რენტის ოდენობაზე ედავებოდნენ მარქსისტული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს, თუმცა მათ გამორჩეობდათ მნიშვნელოვანი. როგორც ამას ინგლისელი ისტორიკოსი კრისი ვიკჰემი უჩვენებს, ისინი არასდროს განიხილავდნენ იმ საწარმოო ურთიერთობებს, რომლებიც ფეოდალურ ურთიერთობებში ვლინდებოდა: „საკვანძო პუნქტი აქ სოფლის მეურნეობაა – სიმდიდრის ძირითადი წყარო შუა საუკუნეებსა და ფეოდალიზმში, სრულად გლეხის ხელში იყო. მიწა კი გლეხს არ გააჩნდა“.<sup>3</sup>

ქართულ რეალობაში ბატონყმობის, როგორც მამისა და შვილის თბილი ურთიერთკავშირი, როგორც მამაშვილობა და სათნოება ალექსანდრე ორბელიანისა და ნიკოლოზ ხიზანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული,<sup>4</sup> რამაც ჩამოაყალიბა აზრი, თითქოს ქართველი ბატონი გლეხის ეკონომიკურ ექსპულატაციას არ ახდენდა. რაც არ უნდა ჰუმანური იყოს ამ მოსაზრების მომხრეების არგუმენტები, უნდა ითქვას, რომ ჩაგვრის ეკონომიკური საფუძველი ადამიანის კეთილშობილებასთან არავითარ კავშირში არ არის. ის მხოლოდ საწარმოო ურთიერთობებში იჩენს თავს.

4) საგლეხო ვალდებულების ძირითად ფორმას მიწაზე მუშაობა შეადგენდა, მიწის დამუშავება, მინდვრების ათვისება, სამიწათმოქმედო სამუშაოები სენიორის მამულში, ხვნა, თესვა, ანეული, მკა, ვენახთან დაკავშირებული სამუშაოები – ზვრების დამუშავება. მიწის დამუშავებას მისი გაპოხიერება-განაყოფიერება

---

1 მთის გამოსვლების კლასობრივ ასპექტზე ყურადღება ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავის დროზე გაამახვილა.

2 დასავლურ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული პარადიგმის დიალექტიკა მოცემულია ამ ბოლო დროს ქართულად თარგმნილ სახელმძღვანელოში, როგორ დაწეროთ ისტორია. მეოთხე ნაწილი. ფილიპ სკოფილდი. ისტორია და მარქსიზმი. რედაქტორები პ. ლამბერტი და ფილიპ სკოფილდი. მთარგმნელები. მარიამ ჩხარტიშვილი, ზურაბ თარგამაძე, სოფიო ქადაგიშვილი. თბ. 2016.

3 К. Уикхем. Что Марксизм Сделал Для Истории Средневековья и Что он еще Может Сделат? Средние Века. 68 (1). М. 2007. ასევე იხილეთ. Chris Wikham. Productive Forces and the Economic Logic of the Feudal Mode of Production. Historical Materialism. 16 (2008). Marxist History-writing for the Twenty-first Century. British Academy Occasional Paper 9. Edit by Chris Wikham. 2008.

4 ალ. ორბელიანი. უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში. ჟურ. „ცისკარი“. 11. 1858; ნ. ხიზანიშვილი. ჩვენი გლეხკაცობის ისტორიიდან (შენიშვნები ბატონყმობაზედ). „ივერია“. 2. 1858.

სჭირდებოდა. მართალია, ადრეულ ქართულ წყაროებში ამგვარი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალით დგინდება, რომ ნაკელით მიწის მოპოხიერებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამიწათმოქმედო საქმიანობაში.<sup>1</sup> ფეოდალურ ევროპაში გასაპოხიერებელი მასალის მომარაგებას დიდი ადგილი ეთმობოდა, სენიორი მისადმი დაქვემდებარებულებს საბატონო მიწებისთვის ხშირად ავალებდა ნაკელისა და ნეშომპალას შეგროვებას. ასევე, საბატონო მიწებზე საქონლის გადენა ბატონის ნებართვით ხდებოდა, რათა ნაკელი მის მიწაზე დარჩენილიყო და მსახურების ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა. ნაკელის ჩაბარებაც ევროპელ გლეხს ერთგვარ ვალდებულებად აწვა მხრებზე.<sup>2</sup> მართალია, მსგავსი ფაქტები ადრეული საქართველოს შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ვალდებულებები ქართველ გლეხებსაც ექნებოდათ, რადგან მიწის დამუშავება მხოლოდ ხვნა-თესვასა და მოსავლის აღებას არ მოიცავდა. ამ მხრივ საინტერესოა ვახტან მეფის სამართალი, სადაც ნაკელიან მიწაზე საბეგრო გადასახდი განსხვავდება სხვა ტიპის მიწის გამოსაღებისგან: ბეგარა, ესე იგი მუშაობა წელიწადში ათი დღიდან ორმოცდაათ დღემდე კომლზე. მრავალგვარი ადგილობითი განსხვავება ამ სარგებლობის ზომისა ემყარება მეფე ვახტანგის კანონის სნ (250) მუხლზედ, რომელშიც სწერია: *„ღალის აღებისთვის მიწა ოთხგვარი არის: ერთი ნაფუძარი, მეორე ნანახვი, მესამე სარწყავი, მეოთხე ველური. ამათ ხვნაშივე შერიგება უნდა მისი პატრონის პირობით“*<sup>3</sup>

დასტურლამალის მიხედვით, ატენის ბატონის ზვრებს გლეხები საკუთარი ხართა და ნეხვით ამუშავებენ, კავთისხევის საგლეხო გამოსაღებში ნეხვი ჯინნი სამია შეწერილი. ატენის ზვრების მეზვრეს კი ფასი ხარის ნეხვიდან გადაეხდება.<sup>4</sup>

ლაპიდარულ წარწერებში ბეგარას X საუკუნით დათარიღებულ ზაზის და თუთას დაწერილში ვხდებით: *„სახელითა ღმრთისაითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუნ, ზაზი და თუთამან კოლონკელის ფხუნენლაისძისა პირით და მისა ცოლისათა.*

1 ს. ჭანტურიშვილი. ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში. თბ. 1984, გვ. 109.

2 М. А. Барг. Введение. История Крестьянства в Европе. Эпоха феодализма. Т. II. М. 1986. გვ. 29-31.

3 შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისთვის საქართველოში. დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა, გვ. 210-211.

4 დასტურლამალი. მეფის ვახტანგ მეექვსისა. რედაქტორობით პავლე უმიკაშვილისა. ტფ. ლ.გ. კრამარენკოს სტამბა. 1886, გვ. 45. 124. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6386> ბოლო ნახვა, 2018 წლის 15 აგვისტო.

მოგეცით კულტურით მამულობით, ბაჰრამს და ლომას, ამა პირსა ზედა, რომე არია ედვას ბეგარი ზედან, სამსახურისაგან კიდე ზედა. კულა მოგეცით ბაზუარი, მასვე მიწასა ზედა კაცი არა ჯდეს, ამათ ჰქონდეს“<sup>1</sup> წყალობის გამცემები მიწას სამამულოდ გასცემენ. როგორც ვხედავთ, ბეგარას და სამსახურებელ გამოსაღებს განასხვავებენ ერთმანეთისაგან. ამ საბეგროში რა იგულისხმება, ცოტა გაუგებარია, ბაჰრამს და ლომას მამულად დაუწესეს მიწა და აწი ისინი საბეგრო ვალდებულებით არიან დაკავშირებული ზაზისთან და თუთასთან, თუ ამ მიწიდან საგლეხოდ მომავალი ბეგარის ნაირსახეობაა. ერთი რამ ცხადია, ბეგარა აქ მიწიდან გამოსავალ გადასახადს ნიშნავს.

ქართულ რეალობაში დოკუმენტურ წყაროებში ბეგარას პირველად ე.წ. „ფავნელის დაწერილში“ ვხვდებით, რომელიც IX საუკუნით თარიღდება. დოკუმენტში ფავნელის მიერ სოფლების გაყიდვის ფაქტია ასახული შიომღვიმის მონასტრისადმი, მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს, სადაც უკვე შემსყიდველის მიქაილ წინამძღვრის სიტყვებია მოცემული:

*„...ჩავე მე, მიქაილ მემღუმე და ჩავიტანენ ჩემნი ლავრანი ცხვერელნი. დავუწყე ჩემს მამულსა შიგან ციხესა გება. დავდგი ჳევისა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით. და გარეთ – უკეთესი სახიზნო ცხვერელთა ჰქონდეს.*

*დავდევ ერთი დღე ანეული – ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი. თუ ი გრივი გამოვიდეს, ცხრა გრივი – პატრონსა და მეთე ცხვერელთა; წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის – ბეგარა ჩუენი მოსაცემელი; კაცისა თავსა – ორი ჯამი შეჭამადი, ორი-ორი პური; ორი პირი ლუინო.*

*თუ რამე ცხირელსა კელოსანსა გუერდსა შესაპოვარი გედვას, აჭმევდე რასა. ბეგრობისათუის ღამესანუ გაავლებინებ. სიარული არა შეეძლოს, აკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე...“<sup>2</sup>*

მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, „ციხის ბეგარი“ ციხის მშენებლობითვის გაწეულ შრომას ნიშნავს.<sup>3</sup> აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება გ. ძიძიგური, მისი აზრით, მთელი ეს ციტატა: – *დავდევ ერთი დღე ანეული – ციხისა ბეგარი, ერთი დღე*

<sup>1</sup> ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 144-146.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 18-19.

<sup>3</sup> მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. - XIII ს. დამდეგამდე), გვ. 48.

*სამკალი, ერთი დღე სალუწავი* – მთლიანად ციხისთვის გაწერილ გადასახადს უნდა გულისხმობდეს.<sup>1</sup> დოკუმენტის სტრუქტურულად შესწავლის შედეგად მეც იგივე აზრი გამიჩნდა. უკვე მრავალჯერ აღინიშნა, რომ ციხე ფეოდალური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ატრიბუტია, როგორც ბატონობის ერთ-ერთი განმახორციელებელი. დოკუმენტში კი მიქაილ მემღვიმის მიერ სწორედ ამგვარი ციხის მშენებლობაზეა საუბარი, ციხე, რომელიც დაიცავს თავის ყმებს, და ასევე, განახორციელებს პოლიტიკურ ძალაუფლებას ყმებზე, ამ შემთხვევაში ცხვერელებზე. სხვა შემთხვევაში ცოტა გაუგებარია, შიომღვიმის მონასტერი სოფლებში უზარმაზარ ფულს იხდიდეს, მისგან გამოსაღები კი მხოლოდ თითო დღე იყოს მიწაზე მუშაობა. აღნიშნული ბეგარა ციხის მიმართ სოფელს ეკისრება, სხვა ტიპის რენტას კი, სავარაუდოდ, სოფლის მოსახლეობა უკვე ფისკალური ერთეულის მიხედვით იხდის, ძირითადი ბეგარა სწორედ ფუძის ან კომლის მიერ იქნებოდა გადახდილი. გ. ძიმიგური სწორად აღნიშნავს, ციხის ბეგარი საბატონო შრომის ერთ-ერთი ფორმა უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup> მიქაილი რომ ნამდვლილად საციხო ბეგარზე საუბრობს, მიანიშნებს ფრაზა – *„დავიდევ ერთი დღე ანეული – ციხისა ბეგარი...“* – ადრე ეს გადასახადი არ არსებობდა და მას სწორედ მიქაილი აწესებს. მოგვიანო პერიოდის დოკუმენტში, რომელიც 1073 წლით თარიღდება და გიორგი მეფის სიგელს წარმოადგენს შიომღვიმისადმი, ნახსენებია ჩვენთვის საინტერესო ცხირეთი – ცხვერეთი და გავაზელნი, სადაც ვკითხულობთ: *„გავითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუმისანი, ... და ვითა სამსახურებელი ციხეთაი, არია ზედა სდებია და ჟამთა შლილობისათა შინა ოდესმე მძლავრთა და უღმერთოთა კაცთა ამათ ზრდა რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებითი სამსახური უქნევია, ანუ სამუშაოი, ანუ სუხრაი, ანუ ბაჟი აღებულა, ვითარ არია ზედა სდებია, ესე ყოველი აგუიჯდია, გარდაგუიგდია და ყოვლისაგანვე გაგვითავისუფლებიან ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია გაგებით მას წესსა ზედა იყუნ“.*<sup>3</sup> ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ციხის სამსახურებელი ბეგარი არსებობდა. მართალია, ის დროის სიავის გამო შეეწერა, მაგრამ ამგვარი მსახურება რომ არსებობდა, ნათელია. ის, როგორც დოკუმენტიდან

1 გ. ძიმიგური. ბეგარის მნიშვნელობისთვის „ფავნელის დაწრილში“. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. 1983, გვ. 82.

2 გ. ძიმიგური. ბეგარის მნიშვნელობისთვის „ფავნელის დაწრილში“, გვ. 81-82.

3 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 47.

ჩანს, საბეგრო სამსახურია, ბეგარა კი, როგორც ვხედავთ, სამუშაოს, სუხრას და ბაჟსაც კი აერთიანებს მოცემულ ციტატაში. მომდევნო დოკუმენტი ეს არის „დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი“, რომელიც 1247/1250 წლებით თარიღდება, სადაც ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს ვხვდებით: *„შემაწუხა სვინდისმან ჩემმან: რაიმცა ერგო ჩემდა, წუთ ერთ [ბეგარასა უსამართლოსა] და ურგებსა, დაღაცა თუმცა ყოვლისა სოფლისა ყოფილიყო ... ამისა ავხადე ყოველი ბეგარაი] და უსამართლო საჩუენოი გავაზელთა სოფელსა ზედა დასდებოდა, ყოველივე დავთმე. საციხოი სამართალი და საჯმარი ჩემისა სულისა საკურთხეველად შემიწირავს“.*<sup>1</sup> ამ პასაჟის განხილვისას მ. ბერძნიშვილი სწორად აცალკევებს საბეგრო ვალდებულებას, საციხოს, სამართალს და სახმარს. მისი განმარტებით, საციხო ესაა სამუშაო ბეგარა, რომელიც ციხის მიმართ ხორციელდება.<sup>2</sup> შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცხირეთისა და გავაზის მოსახლეობას საციხო ბეგარა ცალკე შეეწერებოდა და ის ქართული ფეოდალური საბეგრო ვალდებულებების ნაირსახობას წარმოადგენდა. სხვადახვა დროის სამ დოკუმენტში, სადაც საუბარია ციხის მიმართ ვალდებულებაზე, და სამივე შიომღვიმის კონკრეტულ სოფლებს ეხება, გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი მსახურება ციხისადმი მიქაილ მემღვიმის მიერ შემოღებულია კონკრეტული სოფლის მიმართ. ისე კი პრაქტიკაში არსებული უნდა ყოფილიყო იმ დროის საქართველოში. ვგულისხმობ კონკრეტული ციხისადმი კონკრეტული სოფლის საბეგრო დამოკიდებულებას, კერძოდ, სხვა შრომასთან ერთად სოფელი ზედმეტი შრომის სახით სწორედ საციხო სამუშაოსაც ასრულებდა. აღსანიშნავია, ისიც, რომ აღნიშნული პასაჟი ერთ უცნაურ ცნობას შეიცავს, მიქაილ მემღვიმის თქმით: **თუ ი(10) გრივი გამოვიდეს, ცხრა გრივი – პატრონსა და მეთე ცხვერელთა** – გამოდის, რომ გლეხთა მიერ გაწეული შრომა, რომელიც ბეგარის სახითაა წარმოდგენილი, გარკვეულწილად ანაზღაურებადია, რადგან აქ საქმე ნამდვილად არ გვაქვს საგლეხო შინამეურნეობის დროს ბატონის მიმართ სავალდებულო გადასახადთან. თუ ამგვარ რამეს დავუშვებთ, გამოდის, რომ ბატონს გლეხის მეურნეობიდან მიაქვს არა 1/4, არამედ მათ მიერ გაწეული შრომის 90%, რაც გამორიცხულია, რადგან მიუხედავად ბეგარის ზოგჯერ 1/4-ზე მეტი გადახდისა,

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 122.

2 მ. ბერძნიშვილი. გლეხთა გამოსაღბი XI-XII სს. საქართველოში, გვ.132-139



იურიდიულად გაფორმებული ფეოდალური ურთიერთობების არც ერთ ეტაპზე, არც ევროპაში და არც საქართველოში ამ ხარისხით პროდუქტისა და შრომის მითვისება არ დასტურდება. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს მხოლოდ გამონაკლისია, თუმცა ამგვარი დაშვებაც წარმოდგენლად მიმაჩნია. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მეპატრონის მიერ ათი გრივიდან მიღებული 9 და ცხვერელთათვის დატოვებული 1 გრივი პროდუქტი ციხის მომსახურებისთვის გაიცემა. გამოდის, რომ გარკვეულ საზღაოსთან გავქვს საქმე. სავარაუდოდ, ეს პროდუქტი ნაწილდება ციხის დამცველებსა და შიომღვიმის მონასტერს შორის. მეციხოვნეებს, სავარაუდოდ, იმდენი რჩება, რამდენიც მათი გამოკვებისთვისაა საჭირო. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენელია მიქაილ მემღვიმის მიერ აგებულ ციხეში კონკრეტული სამონასტრო გარნიზონი მდგარიყო. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ციხის პოლიტიკურ ხელისუფლებას მონასტრის ყმობაში არსებული რომელიმე ფეოდალი, აზნაური ახორციელებდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს სახეზე გვაქვს გაწეული შრომის ანაზღაურება, ზედმეტი პროდუქტის მითვისება სახეზეა, როგორც ფეოდალური ეკონომიკის საფუძველი. მიწა, რომელსაც ცხვერელები ამუშავებენ, მეპატონის საკუთრებას წარმოადგენს. ძირითად საწარმოო საშუალებას მონასტერი ფლობს. ადრე ის კონკრეტული ფეოდალური ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა და ამ მიწაზე მიმაგრებული გლეხობის ექსპლოატაციას ის ახორციელებდა. პროდუქტის კვლავწარმოების დანახარჯების უმეტესი ნაწილი უშუალოდ მწარმოებლის მეურნეობიდან ამოიქაჩებოდა. კონკრეტულად ციხის მშენებლობაზე დაიხარჯებოდა საგლეხო მეურნეობის პროდუქტი. მათი შრომის, ასევე, ხელოსნების შრომის, ძირითადი ნაწილი მეპატონის საკუთრებას წარმოადგენდა, ანუ მათი სამუშაო ძალის განმკარგველი სენიორი იყო. მართალია, გვაქვს მონაცემები, ძირითადად, საქტიტორო წარწერები, სადაც საუბარია კალატოზებისა და მათი ხელმძღვანელების გასამრჯელოზე. თუმცა დოკუმენტური წყაროებიდან ვიცით, თუ როგორ გამოიყენებოდა გლეხების სამუშაო ძალა, წისქვილების, არხებისა და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობების ასაშენებლად, რომელსაც არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება, არამედ კონკრეტული ფეოდალი ახორციელებდა. ამ შემთხვევაში თუ გლეხის საკუთრება არ არის ძირითადი საწარმოო საშუალება – მიწა, მის

საკუთრებაშია დამხმარე საწარმოო საშუალებები, სამუშაო იარაღები (ასევე, ხელოსნები ფლობენ შესაბამის შრომის იარაღებს). ასე იყო მთელი ფეოდალური ეპოქის განმავლობაში, განურჩევლად ეკონომიკურ-გეოგრაფიული არეალისა. შესაბამისად, მებატონის მხრიდან არა მარტო გლეხის, ხელოსნის სამუშაო ძალის ექსპლოატაცია ხორციელდებოდა, არამედ მისი საკუთრებისა. სწორედ ამას ვგულისხმობდით ზემოთ, როცა აღვნიშნე, რომ ფეოდალური ეკონომიკის კვლავწარმოება, ანუ პროდუქტის შექმნის კვლავწარმოების ხარჯები სწორედ საგლეხო და ხელოსნურ მეურნეობას აწვებოდა.

ცხვერელთათვის გამომუშავებული პროდუქტის 10% დათმობას თავისი პოლიტეკონომიკური საფუძველი აქვს და ეს ურთიერთკავშირშია სამუშაო ძღვის განსაზღვრასთან. სამუშაო ძღვე განისაზღვრება არა ცალკე აღებულ სათობრივ მონაკვეთში, არამედ მის შედეგად შექმნილი პროდუქტის გამოვლენით. მაგალითად, თუ გლეხი თავისი არსებობისთვის ასრულებს შრომას, ის თვისობრივად გამოყოფილია მებატონისთვის გაწეული შრომისგან, რომელიც ზედმეტი შრომაა. ეს ორივე ფორმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თუმცა გვერდიგვერდ არსებობს. საბეგრო შრომაში ზედმეტად გაწეული შრომა ზუსტად გამოყოფილია აუცილებელი შრომისგან (ეს შრომა გარეეკონომიკური იძულებითაა ნაკარნახევი – ა. ჩ).<sup>1</sup> ამგვარი ზედმეტი შრომა იმისთვის კი არ იწარმოებოდა, რომ მისგან სასარგებლო პროდუქტი მიეღოთ, არამედ უკვე ზედმეტი ღირებულების, ფეოდალური მეურნეობისთვის ზედმეტად წარმოებული პროდუქტის მითვისებაში გამოიხატებოდა.<sup>2</sup> სავარაუდოდ, მიწა, რომელსაც ცხვერელები ამუშავებდნენ, ადრე, სანამ ის ფავნელს ჩაუვარდებოდა ხელში, სათემო საკუთრება იქნებოდა. ზოგადად, საეკლესიო და საერო პირების მიერ ამ მიწების მითვისებამ გამოიწვია სათემო საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის მითვისებაც.<sup>3</sup> ამ ტიპის სამსახური, ანუ შრომა ქმნიდა აუცილებელ პროდუქტს, რომელიც საერთო პროდუქტის ნაწილად განიხილება. ძირითადი საწარმოო საშუალებების მეპატრონე კი იძულებული იყო უკანვე დაებრუნებინა ეს პროდუქტი. თუ ფეოდალური წარმოების წინარე და მომდევნო ფორმებში მეპატრონე

1 კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. თარგმნილი გერმანულიდან მალაქია ტოროშელიძის რედაქციით. თბ. 1930, გვ. 193.

2 კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. მალაქია ტოროშელიძის რედაქციით, გვ. 192.

3 კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. მალაქია ტოროშელიძის რედაქციით, გვ. 194.

სრულად ითვისებდა წარმოებულ პროდუქტს და შემდგომ უბრუნდებოდა უშუალო მწარმოებლებს საარსებო მინიმუმის ან ხელფასის სახით, ფეოდალიზმში მეპატრონე სრულად არ ითვისებდა წარმოებულ პროდუქტს, შესაბამისად, მისი უკან დაბრუნებაც არ ხდებოდა. ეს გარემოება, როგორც ბ. პროშნევი აღნიშნავდა, აუცილებელი პროდუქტის არსს სრულებითაც არ ცვლის.<sup>1</sup> შესაბამისად, ციხის ბეგარის შედეგად შექმნილი პროდუქტის მცირე ნაწილის თავიდანვე დათმობა ფეოდალური ურთიერთობებისთვის უცხო არ არის, თუნდაც ის სამამულო მიწაზე გაწეული შრომისგან იყოს წარმოებული. მნიშვნელოვანია ის, რომ მეპატრონის მიერ ექსპლოატაცია ხორციელდება არა პროდუქტის სრული მითვისებით, არამედ ზედმეტი შრომის საფუძველზე, რომელიც გლეხობის უუფლებობით აიხსნება.

ასევე, საინტერესო პასაჟია შემდეგი: *„თუ რაჲმე ცხირელსა ჯელოსანსა გუერდსა შესაპოვარი გედვას, აჭმევდე რასა. ბეგრობისათვის ღამესა ნუ გაავლებინებ. სიარული არა შეეძლოს, აკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე...“*; სადაც საუბარია ცხირელი მოხელის მხოლოდ და მხოლოდ გამასპინძლებაზე, სხვა ტიპის ვალდებულება მის მიმართ დოკუმენტიდან აკრძალულია.<sup>2</sup> გ. ძიძიგური ამ მონაკვეთთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ IX საუკუნეში და არც შემდგომ ცხირეთი მღვიმის საკუთრებას არ წარმოადგენდა. თუმცა დასაშვებად მიაჩნია, რომ ცხირეთის მოხელეს რაიმე ხელი ჰქონოდა მის გვერდით მდებარე სოფელზე. ამის საბუთად მოჰყავს XV საუკუნის დოკუმენტი, სადაც მეფე კონსტანტინემ ჯავახიშვილებს უბოძა ცხირეთი და მათ გვერდით მისივე შესავლითურთ.<sup>3</sup> ასევე, ზემოთ ნახსენებ გიორგი მეფის სიგელში მღვიმისადმი ასეთ მონაკვეთს ვკითხულობთ: *„და სიგელი ესე სიმტკიცისათვის დაგუიწერია და მოგვიქსენებია წმიდისამამისა შიოსა და წმიდისა ლავრისა მღუიშისადა. სოფელნი და აგარანი მათნი და ყოველნი საქონელნი მათნი, რომელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან, სახელდებით ესე: აგარაი – ციხედიდს; გლეხნი და მიწაი – ნიჩბისს; გლეხნი და მიწაი – კოდალს, და წინარეკს, და შუარეკს, ადლითს, შედარს, და ძუელდდულებს, ცხირეთს – ცხევერი და გავაზელნი“*.<sup>4</sup> გიორგი III-ს 1170 წლის სიგელში მღვიმისადმი წერია: *„ცხირეთს – ცხევერი და გავაზელნი, წმიდისა შიოს ოქროითა და ვერხლითა მონასყიდი ფავნლთა*

1 Б. Ф. Поршнев Очерк Политической Экономии Феодализма. М.1950, გვ. 74-75.

2 გ. ძიძიგური. ბეგარის მნიშვნელობისთვის „ფავნელის დაწრილში“, გვ. 86-88.

3 გ. ძიძიგური. ბეგარის მნიშვნელობისთვის „ფავნელის დაწრილში“, გვ. 87.

4 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 47.

და ტბელთაგან“.<sup>1</sup> გ. ძიმიგურის დასკვნა სწორია, როდესაც მან დაუშვა, რომ ცხევერი, შესაძლოა, ცხირეთის შემდგენელი ნაწილი ყოფილიყო. როგორც ვნახეთ ეს დასტურდება IX საუკუნის შემდგომი და XV საუკუნეზე ადრინდელი დოკუმენტებითაც. ფავნელის დაწერილში ცხირეთის მიყიდვაზე არაფერია ნათქვამი. თუმცა ვნახეთ, რომ სხვაგან ცხევერი და გავაზელნი ცხირეთში მოიაზრებიან. აქ ერთი დაშვების გაკეთება მოგვიწევს, მიუხედავად იმისა, რომ ცხირეთი ამ ორ სოფელს მოიცავს, ფავნელი, სავარაუდოდ, მათ ცხირეთის გარეშე ასხვისებს, შესაბამისად, მიქაილ მემღვიმის მოთხოვნა, რომ ცხირელ ხელოსანს ცხვერელებმა არავითარი საბეგრო სამსახური არ გაუწიონ, იმის მანიშნებელია, რომ ის კვლავ ფავნელის საგანმგებლოში რჩება. აქედან დასკვნა, გლეხობას მკაცრად გაწერილი ვალდებულებები ჰქონდა დაკისრებული მებატონის წინაშე, მისი სრული ბატონ-პატრონი სენიორი იყო და მის მიერ შექმნილი ყოველი პროდუქტი, სამუშაო ძალა და სხვა ტიპის სიკეთეები, რაც გლეხს შეეძლო შეექმნა, მხოლოდ და მხოლოდ სენიორს ეკუთვნოდა.

საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ფავნელის დაწერილის გარჩევის შემდგომ მ. ლორთქიფანიძე შესაბამისი თავის ბოლოში ასკვნის: „ამგვარად, X საუკუნისთვის, ე.ი. ადრეფეოდალური ხანის დასასრულსა და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის დასაწყისისთვის (ხაზი ჩემია – ა.ჩ.) ქართველი მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად გაგლეხებულია...“.<sup>2</sup> აღნიშნული ფრაზა ჩემთვის პერიოდიზაციის თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, რადგან მარიამ ლორთქიფანიძე ამ დასკვნას ბეგარის განვითარების ეტაპების მიხედვით განსაზღვრავს.<sup>3</sup> ჩემი დაკვირვებით, განვითარებულ ფეოდალიზმზე გარდამავალი ხანა VIII-IX საუკუნეებია, X საუკუნე კი განვითარებული ფეოდალიზმის პირველ ეტაპს წარმოადგენს. ფავნელის დაწერილზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საბეგრო ურთიერთობები IX საუკუნის ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში უკვე შორსაა წასული, რადგან წარმოდგენილია ექსპლოატაციის სრული პაკეტი. შრომამიგებითი ბეგარა თითქმის ძირითად გამოსავალს წარმოადგენს. თუმცა იქვე ნახსენებია ნატურალური საბეგრო

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 68.

2 მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 363.

3 მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში, გვ. 361-362.

ვალდებულებებიც. რაც შეეხება შრომით ბეგარას, ის წარმოდგენილია ციხის საბეგროს სახით, თუმცა შეგვიძლია მოსაზრების სახით დავუშვათ, რომ გლეხების შრომა ციხის მშენებლობის დროსაც გამოიყენებოდა. გლეხები პატრონის წინაშე გაწევდნენ შრომით ბეგარას ციხის ასაშენებლად, რაც, თავის მხრივ, ახალი საბეგრო ვალდებულების წყაროდ იქცა. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, შეგვიძლია ზედმეტი შრომის ორმაგად მითვისებაზე ვისაუბროთ, რომლის ექსპლოატაციის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურია. რაც შეეხება სხვა ტიპის ფისკალურ გადასახადს, ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დოკუმენტში მოცემული საბეგრო ვალდებულებების გარდა, სავარაუდებელია, საგლეხო ფუძის ან კომლისგან ძირითადი ფისკალური ფეოდალური ბეგარის არსებობა, რადგან წარმოდგენილია სოფელს მხოლოდ საბატონო მეურნეობაში მუშაობა და სანადირო ნატურალური გადასახადი სდებოდა ვალად. გ. ძიძიგურიც შენიშნავს, რომ: „უნდა ვიფიქროთ, რომ ცხვერელთა ბეგარის ძირითად შინაარსს ქმნიდა ახალ მებატონასთან გადმოყოლილი ძველი ვალდებულებები და არა ახალი მებატონის დამკვიდრებული ბეგარის ის ორიოდე ფორმა, რომელიც მონასტერმა დააწესა ციხის შენებასთან დაკავშირებით“.<sup>1</sup> თუ ჩემი მოსაზრება შესაწყნარებელია, სახეზეა ფეოდალური ექსპლოატაციის ძირითადი ფორმები ორმაგი ჩაგვრისა და სავალდებულო შრომითი თუ ნატურალური გადასახადის სახით. ამგვარად, ფავნელის დაწერილის მონაცემებით და მათი ინტერპრეტაციების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ IX საუკუნეში ექსპლოატაციის ფორმები სრულადაა წარმოდგენილი, რაც ერთი ორად მიმყარებს ჩემ მოსაზრებას, IX საუკუნე მოვნიშნო განვითარებულ ფეოდალიზმზე გარდამავალ ზღვრად.

წყაროების სიმცირის გამო ჩვენთვის შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენ დროს ატარებდა გლეხი საბატონო მამულში და რამდენს საკუთარ მეურნეობაში. ფავნელის დაწერილის მონაცემები მხოლოდ კონკრეტული ვალდებულების მონაცემებს შეიცავს და ის მიქაილ მემღვიმის მიერ არის დადგენილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამუშაოები და ბეგარა სხვა სენიორიებშიც მებატონის მიერ ნაწილობრივ იყო განსაზღვრული, რადგან წარმოდგენილია სხვადასხვა

---

<sup>1</sup> გ. ძიძიგური. ბეგარის მნიშვნელობისთვის „ფავნელის დაწერილში“, გვ. 84.

სენიორიაში ძირითადი ფისკები განსხვავებული ყოფილიყო. განსხვავებულობა მხოლოდ მათ მიერ კონკრეტულად დაწესებულ გადასახადზე მიწის ზომის მიხედვით შეიძლება ყოფილიყო. ქართული დოკუმენტური წყაროები საერთო სურათს არ იძლევიან. გლეხისგან მიღებული ბეგარა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. თუმცა არ შეგვიძლია, ბეგარის სიდიდე ექსპლოატაციის ხარისხის კლებას ან მატებას დავუკავშიროთ, რადგან ექსპლოატაციის ხარისხის მატება ბეგარის აბსოლუტური კლების პირობებშიცაა შესაძლებელი. ამის საილუსტრაციოდ კახა თორელის რკონისადმი დაწერილი გამოდგება, სადაც ვკითხულობთ: *„კულუხი ძველი თორმეტი კოკაი იყო ოცდაოთხლიტრიანითა კოკითა თვითო მიწასა ზედა. აწ, ექუს-ექუსი გამიშვია და მის ექუს-ექუსისათვის სამას და ოროცა თეთრსა გამოიღებდნენ ეკუტერის მისაღებელსა: თვითომ მიწამ რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს. კვირეულსა შიგან ყოველი დღენი სამუშაონი იყუნეს: შაბათი გამიშვია და ორშაბათით პარასკევამდე მუშაობდნენ“.*<sup>1</sup> მ. ბერძნიშვილი ამ მონაკვეთზე დაკვირვებით ვარაუდობს, რომ ფულადი გადასახადი მთელი ნატურალური ბეგარის ნახევარს შეადგენდა,<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძემ სწორად შენიშნა, რომ მოცემული გადასახადი მხოლოდ ეკვდერისთვის შეწირულ გლეხებზეა, რომელთაც აუცილებლად სხვა ტიპის გადასახადებიც ექნებოდათ.<sup>3</sup> მართალია, კახა თორელი კულუხის რაოდენობას ამცირებს და სამუშაო დღეებში შაბათსაც ათავისუფლებს, თუმცა აქ ექსპლოატაციის ხარისხის კლებაზე საუბარი არამართებული იქნება. აქ აბსოლუტურ რენტასთან არ გვაქვს საქმე და კონკრეტულად ხოვლეს მიმართ გატარებული საგადასახადო მონაცემებია მოტანილი. ექსპლოატაციის საერთო ხარისხი რომ არ კლებულობს, ამავე დოკუმენტის მონაცემები მეტყველებს, სადაც კვლავ ხოვლეს მიმართ ბეგარაზეა საუბარი: *„და მოსავალი ხოვლისაი – პური და ღვინომ კიდევნად ერთსა სახლსა შიგა დაიგულეზოდეს. მერე, ოდესცა ზუარნი და ხოდაბუნდნნი კეთდენ და კარგა მოვიდეს, რაიც მას წელიწადსა მოჰრჩეს, მეორეს წელიწადისათვის წააგებდნენ, ნიადაგ არც სწორად მოვა – ოდესცა დასეტყოს და არია მოვიდეს, მისთვის დაიგულეზოდნენ. და ესე ნუ ოდეს იმიზეზების თუ: წელს*

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 149.

2 მ. ბერძნიშვილი. გლეხთა გამოსაღები XI-XII სს. საქართველოში, გვ. 138-139.

3 მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. - XIII ს. დამდეგამდე), გვ. 66.

*არია მოსრულაო. და ნუ მოაკლდების ესე ჩემი გაჩენილი.*<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, კახა თორელი დაწესებული გადასახადის რაიმე მიზნით შემცირების წინააღმდეგია, ის გლეხებს აფრთხილებს, რომ მოუსავლიანი წელიწადის მიუხედავად, გაწერილი რენტა უნდა გადაიხადონ, რაშიც ვლინდება ექსლპოატაციის ხარისხის სიდიდე. მართალია, ამ მონაკვეთის განზოგადება არ შეიძლება, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პასაჟი ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრების, რომ გლეხები გადასახადს მოსავლიანი წლის მიხედვით იხდიდნენ და წლის შესაბამისად ის ხან მეტი, იყო ხან ნაკლები. დაახლოებით ამგვარი შინაარსისაა 1281/1282 წლის დაწერილი ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსისა არავანბეგ საბასძისადმი. დოკუმენტში საუბარია საბაისძეების მიერ სამამულო სიგელების წარდგენაზე ქართლის კათალიკოსის წინაშე, რომელთაც სოფელი შეუბანი თავისი ბეგართურთ ეყიდათ, რადგან ქართლის კათალიკოსს შეცვლა არ შეეძლო, ბეგარის ოდენობა გაუზრდია: *„აწ ესე განვაჩინეთ რომე ძუელი ბეგარი ზედა სდებოდა შეუბანსა თერთმეტი ლიტრათ ცუილი, მას ზედა ცხრაი ლიტრითა ცუილითა სხუაი მოგიმატეთ და შევექმენით ოც ლიტრად, მით ლიტრითა, რომელი ძუელად ყოფილა. მოგეცით შეუბანი და დაგიმკუდრეთ ამას გასრულებასა შიგა, რომე ყოველთა წელიწადთა დიდს ხუთშაბათს ესე ოცი ლიტრათ ცუილი ჩვენს ტანუტერს სახლობანსა მოეცემოდეს და მოეუთვალოდეს. და თუ უკეთუ სადმე ჟამთა სიავისაგან სახლობანი ჩუნ არ გაუქუონდეს, ჟამი გადონდეს, თქუნ მიიღებდით. და თუ თქუნ ვერადმე ვერ მოილოთ, ჩვენ მოვიკლებდით. და რაიზომიც წელიწადი დაეყოვნებოდეს ანგარიშითა წლისა და წლისაი არაიდააკლდებოდეს და უკლებლად კელთა მოეცემოდეს ესე ოცი ლიტრათ ცუილი,*<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ბეგარის არგადაუხდელობა თავის დროზე გარკვეული ფაქტორებით არის ნაკარნახევი. თუმცა თუ კათალიკოსი ვერ მიიღებდა, უნდა მიეღო საბაისძის ოჯახს ისე, რომ ვალად ჩაეთვლებოდა, ყოველი წლის დანაკლისი კი ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო მომავალში.

კახა თორელის დათქმით, მიწაზე ადრე თორმეტი კოკა ღვინო იყო შეწერილი ოცდაოთხ ლიტრიანი კოკით. ამ მონაცემებს მოგვიანო პერიოდის შიო მღვიმის

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 150.

2 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 178.

საძმოს მიერ გაცემული დოკუმენტი ეხმიანება, სადაც ვკითხულობთ: „*რუეთს ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ვლისა საგლეხოსა ვენაჟსა ზ(ედ)ა კ(ა)ცნი ვინ / მე სხდომილ იყვნეს არ მემამულენი, მიწაი ვენაჟად აეშენა და იგინი / კ(ა)ცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მ(ა)თისა ნ(ა)ცვლად, ი(ოვან)ეს გამზრდელსა გარისელა / მსძესა თექსუმეტი დრაჰკანი მიეცა მ(ა)თ კ(ა)ცთათჳს, და მის გარისელამსძისა / ს(უ)ლისა სალოცავად თორმეტი კოკაი გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ან) აიღების მისა / დ სალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოველ)თა წელიწადთა“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ვენახად გაშენებული მიწისგან ამ შემთხვევაშიც 12 კოკა ღვინოა შეწერილი წელიწადში. მართალია, აქ გაუყოფელ ტკბილზეა საუბარი და არა კულუხზე, თუმცა ესეც ღვინის ნაირსახეობაა. ორივე შემთხვევაში ეკლესიისთვის შეწირული მიწიდან ხდება 12 კოკა ღვინისა და ტკბილის ამოღება ბეგარის სახით. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთისა და იმავე სიდიდის ვენახიდან 12 კოკის შეწერვა ნორმატიული მოვლენა იყო? კახა თორელთან მიწა, სავარაუდოდ, საგლეხო ფუძის სახითაა ნავარაუდები, მეორე შემთხვევაში კი ვენახად გაშენებულ მიწაზეა შეწერილი ბეგარა. თუმცა, ჩემი აზრით, რადგან მონაშენე კაცებზეა საუბარი, მიწა საგანგებოდ აღნიშნულია, რომ საგლეხოა, ეს ორივე ერთეული ფისკალური ერთეულის მხრივ ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. ამ საკითხს სხვა ადგილას უფრო დეტალურად განვიხილავ, ამიტომ აქ არ შევჩერდები. ჩემთვის აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ 12 კოკა ღვინის შეწერა, როგორც კულუხად, ისე სხვა სახის ნატურალურ ბეგარად, იდენტური უნდა იყოს. თუმცა კოკის ზომა, როგორც მიჩნეულია, სხვადასხვანაირი იყო, არსებობდა 8, 10, 12, 16 და 24 ლიტრიანი კოკები.<sup>2</sup> რადგან ორივე შემთხვევაში ერთი მიწა იძლეოდა 12 კოკა ღვინოს, კოკის ოდენობაც, სავარაუდოდ, იდენტური იქნებოდა, ანუ 24 ლიტრიანი.*

კახა თორელი აგრძელებს: „*და ესე ჩემგან გაჩენილი ვენაჟი, ანუ ყანა, ანუ სამსახური, ანუ კულუხი და რაი სხუაი ბეგარი, რაიც წინამძღვარმან ანუ ვისხუამან მოურავმან შეცვალოს ქრთამისათჳს, ვითა სამსამართა უყვეს, იგიმც კრულია ... მერე ასრე იქნებოდეს, რომე რაიც მოსავალი იყოს: ზუართაი, ხოდაბუნდთაი და კულუხისაი – ყოველისა ანგარიში ერთობილ კრებულსა მოეკსენებოდეს ... კოკაი და*

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89-90.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 5-ე. თბ. 2012, გვ. 238-239. ამასთან დაკავშირებით იხ. გ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, IX-XIX სს. თბ. 1973. „მეცნიერება“.



კაბიწი ყუელაიგამოწყული იყოს და ეგრე წაეგებოდეს“.<sup>1</sup> გამოდის, რომ შესაწერი ნატურალური ბეგარი წინასწარაა განსაზღვრული, სავარაუდოდ, ზოგი ძველი ნორმით, ზოგიც ახლადგაჩენილით. თუმცა, კოკა და კაბიწი, როგორც ნათქვამია, გამოწყული, ანუ გაზომილი უნდა იქნას.

ასევე, ჩემი აზრით, ორივე დოკუმენტში იდენტურია მიწის ხელახლა საბეგროდ გაცემა, თუმცა მიზეზები სხვადასხვაა. კახა თორელის შემთხვევაში ბერის მიერ ქრთამით რაიმე სახის ზიანის მიყენებაზეა საუბარი მონასტრისთვის. საეკლესიო მსახური მონასტრიდან გაძევდება და თუ: „მიწაი დაუკაცურდებოდეს, რაისგანცა ქრთამითა ნუ ვის გარდაერთვის – სამსახური და კულუხი ნუ წაქდების: სხუაი გლეხი დაისუმოდეს ზედა“.<sup>2</sup> მეორე შემთხვევაში მენაშენე კაცების წასვლაა მიზეზი. მართალია, პირდაპირ ახალი გლეხის დასმა დოკუმენტში მოცემული არაა, მაგრამ, რადგან მიწიდან 12 კოკა ტკბილი შემოსდის მონასტერს, სავარაუდებელია, რომ ის ხელახლა გაიცა საბეგროდ.

რამდენი დღე ემართა გლეხს მეპატრონის მამლუში მუშაობა, განსაზღვრული არ არის, თუმცა რკონის დაწერილი კონკრეტულ საქმეზე განსაზღვრავს ამ ვალდებულებას: „და გავაჩინე ესრე რომე, სამას სამოცდახუთი დღე არს წელიწადსა შიგა და ამისგან ოცდახუთი დღე გამოვიღე მარხვათა შიგა, რომე ჟამი არ იწირვის მისთვის და სამას ორმოცი თეთრი მოვიდოდეს წელიწადსა შიგა.“

*ყოველდღე დღეთა ჩემსა ეკუტერსა შიგა ჩემსა ბარძიმს და სიწმიდის სამსახურსა ზედა თვითი მოლაზონი რიგ-მოდებით ჟამსა წირვიდეს, ვის გინდა მწირველი იყოს და თეთრი მიეცემოდეს. თეთრი მეეკუტრის ჩემისა კელსა ეკუტერსა შიგა დვას. და ეგრე მიეცემოდეს“.<sup>3</sup>*

რკონის დაწერილის მიხედვით, კახა თორელი სულის მოსახენიებელ დღეებს აწესებს  $365-25=340$ , შესაბამისად, წელიწადზე 340 თეთრი გაიცემა. გამოდის, რომ ეკლესიისთვის შეწერილი გლეხების მიერ გამოსადების ჯამი წელიწადში 340 თეთრია, დღეზე საშუალოდ 1 თეთრზე ოდნავ მეტია. მართალია, აქ საუბარი, ალბათ, არა საგლეხო ფუძის მიერ გადასახდელ შემოსავალზეა, არამედ ჯამზე, რომელიც

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 149-150.

2 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 150.

3 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 148.

მწირველებს უნდა მიეცეს. თუმცა გამოდის, რომ გლეხის ეკონომიკური დღე, ანუ მისი შრომითი დღე ყოველდღიურადაა დაბეგრული. შესაბამისად, გადასახდელი დღიური 1 თეთრი გადანაწილდება შრომით ბეგარაში, ნატურალურ ბეგარასა და ფულად ბეგარაში. დავუშვათ, გლეხთა ჯგუფი, რომელიც საშუალოდ 1 თეთრზე ოდნავ მეტს იხდის მწირველისათვის, აღნიშნულ გადასახადს არა ფულადი, არამედ ნატურალური სახით იხდის. შრომა, რომელიც გაწეულია ადეკვატური პროდუქტის შესაქმნელად, ზედმეტი შრომის სახით დააწვება მათ, რადგან მიღებული პროდუქტი საგლეხო მეურნეობიდან იქნება შეწერილი. შესაბამისად, აქ გადაიკვეთება აუცილებელი საგლეხო შრომა, რომელიც თავისი არსებობისთვისაა საჭირო და ზედმეტი შრომა, რომელიც ბატონისთვის უნდა გაწიოს, რადგან მის მიერ შექმნილი პროდუქტი მიეცემა ეკლესიის მსახურს, რომელიც მისი ბატონის სულის სახსენებლად ყოველდღიურ ლოცვას ადავლენს წელიწადში 340 დღე. ვინაიდან მწირველი, როგორც საბუთიდან ჩანს, შესაძლებელია სხვადასხვა იყოს, ექსლპოატირებულ გლეხთა რაოდენობაც შესაბამისად გაიზრდება. გაიზრდება მათი შრომის მითვისების ხარისხიც. აღსანიშნავია, რომ თეთრი, რომელიც მწირველებს მიეცემა, კახა თორელისგან გაიცემა. ანგარიში მებატონის არის. ამ შემთხვევაში, ეკლესია უშუალოდ არ იღებს შემონაწირს. უნდა აღინიშნოს, რომ *თეთრი მიეცემოდეს*, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მწირველს მაინცდამაინც ერთი თეთრი მიეცემა სულის მოხსენიებისთვის. ზემოთ გაწერილი არითმეტიკული ფორმულა გლეხის სამუშაო დროისა და მის მიერ გაწეული ზედმეტი შრომის ეკონომიკურ ფორმულად უნდა მივიჩნიოთ.

ისევ უნდა დავუბრუნდეთ ზემოთ მოცემულ ციტატას კულუხის თაობაზე: *„კულუხი ძველი თორმეტი კოკაი იყო ოცდაოთხლიტრიანითა კოკითა თვითო მიწასა ზედა. აწ, ექუს-ექუსი გამიშვია და მის ექუს-ექუსისათვის სამას და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდნენ ეკუტერის მისაღებელსა: თვითოი მიწაი რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს. კვირეულსა შიგან ყოველი დღენი სამუშაონი იყუნეს: შაბათი გამიშვია და ორშაბათით პარასკევამდე მუშაობდნენ“*. დავშალოთ ნაწილებად, გლეხების მიერ კულუხის სახით გადასახდელია 6 კოკა ღვინო, რომელიც 24 ლიტრიანი საწყაოთი იანგარიშება. შესაბამისად, ფულის სახით ის გადაიყვანება 340 თეთრზე, მიწიდან

გლებმა 8 თეთრი უნდა გადაიხადოს. სამუშაო დღეების რაოდენობა 5-მდეა შემცირებული, სავარაუდოდ, ეს ყველაფერი წელიწადში. ხათუთას სულისათვის გადამხელი მიწის რაოდენობა გამოდის წლიური გადასახდელი ჯამის განაყოფი თითო მიწიდან მიღებულ რაოდენობაზე, ანუ  $340:8=42,5$ . გამოდის, რომ ხოვლეში 42 ან 43 საგლებო ფუძე არსებობდა, რაც არაერთხელ აღნიშნულა ქართულ ისტორიოგრაფიაში,<sup>1</sup> თუმცა ჩემთვის აქ სხვა ფაქტორებს აქვს მნიშვნელობა. ზემოთ უკვე განვიხილე, რომ კახა თორელმა სულის მოსახსენიებლად  $365-45=320$  დღე დააწესა. მწირველისთვის გადასახდელი თეთრით იანგარიშება, რომელიც პირობითად დავუშვით, რომ სამუშაო დღეზე 1 თეთრზე ოდნავ მეტი იქნებოდა. კახასთვის და მისი ცოლი ხათუთასთვის სხვადასხვა მწირველი რომ არის გამოყოფილი, დოკუმენტიდან ნათლად ჩანს. გამოდის, რომ კახას სულის საწირველად წელიწადში 340 დღეა დაწესებული გამოსაღებით 340 თეთრი. ხათუთას მწირველი კი წელიწადში 340 თეთრს მიიღებს, მიწიდან 8 თეთრს. სამუშაო დღეები კი 5 დღემდე დაიყვანება. თუ კახას მწირველების სარგოს დღიურად გაწეული შრომით დავიანგარიშებთ, აქაც 340 თეთრი გამოდის. ორივეს სულისთვის შესაწირავი წელიწადში 340-340 თეთრი გამოდის. თუ ეს დაშვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ ხოვლეს მოსახლეობას მხოლოდ მათი პატრონების სულის მოსახსენიებლად წელიწადში 680 თეთრის გადასახადი აქვთ შეწერილი. ასევე, თუ დავუშვებთ, რომ მწირველის მიერ შესრულებული ლოცვა გარკვეული ტიპის შრომას წარმოადგენს, ეკლესია 340 დღის პროპორციულ სარგებელს იღებს, ხოლო გლებები, რომელთა გასავალი ასევე 340 თეთრია წელიწადში, კვირაში 5 დღეს მუშაობენ, რადგან შაბათი კახას გაუშვია. გამოდის, რომ თუ დღიურად დავიანგარიშებთ, გლებობამ 340 თეთრი 305 დღეში უნდა გამოიმუშაოს მწირველისთვის. მართალია, კონკრეტულ შრომას ამ შემთხვევაში საგლებო ფუძე აწარმოებს და არა გლები, მაგრამ შესაბამისობა შრომასა და გამოსაღებს შორის გაზრდილია, რაც ექსპლოატაციის დიდი ხარისხის მაჩვენებელია. გამოდის, რომ აქამდე, სანამ კახა მონასტერს შესწირავდა ზემო აღნიშნულ კულუხს, გლებების სამუშაო დღე 6-ით განისაზღვრებოდა. შესაბამისად,

---

1 მ. ბერძნიშვილი. ქართული სოფელი. საქართველოს ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო აღმავლობის გზაზე (X ს. 80-იანი - XIII ს. დასაწყისი). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 83.

შაბათი დღეც სამუშაო იყო ბატონის სასარგებლოდ. კახას მიერ გამოთავისუფლებული შაბათი დღე, ჩემი აზრით, არ უნდა გავიგოთ, როგორც გლეხობისთვის ე.წ. დასვენების დღედ გამოცხადება. სავარაუდოდ, ეს გლეხები შაბათს კულუხისთვის არ მუშაობენ. შესაბამისად, მათი სამუშაო ძალა სხვა ტიპის სამუშაოებზე იქნება გადასროლილი. ეს მაგალითი, ჩემი აზრით, ნათლად უჩვენებს განსხვავებას კაპიტალისტურ სამუშაო დღესა და ფეოდალურ სამუშაო დღეს შორის, რომელიც სწორედ ფეოდალური ექსპლოატაციის საფუძველზე აღმოცენდა. კაპიტალისტურ წარმოებაში ზედმეტი შრომისადმი სწრაფვა სამუშაო დღის გახანგრძლივებით გამოიხატება, ხოლო ფეოდალისთვის – საბეგრო დღეების უშუალო ძებნაში.<sup>1</sup>

ძველი მონაცემებით, წლიური გამოსაღები ყოფილა 12 ოცდაოთხლიტრიანი კოკა (288 ლიტრი ღვინო), ახალი გამოსაღებით – 6 ოცდაოთხლიტრიანი კოკა (144 ლიტრი ღვინო). ამ უკანასკნელის ფასი რკონის დაწერილში 8 თეთრითაა გაწერილი. 1200 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ზოსიმე ვენახს 12 დრაჰკანად ყიდულობს, მენაშენე კაცებს კი საზღაოდ 16 დრაჰკანს აძლევს. მიჩნეულია, რომ გაშენების შემდეგ მიწის ნახევარი მენაშენეებს ეკუთვნოდა.

ვენახის გამშენებლის სარგებელს ქართული ჩვეულებითი სამართლიც იცნობს, ადათობრივი სამართლის 58-ე მხული შემდგომ რამეს გვმაცნობს: „უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ცარიელსა მიწასა, ვენახად რომ აეშენებინა, მათ შუა ამისათვის პირობა, როგორც იქნებოდა, წერილით, იმას ვერ გარდასცილდებოდნენ, და როდესაც ვადა შესრულდებოდა, შუა გაიყოფდნენ მიწის პატრონი და ამშენებელი ანუ გააკეთებდნენ საერთოდ და მოსავალს შუა გაიყოფდნენ. და თუ ვენახის გამკეთებელი კაცი მოსული იქნებოდა და იმას თავისი ბატონი აყრიდა, ის ნაშენობა დაფასდებოდა ნახევარ ფასს მამულის პატრონი ამსენებელს მისცემდა, მაგრამ რაც პირვლივე წერილით პირობა დაიდებოდა ის გარდასწყდებოდა.“<sup>2</sup>

გამოდის, რომ, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, გამოთავისუფლებული ვენახის ფასი  $16+16=32$  დრაჰკანია. მისივე თქმით, ეს მიწა 12 დრაჰკანად ნაყიდ მიწაზე

<sup>1</sup> კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. მალაქია ტოროშელიძის რედაქციით, გვ. 13.

<sup>2</sup> ი. დოლიძე. საქართველოს ჩვეულებითი სამართალი. თბილისი. 1960. გვ. 131.

2 ½ მეტი უნდა ყოფილიყო, ან სულაც მოსავლიანობით სჯობნიდა.<sup>1</sup> თუმცა, ჩემი მოსაზრებით, ეს მონაცემები შემდეგნაირად უნდა დაიყოს: 12 დრაჰკანი მიწის საფასურია, ზედმეტი 4 დრაჰკანი კი მიწაზე გაწეული დანახარჯის საფასური. თუ შორს წავალთ, ასეთი დაყოფაც შესაძლებლად გვეჩვენება: 6 დრაჰკანი ვენახის ფასის ნახევარია, დანარჩენი 10 კი – გამშენებლებზე გაცემული დანახარჯის საფასური. დოკუმენტში ხომ კაცებზეა საუბარი. ისინი, სავარაუდოდ, ორზე მეტნი იქნებოდნენ, პირობითად 16:3-5.33, რაც მიწის ფასისა და გაწეული ხარჯის თანაფარდობა გამოდის. ამ შემთხვევაშიც ეს მიწა, როგორც აღინიშნა, ახლად შეწერილ გლეხზე 12 კოკა ტკბილს გადაიხდიდა. ერთი დრაჰკანი, როგორც აღნიშნულია, 12<sup>2/3</sup> ვერცხლის დრამად ფასობდა, რომლის წონა დაახლოებით 2.2 გრ. ვერცხლს უდრიდა. 13X2.2=28.6, 12X28.6=343, 343:8=42,9, დაახლოებით იმ კომლების რაოდენობას, რაც ხოვლეში გვაქვს. მათ წლიურად 340 თეთრი აქვთ შეწერილი, რომელიც მიწიდან თეთრს იძლევა, 340:8=42.5. გამოდის, რომ 12 დრაჰკანი ვენახის ფასი 343 დრამა, ანუ თეთრია. მისი განაყოფი კი ხოვლეს თითო მიწიდან გაწერილ 8 თეთრზე კომლების ჯამის თითქმის იდენტურია. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტში ნახსენები ვენახის ფასი, 12 დრაჰკანი, ზოგადად ვენახის ფასი უნდა ყოფილიყო იმ პერიოდის საქართველოში. რა თქმა უნდა, აქ სრულფასოვანი ვენახი იგულისხმება. მ. წურწუმია კი ნიკორწმინდელის დაწერილზე დაკვირვებით ვენახის ფასს საშუალოდ 4-6 ოქროს ასახელებს,<sup>2</sup> ხოლო საგლეხო ვენახის ფართობად 0.3-0.5 ჰექტარ ფართობს.<sup>3</sup> თუ ჩემი დაკვირვებები სწორია, შესასწავლი პერიოდისთვის 1 ჰექტარი ვენახის ფასი 12 დრაჰკანს წარმოადგენდა, საგლეხო ვენახის ფართობი კი – 1 ჰექტარს.

კახას სულის მწირველისთვის გაჩენილი 340 დღე და კულუხიდან შემოსული 340 თეთრი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გვავარაუდებინებს, რომ სოფელს თითო შესაწირავზე ყოველდღიურად თითო ან ოდნავ მეტი თეთრი აქვს შეწერილი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ზემოთ განხილული მონაცემების წელიწადის ყოველ დღეზე განაწილება მხოლოდ სამუშაო დღის ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრისთვის

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 5-ე. თბ. 2012, გვ. 241-242.

<sup>2</sup> მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 145.

<sup>3</sup> მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 155.

დაგვჭირდა, რადგან ჩვენთვის თვალნათელია, რომ ყანაში ან ვენახში მუშაობა მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიურად არ წარმოებდა. რა თქმა უნდა, სამიწათმოქმედო სამუშაოები სეზონური იყო. 340 თეთრი კი სოფელს კონკრეტულად სულის მოსახსენებლად აქვს შეწერილი. საერთო ბეგარის რამდენ პროცენტს შეადგენს აღნიშნული 340 თეთრი, რთული დასადგენია. თუმცა ნათელია, რომ ამგვარი გადასახადი საგლებო მეურნეობას მძიმედ დააწვებოდა, მიუხედავად თითქოს კახას მიერ შემოღებული შეღავათებისა. შეღავათიც პირობითად უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ყოველივე ეს არ წარმოადგენდა საერთო საგლებო ბეგარას, არამედ მის მცირე ნაწილს.

## § 2. გუთნის ორგანიზების პოლიტეკონომიური ასპექტები

ფეოდალური ეკონომიკის მთავარ საფუძველს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება კი სასოფლო-სამეურნეო შრომითი იარაღების განვითარების პროპორციული იყო. სახვნელის, როგორც სამიწათმოქმედო იარაღის, გამოყენება ფეოდალიზმამდელი წარმოების წესში ფართოდ იყო მიღებული. თუმცა მოცემულ საკვლევ საკითხში ჩემთვის მნიშვნელოვანია ფეოდალური ეპოქის სახვნელი იარაღის პოლიტეკონომიური ასპექტები და მისი გამოყენება ექსპლოატაციის სახით. ფეოდალურ ეპოქაში ე.წ. კოლონიზაცია ახალი მიწების ათვისებას მოიცავდა, ახალ მიწებზე კი საბევრო ვალდებულებით მიმაგრებული გლეხობა უნდა დაესვათ, რომელთა შრომაზე იდგა მებატონის დოვლათი და, შესაბამისად, ქვეყნის ძირითადი შემოსავალიც. საგლეხო შრომაში, სხვადასხვა სამუშაო იარაღების გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახვნელ იარაღსაც, რომლის კლასიფიკაცია და სახელწოდებები მრავლად მოგვეპოვება ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში.

სულხან-საბას განმარტებით, ერქუანი არის სახვნელი იარაღი, რომელსაც სომხები გუთანს უწოდებენო და შემდეგ კლასიფიკაციას წარმოგვიდგენს: 1. ოქოქა და აჩაჩა ორის ხარით იკაზმებოდა, 2. არონა ყვერის ხარს, 3. ჯილდა ოთხ-ხუთ უღელს, ერქუანი კი მხარმრავალი უღელის საერთო შესატყვისიაო.<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, XIII საუკუნემდე სახვნელ იარაღს ჯერ ზოგადი სახელი „საგვნელი“, შემდეგ კი ერქუანი ერქვა. ერქვანს პირველობა XIII საუკუნიდან გუთანმა ჩამოართვა.<sup>2</sup>

ივანე ჯავახიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ წარმოუდგენელია საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტერმინი ერქუანი გუთანს ისე გაედევნა ხმარებიდან, რომ მას რაიმე ახალი განვითარებული ტექნიკური მახასიათებლები არ

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. თბ. 1991, გვ. 243. იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორედ, ახლად დაწერილი გამოცემა. თფ. 1930, გვ. 159;

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორედ, ახლად დაწერილი გამოცემა, გვ. 155-158.

ჰქონოდა. ვინაიდან ერქუანი ჩამოყალიბებული სახვნელი იარაღი იყო, გუთნის უპირატესობა, მისი აზრით, მხოლოდ ფამფალაკ-გოგრების დამატებით უნდა ვივარაუდოთ.<sup>1</sup>

როგორც ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, ე.წ. დიდი გუთნის ტექნიკური სახეობის გაჩენა ტერმინ გუთანზე უადრესი უნდა იყოს. ასეთ პერიოდად მ. ლორთქიფანე IX-X საუკუნეებს მიიჩნევს,<sup>2</sup>ს. კაკაბაძის მოსაზრებით, ეს VIII საუკუნე უნდა იყოს.<sup>3</sup> ბოლო მოსაზრება ძალზედ საყურადღებოა, არაერთხელ ითქვა, რომ VIII საუკუნე სოციალური ტეხილის პერიოდია საქართველოში, საიდანაც იწყება გარკვეული ახალი პერიოდი. ეს არის ახალი სამეფოების ჩამოყალიბების პერიოდი. შესაბამისად, VIII-IX საუკუნეები ახალი მიწების ათვისების ხანაა, რაც, თავის მხრივ, კერძო საკუთრებაში დიდი ოდენობის სამიწო ფონდების გაჩენას იწვევს. მიმდინარეობს თავისუფალი მწარმოებლის თანდათანობითი დამორჩილება, სათემო საკუთრებები სენიორების ხელში იყრის თავს, ხდება ახლების ათვისება. რასაკვირველია, ამგვარი კოლონიზაციის პერიოდი ახალი სამიწათმოქმედო იარაღის გაჩენას შეუწყობდა ხელს. დიდი მიწების ათვისებას განსხვავებული იარაღი დასჭირდებოდა, იარაღი, რომელიც ნაკლები დროის დახარჯვას საჭიროებდა, ვიდრე ადრეული იარაღები. აქედან გამოთავისუფლებული დრო სხვა ტიპის საბატონო სამუშაოებს მოხმარდებოდა. ეს საწარმოო ურთიერთობების შიდა დინამიკის პროცესია და ისინი ერთმანეთს განსაზღვრავს. მიჩნეულია, რომ გუთანი განვითარებული ფეოდალიზმის პროდუქტია, რასაც არ ვეთანხმები, რადგან დიდი გუთნის გაჩენის პერიოდად მეც VIII საუკუნეს მივიჩნევ. სწორედ დიდი გუთნის გამოყენების შედეგად განვითარებული პროცესები მიმაჩნია განვითარებული ფეოდალიზმის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებლად, ხოლო სახვნელი იარაღი, ამ შემთხვევაში გუთანი, ექსპლოატაციის წყაროდ. მართალია, სახვნელი იარაღის განვითარება ხელოსნის პრეროგატივა იყო, მაგრამ მისი პროცესიდან მოწყვეტა წარმოუდგენელია. შესაბამისად, განვითარება თან სდევს საწარმოო ურთიერთობებს. სათემო გაერთიანებები დაინტერესებულნი იქნებოდნენ იარაღის გაუმჯობესებით, რათა

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორედ, ახლად დაწერილი გამოცემა, გვ. 191.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. - XIII ს. დამდეგამდე), გვ. 30.

<sup>3</sup> С. Н. Какабадзе. Краткий обзор истории Грузии. Сух. 1941.



ნაკლები დრო დაეხარჯათ და მეტი მოსავალი მიეღოთ. უკეთესი იარაღით მეტი მიწის დამუშავება იქნებოდა შესაძლებელი. გამოდის, რომ თავისუფალი მწარმოებლის პირობებში დაწყებული განვითარება საბატონო ურთიერთობებში უფრო შორს მიდის, რადგან მეტი და მეტი მიწის ათვისება სენიორის დოვლათის გაზრდასთან იყო დაკავშირებული. საერთო საათემო საკუთრება კი მალევე ექსპლოატაციის წყაროდ იქცა.

საქართველოში საყანე მიწის წელიწადში რამდენჯერმე, ორჯერ-სამჯერ მოხვნის ტრადიცია არსებობდა. ამგვარი წესი XIX საუკუნემდეც შემორჩენილია. პირველ ხვნას საქართველოში, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, საშემოდგომოდ „გათერძვა“ ერქვა. მეორეჯერ გადახვნა ივნისის თვეში ხდებოდა, რასაც „გაოშას“ უწოდებდნენ. თუ კი მესამედ დასჭირდებოდა მოხვნა, ამას საქართველოში „გახარვა“ ერქვა.<sup>1</sup> ჟორჟ დიუბის მონაცემებით, „მეთორმეტე საუკუნის შუაში კლიუნის საბატოს კუთვნილებაში მყოფი ერთი დომინიონის ყველა მეიჯარე წლიურად ვალდებული იყო ოთხჯერ გაეწია ხვნის სამუშაო, ერთხელ მარტში (ქერისა და შვრიის დათესვამდე) და სამჯერ შემოდგომაზე ნასვენ მიწაზე, სადაც ზამთრის მარცვლეულის დათესვის შესამზადებლად მიწას სამჯერ ამოატრიალებდნენ. კაროლინგური დროისთვის დამახასიათებელ წლიურ სამჯერად ხვნასთან მიმართებით ეს წინსვლა იყო და მეზობელი დომენების პროდუქტიულობასთან შედარებითაც დასტურდება ხვნის გავლენა პროდუქტიულობის ზრდაზე. კლიუნის სხვა დომენების ინვენტარში აღწერა ძველ კაროლინგურ წესს მიჰყვება და ამიტომ შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს, რომ XII საუკუნის დასასრულამდე ხვნის სამუშაოს ზრდას ადგილი არ ჰქონია. თუ მანამდე გაუმჯობესებას ჰქონდა ადგილი, ის უშუალოდ გლეხის ხელთ არსებულ სამუშაო იარაღს ეხება, რომელსაც იმდროინდელი ინვენტარის შემდგენლები აშკარად ჯერაც განურჩევლად უწოდებენ ჩვეულ ლათინურ სახელებს Aratrum და Carruca. მიწათმოქმედების ისტორიის ამ წყაროების საფუძველზე შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ღარიბ დროში გუთნის სრულყოფა მოხდა.

სავარაუდოა, რომ გაიზარდა შესაბამელი ძალის რაოდენობა, რომელსაც გუთანნი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორედ, ახლად დაწერილი გამოცემა, გვ. 256-257.

უნდა გაეწია. რა თქმა უნდა, ვერ შევაფასებთ შესაბამელი ხარების ფიზიკურ აგებულებას, ვერც კარლოს დიდისა და ვერც მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროისთვის, რის გამოც შედარება გამორიცხულია. ხარი ყოველ დროში ბევრნაირი სახისა არსებობდა და გლეხის მიერ ნაკვებ ხარს იმდენივე ღონე ნამდვილად ვერ ექნებოდა, რამდენიც ბატონთა ბოსლებში საუკეთესო საძოვრების ბალახით ნაკვებ ხარებს. ის კი არის სავარაუდო, რომ შესაბამელი ცხოველების რიცხვმა იმატა სამიწათმოქმედო მამულებში. მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს და მეთორმეტეს შუახანებს შორის შესაბამელი საქონლის რიცხვი 20-30%-ით გაიზარდა და ეკონომიკური წინსვლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნეოდა. ეს ძალისხმევა ადასტურებს, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაშინდელი ადამიანები სახნავ იარაღს. სამიწათმოქმედო განვითარების უკან მეურნეობისა და საძოვრების სისტემის უფრო რაციონალური ორგანიზება იდგა, რაც მესაქონლეობაში გაწეულ წინსვლას ნიშნავს და იმ უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომ უფრო ნაყოფიერი მოსავლისა და უფრო ძვირფასი საკვების გულისთვის შესაბამელი ცხოველებისთვის უკეთესი ეჭმიათ, ანუ სათიბისთვის უკეთ მოევლოთ და მათთვის მეტი ადგილი დაეთმოთ დამუშავებული მიწებიდან“.<sup>1</sup>

გუთნეულის გამართვა რომ საბეგროდ ედო გლეხებს, ლაშა-გიორგის შიო მღვიმისადმი გაცემულ სიგელში ვხვდებით: „*მოგუჯსენა ქრისტეს გამორჩეულმან სასომან და მეფემან ჩუნმან წმიდამან მამამთავარმან იოანე ქართლისა მთავარებისკოპოსმან, უდაბნოისა მღუიმისა სოფლისა აგარასა საქმე და გუეჰაჯა, რომელ ჩუნისა ზროხისა შებმაი ზედა ედვა ძუზესა ზედა, რაითამცა იგი გაუთუით, სალოცავად მეფობისა ჩუნისა*“.<sup>2</sup> თავის დოროზე ეს გარემოება შენიშნა დ. მეგრელაძემ.<sup>3</sup> მართალია, აქ სამეფო სამსახურზეა საუბარი, მაგრამ, ჩემი აზრით, ამგვარი ვალდებულება გლეხების ყველა კატეგორიას ემართა საკუთარი პატრონის წინაშე. ჩემი აზრით, ამის კიდევ ერთ-ერთი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ XIII

<sup>1</sup> G. Duby. Krieger und Bauern. Die Entwicklung von Wirtschaft und Gesellschaft im frühen Mittelalter. Frankfurt am Main. Syndikat. 1977, გვ. 197-198 (გერმანულიდან თარგმნაში დამეხმარა ილიას სახელმწიფო ინუვერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლუკა ნახუცრიშვილი)

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 110.

<sup>3</sup> დ. მეგრელაძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა XIII საუკუნის II ნახევრიდან XV საუკუნემდე. იხ. დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1976, გვ. 71.

საუკუნის დოკუმენტებში მიწის რაოდენობის აღმნიშვნელად შემოდის ტერმინი გუთან: „გოგოთური – გუთანი ერთი; ბულახური – გუთანი ერთი... სამი გუთანი; მესხურისა მიწისაგან – გუთანი ორი“.<sup>1</sup> ეს კი, ჩემი აზრით, მიწაზე გაწერილი ვალდებულების აღმნიშვნელად უნდა გამოიყენებოდეს. ხვნა რომ მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ კი, რუსეთშიც ექსპლოატაციის ფორმას წარმოადგენდა, მიგვანიშნებს გუთნის, ანუ *Плуг*-ის ტექნიკურად წინა ფორმა *Рало*, რომელიც ადრეულ რუსეთში სახვნელ იარაღს წარმოადგენდა. მოგვიანო პერიოდში, XIV<sup>2</sup> საუკუნდემდე, ბეგარის სახელწოდებად გადაიქცა, რომელიც სასოფლო პროდუქტის სახით მიერთმეოდა ბატონს.

საბერძნეთისა და რომისთვის, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, მარტივი გუთნის სახეობაა დამახასიათებელი. მისი განვითარება ევროპაში V-XV საუკუნეებში ხდება,<sup>3</sup> რაც, რა თქმა უნდა, როგორც ჩვენთან, სოფლის მეურნეობის დაწინაურებითა და ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავებით უნდა იყოს ნაკარნახევი.

გუთნეულის გამართვას 8-12 უღელი ხარი სჭირდებოდა. ენოგრაფიული მასალის მიხედვით, ამგვარი გუთნეული ქართლის სოფლებში 8-10 უნდა ყოფილიყო.<sup>4</sup> როგორც ვხედავთ, ასეთი ვალდებულება გლეხებს მძიმედ აწვებოდა. გ. მიძიგურის მოსაზრებით, ამ ტიპის ბეგარის გადახდა საკომლო ერთეულს არ შეეძლო. ამიტომაც, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ის გლეხის ფუძეზე იყო მიბმული.<sup>5</sup> დოკუმენტის მიხედვით, სოფელ აგარას საგლეხო ფუძეზე გუთნეულის გამართვა ევალებოდა. შესაბამისად, ის იწვევდა მოდგამის ორგანიზებას, რომელიც ახორციელებდა გუთნეულის მომსახურებას ბატონისადმი.

ბატონის მიწის, ანუ ხოდაბუნდის დამუშავებას, როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, თან ახლდა ე.წ. კოოპერაციული შრომა: მოდგამი, ანეული, დოლის პური, საბატონო, დიდი კვერი.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 113.

<sup>2</sup> <https://dic.academic.ru/dic.nsf/ushakov/1000362>. ბოლო ნახვა – 10. 08. 2018.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორედ, ახლად დაწერილი გამოცემა, გვ. 228-232.

<sup>4</sup> გ. ჩიტაია. ქართლის ენოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა. „მომომხილველი“. ტ. I. თბ. 1949, გვ. 273.

<sup>5</sup> გ. მიძიგური. საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 42.

<sup>6</sup> გ. ჩიტაია. ქართველის ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. ტ. I. თბ. 1997, გვ. 141.

მოდგამის სახით გუთნეულის ორგანიზებას თავისი ეკონომიკური განზომილება ჰქონდა, როგორც გვიანი მასალებით დასტურდება: გუთნის დედა, დღის მეხრე, ღამის მეხრე, სახვნის-საკვეთელის მფლობელი, ხის ნაწილების მფლობელი და ა.შ. ბატონისთვის მოსახნავი მიწების შემდგომ გუთნული მოდგამის წევრებისათვისაც გასწევდა შრომას, რომელიც შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: გუთნის დედისთვის 2 დღე, ღამის მეხრისთვის – 2, რვა უღელი ხარისთვის – 16, დღის მეხრისთვის – 1, სახნისთვის – 2, საკვეთისთვის – 1, ხის ნაწილებისთვის – 1, ღვედისთვის – 1, ჯამბარისა და აპეურისათვის – 1.<sup>1</sup> ნიკორწმინდელის დაწერილში ორ ადგილას ვენახის საფასურს სხვა საზღაოსთან ერთად სახნისიც შეადგენს.<sup>2</sup> სახნისი ამ შემთხვევაში გუთნის ნაწილი უნდა მივიჩნიოთ, რომლის მომსახურებისთვის გვიან პერიოდში, როგორც ვნახეთ, მის პატრონს 2 დღე ხვნი ერგებოდა. სახნისის ქონას ადრეულ პერიოდში უფრო მეტი დატვირთვა ექნებოდა და როგორც მოგვიანო, ისე XI საუკუნეში ექსპლოატაციის მნიშვნელოვანი იარაღი იქნებოდა მებატონის ხელში. სახნისს საფასურში ნიკორწმინდელის დაწერილში, სავარაუდოდ, ფეოდალური კიბის საფხურზე მდგომი პირი იღებს. გარდამავალ პერიოდში, ანუ განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში, გუთნეულთან დაკავშირებული ინვენტარის კონცენტრაცია ფეოდალის ან აზნაურის ხელში საგლეხო ექსპლოატაციის გამლიერებას შეუწყობდა ხელს.

გუთნეულის მუშაობისას საკვებით მომარაგება მოდგამის იმ წევრს ეკისრებოდა, ვისი ახოს დამუშავებაც მიმდინარეობდა.<sup>3</sup> საბატონო მუშაობისას კი საკვები, რა თქმა უნდა, გლეხებზე იყო შეწერილი. შესაბამისად, ის, ვინც გუთნეულის გამართვაში არ ან ვერ იღებდა მონაწილეობას, მაინც იყო ჩართული გუთნის ეკონომიკურ ორგანიზებაში უკვე დამხმარე სახით, რაც გუთნის საექსპლოატაციო ნორმას უფრო ზრდიდა.

გუთნეულის გამართვისა და მოდგამის ეკონომიკური ორგანიზება ქვედა საფეხურზეც იწვევდა ექსპლუატაციას. გუთნის დედა მთავარ პერსონას

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი. გუთნეულის ეკონომიკური ორგანიზაცია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. V. №3. თბ. 1944, გვ. 331; ალ. რობაქიძე. მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში. „მომომხილველი“. ტ. II. თბ. 1951, გვ. 416.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 42.

<sup>3</sup> ალ. რობაქიძე. მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, გვ. 415.

წარმოადგენდა ხვნისას. მასზე იყო დამოკიდებული გუთნეულის გამართვა. გუთნის დედა შეძლებულ ადამიანად ითვლებოდა. მისი ასეთი დაწინაურება უნდა გამოეწვია შიდა საორგანიზაციო საქმეებში მის მიერ გარკვეული უფლებების მითვისებას. საბატონო მუშაობის შემდეგ, სავარაუდოდ, ის საკუთარი სურვილისამებრ განაგებდა გუთნეულის მართვას, რაზედაც ერთი ხალხური ლექსი მიგვითითებს:

*„გუთნის დედას რა აცხონებს, თუ არ შევა საყდარშია,  
თვითონ კაი ამინდში იხნავს, მეხრეს უხნავს ავდარშია“<sup>1</sup>*

აღ. რობაქიძე სწორად შენიშნავს, როდესაც წერს, რომ „შემჩნეული იყო ის გარემოებაც, რომ მოდგამის წევრთა შორის ალოების არათანაბარი განაწილება, რომლის პირობებშიც გუთნის დედის ხვედრი ბევრად აღემატებოდა მოდგამის დანარჩენ წევრთა ხვედრს, ექსპლოატაციის გარკვეულ ნიშნებს ატარებდა“.<sup>2</sup> შესაბამისად, გუთნეულის გამართვა რადგან ექსპლოატაციის წყარო იყო საგლეხო მეურნეობისთვის, მის წიაღში აღმოცენებული თითქოს შრომის განაწილების, საზოგადო შრომიდან აღმოცენებული ერთობა, ფეოდალურ საზოგადოებაში შიდა გადანაწილების და არათანაბარი უერთიერთობების ერთ-ერთ საფუძვლად ჩამოყალიბდა.

ქართული ხალხურ პოეზიაში მრავლადაა შრომის თემატიკასთან დაკავშირებული ლექსები. ძირითადი ადგილი მაინც ურმულ სიმღერებსა და ლექსებს უკავია. მათში შესაძლებელია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურის დანახვა, ხვნა-თესვის პროცესით დაწყებული გუთნის დედის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით დამთავრებული. გუთნისდედა რომ შეძლებულად მიიჩნეოდა ძველს საქართველოში, გარდა საისტორიო დოკუმენტებისა, არაერთი ხალხური ლექსი და სიმღერა მოგვითხრობს:

„ქალმა თქვა: ქმარი არ მინდა, ნუ გამათხოვებ დედაო,  
ნუ მიმცემ მეცხვარე კაცსა, თორო მაიზტობს ფეხსაო.  
ნურც მიმცემ მონადირესა, გადმოარდება კლდესაო,

1 აღ. რობაქიძე. მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდე საქართველოში, გვ. 416.

2 აღ. რობაქიძე. მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდე საქართველოში, გვ. 417.

თუ მიმცემ, ისეთს კაცს მიმეც, რომ იყოს გუთნის დედაო“.<sup>1</sup>

არჩილ მეფის თხოვრებას შემოუნახავს მოხვნის ეკონომიკური მნიშვნელობა:

*„მუშამ პარტახი ნუ მოხნას, თუ სადმე ეული პოოს*

*და ხარს არ ზალევდეს? სახრითა, ხან არ უმახდეეს „ო-ო-ო-ს“?²*

პარტახის მოხვნა, სანამ ის არ გაშენდება, ეკონომიკურად მომგებიანი არ არის. ის გლეხის ფუძეზე უნდა გაიცეს. თუ ფუძეზე ან კომლზე არ გაიცა, ერთეული გლეხი მის დამუშავებას გუთნეულით ვერ გასწვდებოდა.

ხალხურ პოეზიას ხვნა-თესვის თითქმის ყველა დეტალი აქვს აღწერილი, მათ შორის, მოდგამის წევრების სამუშაო დღე და მოვალეობები. ასევე, აღნიშნულია სამუშაო დღეების განრიგი:

*„ექვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწექ მხარზედა,*

*ვინც კვირა-უქმს შეგაბას, ხელიმც შეახმეს მკლავზედა“³*

ხშირ შემთხვევაში ხარის მაგივრობას კამეჩი სწევდა. მართალია, კამეჩი საზიდრად გამოიყენებოდა და ძირითადად ურემში იყო შებმული, მაგრამ, როგორც ხალხური პოეზია გვიდასტურებს, ის გუთნეულის ორგანიზებაშიც გამოიყენებოდა:

*„კამეჩიანი გუთანი ლალი და გამწევარია,*

*ეგრეთი ბელტი გადააქვს, ადლი და ნახევარია“⁴*

კამეჩის მიერ მოხნულს უპირატესობასაც ანიჭებდნენ, როგორც ვხედავთ, მის მიერ გადატრიალებულ ბელტის სიდიდეს ადლნახევრით ზომავენ. თუმცა კამეჩი ხართან შედარებით ნელა მოძრავია და მის მიერ მოხნული ფართობი უფრო ნაკლები იქნებოდა. ევროპაში ხართან ერთად ცხენიც გამოიყენებოდა. „ეს, სავარაუდოდ, დასავლეთის ყველაზე ნაყოფიერ რეგიონებში მოხდა XII საუკუნის მეორე ნახევარში. ცხენების უპირატესობა მათი სისწრაფე იყო. ამით ხვნის სამუშაო ჩქარდებოდა, რამაც ახალ პრაქტიკად ფარცხვის დამკვიდრება მოიტანა. თუმცა მხოლოდ ყველაზე მდიდარი რეგიონები იმიტომ გაწვდებოდნენ ცხენებით ხვნას, რომ ცხენი ხარზე მეტი ღირდა: ცხენს დანალვა და შვრით გამოკვება ესაჭიროებოდა. ასეთ სასოფლო თემებს საკმარისად ბევრი მონეტა უნდა ჰქონოდა და სამმინდვრიანი მეურნეობის წყალობით

<sup>1</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია. თბ. 1963, გვ. 36-37.

<sup>2</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, გვ. 47.

<sup>3</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, გვ. 53.

<sup>4</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, გვ. 57.

საკმარისად ბევრ საგაზაფხულო მარცვლეულს აწარმოებდა“.<sup>1</sup>

ლექსებს, ასევე, შემოუნახავთ გუთნეულის მუშაობის დღის განრიგი:

*„შენი ჭირიმე გუთანო, სამოცი კვალი მოხნაო,  
რაც არ უმატო, არ უკლო, უფრო და უფრო მოხნაო,“  
ან „გამარჯვებულმა გუთანმა სამოცჯრ შემოუარა,  
ნეტა რა ხარმა გაუძლო, ან და რა მეხრემ იარა“.<sup>2</sup>*

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ მოცემული რაოდენობა გუთნეულის სამუშაო დღიური ნორმა იყო, მასზე ნაკლები არ უნდა შესრულებულიყო. ასევე, საინტერესოა, გუთნის ნაწილების გაზაასებისას ადამიანის ექპლოატაციაა დაგმობილი, რაც თანმდევი იყო გუთნეულის ორგანიზებისა. ეს მოვლენა ქართველ გლეხს სათანადოდ აუსახავს ხალხურ პოეზიაში, თუმცა უსულო საგნებს, გუთნის ნაწილებს ალაპარაკებს:

*„კაცზე კაცსა უდიარობა არასდროს არ შერჩება  
ამ სოფელს რომ არ ეკითხოს, იმ სოფელს კი გადახდება.  
ვინც რომ არის უდიარი ის ჯოჯუხეთს არ ასცდება,  
აქ არის მართალსასჯელი, აქ ხომ ქრთამს არ გაესვლება,  
კაცი კაცის უსამართლობა, აროდეს არ მოეშვება.“<sup>3</sup>*

ექპლოატაციის ხარისხი ერთ ნადურ სიმღერაშია გადმოცემული:

*„სამი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ის მირტყამდა, ხან ისი,  
სამივე ერთ დღეს მომიკვდა, ხან ის ვიტირე, ხან ისი“.<sup>4</sup>*

ბოლოს მოვიყვან ერთ ვრცელ ციტატას ერთი ხალხური ლექსიდან, რომელიც გუთნის მთელ რთულ სისტემაზე მოგვითხრობს. აღნიშნული ლექსი გუთნის გამართვისა და მისი დეტალების შესასწავლად ძალზედ საინტერესოა:

*„გუთანი ისე გავმართე, როგორც რომ მართებულოია:  
პირველ გავთალე ხის რვილი, სახელდებული თელისა,  
მოვუჭერ სახლმე შუაზე, შემოუღერე ყელიცა,*

<sup>1</sup> G. Duby. Krieger und Bauern. Die Entwicklung von Wirtschaft und Gesellschaft im frühen Mittelalter. Frankfurt am Main. Syndikat. 1977, გვ. 199.

<sup>2</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, გვ. 61.

<sup>3</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, გვ. 63

<sup>4</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, გვ. 76.

*ყელი კარგად მოუვიდა და შუა წელი სრულია,  
კაკლის დედანი შევაბი შალაშინ გადასმულია.  
ზედ გავიკეთე ხელ-კუდი, როგორც რომ ჩამოსხმული,  
იფნის ხმალი გავატარე, ფარეშით გათანგულია,  
ღირღიტის მორგვი გავთალე პიტალო კაკლის გულია.  
მუხისა სოლი ვახმარე ხელეჩოთ დაწმენდილია,  
ჯაგ-რცხილის ფერსოს მოვკიდე, როგორც დუღაბი კირია.  
ისე გავმართე გუთანი, როგორც რომ მართებულია.  
ზედ მოვუბი საყვერები წნელებით გადაბმულია.  
შიგ დავუმართე უღლები ახალი დატუსულია;  
შიგ ჩავუყარე ტაბიკი, დათლილი შვინდის გულია  
შევაბი აპეურები, ახალი დაგრეხილია ... “<sup>1</sup>*

დასტურლამალის მიხედვით, მოურავების სარგო ხვნაშიც გამოიხატებოდა. გლეხები ვალდებულნი იყვნენ მათთვისაც მოეხვნათ. ამ შემთხვევაში საუბარი სახელმწიფო გამოსაღებზეა, თუმცა არაა გამორიცხული ბეგარა და გადასახადი ერთმანეთს გადაკვეთოდა.<sup>2</sup>

როგორც წყაროებიდან ჩანს, გუთნის გამართვა სრულ ფუძეზე იყო გაწერილი. ოჯახების დაშლის შემდგომ კი გამოცალკავებულ ოჯახებს გაუჭირდებოდათ გუთნეულის გამართვა, რაც ერთი-ორად დააწვებოდა საგლეხო მეურნეობას. გამწევი ძალა სრულებითაც არ არის სავალდებულო, ყოველ საგლეხო კომლს ჰყოლოდა. ამიტომაც ხდება მისი შეწერა ფუძის სახით. თუმცა მოგვიანო პერიოდში, ოჯახების ეკონომიკური დანაწევრების შემდგომ, შესაძლებელია, მრავლად ყოფილიყო ისეთი ოჯახი, რომელსაც მოდგომში არავითარი წილი არ ჰქონდა. მისი სახნავი მიწები კვლავინდებურად პრიმიტიული იარაღებით მუშავდებოდა. ეს კი ხელს უწყობდა გლეხთა შორის უთანასწორო მდგომარეობას, რასაც ზედ საბატონო ექსპლოატაციაც ერთვოდა. რა თქმა უნდა, ხვნაში საბატონო ტექნიკაც იღებდა მონაწილეობს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობია, ემსახურებოდა თუ არა იგი გუთნეულის

<sup>1</sup> თ. ოქროშიძე. ქართული ხალხური შრომის პოეზია, გვ. 59-60.

<sup>2</sup> დასტურლამალი. მეფის ვახტანგ მეექვსისა. რედაქტორობით პავლე უმიკაშვილისა. ტფილისი. 1886, ლ. გ. კრამარენკოს სტამბა.



გამართვაში ჩართულ წევრებს. ჩემი ვარაუდით, არა, რადგან ძირითადი სწარმოო საშუალება მიწა და დამხმარე საშუალება გუთანის – ორივე შემთხვევაში მებატონის საკუთრება იყო. მის ორგანიზებაში კი საგლეხო ზედმეტი შრომის მითვისება ხდებოდა. შესაძლებელია დავუშვათ, რომ მხოლოდ შრომითი ვალდებულების სახით, ძირითადად, ის გლეხები იღებდნენ მონაწილეობას, ვისაც გუთნეულის ორგანიზება არ შეეძლო და ვისი ეკონომიკური მდგომარეობა ძალზედ მძიმე იყო. მოგვიანო პერიოდში კი, როცა შესაძლებელი გახდა გუთნეულის დაქირავება საგლეხო მეურნეობის დასამუშავებლად, ის გლეხები, რომელთაც ხარჯის გაწევის საშუალება არ ჰქონდა და არც გუთანთან დაკავშირებული ინვენტარი, ხოლო ცოცხალი ძალა გააჩნდათ, კვლავინდებურად ორმაგად ჩაგრულთა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, როგორც მებატონეთაგან, ასევე, საკუთარი მეზობლებისა თუ თანასოფლელების მხრიდან. გუთნის განვითარება და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი შრომა, რომელიც სათეო ურთიერთობებიდან იღებს სათავეს, ფეოდალიზაციის პროცესში ექსპლოატაციის წყაროდ გადაიქცა. ჩემი აზრით, გუთნის, როგორც ტექნიკური საშუალების და მისი ორგანიზების, მოდგამი, ანეული და ა.შ. მთლიანობაში განხილვა მეტ-ნაკლებად გვიჩვენებს ექსპლოატაციის ხარისხს კონკრეტული სამუშაოების მიმართ ფეოდალურ საქართველოში.

დაახლოებით მსგავსი პროცესი იყო საფრანგეთში, ჟ. დიუბის თქმით: „ყოვლისმომცველი ეკონომიკური და დემოგრაფიული წინსვლის ცენტრში დანამდვილებით იდგა სახნავი ინსტრუმენტისა და შესაბამელის სრულყოფა. ამ შემთხვევაში გუთანში იგულისხმება აღჭურვილობის ის მთლიანობა, რასაც შეადგენს იარაღი, შესაბამელი ცხოველი და მათით მომუშავე ადამიანი. მისი ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ ის იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც მანსუს ადრეულ შუა საუკუნეებში. XI საუკუნის ბოლოდან დაიწყო მიწების „სახნავ მიწებად“ გაზომვა, საბატონო სამუშაოს სახნავი დღეების მიხედვით დათვლა. მეხრე იქცა მსახურებს შორის უმთავრეს მუშაკად. აღწერილმა ტექნიკურმა წინსვლამ გამოიწვია აღჭურვილობის ღირებულების გაზრდა მიწის ღირებულებასთან შედარებით“.<sup>1</sup> ჟ.

---

<sup>1</sup> G. Duby. Krieger und Bauern. Die Entwicklung von Wirtschaft und Gesellschaft im frühen Mittelalter. Frankfurt am Main. Syndikat. 1977, გვ. 201-202.

დიუბი საფრანგეთის მაგალითზე გვთავაზობს გლეხობის საცხოვრებელ პირობებში მომხდარ ცვლილებებს.

„1. მშრომელთა კლასი უფრო მოწყვლადი გახდა, რადგან გუთანი და შესაბამელი მოძრავი და, შესაბამისად, უფრო ადვილი წასართმევი იყო, ვიდრე მიწა, და ფულის მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. ყველაფერი გვამლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ გუთნის ტექნიკურმა სრულყოფამ ძალზედ წახალისა გლეხობაში საკრედიტო საქმიანობა.

2. რადგან ყველა გლეხს არ ჰქონდა საჭირო კაპიტალი სახნავი ტექნიკის გასაუმჯობესებლად, თანდათანობით ძალზედ გაიზარდა უფსკრული იმ გლეხებსა და იმ მიწებს შორის, რომლებიც ჯერაც ძველ ტექნიკას იყენებდნენ და რომლებიც ხარებს ან სხვა ცხოველებს იყენებდნენ სახნავად. გაჩნდა განსხვავება „მხვნელ გლეხებს“ (ლაბოურერს) და „ხელით მომუშავეთა“ (მანოუვრიერს) შორის. პირველი ტერმინი ალბათ იმ პატივისცემასაც გულისხმობს, რომელსაც იმსახურებდა ყველა, ვისაც საერთო აღმავლობაში შეჰქონდა წვლილი. ბატონები ორივე კატეგორიას განსხვავებულად ეპყრობოდნენ და ზოგ პროვინციაში მხოლოდ „მხვნელი გლეხები“ ითვლებოდნენ თემის სრულფასოვან წევრებად. თუ მანამდე ბატონთა მოთხოვნები ყველა გლეხის საცხოვრებელი პირობების ნიველირებას იწვევდა, XII საუკუნეში იარაღის სრულყოფასთან ერთად ახალი ეკონომიკური უთანასწორობა განჩნდა ერთისა და იმავე სოფლის მაცხოვრებლებს ან მეზობელ პროვინციებს შორის“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> G. Duby. Krieger und Bauern. Die Entwicklung von Wirtschaft und Gesellschaft im frühen Mittelalter. Frankfurt am Main, გვ. 201-202.

### § 3. წისქვილის პოლიტეკონომია

სათემო საკუთრების პირობებში, როდესაც ბრძოლა მიმდინარეობს თავისუფალი მწარმოებლის დასამორჩილებლად, გუთნის მსგავსად წისქვილიც საერთო საკუთრებაში უნდა ვიგულისხმოთ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ამაზე ნათლად მიგვანიშნებს ერთ-ერთ პასაჟში, რაზეც ივ. ჯავახიშვილმა გაამახვილა ყურადღება: ბერები „მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა“, სადაც მდგარა „წისქვილი, სახლი რამე შესართებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა“.<sup>1</sup> საძმოს შესაკრებლად აქ წისქვილია მოხსენიებული, რაც წისქვილის საკუთრების შესახებ მიგვანიშნებს. შესაბამისად, საძმო, ანუ თემი განაგებს ამ ადგილს. სოციალური ბრძოლის გამძაფრების შემდგომ ეტაპზე, სავარაუდოდ, თემი დაკარგავდა ამ წისქვილს და ის ან ფეოდალის ან ეკლესიის საკუთრებაში გადავიდოდა.

მ. ლორთქიფანიძეს დასაშვებად მიაჩნია, რომ განვითარების მომდევნო ეტაპზე სოფელს (ერთ თემს – მ.ლ.) თავის განკარგულებაში ჰქონოდა წისქვილი.<sup>2</sup> განკარგულებაში, ალბათ, ავტორი მოხმარებას გულისხმობს, თორემ განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპზე დაუშვებლადაც კი მიგვაჩნია ამხელა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე საწარმოო საშუალების გლეხობის ხელში არსებობა. თუმცა მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ თანდათან წისქვილის აგება ხელისუფლების მატარებელ პირთა და ფეოდალთა ხელში გადადის, რის დასტურადაც 923-926 წლებით დათარიღებული წარწერა მოჰყავს, სადაც ცხრაზმის ხევისუფალნი წისქვილს აშენებენ: *„სახელითა ღმრთისაჲთა, ესე კელი ჩუენ, ბერმან და გიორგი დავწერეთ, ოდეს კონსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმისკვეს კევისუფლად ვიყვენით. მას ჟამსა ავაგეთ წისქულნი და ზემოდთ სახლი ერთი. სამსახური ჰკიდავს 8 კაცი“*.<sup>3</sup> აღნიშნულ საფქვავ მექანიზმს სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები აშენებენ. ასევე საუბარია წისქვილებზე და ერთ სახლზე, 8 კაცი კი სწორედ მათ მოსამსახურედაა მიჩენილი. აქ არ ჩანს, 8 კაცი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში. თფ. 1934, გვ.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა (VI ს. - XIII ს. დამდეგამდე), გვ. 31

<sup>3</sup> ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. I, გვ. 144.

სულადობრივად უნდა ვიგულისხმოთ, თუ ოჯახით. თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წისქვილებს და სახლს საკმაოდ დიდი სამსახური დასჭირდებოდა და არ იქნება მთლად უადგილო, რომ „წ კაცი“ მათივე ოჯახებით წარმოვიდგინოთ კონკრეტულ მსახურებაში.

წისქვილის მშენებლობას დიდი ხარჯი და ფეოდალის ნება რომ სჭირდებოდა 1249/1260 წლებით დათარიღებული დოკუმენტიდან „დაწერილი მღვმისა კრებულისა გრიგოლ სურამელისადმი“ ნათლად ჩანს: *„მოიჭირვეთ და აღვუშენეთ წისქულნი მტკვარსა ზედა, სალოცველად დღეგრძელობისა სულისა თქუენისათვის და იყიდეთ ჩუენგანვე ციხედიდს გლეხი ქავთარერნი მეწისქვილედ და ავიღეთ თქუენგან ფასი სრული, რომელი თქუენ შესჯერდით და თქუენგან აღშენებულთა წისქულისათვის საკაზმავად შემოსწირე წმიდასა შიოს ...“*<sup>1</sup> გუთნის გამართვისგან განსხვავებით, რომელიც გლეხს საბეგროდ ედო, აქ თითქოს შრომის გამოთავისუფლებას ვხვდებით. გრიგოლ სურამელმა შიო მღვმის მონასტერს წისქვილი აუშენა. გლეხი მათგან იყიდა და ეს გლეხი წისქვილის მკაზმელად მიუჩინა, თითქოს სხვა საბეგრო ვალდებულებებისაგან გათავისუფლებული ჩანს. ამასვე მოწმობს მღვმის კრებულის სიტყვები გრიგოლისადმი: *„ციხედიდს სხუაი საქონებელი მღვმისაი არს შეუვალი, ჰაგრევე ესე ქავთარელი თქუენგან ნასყიდი გლეხი შეუვალი იყოს უდაბნოსა მღუიმისასა“*<sup>2</sup> გამოდის, რომ გრიგოლს არანაირი ხელი არ ექნება ქავთარელის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, იქნება ეს წისქვილის მოსაგებელი, თუ სხვა რამ. მღვმის კრებული მცხეთის საკათალიკოსო საბეგრო სამსახურიდანაც თავისუფლებას თხოვს, ასევე, სათათრო და სხვა გამოსაღებისგანაც. სამართალიც გლეხზე მღვმის ეკუთვნის. წისქვილში გაფუჭებული საქმისთვისაც მღვმე გადაახდევინებდა და სამი დღე წელიწადში სამუშაოდ უდგინებდა. მონასტერი გამოდის ორივე საწარმოო საშუალების ექსპლოატატორი. წისქვილი და გლეხი მას შეწირულობით გადაეცა, თუმცა მასზე სრული უფლების მოპოვება სცადა. მას მეწისქვილის მიერ შესრულებული სამსახურიდანაც ეკუთვნის წილი და თავისთავად წისქვილის მუშაობიდანაც, რადგან მღვმის მფლობელობაშია:

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 130.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 130.

*„დაჭრილის ნახევარი ჩუენი იყოს და ნახევარი ამას ჩუენისა მეწისქულისაი იყოს. და ვინ გინდა მოფქავი იყოს და ფქვილეს, მისდი ნუ ვის ნუ აელეზის, თქუენისა სულისა სალოცავად ფქვილეს და მეწისქულიე ეგზომსა საპატიოსა აილებდეს, რომ ერთს კაცსა ეყოფოდეს. ენკენიასა და წელიწადის თავსა მემლუიმესა ძლუენსა მოართუმდეს: სამსა სქელსა პურსა და ერთსა კორჩხალასა ღუინოსა და სხუებრ არაიგამოვა, რაი ცარ დაგუწერია ამისაგან მეტი“.<sup>1</sup> და იქვე მოცემულია მეწისქვილე გლეხის საბეგრო ვალდებულებებისგან გათავისუფლება, სავარაუდოდ, გრიგოლისა და სხვა სამეფო თუ სახელმწიფო გამოსაღებისგან: „და გლეხსა არ სუბრაობაი, არ გენდგაობაი, არ მოწიგნურობაი, არ საბანჯრე, არ საქმარი და არაისთანაი არა“.*

დოკუმენტის შესაბამისი ადგილი, სადაც ქავთარელი გლეხის ყიდვაზეა საუბარი, ნაკლებია. ამიტომ ვერ ვიგებთ, კონკრეტული ერთი გლეხის შესყიდვა და შემდგომ შეწირვა მოხდა, თუ საგლეხო ფუძის, ან კომლის. თუმცა შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ როგორც სხალტბის წყლის მკაზმელთა შემთხვევაში მოხდა, აქაც ერთი საგლეხო ოჯახის შესყიდვაზეა საუბარი. აღნიშნული გლეხი სრულიად თავისუფალია საბეგრო ვალდებულებებისგან და მხოლოდ წისქვილში გაწეული შრომის ნახევარი და საპატიოს მისართმეველი აქვს შეწერილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მღვიმის კრებულის მიერ ხაზგასმა იმისა, რომ მისი გლეხიც უნდა იყოს შეუვალი, როგორც სხვები ციხედიდს და არც მცხეთის და არც სხვა საბეგრო ვალდებულება არ გააჩნდეს, გამომდინარეობს იქიდან, რომ მეწისქვილის საგლეხო ეკონომიკიდან შემოსავალი სრულად ეკუთვნის ეკლესიას. ვინაიდან გლეხის ყიდვა მღვიმისაგან მოხდა სრულ ფასად, სავარაუდოდ, მიწიანად, მღვიმეს იმ შემოსავლის დაკარგვა არ უნდა, რომელიც კონკრეტული მიწიდან შესდიოდა. მხოლოდ მეწისქვილეობა მას ამ შემოსავალს ვერ აუნაზღაურებდა. ამიტომაც სამართალსაც თვითონ იჩემებს. გამოდის, რომ ქავთარელის სახლიდან ეკლესიას მეწისქვილედ განწესების საპატიოც ეკუთვნის და ცალკე კიდევ საგლეხო გადასახადები. მიჩნეულია, რომ დღემდე არსებულმა სამუშაო იარაღისა თუ მანქანის ვერცერთმა ტექნიკურმა გაუმჯობესებამ ადამიანს დღიური შრომა ვერ შეუმსუბუქა. არადა პირიქით ხდება, ის ამცირებს სამუშაო დღის იმ ნაწილს, როდესაც მშრომელი

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 131.

საკუთარი თავისთვის შრომობს. ამით იზრდება ე.წ. ზედმეტი შრომის წილი, რომელსაც გლეხი ბატონისთვის გასწევს.<sup>1</sup> თითქოს მეწისქვილის შემთხვევაში მისი დრო სრულად გამოთავისუფლებულია და ის მიწაზე მუშაობას არ გასწევს, თითქოს შრომის გამოთავისუფლებას ვხვდებით, მაგრამ აქ ერთი რამაა გასათვალისწინებელი: გლეხი, თუნდაც წისქვილზე ან სარწყავ არხზე მიმაგრებული, არ უნდა განვიხილოთ მისი ფუძისგან მოწყვეტით, რადგან სწორედ საგლეხო ფუძის ფისკი ქმნის ფეოდალური ეკონომიკის საფუძველს. ამიტომაც წისქვილის ეკონომიკური ორგანიზება და მისი მებატონის ხელში გადასვლა უნდა განვიხილოთ, როგორც საწარმოო მანქანის განვითარების ეტაპი, რომელიც იქ მომუშავე ადამიანებს ექსპლოატაციას უწევს. როგორც პოლიტეკონომისტები აღნიშნავენ, მანქანების განვითარება ხორბლის საფქვავე წიქვილების განვითარების შესწავლითაა შესაძლებელი. ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნის ინგლისში ფაბრიკას Mill-ს (წისქვილი) და ხოლო გერმანიაში ყველანაირ მანუფაქტურულ აპარატურას Muhle -ს (წისქვილი) უწოდებდნენ.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. მალაქია ტოროშელიძის რედაქციით, გვ. 21.

<sup>2</sup> იხ. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. მალაქია ტოროშელიძის რედაქციით. სქოლიო 43.

## §. 4. მიწის ყიდვა-გაყიდვის პოლიტიკონომია

### ფეოდალურ საქართველოში

ფეოდალურ ეპოქაში, როდესაც ძირითადი საწარმოო საშუალება მიწა მებატონის საკუთრებაშია, ცოტა გასაკვირია XI საუკუნის ქართულ დოკუმენტში „დაწერილი ნიკოლას წმიდის წინამძღვრისა“ (1071/1080 წწ.)<sup>1</sup> შემონახული ცნობა გლეხის მიერ მისი გაყიდვისა. თუმცა ამ ეპოქაშიც და მერეც დამხმარე საწარმოო საშუალებები, რომლებსაც გლეხი გამოიყენებდა მიწის დასამუშავებლად მისივე საკუთრებას წარმოადგენდა. თუ არ ჩავთვლით მსხვილ იარაღებსა და ტექნიკურ საშუალებებს, როგორცაა გუთანი<sup>2</sup> და სარწყავი არხები. სარწყავი არხების მშენებლობა და მისი ექსპლოატაციაში ჩაშვება უპირატესად ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა და შემდეგ მხოლოდ კონკრეტული ფეოდალების ხოლო გუთანი გარკვეულ ეტაპზე გლეხის საკუთრებაშიც აღმოჩნდა, თუმცა მისი შეკაზმვა/გამართვა ერთგვარ ბეგარად გადაექცა. ასეთ პირობებში გვაქვს მონაცემები გლეხის მიერ მიწის გაყიდვისა. გლეხი, რა თქმა უნდა, უფლებრივად სრულიად დამოკიდებულია ბატონზე და მის საკუთრებას წარმოადგენს. ეს ამავე დოკუმენტიდანაც დასტურდება, როდესაც უამრავი ფაქტი არსებობს გლეხის შემოწირვისა და გაყიდვისა.<sup>3</sup> მაშ, როგორ შეიძლება ყიდვა გაყიდვის ობიექტი თავად ყიდდეს ძირითად ფასეულობას, რომელზედაც იმ პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურა და შიდა მეურნეობა დგას?

ნიკორწმინდელის დაწერილისა და სხვა პერიოდის დოკუმენტებს თუ ფაქტებს კარგად შევისწავლით, შეგვიძლია რამდენიმე თეზისის წამოყენება:

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს. ნაწილი I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 39-44.

<sup>2</sup> ფეოდალიზაციის გარდამავალ ეტაპზე თავისუფალი მწარმოებელი ფლობდა გუთანს, თუმცა მათი დაყმევების პროცესში შესაძლებელია ის მებატონის საკუთრება გამხდარიყო და მხოლოდ მცირე ნაწილს შეენარჩუნებინა საკუთარ მეურნეობაში. მოგვიანო პერიოდში კი ვხედავთ, რომ გლეხი სხვა იარაღთან ერთად ფლობს გუთანსაც, თუმცა მისი შეკაზმვა/გამართვა, ჩაგვრის, საბეგარო ურთიერთობის ინსტრუმენტად გამოიყენება.

<sup>3</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 39, 42, 44[ ეს რისი სქოლიოა, ვერ გავიგე.

1. გლეხის მიერ მიწის გაყიდვა პირობითია და მეზატონის ნებართვით ხდება.
2. გლეხის მიერ მიწის გაყიდვა არ გულისხმობს მის სრულ უფლებას მიწაზე, არამედ ნაწილობრივს. გაყიდვის აქტში მისი დაფიქსირება შეიძლება ამ მიწაზე გაწეული სამუშაოების ნაწილობრივ ანაზრაურებას გულისხმობდეს.
3. გლეხის მიერ მიწის გაყიდვის ფაქტის რეგისტრაცია მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მეზატონე ასხვისებს გარკვეულ ნაკვეთს. მხოლოდ გლეხის, საგლეხო კომლის, როგორც ამ მიწის მფლობელის და ფისკალური სუბიექტის, როგორც პროდუქტის შემქმნელის დაფიქსირება წმინდა ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობს. თუ გლეხის მიერ მიწის გაყიდვის ფაქტს დამოუკიდებელ ეკონომიკურ ფაქტორად განვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ IX საუკუნიდან მოყოლებული ყველა ისტორიული დოკუმენტი დადასტურებულად ასახავს მიწიდან მომდინარე საბეგრო სისტემას, ანუ ფეოდალურს ეკონომიკურ წესრიგს. აქედან გამომდინარე ისმის შეკითხვა, მიწის გამსხვისებელი ვის წინაშე ასრულებს პატრონყმული რიგის წესს, ვის წინაშეა ვალდებული, როგორც მსახურებით, ასევე, მიწაზე არსებული ბეგართ?

მოკლედ მიმივიხილოთ ტერმინი გლეხის მნიშვნელობა, საინტერესოა თუ როდიდან შემოდის ის ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში და როდის ყალიბდება წმინდა სოციალური სახით. ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავლადაა გამოკვლევები ამ საკითხის შესახებ. ამიტომ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მის განვითარებას და თვალნათლივ დავინახოთ, თუ რა ტიპის საწარმოო ურთიერთობებშია ჩართული იგი. როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია გაზიარებული, XI საუკუნისთვის ქართული მწარმოებელი საზოგადოება ორ ნაწილად იყოფოდა, პირად თავისუფალაშენარჩუნებულ მდაბიორებად და თავისუფლებადაკარგულ გლეხებად.<sup>1</sup> გლეხი სოციალური მნიშვნელობით პირველად IX საუკუნის საბუთში,

<sup>1</sup> მაგალითისთვის იხ. მ. ბერძნიშვილი. გლეხთა კატეგორიები XI-XII ს-ში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V. ნაკვ. 1. თბ. 1960, გვ. 139-158; მისივე, საზოგადოებრივი კლასები და კლასთა ბრძოლა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 124-153; მ. ლორთქიფანიძე. მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX-X სს. საქართველოში. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის“ (მსკი). ნაკვ. 34. თბ. 1962, გვ. 3-23; დ. მეგრელაძე. გლეხობის საკითხი (ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა). ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. ნაწ. I. თბ. 1967, გვ. 8-18.



ფავნელის დაწერილიში, იხსენიება,<sup>1</sup> ასევე, იხსენიება მელქისედეკ კათალიკოსის საბუთში.<sup>2</sup> ზემოთ ნახსენებ ორივე საბუთში გლეხი უკვე თავისუფლებადაკარგული ჩანს და მის პატრონზე ბეგართა და სამსახურით არის დაკავშირებული. გლეხი, ასევე, გვხვდება საისტორიო თხზულებებში, მაგალითად, როდესაც ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის პერიოდის ამბებს გადმოგვცემს, გვამცნობს: „პირველად მივიდეს ჯორჯანეთს, და წარმოტყუენეს ჯორჯანეთი და ყოვლად უმკვდროყვეს და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი. და მიერთაგან ქმნნეს **ჯორჯანელნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი**“.<sup>3</sup> ამ ციტატაზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთხმადაა გაზიარებული, რომ ჯუანშერის ეპოქაში გლეხი უკვე მებეგრე სუბიექტს წარმოადგენს და ამ ტერმინის ხმარება მხოლოდ სოციალური დატვირთითაა შესაძლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯუანშერის მოღვაწეობის პერიოდს ისტორიკოსები განსხვავებულად ათარიღებენ და VIII-XI საუკუნებს შორის ათავსებენ.<sup>4</sup> ადრეულ ქართულ თარგმანებს სომხურიდან და ბერძნულიდან თითქოს გლეხი ძველი მნიშვნელობის ღარიბ-გლახაკის მნიშვნელობით აქვთ შემონახული, თუმცა ისტორიკოს ანრი ბოგვერადის დაკვირვებით VIII-IX საუკუნეებში გადაწერილ და ნათარგმნ ტექსტებში გლეხი სოციალური მნიშვნელობით იხმარება.<sup>5</sup>

განვიხილოთ ნიკორწმინდელის დაწერილიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილები. ტექსტის თანმიმდევრობა არ იქნება დაცული და ციტატის სახით მხოლოდ იმ მუხლებს მოვიყვან, რომელიც განსახილველი საკითხისთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია:

***„და რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათოვ გამიცემია ეკლესიისგან***

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 16-19.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 20-31. აღნიშნულ საბუთს ბოლო გამომცემლები 1031/1033 წლებით ათარიღებენ. სხვადასხვა დროს, მარი ბროსეს, სარგის კაკაბაძის, დიმიტრი ბაქრაძის, დავით ჩუბინაშვილის, ივანე ჯავახიშვილის და კორნელი კეკელიძის მიერ განხსვავებული დათარიღება იყო მოცემული, რომელიც 1020 წლიდან 1040 წლამდე მერყეობდა. აგრეთვე იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. ტფ. 1930, გვ. 99-101.

<sup>3</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 203

<sup>4</sup> . მაგ. იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. IX. მ. ბერძენიშვილი. საზოგადოებრივი კლასები და კლასთა ბრძოლა, გვ. 23-56. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II, გვ. 62.

<sup>5</sup> ა. ბოგვერადე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოების ისტორიიდან. თბ. 1961, 119-123.

**განბად და პირუტყვად:**

მე ტეხარას დეზორიანისძისაგან ვიყიდე გლეხია. და მისთვის მივეც ძულოდ ახალი ერთი და შედეგი ძულოდა, ტაბასტაი სომხური ბ, ჯაჭვა, და ჯარი კარგია, სასთული ხირაითა კარგია, და ქაფი ჯაჭვსადა, და მოწამე არიან კაცნი.

მისვე დეზორიანისძისაგან ვიყიდე პარტახია, და მივეც ცხენია, და ჩაბალახი გუდამაყრულია, დამოწამე არიან კაცნი.

დამუნვე, მეტეხარას, კასალისძისაგან ვიყიდე ვენაჯია, და მივეც ჯარია, და საჯნისი ბ, და მოწამე არიან კაცნი.

ჯინჭარაძისა გლეხისგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაჯისადა, ჩ(უე)ნთანა ედვა და გავი საკუთრე და მივეც ზროხადა, და ორმოცისა დრამისა ჯმელადი. და მოწამენი არიან კაცნი.

მუნვე, მეტეხარას, ჯინჯინოსძისაგან ვიყიდე ვენაჯი, ჩვენსა გლეხსა თანა ედვა და მივეც ფურია, და ჯმელადი სამოცდათხუთმეტისა დრამისადა, დამოწამე არიან კაცნი.

დამუნვე, ზნაკუას ე(რისთავთ)-ე(რისთავ)მ(ა)ნ მ(ი)ქელწორბელისაგან და ვახტანგისაგან იყიდა მიწად ტყიანი და მათ უბოძა ფასად ჯაჭვი ბ, და იგი მიწად წ(მიდ)ა ნიკოლოზს შემოსწირა.

---

დამუნვე, ზნაკუას, ვახტანგის გლეხისგან ვიყიდე ყანადა ა. დამივეც ხუარბალი გრივი გ. და მოწამე არიან კაცნი.

მუნვე, ზნაკუას, კეპოდსძისაგან ვიყიდე ყანადა ა. და მივეც ჯარი ერთი, რკინადა ლიტრად რვად და ქალამანი ბ. და მოწამე არიან კაცნი.

დამუნვე, ზნაკუას, ვახტანგის გლეხსა მივეც სახლი ა. და მისგან ავიღეთ ყანადა ა. და მოწამე არიან კაცნი. გლეხსა ჩუენსა ცხენი მოჰპარეს მუნვე, ზნაკუას, და საზღავად ავიღეთ მიწად ნაუეთი ბ. და მოწამე არიან კაცნი.”<sup>1</sup>

მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდელის დაწერილში გლეხის მიერ მიწის გაყიდვის ფაქტზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს. მისი თქმით, რადგან გლეხი

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 40.

იურიდიულად თავისუფლად არ ითვლება, მას მაინც შეუძლია იყიდოს ან გაყიდოს მიწის ნაჭერი, მაგრამ გაყიდვის ფაქტის დაფიქსირება მისი პატრონის ნებართვის გარეშე არ შეუძლია. ეს ფაქტი კარგად აისახა დოკუმენტში, როდესაც მიწის გამსხვისებელი გლეხები მოიხსენიებიან არა საკუთარი, არამედ ბატონის სახელით.<sup>1</sup> ნასყიდობითი გარიგება გლეხსა და ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარს შორის ხომ არ გულისხმობს არა პირდაპირ ყანის ან ვენახის პირადად გაყიდვას, არამედ მასზე წლების განმავლობაში გაწეული შრომის ერთგვარ ანაზღაურებას, ერთჯერადად. თუმცა გლეხები, ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, კონკრეტული ადამიანის კუთვნილებას წარმოადგენენ.<sup>2</sup> შესაბამისად, ვფიქრობ, რომ მიწა, რომელიც ყიდვა-გაყიდვის ობიექტია, სწორედ რომ იმავე ადამიანისა უნდა იყოს, ვისიც არის გლეხი. მაშასადამე, როგორც რენტა/ბეგარის შემთხვევაში ხდება, აქაც მებატონეს მხრიდან უნდა მომხდარიყო მიწის საფასურის მითვისება. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდებია და მას დამტკიცება სჭირდება. სხვა მხრივაც ამგვარი მსჯელობის პირდაპირი მინიშნება ან ისტორიუგრაფიული ბაზა არ არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ რა შეკითხვებს დავუსვამთ „ნიკორწმინდელის დაწერილის“ თანადროულ ან ცოტა მოგვიანო დოკუმენტებს და რა ტიპის საწარმოო ურთიერთობებს დავინახავთ მასში.

თუ გლეხი ყიდის მიწას, ხოლო თვითონ სხვის საკუთრება წარმოადგენს, მაშინ რას და როგორ ყიდის ის? სავარაუდოდ, ის ყიდის კონკრეტულ ყანაზე ან ვენახზე მის ნაწილობრივ უფლებას, რაც მის მიერ ამ მიწაზე გაწეული შრომის საზღაურად უნდა მივიჩნიოთ. თორემ ის კვლავინდებურად მიწიდან მომდინარე ბეგარით იქნება დაკავშირებული მიწის ბატონთან. როცა ვსაუბრობ გლეხის მიწაზე ნაწილობრივ უფლებაზე და გაწეულ შრომაზე, ამ მხრივ ჩვენთვის მნიშვნელოვანია 1200 წლის ახლო პერიოდში შექმნილი დოკუმენტი: „დაწერილი მღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი“, <sup>3</sup> სადაც შიომღვიმის სამმო მონასტრის წინამძღვრისა და მისი წინამორბედების საქმიანობას აღწერენ და მონასტრისთვის შეძენილი ქონების მოკლე რეესტრს გვთავაზობენ. ჩვენთვის საინტერესო ფაქტები დოკუმენტში რამდენჯერმე

<sup>1</sup> მ. ბერძნიშვილი. გლეხთა კატეგორიები XI-XII ს-ში, გვ. 141.

<sup>2</sup> „ჯინჭარას მისა გლეხისგან...“, „ვახტანგის გლეხისგან...“, „დ(მრ)თის-მშობლისა გლეხისგან...“.

<sup>3</sup> ზოსიმე ამ დროისთვის შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარია.

გვხვდება. ამიტომ მოვიყვან ვრცელ ციტატას და შემეგ მისი გარჩევისას მას რამდენიმე ნაწილად დავყოფ:

„და თქ(უ)ენ დიდი ჭირი / ჰნახეთ, და სახლი მოაშენეთ, უკმარი საკმარად შეჰქმენით და ესე სა/კ(უ)რთხ(ე)ველსა აქა შესძინეთ. და კულა საკ(უ)რთხ(ე)ველისა ვენაქსა ზ(ედ)ა აგა/რას თორმეტისა დრაჰკანისა ვენაქი იყიდეთ კვრიკადასძისაგ(ა)ნ, და იგიცა / ზ(ედ)ა მოჰკიდეთ. რუეთს ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ველისა საგლეხოსა ვენაქსა ზ(ედ)ა კ(ა)ცნი ვინ/მე სხდომილი ყვენეს არ მემამულენი, მიწაი ვენაქად აეშენა და იგინი / კ(ა)ცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მ(ა)თისა ნ(ა)ცვლად, ი(ოვან)ეს გამზრდელსა გარისელა / მსძესა თესუმეტი დრაჰკანიმი ეცა მ(ა)თ კ(ა)ცთათვს, და მის გარისელადასძისა / ს(უ)ლისა სალოცავად თორმეტი კოკადა გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ა)ნ აიღების მისა/დსალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოველ)თა წელიწადთა. და ამისად სანაცვლოდ შ(ე)ნ, ზოსიმეს გამზრდე/ლმ(ა)ნ ი(ოვან)ე გარისელადასძისა ს(უ)ლისა სალოცავად თ(ე)ვდორობისა პ(ა)რ(ა)სკ(ე)ვსა თეს/ლი და კუანჩხით ღვინოდ ამ(ა)ს ძმათა გაუყოფდა ეკლ(ე)სიას. და კულა / მ(ა)სვე ვენ(ა)ქსა საგლეხოსა ზ(ედ)ა ი(ოვან)ეს შენსა გამზრდელსა, ნაკალოები მჭე/დლურა ეყიდა და ზედვე მოეკიდა. და კულა ი(ოვან)ეს მთხრობელი აუდგა / ივანბერი წურერგრძელიძსძე და მიწაი დაკარგული უთხრა. და მ(ა)ნ დიდი/თა მოჭირვებითა და საურავითა ზ(ედ)ა(ვე) შესძინა: თვთ ამის დაწერილი/ძეს. ესე საკ(უ)რთხ(ე)ველისა და აქა შეუძენია. დაკულა საკ(უ)რთხ(ე)ველისა მი/წად შალტამი, კოდათა გაუტეხელი, უკმარისა კმარად შეჰქმენით. დიდ/ნი ჭირნი ჰნახენით შ(ე)ნ და შ(ე)ნმ(ა)ნ გამზრდელმ(ა)ნ ი(ოვან)ე. ესე ყ(ოველ)ი საკ(უ)რთხ(ე)ველისა და / შეგიძენია შ(ე)ნ და შ(ე)ნსა გამზრდელსაი (ოვან)ეს.

და ვინადათაგ(ა)ნ ესე ყ(ოველ)ი შ(ე)ნ, დაშ(ე)ნსა / გამზრდელსა ი(ოვან)ეს მოგეჭირვა, შ(ე)ნ, ზოსიმეს, დედულსა ზითვად მოცემულსა ზედა სტეფანეთ მამულისაგ(ა)ნ, რომელ სამს(ა)ხური არ(ა)დ ზ(ედ)ა-აც, მისსა ნაცვ/ალსა სტ(ე)ფ(ა)ნესძე გარდაიქდის საეკლ(ე)სიოსა და სამეფოსა სამსახურსა: / კულუხსა, ღალასა და ყ(ოველ)სავე გამოსაღებელსა. აგრე მოცემული არ/ს ესე მიწაი ზითვად. ამ(ა)ს მიწისა დედისა შ(ე)ნისა ზითევსა ზ(ედ)ა შ(ე)ნ ზოსიმე და შ(ე)ნმ(ა)ნ გამზრდელმ(ა)ნ სახლკარი ააშენეთ და მოკიდებით ვენაქი კარგი. / დიდნი ჭირნი ჰნახენით და მეტისმეტად შ(ე)ნ ზოსიმე.

და კულა შ(ე)ნისა გამზრდე/ლისაი (ოვანე)ს მ(ა)მასა მუშერს კურიკაული მიწაი აელოს აშენებლად ხელ-გი/ორგისძისა ვენაქსა გუერდით, დლისა ერთისაჲ. დარაჲ აეშენა, ორად / გაეყო: ნახევარი ი(ოვანე)ს მამასა დაემჭირა მუშერს, ნახევარი მიწის პ(ა)ტრ(ო)ნსა. / მერმე იგი (მ)ათი კერძო ჯრდა და თე(უ)ენ მისსივე მამულისაგ(ან) [ი]ცვალეთ მიწ/ითა: ოთხი ზომად წყალ-მყინვართა ზედა მიეცით“.<sup>1</sup>

განვიხილოთ პირველი ნაწილი:

„და თე(უ)ენ დიდი ჭირი / ჰნახეთ, და სახლი მოაშენეთ, უჯმარი საჯმარად შეჰქმენით და ესე სა/კ(უ)რთხ(ე)ვ(ე)ლსა აქა შესძინეთ. და კულა საკ(უ)რთხ(ე)ველისავე ნაქსა ზ(ე)და აგა/რას თორმეტისა დრაჰკანისა ვენაქი იყიდეთ კურიკაისძისაგ(ან), და იგიცა / ზ(ე)და მოჰკიდეთ. რუეთს ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ვლისა საგლებოსა ვენაქსა ზ(ე)და კ(ა)ცნი ვინ/მე სხდომილიყვნეს არმემამულენი, მიწაი ვენაქად აეშენა და იგინი / კ(ა)ცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მ(ა)თისა ნ(ა)ცვლად, ი(ოვანე)ს გამზრდელსა გარისელა/ძსძესა თექსუმეტი დრაჰკანი მიეცა მ(ა)თ კ(ა)ცთათჳს, და მის გარისელაისძისა / ს(უ)ლისა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ან) აიღების მისა/დ სალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოველ)თაწელიწადთა“. დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ შიომღვიმის წინამძღვარმა ზედა აგარას კურიკაისძისგან იყიდა ვენახი, რომელშიც მან 12 დრაჰკანი გადაიხადა. რუეთს ვენახად გაშენებულ მიწაზე მომუშავე კაცებს კი მან 16 დრაჰკანი გადაუხადა. გამოდის რომ სამონასტრო მიწიდან კაცებზე გაცემული იყო ნაწილი, რომელიც ვენახად გააშენეს, პატრონს ეს მიწა სავარაუდოდ საბეგროდ აქვს გაცემული, რაცამ მიწის აღმნიშვნელიდანაც კარგად ჩანს, „საგლებოსა ვენაქსა“, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ ეს კაცები არ იყვნენ მემამულენი, მათ მიწა ვენახად გააშენეს და ბეგარასაც აქედან გადაიხდიდნენ. აღნიშნული მიწიდან კაცები წავიდნენ, სავარაუდოდ, წინამძღვარმა ეს ვენახი სხვას გადასცა საბეგროდ, ანაზღაურების მიზნით კი წასულ კაცებს 16 დრაჰკანი გადაუხადა. ზუსტად ვერ ვიტყვით ვინ იგულისხმება დოკუმენტის კაცებში, გლების კონრეტული ფუძე, რომელიც რამდენიმე კომლიანია თუ დამოუკიდებელი ფუძეები, თუმცა ერთი რამის თქმა შეგვიძლია, საქართველოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად დასამუშავებელი მიწა

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89-90.

შეიძლება რამდენიმე ნაწილად გაცემულიყო საბევროდ, რაც ნიკორწმინდელის დაწერილშივე მოცემული „ვენახის ნაოთხალი“ და ასევე, სხვა დოკუმენტებში მოხსენიებული ტერმინები, „ყანადასა ნაქვეროდ“, „საზიაროდ ყანად“ გვაფიქრებინებს.<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი სანახევროს შემდეგნაირად განმარტავს: ვენახის გაშენების მიზნით იდებოდა პირობითი ხელშეკრულება, არა მესაკუთრე<sup>2</sup> (ხაზგასმა ჩემია – ა.ჩ.) გამშენებელს გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა, მას თავისი კუთვნილი მიწის სანაცვლოდ პატრონისგან მისი ღირებულების საფასური შეედლო აელო. სამეგიეროდ არა მესაკუთრე გამშენებელი ვალდებული იყო გაშენების ხარჯები თვითონ გაეწია.<sup>3</sup> დოკუმენტიდან ისიც არ ჩანს კარგადთუ რა ოდენობის ვენახზეა, საუბარი, თუმცა ქვემოთვეა აღნიშნული, რომ: „და მის გარისელაჲსძისა / ს(უ)ლისა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფლისა ტკბილის(ა)გ(ა)ნ აილების მისა/დ სალ(ო)ც(ა)ვად ყ(ოველ)თა წელიწადთა“.<sup>4</sup> გამოდის რომ ამ ვენახს 12 კოკა, ანუ 120 ლიტრა ღვინო ბეგარა ედო.

რა შუაშია ეს ყველაფერი ნიკორწმინდელის დაწერილში ხსენებული გლეხისგან ვენახის ყიდვასთან? ნიკორწმინდელში შემდეგს ვკითხულობთ: **„ჯინჭარაჲსძისა გლეხისგან ვიყიდე ნაოთხალი ვენახისაჲ, ჩ(უ)ენთანა ედვა და გავისაკუთრე და მივეც ზროხაჲ, და ორმოცისა დრამისა ჯმელადი. და მოწამენი არიან კაცნი.“**<sup>5</sup>

ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარი ჯინჭარაის ძის გლეხისგან ყიდულობს ვენახის ნაოთხალს, რომელიც, მისივე თქმით, ჩვენ თანა ედვაო. მკვლევარი მამუკა წურწუშია, ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით, ფასების დადგენისას შენიშნავს, რომ ვენახის ფასი, მხოლოდ ერთგან ჩანს სხვებზე ძვირი, ჯინჭარაის ძის გლეხისგან ნაყიდი ვენახის ფასი 1 ძროხა და 40 დრამის ხმელადი გამოდის, რაც მისი დათვლით 3.85 გრ. ოქროა. სიძვირეს მკვლევარი იმით ხსნის, რომ ვენახის მეოთხედი მონასტრის მიწების გვერდზე იყო, ანუ მას „ჩვენ თანა ედვა“ ესმის, როგორც მათ

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 316-317.

<sup>2</sup> არამესაკუთრეზე ხაზგასმა და ზემოთ ნახსენები არამემამულე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ნიკორწმინდელის დაწერილში გლეხის მიერ მიწის გაყიდვის შესახებ, რაზედაც შესაბამის ადგილას მექნება მსჯელობა.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 316.

<sup>4</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89.

<sup>5</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 40.

სიახლოვეს მყოფი მიწა.<sup>1</sup> ნიკორწმინდის წინამძღვარი შეძენილი მიწის გასაკუთრებაზე საუბრობს. მართალია, ყველა ნასყიდი თუ მოგებული მიწა მონასტრის საკუთრებაში უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ გლეხისგან ნასყიდი გავისაკუთრო. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ სანახევრო ვენახსა და საზიარო ყანაზე, ზუსტად ასეთივე ფაქტი მგონია ჯინჭარაის ძის გლეხის ვენახის მეოთხედის მფლობელობაში არსებობა. „ჩვენ თანა ედვა“ მე მესმის, როგორც მონასტრის გარკვეული მიწის მეოთხედის გლეხის სარგებლობაში არსებობა, საიდანაც ის ბეგარას გადაიხდიდა. სავარაუდოდ, დანარჩენ ვენახზე მონასტრისვე გლეხი ან გლეხები იხდნენ და ამ აქტით მონასტერმა სრულად დაისაკუთრა არსებული მიწის ნაკვეთი. მონასტერს უკვე მიწაზე დასმული გლეხი ორმაგ ყმობაში ეყოლებოდა, როგორც მიწიდან მებეგრე და პირად დამოკიდებულებაში მყოფი. ნიკორწმინდელის მიერ ვენახის ყიდვის სხვა მიწის ნაკვეთებთან შედარებით უფრო ძვირი საფასური ჯინჭარაის ძის გლეხისთვის მეოთხედ მიწაზე გაწეული შრომისა და ვენახზე დანახარჯის საფასურის გადხდა უნდა ვივარაუდოთ.

ამ მხრივ დოკუმენტში შემდეგ მოყვანილი ფაქტია საინტერესოა, რაც შინაარსობრივად ახლოს დგას უკვე განხილულ ნასყიდობის აქტთან: **„მუნვე, მეტეხარას, ჯინჯინოსძისაგან ვიყიდუ ვენაჯი, ჩვენსა გლეხსა თანა ედვა და მივეც ფურია, და კმელადი სამოცდათხუთმეტისა დრამისაჲ, და მოწამე არიან კაცნი“**.

აღნიშნულ ნასყიდობას, მართალია, წინამძღვარი გლეხთან არ აწარმოებს, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ ვისგანაც ის ვენახს ყიდულობს, მონასტრის გლეხს „თანა ედვა“, ანუ ადამიანი პირადად მონასტერზეა დამოკიდებული და მისი საკუთრებაა. ხოლო საბეგროდ ჯინჯინოს ძის ვენახზეა მიბმული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის ნახსენები, რა ზომის ვენახი შეიძინა წინამძღვარმა. სხვა მუხლებში ხშირად მითითებულია ვენახის ოდენობა: მაგ., ვენახი ა (1). აქაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ან სრულიად გამოისყიდა ვენახი მეპატრონისგან, ან ის ნაწილი, რომელიც მონასტრის „გლეხსა თანა ედვა“.

იმავე ტიპის აქტი უნდა იყოს ზნაკუას განხორციელებული გაცვლის ფაქტი: **„და**

<sup>1</sup> მ. წურწუშია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII. თბ. 2013-2014, გვ. 145.

*მუნვე, ზნაკუას, ვახტანგის გლეხსა მივეც სახლია. და მისგან ავიღეთ ყანაჲა. და მოწამე არიან კაცნი*“. აქ ერთი ყანის სანაცვლოდ წინამძღვარი ვახტანგის გლეხს სახლს აძლევს. აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ გლეხმა აღნიშნულ ყანაში, სამუშაო ძალის დახარჯვის გარდა, კონკრეტული სამშენებლო ხარჯიც გასწია და სავარაუდებელია, რომ იმავე ყანაზე ცხოვრობდა. თორემ ცოტა გაურკვეველი იქნება ყანაში სახლის მიცემა. სავსებით არ არის სავარაუდებელი, რომ გლეხს სადმე სხვაგან ჰქონოდა საცხოვრებელი. ეპოქაში, როდესაც ფეოდალური საწარმოო ურთიერთობები მთელი თავისი სიმძლავრით იჩენს თავს, ეს დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან თავისუფლების დაკარგვა და დაყმევება სწორედ გაღარიბება-გაყვლეფის გზით მიმდინარეობდა.

მიწის გამშენებლისთვის გარკვეული ანაზღაურების გაცემას საქართველოს მოგვიანო პერიოდის სამართლებრივი ძეგლებიც იცნობენ, როგორცაა ბექა მანდატურთუხუცესისა და აღბუღას სამართლის წიგნები. თუმცა ასეთი ადამიანის მიერ ნახევრის გასაკუთრება, როგორც ისიდორე დოლიძე აღნიშნავს, ბექა მანდატურთუხუცესის დროისთვის საცილობელი გამხდარა. ამიტომ ბექას სამართალში 54 მუხლი ასე გაწერილა:

**A**

**B**

*54. თუ კაცმან კაცისა მამუ  
ლი გააკაცრიელოს რგვთა ანუ  
ნაგებობითა [ობლობისა] და გარდა  
ხუეწისათვის რომე მამული მან  
მოიკლოს, დაუჭირავსა[ა] არას  
ემართლების, ნახევარი ფასი [v]  
მისცეს [და ადგილმემამულეს].*

*54. თუ კაცმან კაცისა მიწა  
[გაკაცრიელოს] გინა ნაშრო  
მითა, გინა ნაგებითა, ნარ-  
გვევითა ანუ ობლობისათვის, ანუ  
გარდახვეწისათვის რა მემამულე-  
მოაკითხოს, დაჭირვას არას  
ემართლების, ნაქმრის ფასი მის  
ცეს და ადგილი მემამულესვე  
მართებს.<sup>1</sup>*

აღნიშნულ მუხლში ნახსენები „ანუ ნაგებობითა“ და „გინა ნაგებითა“, ჩემ მიერ ზემოთ განხილულ მოსაზრებას გლეხის მიერ სხვის მიწაზე რაიმე ტიპის

<sup>1</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 157, 310.



ნაგებობის დადგმის შესახებ (ზნაკვაში გლეხის შემთხვევაში სახლის აშენება?) მოგვიანო პერიოდის სამართლის ძეგლი დადასტურებულად გადმოგვცემს.

ნიკორწმინდელის დაწერილში შემდგომ ვკითხულობთ: *„გლეხსა ჩუნსა ცხენი მოჰპარეს მუნვე, ზნაკუას, და საზღავად ავიღეთ მიწა ნაკუეთი ბ. და მოწამე არიან კაცნი“*.<sup>1</sup> გამოდის, რომ მონასტრის გლეხს ზნაკუაში მოჰპარეს ცხენი, მის საზღაოს კი მონასტერი მპარავისგან იღებს. ზიანის მიყენების შემთხვევაში საზღაოს აღება ნიკორწმინდელის დაწერილში სხვაგანაც გვხვდება, მაგალითად: *„ქელთაგან შვილთაგან ავიღეთ საზღავად მიწა შხროს ზ(ედ)ა რუსისძესა თანა, და მოწამე არიან კაცნი*.

*მღილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მისდა საზღავად ავიღეთ, ველიჭრულსა რადცა იყო, მის კერძი, მოწამე არიან კაცნი“*.<sup>2</sup>

*„კაჩეთს სქელაეთაგან ავიღე ყანა ცხენისა საზღავად მივეც კვკაძესა“*.<sup>3</sup> ცხენის მოპარვის შემდგომ საზღაოს მიცემა ამ დროისთვის კანონდებლობით გაწერილი ნორმა თუ არა, ადათობრივი სამართლის ფუნქცია უნდა ყოფილიყო, რადგან მოგვიანებით ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნში ის უკვე დადასტურებულად გვხვდება. 62-ე მუხლში შემდეგს ვკითხულობთ:

A	B
„ნაპარვისა გაჩენა ასე იქმნების	ნაპარავისა პირველ ასრე გაჩნილა და
62. თუ ცხენი იყოს მოპარული, [ანუ] რაცა კაცმან კაცსა მოიპაროს, ჳელთავე ჰქონდეს იგი თავნი ნაპარევი, იგი თავნი ნაპარევი მისცეს და ეგზომი სხუაცა მისცეს“.	ასრე იქნას აწცა, რომე 62. თუ ცხენი და რა გინდა რა კაცმან მოიპაროს, თუ ჳელთავე აქვნდეს თავი ნაპარევი, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა. და თუ არა აქვნდეს, აფიცოს

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 40.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 41.

<sup>3</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 42.

საქონლის პატრონმან; როგორ-  
ცა დაიფიცოს, იგი მისცეს და  
ერთი ეზომი სხვა”.<sup>1</sup>

დასკვნა შემდეგია: თუკი გლახს ცხენს ჰპარავენ, ცხენის საზღაოდ იღებს მიწას მისი პატრონი. გამოდის, რომ ცხენი, დამხმარე საწარმოო საშუალება (რადგან აქ საბრძოლო ცხენზე არ იქნება საუბარი), რომელიც გლახს ჰყავს, მისი პატრონის საკუთრებაა. მაშასადამე, როგორ ჰყიდის გლახი მიწას, ძირითად საწარმოო საშუალებას, როცა მისი სრული საკუთრების უფლება დამხმარეზეც არ ვრცელდება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს გლახის მიერ მიწაზე ნაწილობრივი საკუთრების უფლებას. მის მიერ მიწის გაყიდვა ყოველთვის ნომინალურად უნდა ვივარაუდოდ მხოლოდ და მხოლოდ პატრონის ნებართვით. ან ეს ფაქტი იმ საზღაოზე უნდა მიგვითითებდეს, რაც მან კონკრეტულ მიწაზე დანახარჯის სახით გასწია.

1200 წლის ახლოს შედგენილ შიომღვიმის მონასტრის დოკუმენტში ასევე მოგვეპოვება სხვა ფაქტი მიწის გაშენებისა და მისი სანახევროდ გაყოფის შესახებ:

*„და კუალა შ(ე)ნისა გამზრდე/ლისაი (ოვან)ეს მ(ა)მასა მუშერს კვრიკაული მიწაი აელოს ასაშენებლად ხელ გი/ორგისძისა ვენაქსა გუერდით, დლისა ერთისაჲ. და რაჲ აეშენა, ორად / გაეყო: ნახევარი ი(ოვან)ეს მამასა დაემჭირა მუშერს, ნახევარი მიწისპ(ა)ტრ(ო)ნსა. / მერმე იგი (მ)ათი კერძაო ჯრდა და თქ(უენ) მისსივე მამულისაგ(ა)ნ [ი]ცვალეთ მიწ/ითა: ოთხი ზომაჲ წყალ-მყინვართა ზედა მიეცით“.<sup>2</sup>*

დოკუმენტის ამ ნაწილშიც კვირიკაულ მიწაზეა საუბარი, ოღონდ უკვე მუშერში. აქაც მიწის გაშენების ფაქტია მოცემული, სადაც შიომღვიმის წინამძღვარმა, იოანემ, მიწა აიღო. მოშენების მერე ნახევარი თვითონ დაიჭირა, ნახევარი კი პატრონს დარჩა. აქვე მოცემულია ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ნაწილობრივ ზნაკუას გლახისგან მიწის ყიდვის ფაქტს ეხმიანება. ამ შემთხვევაში ნიკორწმინდელმა საფასურად სახლი გადაიხადა: „მერმე იგი (მ)ათი კერძაო ჯრდა და თქ(უენ) მისსივე

<sup>1</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 315.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89-90.

*მამულისაგ(ა)ნ [ი]ცვალეთ მიწ/ითა: ოთხი ზომაა წყალმყინვართა ზედა“.*<sup>1</sup> როგორც ჩანს, მეპატრონის ნაწილი აოხრებულა და მამა ზოსიმეს იმ ნაწილის საფასურად სხვა ადგილას მიწა მიუცია. თუ ზნაკუას ყიდვის საფასურად გლეხი სახლს იღებს, აქ მემამულე შიომღვიმის მონასტერი სანახევროდ აღებული მიწის მთლიანობაში გასაკუთრებისთვის მიწასვე გასცემს. მიწის ამგვარი მოცვლა რომ პრაქტიკაში იყო მიღებული, ნიკორწმინდელის დაწერილიდანაც ჩანს, სადაც ვკითხულობ: *„ვიცვალე ჯივშს ვენაჯითა ჩემითა მოგებულობითა ადგილი და ფასად ზედა დავურთენ უღელნი ჯარნი და რვაა აჟურაა და მას ზედა დავდგი სასაწნებლე კვითკირი“.*<sup>2</sup> თუმცა აქ დამატებით ნიკორწმინდელი ხარებს და რვა აჟურას ამატებს ფასს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მოცვლილი მიწის ოდენობა ან მოსავლიანობა აღემატებოდა ნიკორწმინის მიწას. დამატებით ისიც საინტერესოა, რომ ერთი დღის სანახევრო მიწაში ზოსიმე წინამძღვარი „ოთხი ზომის“ მიწას იძლევა საფასურად. ზუსტად რა ტიპის საზომთან გვაქვს საქმე, არ ვიცი, თუმცა ერთი რამის თქმა შეიძლება: ოთხი ზომა ამავე მონაცემებით ერთი დღის ნახევარი მიწის ტოლფასი უნდა ყოფილიყო. ასეთი რამ სავსებით სავარაუდებელია, რადგან იოვანე ნიკორწმინდის წინამძღვრისგან განსხვავებით ზოსიმე გაშენების საფასურში კი არ გასმევს, არამედ ნახევარი დღის მიწაში.

ამ დოკუმენტში ხშირად შევხვდებით გამონათქვამს იოანესა და ზოსიმეს მიმართ, რომ მათ *„დიდი ჭირი ჰნახეთ და სახლი მოაშენეთ“*, *„და მან მისითა მოჭირვებითა და საურავითა ზედვე შესძინა“*, *„შენ და შენსა გამზრდელსა იოვანეს მოგეჭირვა“*. ყველა ეს მოჭირვება მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით იხსენება, ან მონაგებზე საუბრისას ან ნაშნების, ანაც დედის მზითვებთან. ისიღორე დოლიძის მოსაზრებით, „ნაჭირვებით“, ანუ ჭირნახულობით საკუთრების უფლების შექმნა უხმარი მიწის სახმარად გადაქცევას და მის პირველად დამუშავებას ნიშნავს. მართალია, აქ დამმუშავებელი ნახევრაზე საკუთრების უფლებას იღებს და მისი სრული მესაკუთრე არ არის.<sup>3</sup>

საინტერესოა ის ფაქტიც, თუ ზემოთ განხილული მიწის ნაკვეთი მოაშენა

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 89-90.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 42.

<sup>3</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართლის ..., გვ. 141.

იოვანემ, ხოლო შემდეგ იგი თანაბრად გაიყო მემამულესა და იოვანეს შორის. მიწის პატრონის ნაწილის აოხრებისას რატომ გახდა საჭირო მეორე ნახევრის მიწითვე მოცვლა? სავარაუდოდ, აღნიშნული მიწა კარგი შემოსავლის მომტანი უნდა ყოფილიყო.

გარდა ზემოთ განხილული გლეხისგან მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტებისა, კიდევ არის დადასტურებული საწირეს გლეხის მიერ მიწის გაყიდვა: „*საწირესვე ღ(მრ)თის-მშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაჯ და მივეც ფურია, აჟურამი*“.

მიწის ყიდვა-გაყიდვის განხილვის დროს აუცილებლად უნდა გავანალიზოთ განსახილველი პერიოდის მიწათსაკუთრების ფორმები და ფეოდალური ეპოქის მიწის მფლობელობის თავისებურებები. ამის გარეშე მხოლოდ მშრალ ფაქტებზე მსჯელობა გამოგვივა. ქვემოთ განვიხილავთ სენიორლათურ და საგლეხო მიწისფლობის ფორმებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დასკვნების გამოტანა გლეხის მიერ მიწის გაყიდვაში თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია მოსაზრება, რომ IX-X საუკუნეების საქართველოში მიწისმფლობელობის ორი სახე არსებობდა, ერთი პირობითი მიწისმფლობელობა იყო, სამსახურზე დაფუძნებული, მეორე კი მამული, რომელიც ფეოდალის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა.<sup>1</sup> მამული, ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ჯერ მამის სამშობლოს, მამეულს ნიშნავს. მომდევნო ეტაპზე ის ასევე აღნიშნავს დედულის სინონიმსაც, ანუ დედის მიერ მზითვში მოტანილი ქონების სამემკვიდრეოდ დაფიქსირებას. IX-X საუკუნეების ქართულ ძეგლებში მამული უკვე საგვარეულო სამემკვიდრეო საკუთრების აღმნიშვნელია, რომელსაც ესა თუ ის ფეოდალი ფლობს. XI-XII საუკუნიდან მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და უკვე მთლიან უძრავ-მოძრავი ქონების აღმნიშვნელად გვევლინება.<sup>2</sup>

ადრეფეოდალურიდან ფეოდალური წარმოების წესზე გადასვლისას განსახილველ თემას წარმოადგენდა სამეფო და სახელმწიფო მიწების საკუთრების ფორმები. ანრი ბოგვერაძე მიიჩნევდა, რომ სამეფო დომენი მეფის, როგორც ფეოდალის საკუთრებაა. სახელმწიფო მიწებისგან მეფე ამონაგებს იღებს როგორც

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. § 2. მიწისმფლობელობის ფორმები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II (საართველო IV-X საუკუნეებში). თბ. 1973, გვ. 330-339.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. სანივთო სამართალი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. რედაქტორი ი. დოლიძე. თბ. 1984, გვ. 282.

უმალესი პოლიტიკური ხელისუფალი.<sup>1</sup> ნიკო ბერძენიშვილმა კი სამეფო დომენი და სახელმწიფო მიწები ერთ ცნებაში „სამეფოში“ გააერთიანა. მისი თქმით, შეიძლებოდა მიწების ერთი ნაწილი გაცემული იყოს ყმებზე/ვასალებზე, მეორე ნაწილი კი, სახასო დარჩებოდა. მისი დასკვნით, სამეფო დომენი და სახელმწიფო მიწა იდენტური შინაარსია.<sup>2</sup> სამეფო/სახელმწიფო მიწა რამდენიმე ტიპად იყოფოდა: „სეფე“, „სამეფუფეო/სამეფო“, „სამამასახლისო“ და „სახასოდ“.<sup>3</sup>

ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა „საკარგავი“. საკარგავი რაიმე სამსახურის სანაცვლოდ გაიცემოდა.<sup>4</sup> წინარე ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმები ნელ-ნელა ქრება და მას ახალი იკავებს, თუმცა სახელწოდებანი შესაძლებელია გადმოსულიყო. ასეთად მიიჩნევა „აგარაკი“. ახალ წესწყობილებაში აგარაკის მფლობელი უკვე მეფეა ან კონკრეტული ფეოდალი, მათ შორის, ეკლესიაც.<sup>5</sup>

ქართულ რეალობაში არსებობდა რამდენიმე ტერმინი საკუთრების ან იმ ქონების აღმნიშვნელად, რომელსაც რომელიმე ადამიანი თუ ოჯახი ფლობდა, ესენია: „სამკვიდრებელი“, „საკუთრება“. „მონაგები“ შექმნილს ნიშნავდა, თუმცა მასში ყოველთვის არ იყო საფასური გადახდილი. ის რაიმე ხერხით იყო შექმნილი. მოგება შეიძლებოდა როგორც გლეხების, ასევე, სოფლებისა და სხვა ქონების.<sup>6</sup> „მონაგები“ თავისი ბუნებით განსხვავდებოდა „ნასყიდი“ ქონებისგან. ნასყიდში ყოველთვის საფასური გადაიხდებოდა. ამიტომაც ნასყიდობის აქტის გაფორმებისას ხშირად იხმარება ტერმინი „მოღებაი ფასითა“, რომელიც მისთვის შექმნილად უნდა ვიგულისხმოდ.<sup>7</sup> იყო, ასევე, „ნაწყალობევი“, „ნაბოძვარი“ და „შეწურული“ ქონებაც.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ტერმინი „ქონება“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის

<sup>1</sup> გ. მიძიგური. საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში (XVIII საუკუნე). თბ. 1988, გვ. 22; ა. ბოგვერაძე. მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმათა განვითარება ადრეფეოდალურ ხანაში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 22.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VII. თბ. 1974, გვ. 94-100.

<sup>3</sup> ზ. ხიდურელი. სამეფო დომენის საკითხისთვის XI-XV საუკუნეების საქართველოში, გვ. 258-287.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. § 2. მიწისმფლობელობის ფორმები, გვ. 330-339.

<sup>5</sup> მ. ლორთქიფანიძე. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. § 2. მიწისმფლობელობის ფორმები, გვ. 330-339; გ. მიძიგური. საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1988.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 282-287.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 310-311.

განმარტებით, IX-XII სს-ში არ აღნიშნავდა საკუთრებას და ის დროებითი მფლობელობის ქონებას უნდა აღნიშნავდეს. „ქონების“ გაყიდვა, გასხვისება და შეწირვა მქონებელს არ შეეძლო პატრონის დაუკითხავად. ამის დასტურად ივანე ჯავახიშვილს ჭიაბერ მანდატურთუხუცესის შეწირულობის წიგნი მოაქვს მტკიცებად, სადაც ვკითხულობთ: *„ჩემსა ჟინოვანისა ქონებასა შინა ვკადრე და მოვაქსენე ღთისა სწორსა მეფეთ-მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა ვკადრე და მოვაქსენე შიოღვიმის მონასტერსო.“*<sup>1</sup>

ივანე სურგულაძე არ ეთანხმება ჯავახიშვილის ამ დებულებას, რომ „ქონება“ მფლობელობას შეესაბამება. ზემოთაღნიშნულ ფაქტს კი ფეოდალური საკუთრების უფლების დანაწევრებად მიიჩნევს. უმაღლესი სენიორის მოხსენება იმით შეიძლება აიხსნას, რომ მიწა იმ დროს გადასახადის გაწერის ძირითადი საშუალება იყო და მის მიერ გაცემული ქონება ეკლესია-მონასტრების საკუთრებაში, ან მფლობელობაში არ აღმოჩენილიყო. <sup>2</sup> ევროპულ ფეოდალურ სამართალში, კერძოდ კი, ფრიდრიხ პირველის როკლანდის დადგენილებაში ფეოდის შესახებ ნათქვამია, რომ: *„არავის არ შეუძლია გაყიდოს, დააგირავოს, სულის შესანდობელად გადასცეს მთელი ფეოდი ან მისი ნაწილი უმაღლესი სენიორის თანხმობის გარეშე“*<sup>3</sup>

ამ შემთხვევაში ნიშნავს თუ არა „ქონება“ საკუთრების სრულ ფორმას, მსჯელობას არ გავაგრძელებ. მხოლოდ ერთს დავძენ, კონტრეტული მიწების გასხვისებისას უმაღლესი სენიორის მოხსენიების ფაქტი ჭიაბერის საბუთზე უფრო ადრეულიც მოგვეპოვება და ისიც შიომღვიმის მონასტრისთვის მიწების მიყიდვას უკავშირდება, ერთი განსხვავებით, აქ მკვიდრ მამულზეა საუბარი. ე.წ. ფავნელის დაწერილში ვკითხულობთ: *„ვთხოვენ ჩემნი მკუ(ი)დრნი მამულნი ჩემნი მკუ(ი)დრნი მეფესა და მიზოდნა, რომე ტყ(უე)ნი დავიქსსენე ...და „გარდავე ლიხთიმერეთით და მოვიღე თავისუფლებისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატისი, კახთა მეფეთა: ფალესი და კუ[ი]რიკესი“*<sup>4</sup> დოკუმენტის დამწერის ან გადამწერის შეცდომაა თუ არა,

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 294.

<sup>2</sup> იხ. ივ. სურგულაძე. საკუთრების უფლების ინსტიტუტე ფეოდალურ საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით. ი. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XXXV. თბ. 1949.

<sup>3</sup> იხ. ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 156.

<sup>4</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 18, 19.

არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ნათელია, მკვიდრი მამული ხაზგასმითაა ნახსენები, განმეორებულია. მხოლოდ შეგვიძლია დავუშვათ, რომ შეუვალობა/იმუნიტეტი ჯერ მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული და ამიტომაც ფავნელი იძულებულია მამულის გასხვისებისას მეფის წყალობა/ნებართვა აიღოს.

ფეოდალური პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ერთ-ერთი საფუძველია *Nulle terre sans seigneur* – არ არის მიწა სენიორის/ბატონის გარეშე. თითქოს ამის საპირისპირო მაგალითს ვხვდებით დავით აღმაშენებლის ანდერძში: *„ადგილნი რომელნი მიშოვებთან, უმკვიდრონი და უმამულონი...“*. ივანე ჯავახიშვილი ამ ფაქტს ასე განმარტავს: „ცხადია, რომ უადგილო მამული შეიძლება მხოლოდ ისეთი ადგილი ყოფილიყო, რომელიც „მამული“ არ იყო და რომელსაც „მკვიდრი“, ანუ მემკვიდრეობითი მესაკუთრე არ ჰყავდა, რომელიც არავის კერძო საკუთრებასა და მამულს არ წარმოადგენდა...“<sup>1</sup> რამდენად შესაძლებელია ამ ეპოქაში უმკვიდრო და უმამულო, ანუ უპატრონო მიწის არსებობა? შესაძლებელია აქ საუბარი იყოს კონკრეტულ მიწებზე, რომლის მეპატრონეთა ოჯახი ან ამოწყდა, ან სხვა რაიმე გარემოებების გამო ჩამოერთვა მიწა. გავიხსენოთ ბაღვაშთა მამულის აღება დავით აღმაშენებლის მიერ, იგი ხელშეუხებელია და დავითი მხოლოდ ბაღვაშთა უკანასკნელი წარმომადგენლის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ ეუფლება კაცხის მამულებს.

IX-X საუკუნეებიდან ფეოდალური მეოურნების საფუძველს გლეხობა წარმოადგენდა, მათ შრომაზე იდგა ქვეყნის ეკონომიკა და მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნიკის განვითარება/დანერგვა. გლეხის სამეურნეო ერთეულს ფუძე წარმოადგენდა, რომელიც, შესაძლოა, რამდენიმე კომლისგან ყოფილიყო შემდგარი: 1195/1196 წლის სიგელში თამარ მეფისა მღვიმისადმი ვკითხულობთ:

*„დაგუაჯერა დაღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოქსენებაი მისი, ვაზირისა ჩუენისა ანტონი ჭყონდიდელ-მთავარებისკოპოსისა, მწიგნობართუხუცესისაი და პროტოუპერტიმოსისაი და რომელი სხალტბას მის წყლისა მისგან მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსაისძენი...“*

*„ქონდეს იგი წყალი და გლეხნი ქოსაისძენი, მიწად ერთი და კუამლად ორი,*

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, გვ. 282.

*სუიმონ და გიორგი და იაბერი და შვილნი და შვილისშვილნი მათნი*<sup>1</sup> „ეს გლეხნი ქოსადასძენი, ფუბედ ერთი კუამლად გ“<sup>2</sup> გლეხების ფუბედ მოსახლეობა უფრო ადრეც დასტურდება. ქვემოთ მოყვანილ საბუთში ისეა გაწერილი, რომ ეს ყოველივე, უკვე დიდიხნის შემუშავებული სამეურნეო ერთეული უნდა იყოს. 1031-1033 წლების მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში ვკითხულობთ:

*„და უჩინე ამა საკურთხეველსა ჩემსა და ჟამისმწირველისა და მივსცენ: თემს: გლეხნი სამნი ფუბითა სრულითა და ვენაჟ ა, მიწაჲ ა, წისქულინი ა და ჭალაჲ. და ოტათლოანს გლეხი ა, ციხედიდს – გლეხი ა, ბ-ნივე ფუბითა სრულითა და ვენაჟი ა“<sup>3</sup>*

ნიკორწმინდელის დაწერილის ბოლოში შემაჯამებელ ნაწილში წინამძღვარი საუბრობს იმ გლეხების რაოდენობაზე, რომელიც შემოსწირეს და რომელიც მან შეიძინა. ჯამში საუბარია 30 გლეხზე. თუმცა იქვე დასძენს, რომ კიდევ იყიდა ცხილათს გლეხნი ბ და ცხილათსვე გლეხი ა. გამოდის, რომ ჯამში ნიკორწმინდელს შესწირეს და შეუძენია 32 გლეხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გლეხები აქ თავისი მეორნეობითაა ნაგულისხმევი. თითოეული გლეხის აღნიშვნისას ა, ბ და ა.შ. ფუბეები უნდა ვიგულისხმობთ. თუმცა ჩვენთვის გაურკვეველია, იყო თუ არა ის სრული ფუბე და რამდენ კომლს შეიცავდა. დაახლოებით ამგვარ დასკვნას გვთავაზობს მამისა ბერძნიშვილიც ნიკორწმინდელის საბუთის განხილვისას. მისი აზრით, „XI ს-ისთვის გლეხის გაყიდვა, ყიდვა თუ შეწირვა უმეტეს შემთხვევაში მიწიანად ხდება. გლეხი იყიდება მიწის იმ ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის ზის. გლეხის გასხვისების საბუთებში უეჭველად აღნიშნულია აგრეთვე ის პუნქტიც, სადაც ეს გლეხი ცხოვრობს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გლეხი იყიდება მიწასთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში ე.ი. გლეხი რომ უმიწოდ იყიდებოდეს, აზრი არ ექნება გეოგრაფიული პუნქტის ხსენებას“<sup>4</sup> სრულებით ვეთანხმები მოცემულ მსჯელობას, რადგან გლეხის სიმრავლეზე და მეურნეობაზე იდგა იმდროინდელი სენიორის სიმდიდრე და ძალაუფლება. ამიტომაც წარმოუდგენელია გლეხის სყიდვა მისი მიწის გარეშე მომხდარიყო. შესაძლოა, არსებობდა გამონაკლისიც, როდესაც გლეხს არ გააჩნდა არანაირი მიწა. თუმცა ზემოთ უკვე განვიხილეთ, რომ გლეხი მოცემულ

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 100

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 101.

<sup>3</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 27.

<sup>4</sup> მ. ბერძნიშვილი. გლეხთა კატეგორიები XI-XII ს-ში, გვ. 142.



ეპოქაში ნიშნავს ადამიანს, რომელიც მიწაზეა მიმაგრებული და ბეგარას იხდის მეპატრონის სასარგებლოდ.

ძველ საისტორიო წყაროებში გლეხის მეურნეობის აღმნიშვნელად სახლი, ფუძე, მიწა და კვამლი გამოიყენებოდა.<sup>1</sup> ჩემი აზრით, სწორედ მთლიანი მეურნეობის აღმნიშვნელად უნდა იხმარებოდეს ნიკორწმინდელის დაწერილში მიწა. ჩემი დაკვირვებით, მიწა არასდროს არ არის გლეხთაგან ნაყიდი. ტყიანი მიწა შემოწირულია ერისთავთ-ერისთავისგან, რომელმაც იგი მიქელ წორბელისძისგან და ვახტანგისგან იყიდა. მოპარული ცხენის საზღავად ნიკორწმინდელი იღებს მიწას, ცხილათს მოიგებს მიწას და პირვანდელ მეპატრონეთ აძლევს საკაბალოდ. მიწა დიდ სამეურნეო კომპლექსს უნდა წარმოადგენდეს. არა არის გამორიცხული, როცა იგი იყიდებოდა, მასზე არსებული საბეგრო სამსახურიც ახალ მეპატრონეზე გადასულიყო. ეს კი ზოგადად ამ მიწის ფასს ზრდიდა. მამისა ბერძნიშვილი, მართალია, მიწას დაუმუშავებელ ნაკვეთად მიიჩნევს, მაგრამ სწორია კონკრეტულ შენიშვნაში, რომ დამუშავებულ მიწას მასზე დახარჯული ადამიანური შრომაც მატებდა ფასსო.<sup>2</sup> როგორც მამისა ბერძნიშვილი შენიშნავს, ნიკორწმინდელის დაწერილში მიწის ყიდვის 5 შემთხვევაა: ტყიანი მიწის, ხილოვანი მიწის, ერთგან მიწის მოგებაა ნახსენები, რომელიც საკაბალოდ პირველ მეპატრონეთ დაუბრუნდა, დანარჩენ ორ შემთხვევაში უბრალოდ მიწა იხსენიება. მისივე დასკვნით, მიწა უნდა იყოს ისეთი ნაკვეთი, რომელიც სახნავ სათესად არ არის გამოყენებული. ამიტომაცაა, რომ მიწა ყანაზე იაფია დოკუმენტის მიხედვითო.<sup>3</sup> აღნიშნულ მოსაზრებას გამოეხმაურა მკვლევარი მამუკა წურწუმია, რომელმაც ნიკორწმინდელის დაწერილში ფასები დაადგინა. მისი გამოთვლით, სრულებითაც არ ღირს მიწა ყანაზე ნაკლები. მეტიც, მიწა ყანაზე ორჯერ მეტი ღირს.<sup>4</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიწა საგლეხო მეურნეობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა, ფუძე-მიწას. გლეხი მიწიანად ფეოდალს ეკუთვნის. ამიტომაც არსად

<sup>1</sup> გ. ძიმიგური. საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, გვ. 39.

<sup>2</sup> მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დაწერილი), გვ. 59.

<sup>3</sup> მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დაწერილი). თბ. 1979, გვ. 58-59.

<sup>4</sup> მ. წურწუმია. XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები ნიკორწმინდელის დაწერილის მიხედვით), გვ. 144-145.

არ არის საუბარი გლეხების მიერ მიწის გაყიდვის შესახებ. აქტებში მხოლოდ ვენახისა და ყანის გასხვისებაზეა საუბარი, რომელიც სწორედ მიწის, ფუძის შემადგენელი ნაწილი ან დამატებითი საბეგრო ერთეული უნდა ყოფილიყო.

თუ დავუშვებთ, რომ გლეხი მიწას ჰყიდის გარკვეული პირობით, რას უნდა გულისხმობდეს ეს? მართალია, ბექა მანდატურთუხუცესისა და მისი შვილიშვილის, აღბუღას, სამართალი სამცხის მოსახლეობისათვის შექმნილად ითვლება, თუმცა მისი განზოგადება შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზეც, რადგან მასში ასახული მუხლები და კანონები სავსებით შეესაბამება იმ პერიოდის მიწათსარგებლობისა და მეურნეობის თავისებურებებს. თანაც უამრავ დოკუმენტში შეიძლება გარკვეული ფაქტები ამოვიკითხოთ, რომლებსაც ბექასა და აღბუღას სამართალში ვხვდებით.

ბექას სამართლის 45-ე მუხლში ვკითხულობთ:

A	B
45. „მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონისა დაუმოწმებლად, და ნახევარ[ი] ფასი მსყიდველსა სარეგუნოდ დაუშავდეს. ამაშიგან მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდვასა“.	„საკარგავისა გასყიდვა ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად, და ვისაცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგვენოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდვ ელსა. მას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავესგან სყიდვასა.“ <sup>1</sup>

როგორც კონკრეტული მუხლიდან ჩანს, მიწით მოსარგებლეს ბატონის დაუკითხავად სამამულო მიწის გაყიდვა არ შესძლებია. გაყიდვის შემთხვევაში კი ჯარიმა ორივე მხარეს, მსყიდველსა და გამყიდველს ნახევარი ფასი დაედებოდა. თუმცა, როგორც 45-ე მუხლის ბოლოდან ვიგებთ, „ნუ ვინ დაებმის სყიდვასა“ და „ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავესგან სყიდვასო“. გამოდის, რომ გარკვეული პარაქტიკა არსებობდა და ამისთვის საკანონმდებლო აქტით მისი შეზღუდვა უცდიათ.

76- მუხლში კი ვკითხულობთ:

---

<sup>1</sup>ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 305-306.

A

76. „თუ გლებმა მისისა პატონის ჯელ-ჩაურთავად გაყიდოს რა, მართალი არ[ა] არის: ადგილი ბატონისა არის. მან კაცმან ფასი ამღებელსა სთხოოს.“

B

„თუ გლებმან მისისა პატონის ჯელ-ჩაურთავად გაყიდოს რამე, ანუ დაწინდოს სამამულო, [მართალი] არა არის: ადგილი პატონისა არის. მან კაცმან ფასი ამღებელსა სთხოოს.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, მამულის გაყიდვა, გასხვისება და დაგირავება მისი პატონის გარეშე არავის არ შეუძლია, რადგან „ადგილი პატონისა არის“, „მამული მემამულეს მართებს“. <sup>2</sup> ჩემი დაკვირვებით, როგორც ჩანს, გლებს პატონის დაუკითხავად არა მარტო მიწის, არამედ მიწაზე არსებული, ან მიწაზე მიბმული უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვაც არ შეეძლო, რადგან 76-მუხლების ა და ბ განმარტებები იწყება იმით, რომ გლებს ბატონის ხელჩაურთავად არ შეუძლია „გაყიდოს რა“, „გაყიდოს რამე“. მეტიც, გლებს არ შეუძლია სხვა გლებს თავდებად დაუდგეს თავისი პატონის ნებართვის გარეშე, რადგან გლები ბატონის საკუთრებაა და ის ქონება, რასაც გლები ფლობს, ბატონის საკუთრებას წარმოადგენს:

A

„გლები თუ გლებსა თავს [მ]დებად დაუდგეს [ერთისა ჯარისა] ანუ მისისა ფასისა უფროსითა, საპატოს კაცისა იყოს, მისსა ჯელის(ა) უფალსა ჩაართვევინოს ჯელი. თუ დიდებულისა ანუ აზნაუ-

B

„გლები თუგლებსა თავს მდებად დაუდგება ერთისა ჯარისა, ანუ მისისა ფასისა უფროსითა, საპატოს კაცისა იყოს. მისისა ჯელისა უფალსა ჩაართვევინოს ჯელი. და თუ ქვეყნისდიდებულისა

<sup>1</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 322.

<sup>2</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 158.

ღისა [იყოს], ჩართვევინოს და ასეთი, რაზომასაცა ზედა დაუღვას უზღოს.

თუ კელი არერთოს, გლეხი მის უფროსითა ვერ დაუღვებ-ის, ამად რომე არა ღირსა, მის[მან] პატრონმანავად გაჯადოს.“

და ანუ აზნაურისა იყოს, მას ჩართვევინოს და ესეთი, რა ზომცა ზედა დაუღვება უზღოს.

და თუ კელიარა ერთოს, გლეხი ამას უფროსითა ვერ დაუღვების, ამად რომე არა ღირსა და მისმან პატრონმანავად გაჯადოს იგი გლეხი.“<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე, სრულებით გასაგები ხდება ნიკორწმინდელის დაწერილში რატომ იხსენიებიან გლეხები საკუთარი პატრონის სახელით. გამოდის, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის ეს ნორმები არა ახლად შემუშავებული, არამედ ძველ ნორმებზე დაყრდნობით შედგენილად უნდა ვივარაუდოთ, რადგან XI საუკუნეშიც წარმოუდგენელია გლეხი მიწას ჰყიდდეს პატრონის დაუკითხავად.

აღნიშნული მუხლების პარალელურად მოვიყვანოთ ორი დოკუმენტს მიწის გაყიდვის შესახებ, რომლებიც გარკვეული მსჯელობის საშუალებას მაძლევს. პირველი დოკუმენტი „დაწერილი ჩაფქევასძეთა გრიგოლ ვერხუაიძისადმი“, რომელიც დაახლოებით 1247/1260 წლებით თარიღდება, ხოლო მეორე – „დაწერილი მღვიმისა კრებულისა გრიგოლ სურამელისდამი“, დათარიღებული 1249-1260 წლებით. თუმცა ამ უკანასკნელში ჩვენთვის საინტერესოა მინაწერი, რომელიც XV-XVI საუკუნეებით თარიღდება.<sup>2</sup>

პირველ დოკუმენტში ჩვენთვის საინტერესო ადგილას ვკითხულობთ: „[ქ. სახე]ლითა ღ(მრ)თისაითა, მამისა ძისა და წ(მიდ)ისა სულისაი[თა], შუამდგომლობითა ყო[ვ]ლაღწ(მიდ)ისა ღ(მრ)თისმშობობელსაითა და ყ(ოვე)ლთ[ა] წმიდაითაითა, დაგიწერეთ დაწერილი ესე ჩუენ, ჩაფქევასძეთა [-+5] და ძმისწულმა დემნამა, თქუენ ვერხუაისძეთა: გრ(ი)გოლა [დასა შ]ვილთა და მომავალთა თქუენტა, და მოგყიდე ნავენაკები ზედა [-+3] შენი საკალოისა პირსა ნასყიდსავე ზედა მოგეკიდებოდა, უღალ[ო]ს უნდილაიძის აეჯიბობასა შიგა და მომლაისა ხანდაკ[ს]

<sup>1</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი ..., გვ. 319-320.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 134-136; 129-133.

ბასა შიგა. რაიცა ღალაი ჰმართებოდა ამას ადგილსა, მომლამ [მო]ილო დაპ[ა]ტრონი ბეგაი მუხრანს დგა და მუნ გაუგზავნა ოქრო | და ავიღეთ სრული ფასი, რ(ომ)ლითა ჩუნ შევსჯერდით. [სრ|ულყ]ოსა ღ(მერთმა)ნ. მოწამენი არიან: ბექაი, მინაი, ალავერდე[ლი], უჩურისძე ინაი, ბოჭორისძე ვეფხვაი.“<sup>1</sup> როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ჩაფქევასძეთა საგვარეულო ასხვისებს ნავენახევეს ვერხუაისძეებზე. ნასყიდობის აქტს კი, როგორც ჩანს, მათსავე პატრონს, ბექა სურამელს, უთანხმებს. საგარაუდოდ, ეს ნავენახევი სწორედ მისგან უნდა ჰქონდეთ მიღებული და, როგორც ჩანს, ღალა ეკისრებოდათ პატრონის მიმართ. ღალის საფასურ ოქროს ბექას მუხრანში უგზავნიან, მხოლოდ ამის შემდგომ იღებენ ჩაფქევასძეები ვენახში სრულ ფასს.

იმავე დოკუმენტის მე-3 მუხლში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღ(მრ)თისაი და, მამისა და ძისა და წ(მიდი)ს[ა სულისა] მეოხებითა ყოვლად წ(მიდი)ისა ღ(მრ)თიშობელის[აითა და ყოველთა] წ(მიდა)თაითა დაგიწერეთ დაწერილი ესე ჩუ[ენ,+] თქუნ ვერხუაისძეთა, და მოგყიდეთ თქუ[ენ კალოისა პირისა] | ადგილისა ვენაჯი უღალოდ, ვითა ჩუნსა ქ[ონებასა შიგა] უღალოი იყო და ავიღეთ სრული ფასი, [რომლითა ჩუნ შე]ვსჯერდით. მოწამენი არიან: დი[+2] ალავერდელი ძე მახარებელი, აკუს[+9]ლი....“

#### დამტკიცება:

ქ. მე გ(რი)გ(ო)ლ [ს]უ[რამელსა, და]მიმტკიცებ[ია] და[წერილი [ესე, არას ჟამ]სა შიგან არ შეგეცვალოს].<sup>2</sup> ამ მუხლშიც აუცილებელია გრიგოლ სურამლის დამტკიცება, რადგან ამ შემთხვევაში სურამელების საგვარეულო უნდა იყოს პატრონი იმ მიწისა, ან მიწის მფლობელისა, რომელიც ჰყიდის. პატრონის სანქციის გარეშე კი ამგვარი აქტის წარმოება შეუძლებელი იყო.

შეიძლება, ასევე, დავუშვათ, რომ მიწის გაყიდვის დროს პატრონი მისი ვასალისგან საფასურის ნახევარს მიიღებდა, ან სრულებით ჩართული იყო გაყიდვის ოპერაციაში. შესაძლოა, ეს მისი სურვილითაც კი ხდებოდა, რაზედაც მეორე დოკუმენტმა დაგვაფიქრა, სადაც წერია: „...ესე გასათავებელი სიგელი მოგეც მე, მიწობელისძემ(ა)ნ ფ[ა]რემუზ, თქ(უ)ენ, მონოზ[ო]ნთა ხერხეულისძისა სულსა

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 134-135.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 135-136.

*ევანჯელიზმის, მ(ა)ს ქ(ამს)ა, ოდეს მტკვრის პირს მ(ი)წა მოგვიდეთ ღ(ა) ავიღეთ ფ(ა)სი რ(ა)მსაც მთხოვნელნი ვიყვ(ე)ნით, ან ბ(ა)ტონი ღ(ა) ან ყმაჲ პ(ირუე)ლ(ა)დ მ(ა)მულის პ(ა)ტრომ(ა)ნ აილოს ამ(ა)ს სამოცი ნ(ა)ლდი თანგა და ჩ(უ)ენ პ(ა)ტრონმ(ა)ნ ავიღეთ. ...ვინცა თქუენ მისცეთ, ჩ(უ)ენ ველ(ა)რა დავეცილენით, ვერც ბ(ა)ტონი და ვერც ყმაჲ; ჰქონდეს მ(ა)ს და მის(ს)ა ნ(ა)თეს(ა)კვსა. გაუთ(ა)ოს ღ(მერთმა)ნ, ამენ“.<sup>1</sup>*

ჩემი დაკვირვებით, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან შემდეგი რამ გამომდინარობს: მიწობელიმე ჰყიდის მტკვრისპირა მიწას. გაყიდვის აქტი სრულდება მიწობელიმის პატრონის მონაწილეობით. პატრონი და ყმა საფასურში იღებენ იმდენივეს, რამდენზეც შეთანხმდნენ მონაწილე მხარეები. პატრონმა 360 ნალდი თანგა აიღო საფასურად. ჩემი აზრით, პატრონსა და მიწობელიმეს ნახევარ-ნახევარი უნდა აეღოთ, რადგან დოკუმენტი ასახელებს პატრონის მიერ აღებულ 360 ნალდ თანგას. შემდეგ ამდაგვარი ფორმულირებაა „ჩუენ პატრონმან ავიღეთ“, რაც მაფიქრებინებს, რომ აქ თანხის დასახელებისგან შეგნებულად იკავებენ თავს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამგვარი ოპერაციებისას აღნიშნული პერიოდის საქართველოში ფასი ნახევარზე ნაწილდებოდა პატრონსა და ყმას შორის.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 45-ე მუხლი, აქაც მოვიყვანთ ციტატას:

A	B
<p>45. „მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონისა დაუმოწმებლად, და ნახევარ[ი] ფასი მსყიდველსა სარეგულნოდ დაუშავდეს. ამაშიგან მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდვასა“.</p>	<p>„საკარგავისა გასყიდვა ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად, და ვისაცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგულნოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა. ამას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავესგან სყიდვასა“.<sup>2</sup></p>

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 133.

<sup>2</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი..., გვ. 305-306.

როგორც ვხედავთ, ბატონის დაუკითხავად მამულის გაყიდვის შემთხვევაში ბატონი გაყიდული ქონების სრულ ფასს ითხოვდა, ნახევარი მყიდველს, ხოლო მეორე ნახევარი გამყიდველს ედებოდა ჯარიმის სახით. ტექსტში ვხედავთ, რომ სარეგენოს მხოლოდ მიწის მსყიდველი იხდის, გამყიდველის ნახევარი, სავარაუდოდ, ისედაც იგულისხმებოდა. ჩემი აზრით, შეთანხმების შემთხვევაში პატრონის მიერ საფასურის მიღება კი ნახევრით უნდა განსაზღვრულიყო და ეს ნახევარი მიწის მფლობელისგან მიიღებოდა.

დოკუმენტში მიწის საფასურად პატრონის მიერ აღებული თანხა 360 თანგია. აღნიშნული მინაწერს, თანგას მოხსენიების მიხედვით, XV-XVI საუკუნეებით ათარიღებენ. საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) პერიოდისთვის საფასის ორი აღმნიშვნელი, თეთრი და თანგა, გამოიყენება. ქვათახევის მონასტრის სიგელში ვკითხულობთ: „*მერე მან ვენახი მომყიდა სამასი თანგა მივეც*“. თომა მეწოფელის თქმით, მოსახლეობას 1000 თანგის საფასურად თავისი ახლობლების ტყვეობიდან დახსნა არ შეეძლო.<sup>62</sup> თუ ალექსანდრე დიდის ეპოქაში ვენახი 300 თანგა ღირდა, სრულებიდაც არ არის გამორიცხული, მიწობლიძის მოერ გაყიდულის ფასი ორმაგი ყოფილიყო. მისი ფასი 720 თანგა გამოდის, ტყვის გამოსყიდვას კი 1000 თანგის საფასურიც არ ყოფნიდაო. გავიხსენოთ ფავნელის მიერ სოფლების გაყიდვა იმ მიზეზით, რომ მას ტყვედ ჩავარდნილი საკუთარი ოჯახის წევრი უნდა დაეხსნა. გამოდის, რომ ტყვეების დახსნა ყველა ეპოქაში საკმაოდ ძვირი ჯდებოდა.

თანგა თემურ ლენგის მიერ მოჭრილი 6,2 გრ. ვერცხლის ფულია. აღნიშნული თანგის აღმოჩენის ფაქტი საქართველოში ჯერჯერობით არ დადასტურებულა. ამიტომ მკვლევარები მიიჩნევენ, რომ თანგის ქვეშ, რომელიც ქართულ საბუთებში იხსენიება, შირვანული თანგა უნდა იგულისხმებოდეს. მისი აღმოჩენის ფაქტი და რაოდენობა მრავლადაა. მაგ: 1951 წ. სოფ. თამარაშენში აღმოჩენილ ვერცხლის მონეტებში 44 შირვანული თანგა, ხოლო 1928 წ. სოფ. დიდხორის განძში 66 შირვანული თანგა ერია.<sup>1</sup> ჩვენ მიერ ზემოთ განხილული დოკუმენტის მინაწერში იხსენიება ტერმინი „ნაღდი თანგა“. სავარაუდოდ, ნაღდი თანგის ანგარიშსწორებისას

<sup>1</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა. XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა ემისიები. თბ. 2011, გვ. 25-31.

სწორედ რომ თემურის თანგის წონა უნდა იყოს აღებული საცვლელ ერთეულად.

ზექას სამართლის მიხედვით, ბატონის დაუკითხავად მიწის გაყიდვა დაუშვებელია, საგლეხო ფუძის გაყიდვა კი შეიძლება, თუმცა მასზე გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული:

A

*56. „თუ კაცმან კაცსა მიწა მიჰყიდოს, კაცრიელი თუ უკაცური, რაცა იმ დღეს მსყიდველსა ჯელთა არა აქუს, სხვა სამი დ*

*ევნასა არა ემართლების.*

*თუ ფუზის მკვიდრი გარეთ იყოს და მერმე მამულ[სა] ზედა მოვიდეს, ვისგან ჰქონებოდეს, დაჭირვას[ა] არას ემართლების რაგინდ[ა] დიდი ხანი დაეყო“*

B

*„თუ კაცმან კაცსა საგლეხო ფუძე მიჰყიდოს, გინა კაცრიელი, გინა უკაცური, რაც ამას დღეს მიმსყიდველსა ჯელთ არა აქვს, მის მეტს მსყიდველი მიდევნას არა ემართლების.*

*თუ ფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მივა თვისითა გულითა, როგორც ზემოთ სწერია, რაგინდა ხანი დაეყოს, იგი არას ემართლება მის წესისა გაჩნილის მეტსა“.<sup>1</sup>*

ისიდორე დოლიძის აზრით, ფუძიდან წასული გლეხი, რომელიც ბატონის მსახურებას არსულებს და თუ შემდეგ მობრუნდება, მას მიწის მეპატრონე ვერ ედავება და მიწას აძლევს.<sup>2</sup> ჩემი აზრით, წასულ გლეხში ბატონისგან წასული გლეხი უნდა იგულისხმებოდეს, რასაც 56-ე მუხლის ერთი პასაჟი გვაფიქრებინებს: *„თუ ფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მივა თვისითა გულითა, როგორც ზემოთ სწერია, რაგინდა ხანი დაეყოს“*. 77-ე მუხლში კი ვკითხულობთ: *„ვისაცა ვისი მკვიდრი ყმა ყვეს, ანუ გლეხი კაცი, მისითა გულითა წავიდეს მისსა პატრონისასა, რაითაცა მოსულ იყოს, მითივე საქონლითა გაუშვას“*<sup>3</sup> კონკრეტული მუხლის გაანალიზებისას, ისიდორე დოლიძე სწორ დასკვნას

<sup>1</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 311.

<sup>2</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 158.

<sup>3</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 323.



აკეთებს და მას სრულად ვეთანხმები: „რაკი მესაკუთრის უფლება მამულის გაყიდვაზე შეზღუდულია, ცხადია, ვასალს და, მით უმეტეს, გლეხს, არ შეუძლია „სამიწო ნასყიდი“ შეიძინოს, გაყიდოს, ან „დაწინდოს სამამულო“ ე.ი. დააგირაოს უძრავი ქონება“. <sup>1</sup> მიუხედავად შეზღუდვებისა და გლეხის მიერ თანხმობის შემთხვევაში მიწის გაყიდვისა, მიწის, როგორც ძირითადი საწარმოო საშუალების, მესაკუთრე მაინც ფეოდალია და მისი ნების საწინააღმდეგოდ ვერავინ მოიქცევა.

წასული კაცისთვის მამულის არ დაჭერის ერთი ფაქტი გვხვდება 1260/1300 წლებს შორის დათარიღებულ დოკუმენტში. აქ საუბარი არა გლეხზე, არამედ დიდგვაროვანზეა: „*მომინ<ა>და თქ<უ>ენი მკ<უ>იდე<ა>რი მამული. პატარაი ადგილი ჩემ<ა> და საჯდომად<ა> და მისა ადგილის<ა>თანაი პ<ა>ტარა ვენაჟი. ა მოგ<ე>ც<ა>ც<ა> მის<ა>და სანაც<ა>ლოდ<ა> შენისა განაყოფისა ოქუროისა მამული, ნასყიდი და უსყიდელ<ი> და მისი საჯდომი სახ<ა>ლითა გ<ა>ქჟონ<ა>დეს მ<ა>კ<უ>დე<ა>რად<ა> და სამამულოდ<ა> და მოუდევრად<ა> ესე ოქუროისა კერძი მამული შენ<ა>, ჯომარ<ა>დის ძესა. და<ა>რაცა რაი ოქუროისა ძმისწულ<ა>სა საქმე ედ<ა>ვასა [იგი] ოქუროისა კერძ<ა>სა მამულ<ა>სა თანა თუ მის<ა>ი ძმისწულშინა მოვიდეს<ა>, რაიცა ძმ<ი>ქსა მისა კერ<ა>ძი მამული ჰმარ<ა>თებოდეს<ა>, განაღმაცა ჯელ<ა>თა ჰქონდა მას<ა> ვაჟ<ა>სა, და თუ <ა>არა<ა> მოვიდეს<ა>, მისი კერძიცა შენ<ა> თქ<უ>ისავე მომიცია“.*<sup>2</sup>

განხილული მაგალითებიდან მოყვანილია ერთი დოკუმენტი, სადაც საუბარია არა შემამულე კაცებისთვის 16 დრაჰკანის გადახდაზე, ხოლო აღნიშნული მიწა საგლეხოდ არის მოხსენიებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ გლეხის მფლობელობაში გადასული მიწა მას ნაწილობრივ ეკუთვნის, მოგვიანო დოკუმენტებით და სამართლის ძეგლებით, მას მისი გასხვისებაც არ შეუძლია. შესაბამისად, მას, მით უმეტეს, არ შეუძლია პატრონის მიერ მასზე გაცემული მიწის გასხვისება. ეს მხოლოდ ერთ დოკუმენტზე დაკვირვებაა და განზოგადების საშუალებას არ იძლევა. თუმცა არსებობს თეორიული განაზრების მეთოდი, რომელიც რენტის განვითარებაზე დაკვირვებით მოგვცემს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას.

ჩემი მიდგომა ფეოდალური ურთიერთობების ახსნისას მარქსისეულ

<sup>1</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 158.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I, გვ. 165-166.

პოლიტეკონომიას ემყარება. შესაბამისად, აქაც მარქსისეული რენტის გენეზისის ჩარჩოში ვმოქმედებ. კ. მარქსი ფეოდალური რენტის ფორმიდან კაპიტალისტურ რენტაზე გარდამავალ ფორმად საზიარო მეურნეობას მიიჩნევს, სადაც დამმუშავებელი, გარდა გაწეული შრომისა, იყენებს მის საკუთრებაში არსებულ საწარმოო საშუალებებს, ან გარკვეულ კაპიტალს. მიწის მესაკუთრე კი, გარდა ძირითადი საწარმოო საშუალებისა (მიწა), დამატებით კაპიტალს ახმარს მიწის დამმუშავებელს, პირუტყვს ან სხვა. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში რენტა აღარ წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას.<sup>1</sup> შესაბამისად, არავითარი საიჯარო გადასახადის გადახდა არ ხდება.<sup>2</sup> ჩვენ მიერ განსახილველ ეპოქაში კი მიწის მესაკუთრის მიერ ოხერი მიწის გაშენებაში საკუთარი გამწევი ძალის მიხმარება ნაკლებად სავარაუდებელია, რადგან გუთნის გამართვისას, ანუ გუთანში გამწევი ძალის შემბმა სწორედ გლეხს ედო ვალდებულებად და ის ცალკე საბეგრო სამსახურს წარმოადგენდა.<sup>3</sup> საზიარო მეურნეობის დროს გლეხები მოიხმარენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის უდიდეს ნაწილს, ნამეტი ნაწილი კი გასაყიდად გააქვთ, რაც მოცემულ ეპოქაში, ჩემი აზრით, წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ნამეტი მეზატონის ჯიბეში მიდის. საპირისპირო ფორმის არსებობისას კი მიწის ფასი ელემენტის სახით შედის გლეხის მიერ გაწეული წარმოების ხარჯებში. მიწის მემკვიდრეობითი გაყოფის შემთხვევაში ის მისივე ფასით იგულისხმება.<sup>4</sup>

### **ჩვენ შემთხვევაში კი სურათი შემდეგია:**

მემამულე გლეხის სტატუსი რომ განსხვავებულია მენაშენესა და მსახურისგან, კარგად ჩანს ზემოთ განხილული შიომღვიზის საძმოს 1200 წლის ახლოთი დათარიღებული საბუთიდან: *„რუეთს ს(ა)კ(უ)რთხ(ე)ვლისა საგლეხოსა ვენაქსა ზ(ედ)ა კ(ა)ცნი ვინ/მე სხდომილი ყვნეს არმემამულენი, მიწაივენაქად აეშენა და იგინი*

<sup>1</sup> კ. მარქსი. თავი 47-ე. კაპიტალისტური მიწის რენტის გენეზისი. § V. საზიარო მეურნეობა და გლეხის პარაცელური საკუთრება. კაპიტალი. წიგნი მესამე. კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი. თბ. 1959. „საბჭოთა საქართველო“, გვ. 426.

<sup>2</sup> კ. მარქსი. თავი 47-ე. კაპიტალისტური მიწის რენტის გენეზისი. § V. საზიარო მეურნეობა და გლეხის პარაცელური საკუთრება, გვ. 428.

